

780 /  
1980/2

# საგონი




1980  
საგონი  
საგონი

4



ISSN 0134-9848




ლ. კვლავიშვილი.

სამოკინო ფაგონი

საქართველოს  
სამხრეთ-აღმოსავლეთი  
საგარეო ურთიერთობების  
სამსახური

ფაგონი



ლ. კვლავიშვილი.

სამოკინო ფაგონი

საქართველოს  
სამხრეთ-აღმოსავლეთი  
საგარეო ურთიერთობების  
სამსახური

ფაგონი

# სურსათი



## მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო კოლეგია

### შ ი ნ ა ა რ ს ი

— უილიამ ფოლკნერი. ხვაშრი და მრისხანება. რომანი. დასაწყისი. ინგლისურიდან თარგმნა ჯაურ კილაძემ	4
მაქს შტრომლი. ლექსები. ფრანგულიდან თარგმნა გაორგი ფლოლაძემ	71
გიორგი შტრომლი. ციმბირი. რომანი. ნაწყვეტი. თარგმნა ვანო ურჯუშელაშვილმა	75
— ფრანსუა ბრილჟარცერი. სასლონიკის მონასტერი. ნოველა. გერმანულიდან თარგმნა ვიქტორ კახნიაშვილმა	120
ალექსანდრ ცარუკათი. მოსაკვლავი გიჟის ციხე. მოთხრობა. რუსულიდან თარგმნა მიხეილ ბულკათმა	148
კოსტა ხეთაბათი. ლექსები. თარგმნა იზა ორჯონიძემ	153



### მთავარი რედაქტორი ურთა ნიშნიანიკა

სარედაქციო კოლეგია: შუია ბაქრაძე, ბაჩანა ბრეგვაძე, გურამ გოგიაშვილი,  
ნანა ღარსია (პ. შვ. შვიგანი), მავალი თოდუა, ნოდარ კაკაბაძე, შიხაილ  
კვესელავა, ზურაბ კიკნაძე, მანუში კოტეხიშვილი, როგან მივინოშვილი,  
ოთარ ნოდია, ნიკო შიასაშვილი, თაბაჯ ჩხენკელი, დავით ფერდინანი

საქართველოს მწერალთა კავშირი  
 მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური  
 ალმანახი

შინაარსი

უზანა რიშინაშვილი, ვიპი, მოთხრობა, თარგმნა გორგი მაჭუტაძემ	155
ჯინე ჯონისი, ულისა, მეცხრე ეპიზოდი. ინგლისურიდან თარგმნა ნიკო უიასაშვილმა	174
• თანამედროვე უკრაინული მოთხრობები, უკრაინულიდან თარგმნა ჯაბა ასათიანმა	197
— ვინსენტ ვილემ ვან გოგი, წმინდანები, ჰოლანდიური პერიოდი. თარგმნა ლამარა კიკილაშვილმა	214
ნიკოლოზ კენჭოშვილი, ინდური პუბლიცისტიკა ლენინის შესახებ	239
გარეკანზე: ლომნარდო და ვინჩი, ბანოვანი შარკუშით	



«САУНДЖЕ»  
 ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ АЛЬМАНАХ  
 НА ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ № 4 1980  
 ГЛАВНАЯ РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ  
 ХУДОЖЕСТВЕННОГО ПЕРЕВОДА И ЛИТЕРАТУРНЫХ ВЗАИМОСВЯЗЕЙ  
 ТБИЛИСИ, УЛИЦА ШАЛВЫ ДАДИАНИ, 2

# უილიამ ფოლქნერი

## ხმაური და მრისხანება



### რომანი

ონგლისურიდან თარგმნა ზაურ კილაძემ



საბედისწერო დილა გათენდა კვენტის კომპოსიციისთვის 1910 წლის 2 ივნისს. მასთან ერთად გაშთილვია მისმა წარსულმაც და ეს წარსული ისე ჩაწმასხოდა მის აწმყოს, რომ საბოლოოდ, როცა ამ თავის — „1910 წლის 2 ივნისი“ — უკანასკნელ გვერდს დაეხურავთ, ნთლიანი სურათი წარმოგვიდგება, სრულიად ჩაუხვდებით მოხატბელი ვმარის თავგადასავალს, მის ხასიათსა და მეობას.

ამ დღეს კვენტანს ყოველივე მის საბედისწერო გადაწყვეტილებას შეახსენებს, მოგონებებთან შერთული სულიერი მღელვარების შემჯვობით შთელი მისი ცხოვრება გაცხადდება და გამოჩნდება ის ძირისძირი, რასაც წვეულებრივი თვლი და სიტყვა ვერც იხილავს და ვერც გვაძენობს. „ხმაურისა და მრისხანების“ ყოველი სიტყვა უაღრესად ლაკონიური და ძალუმი ფორმის ძერწვას, იმ ფორმის შექმნას ემსახურება, რომლის მეოხებითაც ღრმა შინაარსი გამომწერდება საბოლოოდ.

კვენტინ კომპოსონის სულიერი თავგადასავალი ამ რომანის მეორე თავშია ნოთხრობილი, ხოლო პირველში მისი უშეტობის ძმის, ჭკუასუსტი ბენჯამინის ამბავს ვეცნობით.

მართლაც, იშვიათი შემთხვევაა მხატვრულ ლიტერატურაში გონწყული ვმარის თხრობა, და ამთავიოვე უნდა ითქვას, რომ ამ ვმარს მრავალმხრივი ფუნქცია აკისრია — ბენჯის თხრობაში ზუსტად აისახება სხვა ვმართა დიალოგები და მკითხველიც ამ ვმით გაიგებს კომპოსონთა ოჯახის ამბავს; ბენჯი ამქვეყნიური უსამართლობის განსახიერება და სიმბოლოა, თითქოსდა შოგადკაცობრიული პრობლემები ამ ვმარის პრიზმაშია გარდატეხილი და წარმოჩენილი; ბენჯის სახით მოცემულია ერთგვარი გამოსაცდელი სხვა ვმირებისთვის და ასე ჩვენთვის ნათელი გახდება მხუნებულ ვმართა ხასიათები, ბენჯისთან ურთიერთობაში საცნაურდება მათი ადამიანური თვისებები...

თქვენი საქუდეული პერსონაჟი დავვისახელდეთო, სთხოვეს ერთსეუ უ. ფოლქნერს. ჯეისონი, ჯეისონ კომპოსონით, ასე უპასუხა მწერალმა: სუბიექტურად და ობიექტურადაც ჯეისონს ისეთი ჭკუა მისცა განცებამ, რომ თავის ირგვლივ მყოფ ხალხში, თავის გარემოსა და წარსულში თავისი „კაცუდებული“ ბედის საფუძველს ხედავს. ბავშვობიდანაც კი არ გადმოძეულია რაჟე სასიხარულო, ისე როგორც კედისა და კვენტინს, და ასე განსაჯეთ — ბენჯისაჟი ჯეისონი ერთთავად დაუნთქავს გარკვეულ ქვენა ვრძნობას და ყველას და ყველაფერს ამ ერთი უპრიმიტიულესი და შემადრწუნებელი ვრძნობის მიხედვით აღიქვამს — კვენტინაში, თავის დისშვილში, გამდიდრების წყაროსა და უასაკო მეძავს დანიანსაჟე, სწორედ ისე, მანქანის საყვიარის ხმაში ეირის ყროყინს რომ გაივინებს, დაინახავს



იმას, რაც არ არის და რასაც მართლაც მიაღწევს თავისი გულქვაობითა და სიბრძნევით — დამდუპველი შეიქმნება მხახვად კვენტინასთვის კომპოსონთა თჯახში ჯეისონის მაერ მთ-  
წამლული ატმოსფერო.

უ. ფოლკნერის „ხმაური და მჩიისხანების“ გმარების თხრობა შემოიფარგლება — თავებსაც ასე ჰქვია: „1928 წლის 7 აპრილი“, „1910 წლის 2 ივნისი“, „1928 წლის 6 აპრილი“, დაბოლოს უკვე ავტორისეული თხრობა „1928 წლის 8 აპრილი-თაა“ დასათაურებული. მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიფთოთ, თითქოს მართლაც ერთ დღეში ხდება მთელი ამბავი, რადგან უ. ფოლკნერს კარგად ესმის ის რეალობა, ადამიანი რომ ჰქვია სასულად: „თავისთავად არავინ შეიძლება არსებობდეს. არ არის ისეთი რამ, როგორცაა „აყთ“. იმიტომ რომ წარსული არის; ყოველი კაცის, ყოველი ქალის, ყოველი წუთის ნაწილია იგი“.

ანისდა კვალად, სკივე რეალობის ანალიზით, რაკილა „ადამიანი ჯამია თავისი წარსულისა“, კვენტინ კომპოსონის თხრობაში ბავშვობის ხანას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. უ. ფოლკნერის ამ გმარს ბედისწერა — ბავშვობისდროინდელი სამყაროს ნამუსხრევი, მისი წმინდა და აწ შებღალული გრძნობები გაანადგურებს ჯერ სულიერად და მერე ფიზიკურადაც.

სიკეთე უკან იხევს, მაგრამ ამ შემთხვევაში სიკეთის უკანდახვევა მის უარყოფას როდინიშნავს, თავად ამ მშვენიერი ყმაწვილის არსებობა ცხოველყოფელი ნიშანია სიკეთისა.

შეიძლება თამამად ითქვას, თუკი ვაყა მინდია სხვა გმირებთან შედარებით უფრო თავის შემქმნელის სულთან წილნაყარი, ასევე კვენტინ კომპოსონიც თავად უ. ფოლკნერის სასხლი და ხორცია, უ. ფოლკნერისა, რომელსაც თავი არ მოუვლავს... და რომელმაც თავისი ღიადი შემოქმედებით მარადიული ჭეშმარიტებანი გვამცნო.

მთარგმნელის საგან

16513

1928 წლის 7 აპრილი


**ღ**ობესთან მიმდგარი, დაბურულ ყვავილოვანში ვიჭვრიტებო ვხედავ, როგორ ურტყამენ ჩოვანს, მიდიან ალმისკენ, მეც ლობეს მივყვები. ლასტერი ეძებს ყვავილებიანი ხის ძირას, ბალახში, ალაში ამოაძრეს, ურტყამენ ისევ. შემდეგ ალაში კვლავ ჩაარქვს და კვლავ სწორვზე მიდიან, მეც ლობეს მივყვები. ლასტერი მოცილდა ყვავილოვან ხეს და ორივე მივდივართ ღობის გასწვრივ. შეჩერდნენ ისინი და ჩვენც შევჩერდით, მე ლობეში ვახედები, ლასტერი ბალახში ეძებს.

— ჩოვანი მომაწოდე, კედ\*, — დაარტყა, გაგვშორდნენ. მწვანეზე მიდიან, ლობეს ჩაჭიდებული გავცქერო.

— ნეტავი სარკეში ჩაგახედა, — თქვა ლასტერმა, — ოცდაცამეტა წლისა ხარ და აგრე იქცევი. შენი ტორტის გულისთვის ქალაქში მაზანხალეს. ნულარ ზლუქუნებ, სჯობს ის ფული მაპოვნინო, წარმოდგენაზე ისე ვინ შემიშვებს ამ საღამოს.

მწვანეზე მიდიან, ხანდახან გაჰკრავენ ჩოვანს. ლობეს იმ მხარეს მივყვები, სადაც ალამს აფრიალებს ქარი ბრკიალა ბალახსა და ხეებში.

\* კედ (კედი — caddie) — საგოლდე ჩოვანის დამტარებელი ბიჭი.



— წამო, — თქვა ლასტერმა, აქ ხომ უკვე დავებნეთ. აღარ დაბრუნდებიან. წამო, წყალთან დავებნოთ, თორემ ზანგები ნახვენ იმ ფულს წითელია. მწვანეზე ურიალებს. გვერდულად მოვრინდა ჩიტი, ალამზე დაჯდა. ლასტერმა აუქშია. ალამი ფრიალებს ბრკილა ბალახსა და ლობეს ჩაჭიდებულა.

— მორჩი ღრიაღს, — თქვა ლასტერმა, — მოთამაშეები წავიდნენ და მე ვერ დავაბრუნებ. გახუმდი-მეთქი, თორემ დიდება დღეობას აღარ გადავიხდის. გახუმდა-მეთქი, თუ არადა, ხომ იცი, აედგები და მთელ ტორტს შეგიჭამ. სანთლებსაც შეგიჭამ. ოცდაცამეტევე სანთელს. წამო, წყალზე ჩავიდეთ. ჩემი ფული უნდა ვიპოვო. იქნებ იმათი რომელიმე ბურთიც ვნახოთ, აბა გახედე, სად არიან. აგე იქ, შორს, ხომ ხედავ? — ლობესთან მივიდა და ხელი გაიშვირა.

ლობეს გავყევით და ბალთან გავედით, ლობეზე ჩვენი ჩრდილებია. ჩემი ჩრდილი ლასტერისაზე მაღალია. გამორღევეულ ლობეში გავძვერით.

— დაიცა, — თქვა ლასტერმა. ისევ ლურსმანს წამოედე. ამ ლურსმანს ვერ იქნა და ერთხელაც ვერ აუარე გვერდი.

კედიმ ამხსნა ლობიდან და ჩვენ გავძვერით. მორჩი ბიძიამ მითხრა, არავინ დაგინახოთ, ისე წადითო, თქვა კედიმ. სჯობს მოვიხაროთ, ბენჯი, აი ასე, ხომ ხედავო. დახრილებმა გავიარეთ ბალი. ყვავილების ღაღანი და შრიალია ჩვენ გარშემო. მიწა ხმელია. მივძვრებით იმ ადგილას, სადაც ღრუტუნებენ და ჭყვიტინებენ ღორები. ალბათ იმდღევანდელ დაკლულს დარდობენო, თქვა კედიმ. მიწა ხმელია. ბელტები და გოროხები.

ხელები ჯიბეში გქონდეს, თქვა კედიმ, თორემ წაგეყინება. ხელებწყინული ხომ არ შეხვდებიო შობას.

— გარეთ ძალიან ცივა, — თქვა ვერშიმა, — არ გახვიდე.

— რაო, რა მინდაო, — თქვა დედამ.

— გარეთ მინდაო, — თქვა ვერშიმა.

— ხოდა, შენც გაუშვი, — თქვა მორჩი ბიძიამ.

— ძალიან ცივა, — თქვა დედამ, — სჯობს აქ იყო. ბენჯამინ, მანდ იყავი ახლა.

— რა უნდა მოუვიდეს, — თქვა მორჩი ბიძიამ.

— ბენჯამინ, თქვა დედამ, — არ გამიგონებ და სამზარეულოში დავსვამ, იცოდე.

— დედამ მითხრა, დღეს სამზარეულოში ნუ შემოიყვანოთ, — თქვა ვერშიმა, ისედაც ვერ ავუდივარ საქმლის სამზადისსო.

— გაუშვი, კერთლახ, — თქვა მორჩი ბიძიამ, — ნუ იშლი ხოლმე ძარღვებს, ვინდა კიდევ ავად გახდე.

— რა ვიცი, თქვა დედამ, რად დავისაგე ასე, ზანდაზან ვფიქრობ და ვერ განთმიცვნი.

— რა ვიცი, რა ვიცი, თქვა მორჩი ბიძიამ, — ჯანზე უნდა იყო. პუნშს მოგიშაადებ.

— პუნში უარესს მიზამს, თქვა დედამ, — ხომ იცი.

— თავს უკეთ იგრიანობ, — თქვა მორჩი ბიძიამ, — კარგად ჩააცვი, ბიჭო, და ცოტა ხანს გარეთ გაიყვანე.

მორჩი ბიძია გავიდა. ვერშიც გავიდა.

— გაჩუმდი, შვილო, — თქვა დედამ, — ჩაგაცმევენ და იმ წუთას გავიშვებთ. არ მინდა ვაცოვდე.

ვერშმა პალტო და ბოტები ჩამაცვა, ქუდი ავიღეთ და მივდივართ. სასადილო ოთახში მორი ბიძია ბუფეტი გამოუღია და შიგ ბოთლს დგამს.

— ნახევარი საათითლა გააჩერე ვარეთ, ბიჭო თქვა მორი ბიძია, — თორღ იცოდე, ეზოში გყავდეს.

— დიახ, ბატონო, — თქვა ვერშმა, — არც არასდროს გაგვიშვია ეზოდან. ვარეთ გავედით. მზე ცივია და ბრკიალა.

— თავი სად ავიღებია, — თქვა ვერშმა, — ქალაქში ხომ არ გინდა წახვიდე. — მივდივართ, ფოთლებს მივაშრივლებთ. ჭიშკარი ცივია. — სჯობს ხელები ჯიბეში ჩაიწყო, — თქვა ვერშმა, — ჭიშკარზე თუ მიგეჭინა, რალა გეშველება. ვითომ შინ არ შეგიძლია დააცადო. — ჯიბეში ჩამადებინა ხელები. მესმის, ფოთლებს მივაშრივლებს. სიცივის სუნია. ჭიშკარი ცივია.

— კაკალი აიდე. ოჰო, რა შეხტა ხეზე. შეხედე, ბენჯი, ციყვი!

ჭიშკარს ვერა ვგრძნობ, მაგრამ ბრკიალა სიცივის სუნი კი მცემს.

— გირჩევნია ხელები ჯიბეში ჩაიწყო.

კედი მოდის, მერე გამოიქცა. ზურგზე ჩანთას მოახტუნებს.

— გამარჯობა, ბენჯი, — თქვა კედიმ. ჭიშკარი გააღო, შემოვიდა და დაინხარა. ფოთლების სუნი აქვს კედის. — მე შემომეგებე, ხომ? კედის შემოეგებე, ხომ? ხელები აგრე რად გასცივებია, ვერშ?

— ჯიბეში ჩაიწყვე-მეთქი, ვუთხარი, — თქვა ვერშმა, — ჭიშკარს ვერ მოვაცილებინე.

— შენ ხომ კედის გამოეგებე, — თქვა კედიმ და ხელები დამიჩილა. — აბა რა უნდა გეთქვა კედისთვის? — ხეების სუნი აქვს კედის, აი ისეთი, როცა მეუბნება, ახლა კი ჩაგვეძინებაო.

აბა რა ვაღრიალებს, თქვა ლასტერმა, აგე წყალთან მივალთ და დაინახავ, ამა, შენ ბანგას ყვავილიო. ღობე გავიარეთ. შემოღობილში შევედით.

— აბა, აბა, — თქვა კედიმ, — რა უნდა გეთქვა კედისთვის? შინ არ გააჩერეს, ხომ, ვერშ?

— მაგას ვინ გააჩერებს, — თქვა ვერშმა, — ვიღრე არ გამოუშვეს, ღრიალებდა, გამოუშვეს და პირდაპირ ჭიშკარს მოაშურა გზის საყუდრებლად.

— შენ რა, — თქვა კედიმ, — გეგონა, მე მთელ სკოლიდან და შობაც მაშინვე იქნება? ასე ფიქრობდი, ხომ? შობა კი ზეგაა. თოვლის პაპა გვესტუმრება, ბენჯი, თოვლის პაპა. მოდი, შინ გავიქცეთ და გავთბეთ. — ხელი ჩამკიდა, გავრბივართ ფოთლების ბრკიალა შრიალში. ბრკიალა სიცივიდან ავრბივართ კიბეზე და შევრბივართ ბნელ სიცივეში. მორი ბიძია ისევ ბუფეტში დგამს ბოთლს. კედის, იდახის, კედიმ თქვა:

— ცეცხლთან მიიყვანე, ვერშ. ვერშს გაჰყევი. — ასე თქვა, — მეც ახლავე მოვალ.

ცეცხლთან მივდივართ. დედამ თქვა:

— ხომ არ გაითოშა, ვერშ?

— არა. ქალბატონო, — თქვა ვერშმა.

— გახადე პალტო და ბოტები, — თქვა დედამ. — რამდენჯერ უნდა გითხრა, ჯერ ბოტები გახადე და მერე შემოიყვანე-მეთქი.





ლაში შემადგო. ტ.პ.-ის აღვირი უკავია. — ვერ გამოვიდა, ჯეისონი რად არ ყო-  
დულობს ახალ ორთვალას, — თქვა დილზიმ, — ერთ მშვენიერ დღეს ნაწილ-  
ნაწილ დაიშლება და ეს იქნება. ერთი ამის ბორბლებს შეხედე.

დედა გამოვიდა, პირბადე ჩამოუშვია. ხელში ყვავილები აქვს.  
— როსკუსი სადღაა, — თქვა დედამ. ბიზუნიუსი

— როსკუსი დღეს შეუძლოდაა, ხელიც ვერ აუწევია, — თქვა დილზიმ, —  
ტ.პ.-იც კარგად წაიყვანს.

-- ვაიზე, რაღა ვქნა, — თქვა დედამ, — კვირაში ერთხელა მჭირდება მე-  
ეტლე. დმერთია მოწმე, მეტს არაფერს გთხოვთ.

— თქვენც კარგად იცით, რა შავი დღე აყარა როსკუსს ნიკრისის ქარმა,  
მისს კალაინს, — თქვა დილზიმ, — ადით და დაბრძანდით. ტ.პი-ი როსკუსს არ  
ჩამოუვარდება.

— ვაიპე, რაღა ვქნა, — თქვა დედამ, — ამ ბავშვს რამე რომ დაუშავდეს.  
დილზი კიბეზე ავიდა.

— კაი ბავშვია, — ასე თქვა. დედას ხელი მოკიდა, — ჩემი ტ.პ.-ის ტოლი  
ვაუკაცი იქნება. ჩამობრძანდით, თუკი აპირებთ წასვლას.

— ვაიზე, რამე რომ მოხდეს, — თქვა დედამ. კიბეზე ჩამოვიდნენ, დედა  
ორთვალაში დაჯდა, დილზი შეეშველა. — თუმცა, მგონია, ყველა დავისვენებთ  
მაშინ, — თქვა დედამ.

— რას ბრძანებთ, ქალბატონო, — თქვა დილზიმ, — ვათომ არ იცით, ქვი-  
ნი რა თვინიერია. მაგან რომ აიწყვიტოს, თვრამეტი წლის ზანგზე უარესი საფრ-  
თხობელა უნდა დაანახოთ. ერთად რომ შეაერთოთ იმისი და ბენჯის წლები,  
უფრო ბებრეკი ეს ცხენი გამოვა. ტ.პ.-ი, იცოდე, ჭკუით იყავი მისს კალაინთან,  
თორემ როსკუსს ვეტყვი, შენი სამყოფი ძალა კი ექნება ჯერ კიდევ ხელებში.

— დიახ, დედი, — თქვა ტ.პ.-იმ.

— ვიცო, რაღაც კარგი არ დამენართება, — თქვა დედამ, — გაჩუმდი, ბენ-  
ჯამინ.

— ყვავალი მიეცით, ეგ უნდა, — თქვა დილზიმ და თაიგულს წაეტანა.

— არა, არა, — თქვა დედამ, — სულ ამირ-დამირევე.

— თქვენც მაგრა გეჭიროთ, — თქვა დილზიმ, — მხოლოდ ერთ ყვავილს  
ავიღებ. — ყვავილი მომცა, დამშორდა იმისი ხელი. — დროზე წადით, თორემ  
კვენტინა დაგვინახავს და თქვენთან წაბოსვლას მოინდომებს, — თქვა დილზიმ.

— სადაა ის გოგო? — თქვა დედამ.

— ქვემოთ, ჩემს სახლთან ლასტერს ეთამაშება, — თქვა დილზიმ, —  
გასწი, ტ.პ.-ი, ეგ ორთვალა ისე წაიყვანე, როგორც როსკუსი გასწავლის ხოლ-  
მე.

— დიახ, დედი, — თქვა ტ.პ.-იმ, — აჩუუ, ქვინი.

— დარდი ნუ გაქვთ, — თქვა დილზიმ.

მიირწევა, მიქანაობს ორთვალა. — ვაითუ კვენტინას რამე მოუვიდეს, —  
თქვა დედამ, — ნულარ წავალთ, ტ.პ.-ი. — ჭიმკარი გამოვიარეთ, ორთვალა აღარ  
მიირწევა. ტ.პ.-იმ ქვინის მათრახი გადაუჭირა.

— ეგ რა ჰქენი, ტ.პ.-ი, — თქვა დედამ.

— ცოტა გამოთხიზლდეს, — თქვა ტ.პ.-იმ, — გზაზე ძილი ვის გაუგია.

— მივბრუნდეთ, — თქვა დედამ, — მეშინია, კვენტინას რამე არ მოუვი-  
დეს.



- აქ ვერ მოგბრუნდებით, — თქვა ტ.პ.-იმ. მე რე გზა გაფართოვდა.
- აი, აქ მოაბრუნე, — თქვა დედამ.
- დიან, ქალბატონო, — თქვა ტ.პ.-იმ. ორთვალა ტრიალდება.
- რას უფრები, ტ.პ.-ი, — თქვა დედამ, სამეჭიდა.
- როგორმე ხომ უნდა მოვატრიალო, — თქვა ტ.პ.-იმს ჩუჩქქქქქქქქქქქ-
- ნი. — გაუჩერდით.
- გადაგვაბრუნებ და ის იქნება, — თქვა დედამ.
- აბა რა ექნა? — თქვა ტ.პ.-იმ.
- მობრუნებისას ვაითუ გადმოგვეყარო-მეტქი, — თქვა დედამ.
- გასწი, ქვინი, — თქვა ტ.პ.-იმ. წავედით.
- კი მოვდავართ, მაგრამ ვაითუ დიღზიმ თვალის ვერ მიადევნოს და კვენ-
- ტინას რამე მოუვადეს, — თქვა დედამ, — ჩქარა უნდა დავბრუნდეთ.
- აჩუუ, ქვინი, — თქვა ტ.პ.-იმ. მათრახი გადაუჭირა ქვინის.
- იპ, ტ.პ.-ი. — თქვა დედამ, ხელი ჩამჭიდა. ქვინის ფლოქვეების ხმა მეს-
- მის. ორივე მხრივ პრიალა ლაქები მოცურავენ, მათი ჩრდილები ქვინის ზურგ-
- ზე მოძრაობენ ბორბლის ბრკიალა თავების მსგავსად. ნერე იმ მხარეს გაჩერდ-
- ნენ, სადაც ბოძკინტია, აქ ჯარისკაცი დგას. მეორე მხარე მაინც მოძრაობს,
- ოღონდ უფრო ნელა.
- რა გნებავო, — თქვა ჯეისონმა. ხელები ჯიბეში აქვს, ფანქარი ეურს
- უკან.
- სასაფლაოზე ნივდივართ, — თქვა დედამ.
- ნება თქვენია, — თქვა ჯეისონმა, — მე ხომ არ ვაკავებთ, ამის სათქმე-
- ლაღლა დამიძახეთ?
- ვაცი, არ წამოგვეყვები, — თქვა დედამ, — შენ რომ წამოსულიყავი, უფ-
- რო მშვიდად ვაქნებოდი.
- დასამშვიდებელი რა გჭირთ, — თქვა ჯეისონმა, — მამამ და კვენტინმა
- ახლა რაღა უნდა დაგიშავთ.
- დედამ პირბადის ქვეშ ცხვირსახოცი შეაცურა. — არ გინდა, დედა, — თქვა
- ჯეისონმა, — თორემ ეს ჭკუამთვრალი ამ შუა მოედანზე აღრიალდება. გასწი,
- ტ.პ.-ი.
- აჩუუ, ქვინი, — თქვა ტ.პ.-იმ.
- ღმერთმა დამაჯა, — თქვა დედამ, — მაგრამ მეც ნალე ამომძვრება
- სული.
- აბა ვაჩერე, — თქვა ჯეისონმა.
- ღრრ, — თქვა ტ.პ.-იმ. ჯეისონმა თქვა:
- ორმოცდაათ დოლარს მთხოვს მორი ბიძია თქვენი ანგარიშიდან, რას
- იტყვი, მივცე?
- მე რას მეკითხები? — თქვა დედამ, — რა უნდა გითხრა. მე არ მინდა
- შენი და დიღზის შეწუხება. მალე ამომძვრება სული და შენც...
- გასწი, ტ.პ.-ი, — თქვა ჯეისონმა.
- აჩუუ, ქვინი, — თქვა ტ.პ.-იმ. ლაქები კვლავ მოგორავენ იმავე მხრი-
- დან, სწრაფად და თანაბრად ბრკიალევენ, ისე, როცა კედი ამბობს, აი, ახლა
- კი დამეძინებაო.
- მტირალასა ბანი, თქვა ლასტერმა, როგორ არა გრცხვენიაო. ახორში შევ-
- დივართ. ბაგები ღიაა. ამლავი პონი აღარ გყავს, ველარ გაისეირნებო, თქვა



როგორ ბანაობენ ბიჭები, უყურე და ისე მოიქეცი, როგორც წესი და რიგია. — ნაპირზე დავჯექი, სადაც რეცხავენ და ცისფერი ბოლია განრთხმული.

— ფული აი, აქ დამივარდა, ვინმეს ხომ არ გინახავთ? — თქვა ლასტერმა.

— რა ფული?

— ამ დილას დავკარგე, — თქვა ლასტერმა, — სადაც იქ დამივარდა, — ამ გახვრეტილი ჯაბიდან გადმომივარდა. ვერ მიპოვია და ამ სალამოს შინ ჯდომა მომიწევს.

— ის ფული სადღა იშთვე, ბიჭო, თეთრი კაცის ჯიბეში მოიძიე, განა?

— სადაც არის, იქ მოვიძიე, — თქვა ლასტერმა, — ძალიან ბევრია იქ და ეგ ერთი ჩემია. ოღონდ კი ვიპოვო. ვინმეს ხომ არ გინახავთ?

— ჩემს საქმეს ვერ ავუდივარ და ახლა შენ გინდა ფული მომიძებნინო?

— აქ მო, — თქვა ლასტერმა, — იქნებ ვიპოვოთ.

— რომც დაინახოს, რას მიხვდება.

— მაინც მოძებნოს, — თქვა ლასტერმა, — წარმოდგენაზე თუ მიდიხარ ამ სალამოს?

— წარმოდგენას ნულარ მიხსენებ. მთელი დღე ამ ვარცლებს დაგტრი-ალებ და ისე ვიღლები, სალამოს ძვალი და რბილი სულ ძირს ჩამომდის.

— თუნდ დაგენიძლავები, რომ წამოხვალ, — თქვა ლასტერმა, — თუნდ დაგენიძლავები, გუშინ სალამოსაც იყავით იქ. თუნდ დაგენიძლავები, გაალებენ თუ არა კარს, იქაურობას სულ თქვენ გაავსებთ.

— უჭემოდაც ბევრი ზანგი მივა იქ. გუშინ სალამოს მეც ეიყავა.

— ზანგის ფულიც ფულობს, მე გეუბნები.

— თეთრი კაცი ზანგს აძლევს გასამრჯელოს და იცის, მოვა სხვა თეთრი კაცი ტაშ-ფანდურით და ამის მონაგარს ამოიღებს. შენ კი, ზანგო, მიდი, დღე და ღამე გაასწორე.

— მერედა, ვინ გეუბნება, წარმოდგენაზე წადიო.

— ჯერჯერობათ არაფერ. მაგრამ შეიძლება მითხრან კიდევაც.

— თეთრი კაცს შენ რას უყურებ.

— არც რას ვუყურებ. მე ჩემი გზით მივდივარ, თეთრი ხალხი კი თავისი გზით. იმათ წარმოდგენას მე რას ვაქნევ.

— ერთი კაცი ისე უკრავს ხერხზე, თითქოს ბანჯოზეო.

— თქვენ გუშინ იყავით, — თქვა ლასტერმა, — მე კი დღეს წავალ. ერთი ის ფული ვიპოვო და.

— ამასაც თან წააყვან?

— აბა კი, — თქვა ლასტერმა, — ამისი ურიალის თავი მაქვს!

— მერედა, რას უწერები, როცა აღრიალდება ხილმე?

— რას ვწერები და ეცემ, — თქვა ლასტერმა. დაჯდა და შარვლის ტოტები აიგაპიწა. ბიჭები წყალში თამაშობენ.

— თქვენ მანდ რაღაც კვერცხებსაც იპოვით კიდევ, — თქვა ლასტერმა.

— რაებს როშავ. დიდება გავიგებს და მაშინ ნახავ შენს სეირს.

ლასტერი წყალში ჩადის, სადაც ბიჭები თამაშობენ. ნაპირთან ასლოს ეტებს.

— ამ დილას აქ რომ ვიყავი, ფული მქონდა, — თქვა ლასტერმა.

— მაინც სად დავკარგე?

— აი, ამ გამოხვრეტილი ჯიბიდან გამომივარდა, — თქვა ლასტერმა. ყვე-

ლანი წყალში ეძებენ. უცებ წამოიშართნენ და გაჩერდნენ, მერე დგაფუნით ერთმანეთს მიეახლნენ. ლასტერმა სტაცა ხელი. წყალზე დაცუცქდნენ, ბუჩქებს შეფარებულნი გორაკს აპყურებენ.

— სად არიან? — თქვა ლასტერმა.

— ჯერ არ ჩანან.

ლასტერმა ის ჭაბეში ჩაიღო. ისინი კი გორაკიდან ჩამოდიან.

— მანდ ბურთი ხომ არ გადმოვარდნილა?

— წყალში ჩავარდებოდა. ხომ არ დაგინახავთ ან ხომ არ გაგიგონიათ, ბიჭებო?

— აქ არაფერი ჩამოვარდნილა. თქვა ლასტერმა, — აი, იქ რაღაც მიეხეთქა ხეს, ვინ იცის, სად გადავარდა.

ისინი წყალში იცურებდნენ.

— ჰეი, ცოტა ქვემოთ გაიხედე. აქედან გადავარდა, ნე დაგინახე.

წყალი მოათვალიერეს. მერე ისევ გორაკზე აღიან.

— შენ ხომ არ ავილია ბურთი? — თქვა იმ ბიჭმა.

— აბა რად მინდა, — თქვა ლასტერმა, — თვალითაც არ მინახავს.

ბიჭი წყალში ჩავიდა, გაუყვა ნაპირს, მობრუნდა და ისევ ლასტერს უყურებს. მერე წყალს ჩაუყვა ქვემოთ.

გორაკზე კაცმა თქვა: „კედ“. ბიჭი წყლიდან ამთვიდა და გორაკზე ავიდა.

— ერთი ამას უყურე, — თქვა ლასტერმა, — ახლავე გაჩუმდი.

— ახლა რაღას ზმუის?

— აბა რა ეიცო, — თქვა ლასტერმა, — ისევ დაიწყებს ხოლმე. მთელი დღე არ გაჩერებულა. დაბადების დღე აქვს და მგონია ამიტომ.

— რამდენი წლისაა?

— ოცდაცამეტის, — თქვა ლასტერმა. — ოცდაათი და სამი წელი შეასრულა ამ დაღას.

— უფრო სწორედ, უკვე ოცდაათი წელია, რაც სამი წლისაა.

— რა ეიცო, — თქვა ლასტერმა, — დიდდას ნათქვამს გეუბნები. ტორტი კი აქვთ ოცდაცამეტსანთლიანი. მუჭისტოლა ტორტია. ვის ეყოფა. გაჩუმდი-მეთქი, აქეთ მოდი, — მკლავზე ხელი მომკიდა. — შეეჭკუააწეულო ბებერთო, — ასე თქვა, — წყებლა მოგხვდება, იცოდე.

— დაგენიძლაგები, რომ ვერ გაბედავ.

— გამიბელია კიდევაც. გაჩუმდი, პო. — თქვა ლასტერმა, — რამდენჯერ უნდა ვითხრა, იქ ნუ მიძვრები-მეთქი. თავში მოგხვდება ბურთი და მერე ნახავ. ჩამოდი-მეთქი. მიმათრევს. — დაჯექი. — ფეხზე გამხადა და შარვლის ტოტეები ამიკაბიწა. — აბა წყალში შედი, ითამაშე, ნუ ზმუი და ნუ ზლუქუნებ.

გავჩუმდი, წყალში ჩავდივარ. როსკუსი მოვიდა და თქვა, წამოდით ხავანშ-მოლო. კედიმ თქვა:

რა დროს ვახშამია, არ წამოვალო.

დასველებული იყო. წყალში ვთამაშობდიო. კედი ჩაცუცქდა. კაბა დაისველა. ვერშმა თქვა:

— კაბა დაგისველებია და დედაშენი გცემს, იცოდე.

— არაფერსაც არ მცემს, — თქვა კედიმ.

— რა იცი? — თქვა კვენტინმა.

— ძალიან კარგადაც ვიცი, — თქვა კედიმ, — შენ რა იცი?

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

— რა ვიცი და დედამ მითხრა, ეცემო, — თქვა კვენტინმა, — მერე კიდევ შენზე უფროსი ვარ.

— მე კი შვილი წლისა ვარ, — თქვა კელიმ, — და ყველაფერი ვიცი.

— მე შენზე უფროსი ვარ, — თქვა კვენტინმა, — მე სკოლაში დავდივარ, ხომ ასეა, ვერა?

— გაისად მეც წავალ სკოლაში, — თქვა კელიმ, — სექტემბერში ხომ წავალ, ვერა?

— კაბა რომ დაგისველდა, ხომ იცი, გცივენ, — თქვა ვერაშმა.

— აბა სადაა სველი, — თქვა კელიმ, წამოიწია წყლიდან, კაბას დახვდა, — გავიხდი და გავიშრობ.

— აბა ერთი გაიხადე, — თქვა კვენტინმა.

— ძალიან კარგადაც გავიხდი, — თქვა კელიმ.

— გირჩევნია არ გაიხადო, — თქვა კვენტინმა.

კელი მოვიდა აქ, ვერაშთან და ჩემთან, ხურგიო მიბრუნდა.

— ფოლატები გამახსენი, ვერაშ, — ასე თქვა.

— არ გაუხსნა, ვერაშ, — თქვა კვენტინმა.

— შენს კაბასთან მე რა ხელი ძაქვს, — თქვა ვერაშმა.

— გამიხსენი-მეთქი, ვერაშ, — თქვა კელიმ, — თორემ შენს გუშინდელ ამბავს, დიღვის ვეტყვი. — ვერაშმა გაუხსნა.

— აბა ერთი გაიხადე, — თქვა კვენტინმა. კელიმ კაბა გაიხადა და ნაპირზე დააგდო. პაწია ლიფითა და ნიფხავითლა დარჩა, კვენტინმა ხელი ჰკრა, კედის ფეხს დაუცურდა და წყალში ჩავარდა. წამოდგა და კვენტინს წყალი შეასხა.

კვენტინმაც წყალი შეასხა კედის. ნეც შემომესხა და ვერაშსაც. ვერაშმა ამიყვანა და ნაპირზე გამიყვანა, ასე თქვა, ახლავე წავალ და თქვენს ამბავს ვიტყვიო. მერე კელიმ და კვენტინმა წყალი შეასხეს ვერაშსაც. ვერაშმა ბუჩქებში ჩაიმალა.

წავალ და ყველაფერს ვეტყვი დედას, — თქვა ვერაშმა.

კვენტინი ნაპირზე ამოხტა და ვერაშს გამოეკიდა, მაგრამ ვერ დაიჭირა, დაბრუნდა კვენტინი და ვერაშს გასერდა. დაიყვირა, ვეტყვიო. კელიმ თქვა, თუ აღარ ეტყვი, მაშინ დაბრუნდით. ვერაშმა თქვა, აღარ ვეტყვით, და დაბრუნდა.

— გიხაროდეს, — თქვა კვენტინმა, — ახლა ორივეს მოგვხვდება.

— მომხვდება და გავიქცევი, — თქვა კელიმ.

— თქო, რა ყოჩაღია, — თქვა კვენტინმა.

— გავიქცევი და აღარასოდეს დავბრუნდები, — თქვა კელიმ. მე ავტირდი.

კელი მოტრიალდა, თქვა, გაჩუმდიო. მე გაჩუმდი. შემდეგ წყალში თამაშობდნენ. ჭეისონიც თამაშობდა იქით, ჩვენ ქვემოთ. ვერაშმა ბუჩქებიდან გამოვიდა, ხელში ამიყვანა და წყალში ჩამაყენა. კელი მთლად სველი იყო, ხურგზე ტალიბი ეცხო და მე ავტირდი, მოვიდა და წყალში ჩაიცუცქა.

— გაჩუმდი-მეთქი, — ასე თქვა, — აღარ გავიქცევი. — გაჩუმდი. ნაწვიმარი ხეების სუნს აქვს კედის.

რა დაგემართა, თქვა ლასტერმა. ნულარ ღრიალებ, სხვებსავით შენც ითამაშეო.

ნეტავე შინ წაიყვანდნენ. აკი გომლიან კიდევაც ამის ეზოს გარეთ გაყვანასო.

ეს მდებარე ისევ თავისი ჰგონია, თქვა ლასტერმა. სულ ერთია, ამას სახლიდან მაინც ვერავინ დაინახავსო.





მალლა ადიან, ჭიდაობენ. ტ.პ.-ი მოგორავს ქვემოთ და კვენტინი ზემოთ მიათრევს. კვენტინმა დაარტყა ტ.პ.-ის. მე თავს ვერ ვიკავებ.

— ადექი, — თქვა კვენტინმა, — და სანამ არ ლავბრუნდები, აქ იჯივი/ მე და ბენჯი ისევ უნდა წავიდეთ ქორწილზე, — თქვა ტ.პ.-იმ, — უუუჰ!

კვენტინმა კვლავ დაარტყა ტ.პ.-ის. შემდეგ შეაჯანჯლარა და ბენჯი დაანარცხა კედელს, გა კი იცინის, რამდენჯერაც მიანარცხა ზურგით კედელს, იმდენჯერ უნდა თქვას ტ.პ.-იმ, უუჰო, მაგრამ სიცილისაგან ვეღარ უთქვამს. ვერც ვყვირი და ვერც ვჩერდები. ტ.პ.-ი ზედ თავზე დაძეცა. ახორი გაიქცა, ქვემოთ ჩაქანდა, ტ.პ.-ი თავის თავს ეჩხუბება, ისევ ეცემა. კვლავ იცინის, მე აღარ ვჩერდები. ვერშმა თქვა:

— გაჩუმიდი ახლავე, თორემ ვიტყვი, რაც უოვილხარ, რა გალრიალებს?

ტ.პ.-ი სულ იცინის, კართან ფართხალებს და იცინის. — უუუჰ, — ასე თქვა, — მე და ბენჯი ისევ უნდა წავიდეთ ქორწილზე. რა დავლიეთ, — თქვა ტ.პ.-იმ.

— ჩუმად, — თქვა ვერშმა, — სად მიაგენით?

— სარდაფში, — თქვა ტ.პ.-იმ. — უუუჰ!

— ჩუმად-მეთქი, — თქვა ვერშმა, — სად სარდაფში?

— ყველგან. — თქვა ტ.პ.-იმ და ისევ იცინის. — ას ბოთლზე მეტი იქნება.

მილიონზე მეტი. მთმეშვი, ზანგო, არლა უნდა ვიმღერო.

კვენტინმა თქვა: — წამოაყენე.

ვერშმა წამომაყენა.

— დალიე, ბენჯი, — თქვა კვენტინმა, ჭიქა ცხელია. — ახლავე გაჩუმიდი, — თქვა კვენტინმა, — დალიე-მეთქი.

— უუუ, რა არი, — თქვა ტ.პ.-იმ, — მე დავლიე, ბ-ნო კვენტინ.

— ხმა-მეთქი, — თქვა ვერშმა, — კარგად გადაურჩი ბატონ კვენტინს, გატყობ.

— ხელი ჩასჭიდე, — თქვა კვენტინმა.

გამაკავეს. ცხლად ჩამომეღვარა ნიკაპსა და პერანგზე. — დალიე-მეთქი, — თქვა კვენტინმა. თავი დამიკავეს. გულ-მუცელში დამცეცბლა. ავლრიალდი, შიგნით რილიცას ეგრძნობ, და კიდევ უფრო ვლრიალებ. ვიდრე არ გამიარა, ხელი არ გამიშვეს. შემდეგ გავჩუმიდი. ისევ დატრიალდა ყველაფერი, ისევ ბრკი-ალებს. — ყუთი გახსენი, ვერშ. — ტრიალი შენელდა. — იატაკზე დააფინე ეს ცარიელი ტომრები. — კიდევ უფრო სწრაფად ტრიალებს ყველაფერი. — აბა ხელი ფეხებში ჩაავლე. — ტრიალებს პრიალა ნათელი. ტ.პ.-ის სიცილი მესმის. სხვებთან ერთად მეც მივცურავ ბრკიალა დაქანებულზე.

ამოვედით ზემოთ და ვერშმა ჩამომხვა. — აქ მოდი, კვენტინ, — კედიმ ჩამოსძახა გორაკიდან. კვენტინი ისევ წყალოთან დგას. გორახებს ისვრის ჩრდილში, სადაც წყალია.

— მანდ დარჩეს ეგ ლაჩარი, — თქვა კედიმ. ხელა მომკიდა, ახორს ჩავუარეთ, ჭიშკარში გავედით. ბაყაყი დაყურსულა აგურით გაწყობილ ბილიკზე. კედიმ გალსაბიჯა და მეც მიმათრევს.

— წამო, მორა, — ასე თქვა. ბაყაყი ისევ დაყურსულა, ჯეისონმა თუხი გაჰკრა.

— ნახე, მტყეჭი თუ არ გამოვივა, — თქვა ვერშმა. ბაყაყმა ისკუბა და მიიმალა.



საქართველოს  
ბიბლიოთეკა

- წამო, მორი, — თქვა კედიმ.
- სტუმრებია თქვენსას ამ საღამოს, — თქვა ვერშმა.
- რა იცო? — თქვა კედიმ.
- სულ ვადანათებულა იქ-ურობა, — თქვა ვერშმა, — ჩახჩახება.
- მგონია, უსტუმრებოდაც შეიძლება გაჩახჩახება, — თქვა კედიმ.
- დაგენიძღავები, სტუმრებია, — თქვა ვერშმა. — სჯობს შინ უკანა კიბით შეიპაროთ.
- ეგლა მაცლია, — თქვა კედიმ, — პირდაპირ სტუმრებთან შევალ.
- დაგენიძღავები, მამაშენი მიგტყეპავს, — თქვა ვერშმა.
- აბა კი, — თქვა კედიმ, — პირდაპირ სტუმრებთან შევალ. პირდაპირ სასადილო ოთახში შევალ და გივახშმებ.
- სადღა დაჭლები? — თქვა ვერშმა.
- ბებიას სავარძელში დავჭლები, — თქვა კედიმ, — ის ხომ ლოგინში ჭამს.
- მშია, — თქვა ჯეისონმა. წინ გაგვისწრო და გაიქცა. ხელები ჯიბეში აქვს, დაეცა. ვერში მივიდა, წამთაყენა.
- ჯიბიდან ამოიღე ხელები და აღარ დაეცემი, — თქვა ვერშმა, — თავს აგრე ვერ შეამაგრებ, შე ღონდლოვ.
- სამზარეულოს კიბეზე მამა დგას.
- კვენტინი სადღაა? — თქვა მამამ.
- ბილოკს მოტყევა, — თქვა ვერშმა. კვენტინი ნელა მოდის, ბუნდად მოჩანს მისი მოკლე თეთრი შარვალი.
- ჰო, — თქვა მამამ. სინათლე ეცემა კიბეს და მასაც.
- კედიმ და კვენტინმა ერთმანეთი გაწუწეს, — თქვა ჯეისონმა. შეეჭრდით.
- ჰოო, — თქვა მამამ. კვენტინი მოვიდა და მამამ თქვა: — სამზარეულოში ივახშმებთ ამ საღამოს. — გაჩუმდა და ხელში ამიყვანა. შუქმა მეც მომანათა, ჩავყურებ კედის, ჯეისონს, კვენტინსა და ვერშს. მამამ საღებურზე ფეხი შედგა. — აბა წყნარად იყავით. — ასე თქვა.
- რატომ, მამა, — თქვა კედიმ, — სტუმრებია?
- სტუმრებია. — თქვა მამამ.
- სტუმრებია-მეთქი, ხომ გითხარი, — თქვა ვერშმა.
- არაფერიც არა, — თქვა კედიმ, — ეს მე ვთქვი, ისიცა ვთქვი, რომ...
- ჩუმად, — თქვა მამამ. ისინი გაჩუმდნენ. მამამ კარი გააღო, უკანა იივანი გავიარეთ, სამზარეულოში შევედით. იქ დილზია. მამამ სკამზე დამსვა, წინა კაღონი ჩამოსწია, მიმაპოჩა მაგიდასთან, სადაც ვახშამია და ოხშივარი ასდის.
- აბა დილზის გაუგონეთ. — თქვა მამამ, — ბავშვები ძალიან არ ახმაურო, დილზი.
- დიახ, ბატონო, — თქვა დილზიმ. მამა მიდის.
- დილზის გაუგონეთ-მეთქი, — თქვა ჩვენ ზურგს უკან. გადავიხარე იქით, სადაც ვახშამია. ოხშივარი სახეში მცემს.
- ამ საღამოს მე გამიგონონ რა, მამა, — თქვა კედიმ.
- არ მინდა, — თქვა ჯეისონმა, — მე დილზის გავუგონებ.

1591

ქ. მარტოვი ს.ბ. ს.ბ. ს.ბ.  
საქართველოს ბიბლიოთეკა  
ბიბლიოთეკა

— მამა თუ იტყვის, ძალიან კარგადაც გამოვიყონებ, — თქვა კედიმ, — მე გამოვიყონონ რა, მამა.

— არ მინდა, — თქვა ჯეისონმა, — მე არ გავუგონებ.

— ჩუმად, — თქვა მამამ, — აბა ყველამ კედის გაუგონეთ. უკანა კიბით ესენი მაღლა აიყვანე, დილზი.

— აბა, — თქვა კედიმ, — ახლა ხომ გამოვიყონებ.

— დაჩუმდით, — თქვა დილზიმ, — ამ საღამოს მაინც იყავით წყნარად.

— ამ საღამოს წყნარად რად უნდა ვიყოთ? — ჩურჩულებს კედი.

— ნუ მკითხავთ, — თქვა დილზიმ, — მოვა დრო და ღმერთი გაგანათლებთ. — ჯამი დამიდგა. ოხშივარი ასდის და სახეში მილიტინებს. — აქ მოდი, ვერშ, — თქვა დილზიმ.

— ღმერთი როდის გაგანათლებს, დილზი? — თქვა კედიმ.

— როდის და კვირას, ეკლესიაში, — თქვა კვენტინმა, — ესეც არ იცი.

— სუუუ, — თქვა დილზიმ, — ბ-ნმა ჯეისონმა ხომ გითხრათ, წყნარად იყავით. ჭამეთ ახლა. აბა, ვერშ, აიღე ამისა კოვზი. — წამოვიდა ვერშის კოვზიანი ხელი, კოვზი ჯანში ჩაეშვა, მერე წამოვიდა ჩემს პირთან. ოხშივარი პირზე მილიტინებს. მერე აღარ ეჭამთ და შევცქერით ერთმანეთს. ჩუმად ვართ, მერე ისევ მოგვესმა ის ხმა და მე ავტირდი.

— ვინაა? — თქვა კედიმ. ხელი ხელზე მომკიდა.

— დედის ხმაა, — თქვა კვენტინმა. კოვზი მოიწია. შევჭამე, მერე ისევ ავტირდი.

— გაჩერდი, — თქვა კედიმ. მაგრამ მე არ ვჩერდებო. ის ადგა, ჩემთან მოვიდა, მომეხვია. დილზი წამოდგა, ორივე კარი გაიკეტა. მერე აღარაფერი გაგვიგონია.

— ჩუმად იყავით-მეთქი, — თქვა კედიმ, გავჩუმდი, ვჭამ. კვენტინი არ ჭამს, ჯეისონი — კი.

— დედაა, — თქვა კვენტინმა. წამოდგა.

— ახლავე დაჯექი, — თქვა დილზიმ, — იქ სტუმრებია და შენ კა ტანისამოსი დაგისვრია. შენც დაჯექი, კედი, და ჭამე.

— დედა ტიროდა, — თქვა კვენტინმა.

— არა. ვიღაცა მღეროდა, — თქვა კედიმ. — ხომ მართალია, დილზი?

— აბა ახლა ყველამ უნდა ივახშოთ, ბ-ნ ჯეისონს უნდა დაუჯეროთ, — თქვა დილზიმ, — მოვა დრო და ღმერთი გაგანათლებთ. — კედი ისევ თავის ადგილას დაჯდა.

— მე ხომ ვეუბნებით, სტუმრებია-მეთქი, — ასე თქვა.

ვერშმა თქვა, დავამთავრეთ ვახშამიო.

— აბა ერთი ნიღისი ჯამი მომეცე. — თქვა დილზიმ. ჯამი წავიდა.

— დილზი, — თქვა კედიმ, — კვენტინმა ვახშამი მოიტოვა, მე კი არ მივიყონებ.

— ბარემ შეჭამე, კვენტინ, — თქვა დილზიმ, — აბა, ჩქარა დავამთავრეთ და სამზარეულოდან მომშორდით.

— მეტი არ მინდა, — თქვა კვენტინმა.

— ჭამე-მეთქი, რომ ვეუბნები, უნდა ჭამო, — თქვა კედიმ, — ხომ ასეა, დილზი?



თხზივარი სახეში მცემს. ვერში კოვხს ურევს ჯაშში და თხზივარს პერზე მილიტინებს.

— ნეტი არ მიხდა, — თქვა კვენტინმა, — რა დროს სტუმრებია, ბებია ავალ.

— ისინი შევეძათ არიან, — თქვა კედიმ, — ბებია თუ კიბეშია, უნდა გამოვალ, ყველას დაინახავს. საღამურ პერანგს ჩავიცვამ და მეც გამოვალ.

— დედა ტირიდა, — თქვა კვენტინმა, — რად ტირიდა, დილზი?

— თავი ნუ მომაბეზრე, ბიჭო, — თქვა დილზიმ, — თქვენ კი მიირთვით, მაგრამ სხვებისთვის ჯერ არ დამიძაღებია ვახშამი.

მალე ჯეისონმა დაამთავრა ჭამა და ატირდა.

— შენლა მაკლდი ახლა, — თქვა დილზიმ.

— ყოველ ღამეს ტირის, რაც ბებია ავალა და თავისთან აღარ აწვეს, — თქვა კედიმ, — მტირალასა ბანი.

— აი, წავალ და ყველაფერს ვიტყვი შენზე, — თქვა ჯეისონმა, ტირის.

— ხომ ყველაფერი ჩაუკაკლე, — თქვა კედიმ, — ნეტი რაღა უნდა უთხრა.

— აბა ახლა ყველამ უნდა დაიძინოთ, — თქვა დილზიმ. მოვიდა, სკამიდან ჩამომსვია, ხელ-პირი თბილი ჩვრით გამიწმინდა. — ვერშ, უხმაუროდ აიყვანე ესენი. შენ კი, ჯეისონ, ვაჩუმდი, ნუღარ ტარი.

— რა დროს ძილია, — თქვა კედიმ, — ასე ადრე არასოდეს დაგვიძინია.

— ამ საღამოს კი დაიძინებთ, — თქვა დილზიმ, — მამამ დაიბარა, როგორც კი დაამთავრებენ ვახშამს, იმ წუთას მადლა ავიდნენო, ხომ გესმოდათ?

— მამამ მითხრა, ყველამ შენ უნდა დაგიჯეროსო, — თქვა კედიმ.

— მე შენ არ დაგიჯერებ, — თქვა ჯეისონმა.

— ძალიან კარგადაც დამიჯერებ, — თქვა კედიმ, — აბა, წამოდიო და რა-საც გეტყვით, ის გააკეთეთ.

— ბავშვებმა არ იხნაუროს, ვერშ, — თქვა დილზიმ, — აბა, ახლა თქვენი ხმა არ გაეიგონო.

— ამ საღამოს წყნარად რად უნდა ვიყოთ? — თქვა კედიმ.

— დედათქვენს თავი სტკივა, — თქვა დილზიმ, — ყველანი ვერშს გაპყვივით ახლა.

— დედა ტირიდა-შეთქი, აკი გითხარით, — თქვა კვენტინმა. ვერშმა ამიყვანა, უკანა აივნის კარი გააღო, ყველანი გამოვედით. ვერშმა მიკეტა კარი. ბნელა. მხოლოდ ვერშის სუნი მცემს. „აბა, ახლა წყნარად“. „მადლა არ ავალთ“. „ბ-ნმა ჯეისონმა თქვა, მარჯვენა კიბით ადითო“. „მამამ თქვა, მე უნდა დამიჯეროთ“. „მე შენ არ დაგიჯერებ“. „ხომ მართლა ასე თქვა, კვენტინ?“ ვერშის კედას ვგრძნობ, ყველაფერი მესმის. „ხომ ასე, ვერშ?“ „ჰო, მართალია“. „ხოდა, ახლა გარეთ გავიდეთ. აბა წამოდიოთ“. ვერშმა კარი გააღო. გამოვედით. კიბეზე ჩავდივართ.

— სჯობს ვერშის სახლთან მივიდეთ, კელარატერს გაიგონებენ, — თქვა კედიმ. ვერშმა ჩამომსვია, კედიმ ხელი მომიკიდა. გავყვივით ავურის ბილიცს.

— წამოდი, — თქვა კედიმ, — ის ბაყაყი იქ აღარაა. ბაღში ვადახტა უკვე. მეორე კი შეიძლება იყოს. — როსკუსს რძიანი ვედრო მოაქვს. ჩავვარა. კვენტინი არ მოდის ჩვენთან ერთად. სამზარეულოს კიბეზე ზის. ვერშის სახლისკენ მივდივართ. ვერშის სახლის სუნი მომწონს. ცეცხლი ანთია. ტ. პ.-ი აქვე ჩაცხუტულა, პერანგის კალთები იატაკზე დაუფენია. ცეცხლს სულს უბერავს.

მერე მე ავდექი, ტ.პ.-იმ ჩამაცვა. სამზარეულოში გავვდიო და ექამეთ. დიღზიმ წაიმღერა. მე აფტირდა: გაჩუნდა.

— აბა ახლა აქედან წაიყვანე, — თქვა დიღზიმ.

— იქ არ შეიძლება, — თქვა ტ.პ.-იმ.

ჩვენ წყალში ვთამაშობთ.

— ვერც ქვემოდან შემოვუვლით, — თქვა ტ.პ.-იმ, — დღემ სანამ თქვა, არ შეიძლება.



ქართული  
ბიბლიოთეკა

დიღზიმ ასევე წაიმღერა სამზარეულოში და მე აფტირდა.

სუმაღ იყავი, — თქვა ტ.პ.-იმ, — წამოდით, ქვემოთ ჩავიდეთ, ახორთან.

როსკუსი ახორში ძროხას წველის. ცალი ხელით წველის, კენესის. ახორის კარზე რამდენიმე ჩიტო ზის, ჩამოსცქერიან, ერთი ჩამოიფრინდა, ძროხებთან ერთად ჭამა. ვუყურებ, როგორ წველის როსკუსი. ტ.პ.-ი ქერნოსა და პრინცს ატყევეს. ბოჩოლა საღორე ბაკშია. მავთულს თავსა ბერავს, სუნავს, ზმუთს.

— ტ.პ.-ი, — თქვა როსკუსმა. ტ.პ.-იმ ახორიდან გამოსძახა, რაო, ბატონო. ღენსიმ თავი გამოჰყო ბაგიდან. ტ.პ.-ის მისთვის არ უქმნევია. — მაღე ნორჩი მანდ. — თქვა როსკუსმა. — ახლა შენ უნდა მოწველო. მარჯვენა ხელი ვერ გამინძრევი.

ტ.პ.-ი გამოვიდა და წველის.

— ექინთან რად არ მიდიხარ? — თქვა ტ.პ.-იმ.

— ექიმი რას მიშველის, — თქვა როსკუსმა, — ადგილია ასეთი აქ.

— ადგილი რა შუაშია, — თქვა ტ.პ.-იმ.

— დაწყევლილი ადგილია, — თქვა როსკუსმა, — თუ მოწველე, ბოჩოლა მიუშვია.

დაწყევლილი ადგილიაო, თქვა როსკუსმა. ვერშისა და მის უკან ცეცხლის ტენები წამომართულა, ბრკილებს მათ სახეებზე. დიღზიმ ლოგინი დააგო. ტ.პ.-ის სუნი აქვს ლოგინს. მომწონს.

— აბა, შენ რა იცი, — თქვა დიღზიმ, — რამე გამოგეცხადა თუ ნიშანი მოგცა ვინიმე?

— გამოცხადება რად მინდა, — თქვა როსკუსმა, — აგერ მანდ არ გიწევს ეგ ნიშანი. უკვე თხუთმეტი წელია, ხალხი ამ ნიშანს ხედავს.

— მერედა რა, — თქვა დიღზიმ, — არც შენ და არც შენს შვილებს დაშავებიათ ამით რამე, ვერში მუშაობს, ფრონი გათხოვდა, ტ.პ.-იც იზრდება და, როცა ნიკრისის ქარი მთლად დაგაგდებს, შენს ადგილს დაიკავებს.

— ორი ზომ დაეღუბათ, — თქვა როსკუსმა, — მესამეც მათ მიჰყვებათ. ამ ნიშანს მეც ვხედავ და შენც.

— იმ ღამეს ჭოტი ვიოდა, — თქვა ტ.პ.-იმ, — დენა საკმელს არ გაგკარა. ახორს არ გამოსცილებია. დაღამებისთანავე აყმუფლდა. ვერშმაც გაიგონა.

— ჩვენი ჯერიც მოვა, — თქვა დიღზიმ, — ცას არავინ გამოეკრება. ღვთის მადლით.

— სიკვდილი რა შუაშია, — თქვა როსკუსმა.

— ვიცო, რასაც ფიქრობ, — თქვა დიღზიმ, — დაწყევლი მამინ იკითხე, მისი სახელი თუ ახსენე. მერე შენ დაუჯერო და დააწყნარე.

— დაწყევლილი ადგილია, — თქვა როსკუსმა, — მაგ ბაგშვის დაბადების-თანავე შენიშნა, ხოლო სახელი რომ გამოუცვალეს, საბოლოოდ დავრწმუნდი.

— იყუჩე, — თქვა დიღზიმ, საბანი გადამაფარა. ტ.პ.-ის სუნი აქვს დიღ-  
ზის, — აბა ჩუმაღ იყავით, ვიდრე ეს არ დაიძინებს.

— შეუმცდარია ეს ნიშანი, — თქვა როსკუსმა.

— ტ.პ.-ის შენ მაგივრად მოუხდება მუშაობა, ეს იმისი ნიშანია, — თქვა  
დიღზიმ. ტ.პ.-ი, კვენტინა და ეს ბიჭი სახლთან ჩაიყვანე, **ლასტერთან ითამა-**  
**შებს. იქ ფრონი მიხედავს. მერე მამაშენს მიეხმარეო.**

ქაშა დაამთავრეთ. ტ.პ.-იმ კვენტინა აიყვანა და მის სახლთან ჩავედით.  
ლასტერი მიწაზე ზის და თამაშობს. ტ.პ.-იმ კვენტინა ჩამოსვა და იმანაც და-  
იწყო თამაში. ლასტერს კოჭები აქვს. კვენტინამ გამოსტაცა კოჭები, ახლა კვენ-  
ტინას აქვს კოჭები. კვენტინამ მოიბრძინა. მე ავტირდი.

გაჩუმდი, — თქვა ფრონიმ, — არა გრცხვენია, ბაღდების სათამაშო რად  
გინდა. — კოჭები გამომართვა და კვენტინას მისცა.

— გაჩუმდი, — თქვა ფრონიმ, — გაჩუმდი-მეთქი.

— არ გაჩუმდება და. — თქვა ფრონიმ, — მე ვიცი, რაც გინდა, წყებლ-  
გინდა შენ. — ლასტერი და კვენტინა ხელში აიყვანა. — წაპოდიო, — ასე თქვა.  
ახორისკენ წავედით. ტ.პ.-ი ძროხას წივლის. როსკუსი უფთხე ზის.

— რა მოუვიდა? — თქვა როსკუსმა.

— აქ გყავდეს, — თქვა ფრონიმ, — ბავწევებს ეჩხუბება, სათამაშოებს ართ-  
მევს. აქ, ტ.პ.-ისთან იყავი და შენი ხმა არ გავიგონო, იცოდე.

სამი წლის ძროხას შენი წვალობით რაე გაუშრა, თუ იმასაც წაახდენ  
ახლა, სულ ერთეოდ დაეჩხებით.

დიღზი მღერის.

— იქ ნუ მიღიხართ, — თქვა ტ.პ.-იმ, — დედამ თქვა, არაო, ზომ იცი.

მღერიან.

— წამო, — თქვა ტ.პ.-იმ, — კვენტინასა და ლასტერთან ითამაშე. აბა წა-  
მოდა.

ტ.პ.-ის სახლის წინ კვენტინა და ლასტერი მიწაზე სხედან და თამაშობენ.  
სახლში ცეცხლი ახთია, სინათლე ხან შატულობს, ხან კლებულობს, შავად მო-  
ჩანს აქ მჯდომი როსკუსი.

— გასამდა და ეგ არის, — თქვა როსკუსმა, — ავი კითხარი ამ ორი წლის  
უკან, დაწყვედილი ადგილია-მეთქი.

— შენც ადექი და სხვაგან გადასახლდი, — თქვა დიღზიმ. ტანზე შბდის, —  
მაგ შენმა ენამ მემჯლისში გააჭდია ვერში. შენთვის ეგ საკმარისი უნდა იყოს.  
მგონია.

ნეტავ ნეტო აღარაფერი შეემთხვას ვერშს, — თქვა როსკუსმა, ფრონი  
შემოვიდა.

— უკვე დაამთავრეთ? — თქვა დიღზიმ.

— ტ.პ.-ი დაასრულებს მალე, — თქვა ფრონიმ, — მისს კალაინი გეძახის,  
კვენტინა დააძინოსო.

როგორც კი მოგათავებ, მოვალ, — თქვა დიღზიმ, — ფრონები არ მას-  
ხია, რით ვერ ვადგო ნეტა.

— ნე კი რას გეუბნები, — თქვა როსკუსმა, — დაწყვედილი ადგილია-მეთ-  
ქი, აბა რა, როცა დედას ქალიშვილის სახელის ხსენება აუკრძალავს.

— გაჩუმდი, — თქვა დიღზიმ, — ეს ბიჭიც არ ასტეხო ახლა.

— გოგო იზრდებოდეს და დეიძლი დედის სახელი არ იცოდეს, — თქვა როსკუსმა.

— ნეტავი შენ რა გადარდებს, — თქვა დილზიმ, — ბევრი გამიზრდეს და როგორმე ამასაც გავზრდი. გაჩუმდი-მეტქი, ბიჭმა უნდა დაიძინოს.

— სახელი არ ახსენოო, — თქვა ფრონიმ, — არც არავის არ ახსენებოო იცის ამან.

— აბა ერთი ახსენე და ნახავ, თუ არ იცის, — თქვა დილზიმ, — გინდ ეძინოს, იმის სახელს მაინც ვაიგონებს.

— ხალხს რომ ჰგონია, იმაზე მეტი იცის, — თქვა როსკუსმა, — ჩვენი პონტერისა არ იყოს, სამჯერვე იყნოსა, იმათ დრომ რომ უწია. მისი მოსვლის დროს ყოველთვის ვრძნობს. ეს კია, უნით ვერ უთქვამს. შენსა და ჩემს აღსასრულსაც მიხვდება.

— ლასტერი აქეთ გადმოაწვინე, დედი, — თქვა ფრონიმ, — მაგასაც ჯაღო არ უყოს.

— იფუჩე, — თქვა დილზიმ, — როსკუსის შემხედვარე სხვა ვერაფერი მოიფიქრე? დაწეჭი, ბენჯი.

დილზიმ მიბიძგა და აქ ჩაშაწვინა, სადაც ლასტერი წევს. დილზიმ გრძელი ჯოხი აიღო, ჩემსა და ლასტერს შუა ჩაღო, თქვა: — იქით არ გადახვიდე, ლასტერი პატარაა, რამე არ ატყინო.

იქ ნუ წახვალ, ჯერ არ შეიძლებაო, თქვა ტ.პ.-იმ, დაიცა დეო.

სახლის კუთხიდან ეხედავთ მიმაგალ ოთხთვალეებს.

— ახლა კი შეიძლება, — თქვა ტ.პ.-იმ. ხელში აიყვანა კვენტინა, ლობის ბოლოსკენ გავიქეციოთ, იქიდან გავცქეროთ მიმაგალთ. — იგერ იქ მიაქვთ, — თქვა ტ.პ.-იმ, — აი, სარკმლები რომ აქვს, იქა წევს, ხომ ხვდავ?

წამოდი, თქვა ლასტერმა, ამ ბურთს შინ წავიღებთ, არ დაიკარგოს. არა, ბატონო, ვერ მოგცემ. დაგინახავენ ხელში და იტყვიან, ამას მოუპარავსო. გაჩუმდი. ვერ მოგცემ-მეტქი. ნეტა რად გინდა? რომელი მოთამაშე შენ მყავხარო.

ფრონი და ტ.პ.-ი კარწინ, მიწაზე თამაშობენ. ტ.პ.-ის ციციხათელები ჩაუმწყვდევია ბოთლში.

— ისევ გარეთ გამოგიშვებს? — თქვა ფრონიმ.

— შინ სტუმრებაა. — თქვა კედიმ, — მამამ გიბრძანათ, ამ საღამოს მე უნდა გამიგონოთ. ისე რომ შენცა და ტ.პ.-იმაც მე უნდა დამიჯეროთ.

— მე შენ არ დაგიჯერებ, — თქვა ჯეისონმა, — არც ფრონი და ტ.პ.-ი დაგიჯერებენ.

— რასაც მე ვერჯვი, იმას იზამენ. — თქვა კედიმ, — მაგრამ შეიძლება არც კი ვუთხრა რამე.

— ტ.პ.-ი არავის უგონებს, — თქვა ფრონიმ, — უკვე ასათფლაეებენ.

— დასათფლაეება რა არის? — თქვა ჯეისონმა.

— დეღამ ხომ თქვი, ამაზე არავერი უთხრათო, — თქვა ვერნმა.

— რა არის და, რომ მოთქვამენ, ის არის, — თქვა ფრონიმ, — დეიდა ბიულა კლეი რომ მოკვდა, მთელი ორი დღე მოთქვამდნენ.

დილზის სახლიდან მოთქმა ისმის. დილზის ხმაა. ლასტერმა თქვა, გაჩუმდითო. ჩვენ გავჩუმდით. მერე მე ავტირდი. სამწარეულოს კიბეზე მურია აყმუვლდა. მერე დილზი გაჩუმდა. ჩვენც გავჩუმდით.

— არა, — თქვა კედიმ, — ზანგებთანაა ასე. თეთრმა ხალხმა დასაფლავება არ იცის.

— დედა ხომ ჯავრობს, ამით არაფერი უთხრათო, — თქვა ვერშმა.

— რა არ უთხრათო? — თქვა კედიმ.

დიღზის მოთქმა რომ გავიგონე, ავტირდი. მურიაც აყმუვლდა კიბეებზე. ლასტერ, თქვა ფრონიმ სარკმლიდან, ქვემოთ ჩაიყვანე ეგენი, ახორთან. ხაჰმელი მე უნდა გავაკეთო, ამით ღრიალში კი რას მოვასწრებ. ეგ მურიაც წაიყვანე. აქედან მოაშორეო ყველა.

ქვემოთ არ ჩავალ, თქვა ლასტერმა, იქ შეიძლება ბაბუა გამოგვეცხადოს. ამაღამაც ვნახე, ახორში ხელებს იქნევდაო.

— დასამალი რა არის, — თქვა ფრონიმ, — თეთრი ხალხიც კვდება, დიდდამენიც ისე მოკვდა, როგორც ზანგის ქალები კვდებიან.

— ძაღლები კვდებიან მარტო, — თქვა კედიმ, — კიდევ ცხენებიც. აა, ნენსი თრმთში რომ გადაიჩენს, როსკუსმა ხომ თოვით მოკლა. კაკაჩებმა კი ძვლებილა დატოვეს მისი.

მთვარის შუქზე უძრავი ჩრდილების მსგავსად მრგვლად პრიალეებენ ძვლები თრმთში, საღაც ჩაშავებული ვაზია, მერე ყველაფერი ბნელი და შავი გახდა. ყველანი გაჩუმდნენ და მეც გაჩუმდი. მესმის დედის ფეხის ხმა, სწრაფად მიდის. სუნი მცემს. მერე ოთახი მოვიდა, მაგრამ თვალეები არ გავალე. არც გავჩერებულვარ. სუნი მცემს. ტ.პ.-იმ ზეწარს ქინძისთავი მოხსნა.

— ჩუმად, — ასე თქვა, — სუუუუუუ.

მაგრამ მე სუნი ისევ მცემს. ტ.პ.-იმ წამოშსვა, სწრაფად ჩამაცვა.

— ჩუმად, ბენჯი, — ასე თქვა, — ჩვენს სახლში წავიდეთ. ჩვენსას უნდა წამოხვიდე, იქ ფრონია. სუუუ.

ფეხზე ჩამაცვა, ქუდი დამახურა და გამოვედი. დერეფანში შუქია. დერეფნის იქით ხმა მესმის დედის.

— სუუუუ, ბენჯი, — თქვა ტ.პ.-იმ. — ახლავე გარეთ გავალთ.

კარი გაიღო, აგრე არასდროს მცემია სუნი, ვიღაცამ თავი გამოჰყო. მამა არაა. მამა ავად არის იქ.

— გარეთ გააყვანე.

— მივდივართ, — თქვა ტ.პ.-იმ. დიღზი ამოდის კიბეზე.

— გაჩუმდი, ბენჯი — თქვა დიღზიმ, — გაჩუმდი, ჩვენთან ჩაიყვანე, ტ.პ.-ი. ფრონი დააწვეხს. თვალა არ მოაცილო. ჩუმად-მეთქი, ბენჯი, ტ.პ.-ის გაპყევი. დიღზი იქით წავიდა, საიდანაც დედის ხმა ისმის.

— სჯობს თქვენთან დარჩეს, — ეს მამა არ იყო. კარი დაკეტა, მაგრამ მაინც მცემს სუნი.

კიბეზე ჩავდივართ, ბნელში ეშვება საფეხურები. ტ.პ.-იმ ხელი მომკიდა, სიბნელედან გარეთ გავედით. ეზოში დენი ზის, ყმუას.

— უგრძვნია რაღაც, — თქვა ტ.პ.-იმ, — მაშ შენც ასევე გრძნობ ხოლმე? ჩავედით კიბეზე, აქ ჩვენი ჩრდილებია.

— ქურთუკი არ ჩავაცვი, დამაეიწყდა, — თქვა ტ.პ.-იმ, — უიმისოდ როგორ წამოხვალ. მაგრამ მაინც ვერ მივბრუნდები.

დენი ყმუის.

— გაჩუმდი, — თქვა ტ.პ.-იმ. ჩვენი ჩრდილები მოძრაობენ. დენისა კი მაშინ ამოძრავდება, როცა ყმუის.





— თუ გეტყვი, შენ და ტ.პ.-ი წამოდით-მეთქი, მაშინ ათხოვებ ციციანათელებს? — თქვა კედიმ.

— ტ.პ.-ისა და ჩემთვის არავის უთქვამს, შენ დაგიჯეროთ, — თქვა ფრონიმ.

— თუ გეტყვი, თქვენ ნუ დამიჯერებთ-მეთქი, მაშინ ხომ წამოდით-მეთქი ციციანათელებს? — თქვა კედიმ.

— რაშინ, — თქვა ფრონიმ, — ჰქონდეს, ტ.პ.-ი, ჩვენ კი წავიდეთ და ვნახოთ, როგორ მოთქვამენ.

— არაფერსაც არ მოთქვამენ, — თქვა კედიმ, — მე ხომ ვითხარი, სტუმრუბია-მეთქი. ხომ არ მოთქვამენ, ვერშმა?

— აქ რას გაიგებ, აქ რას აკეთებენ, — თქვა ვერშმა.

— ხოდა, წამოდით, — თქვა კედიმ, — ფრონი და ტ.პ.-ი ნუ გამიგონებენ, მაგრამ სხვებმა — კი, სჯობს ეს ხელში აიყვანო და ისე წამოიყვანო, ვერშ, უკვე დაღამდა.

ვერშმა აიყვანა და ჩვენ სამზარეულოს შემოვუარეთ.

კუთხეს შემოვუარეთ და ვხედავთ, ორი სინათლე მოდის გზაზე. ტ.პ.-ი მიბრუნდა და სარდაფის კარი გაადო.

იცი იქ, ქვემოთ რა არის? თქვა ტ.პ.-იმ, სოდიანი წყალია. მე დავინახე, როგორ ამოშქონდა ორივე ხელით ბ-ნ ჯეისონს. ცოტა ხანს აქ დამიცადეო.

ტ.პ.-ი წავიდა. სამზარეულოს კარში შეიხედა. დიღშიმ თქვა, აბა აქ რას იყურები, ბენჯი სად არისო?

აქ არისო, თქვა ტ.პ.-იმ.

თვალი არ მოაცილო, თქვა დიღშიმ, აქ, სახლში არ შემოუშვასო.

კი, ბატონო, თქვა ტ.პ.-იმ, რა? უკვე აიშალნენო?

წადი, დაიკარგე ამ ბიჭთან ერთად, თქვა დიღშიმ, ისედაც ათახად ვიქრებიო.

სახლს ქვემოთაღ გველი გამოსრიალდა. ჯეისონმა თქვა, არ მეშინია მე გველისო. კედიმ თქვა, შენ გეშინია, მე კი არაო, ვერშმა თქვა, ორივესაც გეშინიათო. კედიმ თქვა, ჩუმად იყავით, მაშამ თქვა, არ იხმაუროთო.

აბა, ახლა ნუ ღრიალებ, თქვა ტ.პ.-იმ. გიჯობს ეს ყლურწოო.

სასმელი მიღიტინებს ცხვირსა და თვლებში.

შენ თუ არ გინდა, მე დავლევ, თქვა ტ.პ.-იმ, ძალიან კარგიაო. ვიდრე ვინმე დაგვინახავდეს, მეორე ბოთლსაც ამოვიტან, წყნარად იყავით ოღონდ.

სასტუმრო ოთახის ფანჯრებთან, ხის ძირას შევჩერდით. ვერშმა ჩამომსვა ჩამიან ბალახზე. ცივა, ყველა ფანჯარა განათებულია.

— აი იქ დიდებდა, — თქვა კედიმ, — სულ ავადაა, როცა კარგად გახდება, ბიენიკზე წავალთ.

— რაც ვიცი, ვიცი, — თქვა ფრონიმ.

შრიანლებენ ხეები და ბალახები.

— აი, აქ კი, გვერდით, იმ ოთახში ჩვენ წითელბატონები მოვახადეთ, — თქვა კედიმ, — შენ და ტ.პ.-იმ სად მოიხადეთ წითელბატონები, ფრონი?

— სადაც მოგვიბდა, — თქვა ფრონიმ.

— იქ ჯერ არ დაუწყიათ, — თქვა კედიმ.

აი, ახლა დაიწყებენ, თქვა ტ.პ.-იმ. შენ აქ იყავი, მე უფოს მოვათრევ

და ფანჯარაში შევიტვიტოთ. ოღონდ ჯერ ეს ბოთლი დავცალოთ. რა უოფილა, ლამისაა ვირივით ამაყროყინოსო.

დავლიეთ და ტ.პ.-იმ ბოთლი გისოსში გაყო, სახლის ქვეშ შეაგდო წვიღა. სასტუმრო დარბაზიდან ხმები მონესმა, კედელს წავებოტიე. ტ.პ.-იმ უთო მოათრია. დაეცა და იცინის. ბაღახში კოტრიალობს და იცინის, მწკრივს, უთო ფანჯრის ქვეშ მიითრია. სიცილს ძლივს იკავებს.

— შემღერება და რა ვქნა, — თქვა ტ.პ.-იმ, — ყუთზე აძვერა და შეიტვიტე, ხომ არ დაიწყო.

- დამკვრელები არ არიან და არ დაუწყიათ, — თქვა კედიმ.
- დამკვრელები არც დაუბარებიათ, — თქვა ფრონიმ.
- რა იცი? — თქვა კედიმ.
- რაც ვიცი, ვიცი, — თქვა ფრონიმ.
- არაფერიც არ იცი, — თქვა კედიმ. ხესთან მივიდა, — აბა ამსვი, ვერშ.
- მამამ ავი გითხრა, ხეებზე ნუ დაძვრებო, — თქვა ვერშმა.
- მას შემდეგ რამდენი ხანი გავიდა, — თქვა კედიმ, — ახლა აღარც ემახსოვრება. მერე კიდევ ხომ გითხრათ, ამას დაუჯერეთო ამალამ, ხომ თქვა?

— ნე შენ არ დაგიჯერებ, — თქვა ჯეისონმა, — არც ტ.პ.-ი და არც ფრონი დაგიჯერებენ.

- მომეწველე, ვერშ, — თქვა კედიმ.
- კარგი, — თქვა ვერშმა, — თლონდ იცოდე, მე კი არა, შენ გცემენ. —

მივიდა და კედი ქვედა ტოტზე შესვა. ყველანი შევეყურებთ იმის პაწაწინა, უკან დასვრილ ნიფხავს. ფოთლებში მიიმალა. ტოტების ტკაცატკუცილა ისმის.

- ბ-ნმა ჯეისონმა გვითხრა, თუ ხე მოტეხა, ვცემო, — თქვა ვერშმა.
- წავალ და ხეზე რომ აძვრა, ვეტყვი, — თქვა ჯეისონმა.
- ხიდან აღარაფერი ისმის, ავეყურებთ მის უძრავ ტოტებს.
- რა დაინახე? — ასჩურჩულა ფრონიმ.

დავინახე ისინი. მერე დავინახე კედი, თმაში ყვავილები აქვს, სახეზე ქარის მსგავსი ქათქათა პირბადე. კედი. კედი.

— ჩუმად, — თქვა ტ.პ.-იმ, — შენს ღრიალს გაიგონებენ! ახლავე ჩამოდი. — დაბლა მიმათრევს. კედი. კედის კედელს ვბოტნი. ტ.პ.-ი დაბლა მიმათრევს.

— ჩუმად, — ასე თქვა, — ჩუმად იყავი-მეთქი. ჩქარა წავიდეთ. — დაბლა მიმათრევს. კედი... — ჩუმად, ბენჯი, თორემ შენს ღრიალს გაიგონებენ. წამოდი, კიდევ დავლიოთ და მერე მოვბრუნდეთ, თუ აღარ იღრიალებ. სჯობს კიდევ ერთი ბოთლი ავილოთ, ვანემ ორივემ არ შემოვცახეთ. ვატყვიო, დენიმ შესვაო. ბ-ნი კვენტინი ხომ ამბობს, ჭკვიანი ძაღლი არისო დენი. ზოდა, ჩვენც ვიტყვიო, სულ იმან დალიაო.

მოვარის შუჭი დანათის სარდაფის კიბეს. კიდევ დავლიეთ.

— იცი, ახლა რა მინდა? — თქვა ტ.პ.-იმ, — რა მინდა და ერთი დათვი მინდა ჩამოვიდეს აქ. ზოდა, იცი, რას ვიზამ? რას ვიზამ და შიგ თვალეებში ჩაეფურთხებ. პირზე თუ არ მოვიყუდე ეს ბოთლი, ნაღდად შემოვცახებ.

ტ.პ.-ი დაეცა, იცინის, განზე გახტა სარდაფის კარი და მოვარის შუჭი. რალაცამ გამკრა გვერდზე.

— ჩუმად, — თქვა ტ.პ.-იმ. — ადექი-მეთქი, ბენჯი, ჩქარა. — ფართხალებს, იცინის, ადგომა უნდა. სარდაფის კიბე მოვარის სინათლეს ერთვის მაღლა.

ტ.პ.-ი აიჭრა და გადავარდა მთვარის სინათლეში. მე კი მივრბივარ და ლობეს გადავაწყდი. ტ.პ.-ი მომდევს და ყვიროს: — გაჩუმდი, გაჩუმდი. — მერე ყვაკი-ლებში დაეცა. მე ყუთს დავეჯახე, მინდა შევახტე, ყუთი იქიდან გახტა, კეფაზე გამკრა, რაღაც ხმაური მომაწვა ყელში და ვტირი, ტ.პ.-ი მიმართავს. ყელში ისევ მაწვება. ვერ ვხვდები, ვტირი თუ არ ვტირი. ტ.პ.-ი იცინის და ხანძარს და-მემხო. ისევ არ მეწვება ხმაური ყელში და კვენტინმა ფეხი გამკრა და წავიდა. მომეხვია კედის მკლავები და ქათქათა პირბადე. მაგრამ ხეების სუნი აღარა აჭვს კედის და მე ავტირდი.

**ბენჯი, თქვა კედიმ, ბენჯიო. ისევ მომეხვია, მაგრამ დავუსხლტი.**

— რა იყო, ბენჯი, — ასე თქვა, — ეს ქუდი გვუცხოვა? მოვიხდი. — ქუდი მოიხადა, ისევ მოვიდა, მაგრამ არ გავეკარე.

\* — ბენჯი, — ასე თქვა, — რა იყო, ბენჯი, კედიმ რა დაგიშავა?

— შენი გაფოფრილი კაბა არ მოსწონს. — თქვა ჯეისონმა, — გგონია, უკვე დიდი ხარ? გგონია, შენზე უკეთესი აღარაეინაა ამ ქვეყანაზე? გაფოფრილო!

— ენა გააჩუბე, — თქვა კედიმ, — შე ტურტლიანო გოჭო შენა, რა გატირებს, ბენჯი?

— რახან თოთხნეტი წლისა ხარ, გგონია, დიდი ხარ, არა? — თქვა ჯეისონმა. — მე ვარ, რაცა ვარო, ასე გგონია, არა?

— ბენჯი, ნუ სტირი, — თქვა კედიმ, — დედა შეწუხდება, გაჩუმდი.

მაგრამ მე არ ვჩუმდები, წავიდა და გამოვეკიდე, შეჩერდა კიბეზე, მე გავჩუმდი.

— რა გატირებს, ბენჯი? — თქვა კედიმ, — უთხარი კედის, კელი ეცდება ყველაფერს. აბა ერთი სცადე და თქვი.

— კენდეისი, — თქვა დედამ.

— დიახ, დედი, — თქვა კედიმ.

— ნუ აღიზიანებ, — თქვა დედამ, — აქ ამოიყვანე.

შევედით ოთახში, სადაც დედა წევს, ავადმყოფობა თვით ნაჭრად აღევს შუბლზე.

— რა მოგივიდა, ბენჯამინ? — თქვა დედამ.

— ბენჯი, — თქვა კედიმ, ისევ მომიახლოვდა, მაგრამ არ გავეკარე.

— რაღაცა დაუშავე ალბათ, — თქვა დედამ, — თავი დაანებე და მეც მომასვენე. მაიცი ყუთი და წადი, დამასვენე.

კედიმ აიღო ყუთი, დაჯდა იატაკზე და გახსნა. ეარსკვლავებითაა სავსე. წყნარად ვარ და ისინაც წყნარად არიან. შევირბევი — და ისევ გაშკაშებენ და ბრტყვიალებენ. მე გავჩუმდი.

მერე მესმის, კელი მიდის და ისევ ავტირდი.

— ბენჯამინ, — თქვა დედამ, — მოდი აქ, — კარისკენ წავედი, — ბენჯამინ-მეთქი, — თქვა დედამ.

— რა ამბავია, — თქვა მამამ, — სად მიდიხარ?

— ჩაიყვანე და იქ ვინმე მიხედავს, ჯეისონ, — თქვა დედამ, — ხომ იცი, ავდა ვარ და მაინც...

გამოვედით და მამამ კარი გამოიხურა.

— ტ.პ.-ი! — ასე თქვა.

— აქ ვარ, ბატონო, — თქვა ტ.პ.-იმ ქვემოდან.

— ბენჯი ჩამოდის დაბლა, — თქვა მამამ, — ტ.პ.-ის გაყვვი.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

საბაზანოს კართან მივედი. წყლის ხმა მომესმა.

— ბენჯი, — თქვა ტ.პ.-იმ ქვემოდან.

წყლის ხმა მომესმა. ყურს ვუგდე.

— ბენჯი, — თქვა ტ.პ.-იმ ქვემოდან.

წყლის ხმას ვაყურებ.

წყლის ხმა აღარ მესმის, კედელს ვაალო კარი.

— რაო, ბენჯი, — ასე თქვა. შემომხედა, მივედი, მკლავები მომხვია. —

მაინც იპოვე კედი, ხომ, — ასე თქვა, — გეგონა, კედი გაგეჭყეოდა? — ხეების სუნი აქვს კედელს.

კედლის ოთახში შევედი. სარკესთან დეჯდა. მერე ხელები გაახერა და მე შემომხედა.

— რაო, ბენჯი, რა იყო? ნუ ტირი. კედი აღარსად წავა. აბა ამას შეხედე, — ასე თქვა. შუშა აიღო, საცობი მთაძრო და ცხვირთან მომიტანა, — რა კარგი სუნი აქვს, ხომ კარგია!

წავედი, თან ვტირი, შუშა ხელში უკავია და მიყურებს.

— აი თურმე რა, — ასე თქვა. შუშა დადგა, მოვიდა და ხელები მომხვია. — კი სცადე, მაგრამ ვერა თქვი, გინდოდა გეთქვა კედლისთვის და ვერ უთხარი, ხომ ასეა? ცხადია, კედლის არ უნდა ეს შუშა. ცხადია, კედი აღარ დაიხზამს სუნამოს. ვიდრე ჩავიცვამ, დამიცადე.

კედელს ჩაიცვა, ისევ აიღო შუშა და სამხარეულოში ჩავედი.

— დილზი, — თქვა კედელს, — ბენჯის უნდა ეს გაჩუქოს. — დაიბარა და შუშა ხელში ჩამიდო. — ახლა კი დილზის მიეცე. — კედელს ხელი გამაწვებინა და დილზიმ შუშა გამომართვა.

— ამას რას ვხედავ, — თქვა დილზიმ, — ხემს ბიჭუკელს უნდა დილზის სუნამო აჩუქოს. აბა ერთი ნახე, როსკუს.

ხეების სუნი აქვს კედელს. — ჩვენ არ გვიყვარს სუნამო, — თქვა კედელს.

ხეების სუნი აქვს კედელს.

— აბა აღუქი, — თქვა დილზიმ, — ახლა უკვე დიდი ბიჭი ხარ და ცალკე უნდა დაიძინო. უკვე დიდი ბიჭი ხარ — ცამეტი წლისა. მარტოვამ უნდა დაიძინო მორი ბიძიას ოთახში, — თქვა დილზიმ.

მორი ბიძია ავიდა, თვალი და პირი სტკივა. ვერშენა ხონხით ვახშამი მიუტანა.

— მორიმ ასე განაცხადა, თოფით მოვკლავო იმ არამზადს, — თქვა მამამ, — მე კი გავაფრთხილე, ჭკუით იყავი, პეტერსონმა არ გავიგოს-მეთქი. — და მერე გადაჭკრა.

— ჯეისონ, — თქვა დედამ.

— ვინ უნდა მოკლას, მამა? — თქვა კვენტინმა, — მორი ბიძიამ რად უნდა მოკლას?

— იმიტომ რომ მორი ბიძიამ იხუმრა, იმას კი ხუმრობა არ ესმის, — თქვა მამამ.

— ჯეისონ, — თქვა დედამ, — რას ამბობ? შეიძლება მორი საღმე კუთხე-კუნძულში მოკლას, შენ კი იჯდები აქ და იციანებ?

— მორიმაც მორს აუაროს იმ კუთხე-კუნძულებს და მორჩა, — თქვა მამამ.

— ვინ უნდა მოკლან, მამა? — თქვა კვენტინმა, — ვის მოსაყლაფელ მიდის მორი ბიძია?

— არც არავის, — თქვა მამამ, — მე დამბაჩა არა მაქვს.

დღედა ატორდა: — ლუკმას თუ ამადლი ნორის, ვაყვაცურაჲ პირში უთხარი, პირს უკან კი, ბავშვების თვალწინ ნუ დასცინი.

— რას ამბობ, — თქვა მამამ, — დიდ პატივსა ვცემ მორის, რასობრივი უპირატესობის გრძნობას მინერგავს ვგ კაცო. დოღის ცხენშიაც არ გავცვლიდი, და იცი რატომ, კვენტინ?

— არა, ბატონო, — თქვა კვენტინმა.

— Et ego in arcadia...<sup>\*</sup> თივას რა პქვია ლათინურად, დამავიწყდა. — თქვა მამამ, — მია, პო, — ასე თქვა, — უხუმრობ. — დალია. კიქა დაღვა. მივიდა და დედას სელო მარებზე მოხვია.

— რა ხუმრობაა, — თქვა დედამ, — თქვენზე წაკლები გვარისა არც ჩვენ ვართ. და თუ მორი ჯანმრთელი ვერ არის...

— რაღა თქმა უნდა, — თქვა მამამ, — სიცოცხლის თაყიდათავე სუსტი ჯანია. დაბადებულნი კირში ბოლოს სულ ჩავლპებთ ისედაც დამპლები. ვერშ!

— დიახ, ბატონო, — თქვა ვერშმა ჩემო სკამის უკან.

— წაიღე ეს სურა და ამივსე.

— და დიღზის უთხარი, მაღლა აიყვანოა ბენჯამინი და დააწვიანოს, — თქვა დედამ.

— შენ ხომ ახლა დიდი ბიჭი ხარ, — თქვა დიღზიმ, — კედის ქანცა გამოუღია შენთან ძიღმა. აბა ჩუმად იყავი, მიდი და დაიძინე. — ოთახი წავიდა, მაგრამ მე არ გაუხერდი, დაბრუნდა ოთახი და დიღზი მოვიდა, ლთვინზე დაჭდა, მიყურებს.

— შენ ხომ კარგი ბიჭი ხარ, ვაჩუნდი, — თქვა დიღზიმ, — ხარ თუ არა? აბა ცოტა ხანს დამიყადე.

წავიდი. კართან არავინაა. მერე კედი დავიანაზე.

გავჩუმდი, დიღზიმ გადასათარებელი გადასწია და კედი დაწვა გადასათარებელსა და საბანს შუა. საბანაო ხალათი არ გაუხდია.

— აბა, — ასე თქვა, — მოვედი.

დიღზიმ საბანი მოიტანა, გადაახურა და შემოუკვცა.

— ერთი წუთილა უნდა, — თქვა დიღზიმ, — სინათლეს არ ჩავაქრობ შენს ოთახში.

— კარგი, — თქვა კედიმ, თავი ჩემს თავთან, ჩემს ბალიშში ჩარგო, — ძიღლა ნებისა, დიღზი.

— ძიღლი ნებისა, ჩემო სულისდგმაე, — თქვა დიღზიმ. ოთახი დაბნელდა. ხეების სუნი აქვს კედის.

ხეს ავყურებთ, სადაც კედია.

— რას უყურებს, ვერშ? — ჩურჩულებს ფრონი.

— სულუ, — თქვა კედიმ ხეზე.

— ახლავე შემოდით, — თქვა დიღზიმ. სახლის კუთხიდან გამოვიდა, — შინ რად არ მოდიხართ? მამამ ხომ ვითხრათ. იმის მაგიერად, რომ დაიძინოთ, აქ გამომეპარეთ. კედი და კვენტინი საღლა არიან?

\* და მე არკადიაში... (ლათ.).

— ვუთხარა, ხეზე ნუ მიიძვრები-მეთქი, — თქვა ჯეიათნმა, — წავალ და ყველაფერს ვიტყვი.

— ხეზე, რომელ ხეზე? — თქვა დილზიმ, მოვიდა და მალე დაბრუნდა. — კედი, — თქვა დილზიმ, — ტოტები ისევ შეირბა.

— აი, შე ეშმაკის ფეხო, — თქვა დილზიმ, — ახლავე ჩამოფიჭული მისი ქა.

— ჩუმაღ, — თქვა კედიმ, — მანამ ხომ გითხრათ, წყნარად იყავითო. — კედის ფეხები გამოჩნდა, დილზი აიწია, დაბლა ჩანოსცა.

— აბა შეხ ჰქუა გაქვს თავში, რად დაანებე აქ მოსვლა, — თქვა დილზიმ.

— ვერაფერი მოვუხერხე, — თქვა ვერშმა.

— აქ რა გინდათ, — თქვა დილზიმ, — ვინ გამოგიშვათ?

— მაგან, — თქვა ფრონიმ, — მაგან წამოგვიყვანა.

— მერედა, ამას რას უყურებთ, — თქვა დილზიმ, — ახლავე შინ გასწით, — ფრონი და ტ.პ.-ი შინ მადიან. ველარ ვხედავთ. მაგრამ ხმა კი გვესმის.

— ამ შუადამისას დაეხეტებით, — თქვა დილზიმ, — კი იციან, ძილის დროა, და მაინც.

— სუუ, დილზი, — თქვა კედიმ, — ნუ ლაპარაკობ ხმამაღლა. ჩუმაღ უნდა ვეყოთ.

— ხოდა, ენა გააჩერე და წყნარად იყავი, — თქვა დილზიმ, — სად არის კვენტინი?

— კვენტინს უთხრეს, ამაღამ სულ მე უნდა დამიჯეროს, ხოდა, ჯავრით აღარ არის, — თქვა კედიმ, — ციციანთელეზიანი ბოთლიც უნდა დავუბრუნოთ ტ.პ.-ის.

— ტ.პ.-ი უამბოთლოდაც იოლად გავა, — თქვა დილზიმ, — წადი და კვენტინი მომიჩინაზე, ვერშ, როსკუსს დაუნახავს ახორისკენ მიმავალი. — ვერში წავიდა.

— არაფერსაც არ აკეთებენ იქ, იმ სასტუმრო ოთახში, — თქვა კედიმ, — სხედან სკამებზე და იმზირებიან.

— თქვენი შევლალა უნდათ, — თქვა დილზიმ. სამზარეულოს შემოვლარეთ და წავედით.

სადღა მიდიხარ, თქვა ლასტერმა, ისევ თამაშის საცქერლად? ჩვენ ხომ იქაც დავძებნეთ. დაიცა. ამ წუთას წავალ და იმ ბურთს მოვიტან, შენ კი მანამ აქ დამიცადე, ერთი რაღაც მოვიფიქრო.

სამზარეულოში ბნელა. ხეები ცაზე შავად ჩანან. დენი გამოჩნდა კიბის ქვემოდან და პირი კოჭზე წამავლო. სამზარეულოს შემოვლარე, იქ მოვარეა, კოჭლობს დენი.

— ბენჯი, — თქვა ტ.პ.-იმ სახლში.

სასტუმრო ოთახის სარკმელთან ყვევილებიანი ხე არ არის ბნელი, მსხვილი ხეები კი ჩაბნელებულა. ბალახი ბზუის მთვარის შუქზე, ბალახზე ჩემი ჩრდილი მიდის.

— შეი, ბენჯი, — თქვა ტ.პ.-იმ სახლში, — სად დაიკარგე. გარეთ გაპარულხარ, ვიცი.

ლასტერი დაბრუნდა. აქ დამიცადე, ასე თქვა, იქ ნუ მიდიხარ, არ შეიძლებაო. პამაკშია მისს კვენტინა და ერთი კოხტა ბიჭი. დაბრუნდი-მეთქი, ბენჯი.

ხეებქვეშ ბნელა. დენი აღარ წამოვიდა. იქ დარჩა, სადაც მთვარის შუქია. პამაკი დავინახე და ავტირდი.

წამოდი-მეთქი, ბენჯი, თქვა ლასტერმა, მისს კვენტინა გაგიჯავრდები, ხომ იციო.

პამაკში ორბი არიან, შემდეგ ერთი დარჩა. კედი მორბის, თეთრიდ ჩანს სიბნელეში.

— ბენჯი, — ასე თქვა, — შინიდან როგორ გამოიპარე, ვეჭვობ, მკლავები მომხვია და მეც გავჩუმდი, კაბაში ხელი ჩავავლე, ნივთირეე კედის.

— რა იყო, ბენჯი? — ასე თქვა, — რა მოხდა, ტ.პ.-ი? — დაიძახა კედიმ. წამოდგა ისიც პამაკიდან და მოვიდა, ავტირდი, კაბით მივთრევე კედის.

— ბენჯი, — თქვა კედიმ, — ეს ჩარლია. შენ ხომ იცნობ ჩარლის. — სად არის ის ზანგას ბიჭი, — თქვა ჩარლიმ, — რად უშვებენ ასე უპატრონოდ.

— სუუ, ბენჯი, — თქვა კედიმ, — გასწი აქედან, ჩარლი, ამას შენ არ მოსწონხარ. — ჩარლი წავიდა და მე გავჩუმდი. კაბაზე ვეჭაჩები ისევ კედის.

— რაო, ბენჯი, — თქვა კედიმ, — ნუთუ აქ არ დამტოვებ, ჩარლისთან არ მალაპარაკებ?

— ზანგის ბიჭს დაუძახე, — თქვა ჩარლიმ, ისევ მოვიდა ჩვენთან, ხმამალა ავტირდი. კაბით მივთრევე კედის.

— აქედან გასწი-მეთქი, ჩარლი, — თქვა კედიმ. ჩარლი მოვიდა და კედის ხელი მოკიდა, ტარილს ვუმატე, უკვე ვღრიალებ.

— არა, არა, — თქვა კედიმ, — არა, არა. — ვერაფერს იტყვის, აკი ენა არ ერჩის, — თქვა ჩარლიმ, — კედი!

— ხომ არ გაგიჟდი, — თქვა კედიმ, მალ-მალ სუნთქავს ახლა, — ენა არ ერჩის, ბრმა კი არაა, გამიშვი, არ გინდა, არ გინდა-მეთქი, გამიშვი, — კედი დასხლტომას ლამობს. თრნივე ხშირ-ხშირად სუნთქავენ. — გთხოვ, გეხვეწები, — ჩურჩულებს კედი.

— გააგდე აქედან, — თქვა ჩარლიმ. — კარგი, — თქვა კედიმ, — ოღონდ გამიშვი!

— ხომ გაავდებ? — თქვა ჩარლიმ. — ჰო, — თქვა კედიმ, — გამიშვი. — ჩარლი წავიდა. — სუუ, — თქვა კედიმ, — ხომ წავიდა. — მე გავჩუმდი. მისი სუნთქვა მესმის, მკერდი აუდ-ჩაუდის.

— შინ უნდა წავიყვანო, — ასე თქვა. ხელი მომკიდა. — ახლავე მოვალ, — ასე ჩურჩულებს.

— დაიცადე, — თქვა ჩარლიმ. — ზანგის ბიჭს დაუძახე. — არა, — თქვა კედიმ, — დაგბრუნდები. წამოდი, ბენჯი.

— კედი, — ხმამალა ჩურჩულებს ჩარლი. ჩვენ მივდივართ. — გირჩევენია დაბრუნდე. დაბრუნდი-მეთქი. — კედი და მე გავრბივართ. — კედი, — თქვა ჩარლიმ. ჩვენ ისევ გავრბივართ მთვარის შუქზე, სამზარეულოსკენ.

— კედი, — თქვა ჩარლიმ. — კედი და მე მივრბივართ. სამზარეულოს კიბით აივანი ავირბინეთ. კედი ჩაცლულია სიბნელეში, ხელი მომხვია. მისი სუნთქვა მესმის, მის მკერდს ვგრძნობ. „მეტს არა, — ასე თქვა, — მეტს აღარ ვიზამ, არასდროს, ბენჯი“. — შემდეგ ავტირდა და მეც ავტირდი, გადახვეულები ვართ. „ჩუმიად, — ასე თქვა, — ჩუმიად-მეთქი. მეტს აღარ ვიზამ“. — მე გავჩუმდი, კედი წამოდგა. სამზარე-



ულოში შევედით, კედიმ სინათლე აანთო, სამზარეულოს საპონი აიღო, პირი მაგრად დაიბანა თნკახთან. ხეების სუნნი აქვს კედის.

ხომ გეუბნები, მანდეთ არ შეიძლებაო, თქვა ლასტერმა. ჰამაკიდან ორივე წამოხტა. კვენტინამ თმაზე გადაისვა ხელი. იმას კი წითელი ჰალსტუხი აქვს.

პოი, შე გამოთაყვანებულო, თქვა კვენტინამ, დილზის ვეტყვი და კარგადაც მივტყე-  
დაც კი წავალ, ამას განგებ გამომადევნებ ხოლმე. ვეტყვი და კარგადაც მივტყე-  
პავსო ქამრით.

— ველარ გაგანერე, — თქვა ლასტერმა, — წამოდი, ბენჯი.

— ძალიან კარგადაც შეგეძლოს მისი ვაწყრება, — თქვა კვენტინამ, — თავი არც კი შეგაწყურებია. ორივე მითვალთვალეზდით. აღბით ბებიათ გამოგაგზავნათ, წადით და უთვალთვალეთო. — ჰამაკიდან ჩამოხტა. — ამწუთასვე წაიყვანე აქედან და აღარ გამოუშვა, თორემ ჯეისონი გცემს.

— ვერ მიმყავს და რა ექნა, — თქვა ლასტერმა, — აბა ერთი თავად სცადეთ.

— ხმა-მეთქო, თქვა კვენტინამ, — წახვალთ თუ არა აქედან?

— თავი გაანებე, — თქვა იმან, წითელი ჰალსტუხი რომ აქვს. ჰალსტუხზე მზე პრიალებს წითლად. — აბა შემომხედე, ჯეკ, — გაპკრა ასანთს და პირში იტაკა. მერე ასანთი გამოიღო პირიდან, ისევ ანთია. — აბა, შენ მოსინჯე აგრე, — ასე თქვა, მივედი. — პირი გააღე! — ასე თქვა, გავაღე პირი. კვენტინამ ასანთს ხელი დაჰკრა, გაიქრო.

— ეშმაკსაც წაუღიხარ, — თქვა კვენტინამ, — გინდა აატურო, მერე მთელი დღე აღარ გაათავებს ღრიალს. წავალ და დილზის ვეტყვი. — გაიქცა.

— დაბრუნდი, ფისუნა, — ასე თქვა, — ჰე-ჰეი, ნულარ მიდიხარ, აქ რომ მტოვებ, მაგისტრის სადა მცალია.

კვენტინა სახლისკენ მირბის. სამზარეულოს მიეშვარა.

— ეს რა ამბები დაატრიალე, ჯეკ, — ასე თქვა.

— ამას ვერაფერს გააგებინებ, — თქვა ლასტერმა, — ყრუცაა და მუნჯიც.

— მართლა? — ასე თქვა, — დადი ხანია?

— სწორედ ოცდაცამეტი წლის გახდა დღეს, — თქვა ლასტერმა, — დაბადებიდანვე აგრეა! თქვენ იმ მსახიობების ჯგუფიდან ხართ?

— რა იყო? — ასე თქვა.

— პირველად გხედავთ ამ ქალაქში, — თქვა ლასტერმა.

— მერედა რა? — ასე თქვა.

— არაფერი, — თქვა ლასტერმა, — ამაღამ წარმოდგენაზე მოვილ.

იმან შე შემომხედა.

— თქვენა ხართ ხერხზე დამკვრელი? — თქვა ლასტერმა.

— აი, ფულს გადაიხდი და ნახავ, — ასე თქვა. ისევ მე მიცქერის. — რად არ დაგიმწყვდივიათ. — ასე თქვა, — აქ რად მოეხეტეთ?

— მე რას შეკითხებით, — თქვა ლასტერმა, — მე ამას ვერ მოვუვლი. აგერ დავდივარ და დავარჯულ ფულს ვეძებ. მგონია, ამაღამ წარმოდგენაზე ველარც წამოვალ, — ლასტერი მიწას დასცქერის, — ოცდახუთ ცენტს ხომ არ მომცემთ ბილეთის საყიდლად?

— არა, — ასე თქვა, — ვერ მოგცემ.

— ისევ უნდა დავიხებო, აბა რა ექნა, — თქვა ლასტერმა. ხელი ჩაიყო ჯიბეში. — საგოლფე ბურთს მოგცემდით, — თქვა ლასტერმა.

— რა ბურთია? — ასე თქვა.

— საგოლფე ბურთია, — თქვა ლასტერმა, — ოცდახუთი ცენტრია მინდა.

— რად მინდა, — ასე თქვა, — რას ვაქნევ.

— მცე ავრე ვფიქრობდა, — თქვა ლასტერმა, — წამოდი, ვირისთავო, — ასე თქვა, — წამოდი და ბურთის თამაშს უყურო. აბა აქ მო, მჭნავეს ტანსაცმელს თამაშო ვნახე. გქონდეს ბანგას ყვაფილთან ერთად. — ლასტერმა აიღო და შე მომცა. ბრწყინავს.

— სად ნახე? — თქვა იმან. პალსტუხი წითლად ბრკილებს მზეზე.

— აი, იმ ბუჩქის ძირას, — თქვა ლასტერმა, — ჩემი დაკარგული ფული მეგონა უცებ.

ის კაცი მოვიდა, გამომართვა.

— გაჩუმდი, — თქვა ლასტერმა, — დახედავს და მოგცემს.

— „აგნესა, მეიბლ, ბეკი“, — ასე თქვა, სახლისკენ გაიხედა.

— გაჩუმდი, — თქვა ლასტერმა, — ცოტა ხანი ექნება და მოგცემს.

მომცა იმან და შე გაფრუმდი.

— წუხელ ვინ იყო აქ? — ასე თქვა.

— რა ვიცი, — თქვა ლასტერმა, — ყოველდამ მოდიან, როცა კი მაგას შეუძლია ფანჯრიდან ხეზე ჩამოძვრეს. სიბნელეში რას გაარჩევ, ვინაა.

— ეშმაკია დალახეროსა და, მგონი, ერთმა კი კვალი დაცოვა, — ასე თქვა. სახლისკენ გაიხედა. წავიდა. პამაკნი ჩაწვა, — მოუსვით აქედან, — ასე თქვა, — გული ნუ შემაწუხებთ.

— წამოდი, — თქვა ლასტერმა, — კაი ამბები კი დაატრიალე. წამოდი-მეთქი. მისს კვენტინა იქ არის და შენზე ჩივის.

ღობესთან მივედით, ყვაფილოვანში ვიხედებით. ლასტერი ბალახში ექებს.

— აი, აქ, ჯიბეში მქონდა, — ასე თქვა, ეხედავ, ალამა ფრიალებს, მზე გადმოხრილა მანდორზე.

— მალე აქ ვიდაც გაივლოს, — თქვა ლასტერმა, — ისინი კი, მოთამაშეები, უკვე წავიდნენ. მოდი და მომამებნინე.

ღობეს მივეყვებით.

— მორჩი ზნუილს, — თქვა ლასტერმა, — არ მოდიან და ძალით ხომ ვერ მოვიყვან. ცოტა ხანს დაიცადე. აბა გაიხედე, მოდიან კიდეც.

ღობეს მივეყვები — ჭიშკრისკენ, სადაც ჩანთიანი გოგოები ჩამოივლიან. — ბენჯი-მეთქი, — თქვა ლასტერმა, — დაბრუნდი.

აბა ჭიშკარში ცქერას რა ჭკუა აქვს, თქვა ტ.პ.-იმ, მისს კელი შორხაა. გათხოვდა და წავიდა. რას გიშველის, ჭიშკარს რომ ჩასჭიდებიხარ და ღრიალებო? რას გაიგონებსო.

რაო, რა მინდაო, ტ.პ.-ი? თქვა დედამ, გაეთამაშე და გააჩუმეო.

ქვემოთ უნდა ჩასვლა და იქ ჭიშკარში ცქერაო, თქვა ტ.პ.-იმ.

ხოდა, სწორედ ეგ არ შეიძლება, თქვა დედამ, წვიმს, ხომ შეგიძლია გაეთამაშო და გააჩუმოო. აბა, ბენჯამინ, ჩუმადო!

ამას ველარაფერი გააჩუმებს, თქვა ტ.პ.-იმ, ჰგონია, ჭიშკართან რომ ჩავა, მისს კელიც დაბრუნდებაო.

რა სისულელეაო, თქვა დედამ.

იმათი ლაპარაკი მესმის. გამოვედი და მათი ხმა აღარ მესმის. ჭიშკართან ჩავედი, სადაც ჩანთიანი გოგოები მოდიან ხოლმე, შემომხედავენ და სწრაფად

ჩაივლიან სახემობრუნებულნი, მინდა ვუთხრა, მაგრამ არ ჩერდებიან, ლობეს მივყვები, მინდა ვუთხრა, მაგრამ უფრო და უფრო უჩქარებენ ფეხს. მორბიან უკვე, ლობე კი ჩათავდა და მასზე ხელჩაჭიდებული ვუყურებ და მინდა ვუთხრა.

— შენ, ბენჯი, — თქვა ტ.პ.-იმ, — მანდ რას აკეთებ, მაინც გამოიძარე, ხომ? დიღზი რომ გცემს, ხომ იცი? მარქუნსული

— აბა ლობეში ზმუილი და ღორბლების ყრა რას გმტყუნს, მსაქვა ტ.პ.-იმ, — ბავშვები შეაშინე. ვერ ხედავ, ქუჩის მეორე მხარეს გადაირბინეს.

გარეთ როგორ გავიდა, თქვა მამამ, როცა შემოხვედი, ხუთუ ჭიშკარი არ ჩაგირაზავსო, ჭეისონ?

რალა თქმა უნდა, ჩავრაზე, თქვა ჭეისონმა, კკუადაბდერტილი სომ არ გგონივართ, ამას როგორ ვიზამდი? ან იქნებ გგონიათ, ამასაც ეს უნდოდა მომხდარიყო. ჩვენი ოჯახი ისედაც წყალწადებულთა, ხედავს ღმერთი. სულ ამას არ გეუბნებით, იქნებ ახლა მაინც გააგზავნოთ ჭეკსონში, ვიდრე ქალბატონი ბერჯესი თოფით არ მოუდებსო ბოლოს.

ვაჩუმდიო, თქვა მამამ.

სულ ამას არ გეუბნებითო, თქვა ჭეისონმა.

ხელი რომ შეეახე, ჭიშკარი ღია იყო. ჩავეჭიდე. ბინდა გავცქერი. აღარ ვტირი. ვხედავ, გოგოები მიდიან ბინდში. შეჩერება მინდა მათი, აღარ ვტირი.

— აგერ აქა დგას.

გაჩერდნენ.

— ვერ გამოვა. არც არაფერს დაგვიშავენს. წამოდი.

— ვაი, მეშინია, მეორე მხარეს გადავალ.

— ჭიშკარში ვერ გამოვა-მეტქი.

აღარ ვტირი.

— ნუ გეშინია, წამოდი!

ბინდში მოდიან. აღარ ვტირი. ჭიშკარი ხელით მიჭირავს, ნელა მოდიან.

— ვერ წამოვალ.

— არაფერს ვერჩის. ყოველდღე აქ არ დავდივარ. ლობესლა მოჰყვება ხოლმე.

მოვიდნენ. ჭიშკარი გავალე, გაჩერდნენ, მიტრიალდნენ. მინდა ვუთხრა. დავიჭირე, ხელი ვტაცე, რომ ვუთხრა, დაიყვირა, მინდა ვუთხრა, ამოვთქვა, ბრკი-ალა წინწყლები გაჩერდა, მინდა გავაქცე, მინდა სახიდან მოვიშორო, მაგრამ ისევ მოცურავს ბრკი-ალა წინწყლები. მალლა-მალლა მიდის, მერე დაბლა და ტირილი მინდა. მინდა არ ჩამოვვარდე მალლიდან და ვვარდები მალლიდან ბრკი-ალა, მორიალე წინწყლებში.

შეხედე, შე გამოთაყვანებულო! თქვა ლასტერმა, აგერ მოდიან, ღორბლებს ნუ შერი და ნურც ზმუიხართ.

აღამთან მოვიდნენ. ამოაძრო, ჩოგანი ჰყრა, ისევ ჩაარქო ალაში.

— ბატონო! — თქვა ლასტერმა.

ის მოტრიალდა.

— რაო? — ასე თქვა.

— საგოლოდუ ბურთს რომ არ იყიდით? — თქვა ლასტერმა.

— აბა მაჩვენე. ასე თქვა. ლობესთან მოვიდა და ლასტერმა ბურთი გადააწოდა.

— ვინ მოგცა? — ასე თქვა.

- ვიპოვე, — თქვა ლასტერმა.
- ვაცი, სადაც იპოვე, — ასე თქვა, — ვილაცის საგოლფე ჩანთაში, ხომ?
- აქ ვიპოვე, აი, ამ ეზოში, — თქვა ლასტერმა, — თცდობული ცენტრილია მინდა ამ ბურთში.
- თითქოს მართლაც შენსას პყიდი, არა? — ასე თქვა.
- ვიპოვნი-მეთქი, — თქვა ლასტერმა.
- წადი და ახლა სხვა იპოვნი, — ასე თქვა, ჯიბეში ჩაიღო და წავიდა.
- წარნოდგენაა ამალამ, — თქვა ლასტერმა.
- ოპო, — ასე თქვა. სწორეზე მიდის. — განზე ვადექი, კედი! — ასე თქვა, დაარტყა ისევ ჩოგანი.
- შენსას რას ვაიგებს კაცი, — თქვა ლასტერმა, — მოვლენ, ღრიალებ, წავლენ და მაინც ღრიალებ. გაჩუმდი-მეთქი. ხალხს ყურები ნუ გამოუჭედე ყოველდღე. მოდი, ბანგას ყვავილი დაგვარდნია, — აიღო, მომცა, — რას დაგიმსგავსებია. წადი და ახლა ახალი მოუტანე ამას. ღობესთან ვდგავართ, გავცქერით.
- ეს თეთრი კაცი ვინ ყოფილა, — თქვა ლასტერმა, — არ წამართვა ბურთი! — მიღიან, ღობეს მივეყვებით. ბაღთან მივედიოთ, იქით გზა აღარაა. ღობეს ხელაქილებული ყვავილოვანში ვიხედები, უკვე წავიდნენ.
- აბა ახლა რაღას ღრიალებ, — თქვა ლასტერმა, — მორჩი. სატირალი შენ კი არა. ძე მაქვს. მოდი. ხელში ვეღარ დაგიკავებია ჯოყარიც. ახლა ამაზე დაიწყებ ღრიალს. — ყვავილი მომცა, — ახლა სადღა მიეხეტები?
- ჩვენი ჩრდილებია ბალახზე. ჩვენ წინშიდიან ხეებისკენ. ჩენი პარველია. მივედიოთ და ჩრდილები გაქრა. იქ ყვავილია ბოთლში. ჩემი ყვავილებიც ჩავდევი.
- ამხელა კაცი ხარ, — თქვა ლასტერმა, — ყვავილებიანი ბოთლით კი თამაშობ. მისს ვალაინი რომ მოკვდება, იცი, სად წავიყვანენ? ჯეკსონში გავაგზავნიოთ, ასე თქვა ბ-ნმა ჯეისონმა. იქნები იქ შენისთანა შერეკილებთან და თუ გინდა, სულ ნუღარ მოაცილებ ხელს გასოსს, ჰყარე ღობლები, აღდგომა დღე გაგიტენდება.
- ლასტერმა ხელი დაჰკრა ყვავილებს და ბოთლიდან გადმოყარა.
- დაიწყებ ღრიალს და ასე გიზამენ ჯეკსონში.
- ყვავილების აღება მინდა. ლასტერმა აიღო და გაქრა ყვავილები. ავტირდი.
- ღრიალსა ბანი, — თქვა ლასტერმა, — ღრიალსა ბანი. მაგრამ საღრიალო რომ არა გაქვს. დაიცა, ახლა გექნება. აბა, ყური მივდე — კედი! — ჩურჩულებს: — კედი! იღრიალე ახლა. კედი!
- ლასტერ! — თქვა დილზიმ სამზარეულოში. ყვავილები ისევ დაბრუნდა.
- გაჩუმდი! — თქვა ლასტერმა, — აბა შენი ყვავილები. პარველად რომ გქონდა, ზუსტად ისევე ჩავდევი. მორჩი ახლა.
- ლასტერ-მეთქი, — თქვა დილზიმ.
- ჰო, დიდელ! — თქვა ლასტერმა, — მივდივართ. არ შემიყარა ქვეყანა. ადექი. — ხელი მტაცა, ავდექი. ხეებიდან გამოვედიოთ. ჩრდილები გაქრა.
- გაჩუმდი! — თქვა ლასტერმა, — ხალხი გიყურებს. გაჩუმდი-მეთქი. აქ მოიყვანე, — თქვა დილზიმ. კიბეზე ჩამოვიდა.
- მითხარი, ახლა რა დაუშავე? — ასე თქვა.
- არც არაფერი, — თქვა ლასტერმა, — თავისთვის ღრიალებს.
- სტყუი, — თქვა დილზიმ. — რაღაცას გაუკეთებდი. სად იყავით?

— აი, იმ ხეების ძირას, — თქვა ლასტერმა.

— კვენტინამ სულ ცოფები ჰყარა, — თქვა დილზიმ, — რად მერყევანე. ხომ იცო, არ უყვარს, უკან რომ დასდევს.

— იმანაც ხომ უნდა მიხედოს, — თქვა ლასტერმა, — ჩემი კა არა, მისი ბიძაა.

— ჰკუთთ იყავი, ზანგის ბიჭო! — თქვა დილზიმ.

— არაფერი დამიშავებია, — თქვა ლასტერმა, — თამაშობდა თავისთვის და მერე უცებ აღრიალდა.

— საფლავებს დაუნგრევდი, — თქვა დილზიმ.

— ხელი არ მიხლავ მაგისა საფლავეებისთვის, — თქვა ლასტერმა.

— ნუ უარობ, ბიჭო, — თქვა დილზიმ. ავედით კიბეზე და სამზარეულოში შევედით. დილზიმ ღუმელის კარი გამოაღო, სკამი დადგა, დავეჭექი. ჩუმად ვარ. რად ააფორიაქეთ ის ქალი, თქვა დილზიმ, მაღლა რად ახვედითო.

თავისთვის იჭდა და ცეცხლს უყურებდა, თქვა კედიმ, დედა ახალ სახელს ეძახის. მისი გაბრაზება სულაც არ გვინდოდაო.

თქვენ რა გინდოდათ, მე ვიცი, თქვა დილზიმ, აქ ამას მოუარე და იქ — იმას. ღუმელთან არ მიუშვა. ვიდრე არ დავბრუნდები, ხელი არაფერს ახლოთო.

— ამას რომ აჯავრებ, — თქვა დილზიმ, — არა გრცხვენია. — ტორტი დადო მაგიდაზე.

— არაფერსაც არ ვაჯავრებ, — თქვა ლასტერმა, — თამაშობდა თავისთვის ყვავილებიანი ბოთლით და უცებ აღრიალდა. ხომ გაიგონეთ.

— ვითომდა ხელი არ გიხლავ მისი ყვავილებისთვის? — თქვა დილზიმ.

— ახლოსაც არ მივსულვარ მაგის საფლავეებთან, — თქვა ლასტერმა, — მაგის ბაღაბბულას რას ვაქნევ. ჩემს ფულს ვეცებდი.

მაინც დაქარგე, ხომ, — თქვა დილზიმ. სანთლები ანთო ტორტზე. ზოგი სანთელი წვრილია, ზოგი — მსხვილი. — შეინახე-მეთქი, ხომ გვეზნებოდნი. ახლა კი გინდა ხელმეორედ გამოვართვა ფრონის.

— წარმოდგენაზე მაინც წაეალ; რის ბენჯი, რა ბენჯი. — თქვა ლასტერმა, — დღე და ღამე ხომ არ ვსდევ კუდში.

— რასაც აკეთებ, ის უნდა გააკეთო, ზანგის ბიჭო, — თქვა დილზიმ, — გესმის თუ არა?

— სულ იმასთან არა ვარ, — თქვა ლასტერმა, — რაც გინდა; იმას არ ვაკეთებ, ბენჯი?

— ხოდა, აგრე, — თქვა დილზიმ, — ნუ აბრაზებ და ნუ აღრიალებ, თორემ მისს-კალაინი ჯავრობს. მოდიო და ახლა ჰამეთ ტორტი, ვიდრე ჯეისონი მოვიდოდეს. ერთ ამბავს ატეხს ამ ტორტის გულისთვის, მერე რა, რომ ჩემი ფულით მაქვს ნაყიდი. აქ რას გამოაცხობ, ცალობით აქვს კვერცხი დათვლილი სამზარეულოში. თუ გინდა ამაღამ წარმოდგენაზე წასვლა, იმასთან იყავი და ფეხი არსად გაადგა.

დილზი წავიდა.

— სანთლებს შენ ვერ ჩააქრობ, — თქვა ლასტერმა, — აბა მიყურე, — დაიხარა და ლოყები გამობერა. სანთლები წავიდნენ, ავტირდი. — გაჩუმდი, — თქვა ლასტერმა, — მოდი აქ, ცეცხლთან. მე კი ტორტს დაგიჭრი.

საათი მესმის. მესმის, კედია ჩემ უკან, სახურავი მესმის. სულ წვიმს და წვიმსო, თქვა კედიმ, მძულს წვიმა, სუყველაფერი მძულსო. თავი დამადო მუხ-

ლებზე, ტირის, მომენვია, მეც ავტირდი. მერე ისევ შევხედე და ისევ წამოვიდა ბრკილა წინწკლები. მესმის საათი, სახურავი და კედი.

ტორტს ვჭამ, ლასტერის ხელი წამოვიდა და სხვა ნაჭერს აიღო. მესმის, როგორ ჭამს. ცეცხლს ვუყურებ.

რკინის გრძელი ჯოხი გამოჩნდა უკნიდან, ღუმელის კარი მკვებოდა და ცეცხლი წავიდა, ავტირდი.

— ახლა რაღა გაღრიალებს, — თქვა ლასტერმა, — აბა შეხედე, ისევაა ცეცხლი. — შე გავჩუმდი. — იჯექი აქ, ცეცხლს უცქარე და წყნარად იყავი, როგორც ვითხრეს. — თქვა ლასტერმა, — როგორ არა გრცხვენია. აბა, კიდევ აიღე ტორტის ნაჭერა.

— ახლა რაღა დაუშავე, — თქვა დილზიმ, — თავს რად არ დაანებებ?

— მინდა გავჩუმო, მისს კალაინი არ შეაწუხოს, — თქვა ლასტერმა, — რაღაცამ წამოუარა და ისევ დაიწყო.

— ვიცი, რამაც წამოუარა, — თქვა დილზიმ, — აგერ დაბრუნდება გერში და ჯოხით მოგიყვანს ჭკუაზე. ანტიტომაც ხარ დღეს ატეხილი. წყაროსთან გყავდა, ხომ?

— არა, — თქვა ლასტერმა, — მთელი დღე აქ, ეზოში გყავდესო, ხომ მითხარით.

ისევ ტორტს მიწვდა ხელი. დილზიმ ხელზე დატკრა. — იქით-მეთქი, თორემ აი, ან დანით წაგაჭრი თითებს, — თქვა დილზიმ, — მაგას, მკონი, ერთი ნაჭერიც არ უჭამია.

— ჭამა, აბა არა, — თქვა ლასტერმა, — უკვე ორი ნაჭერი გაათავა. ერთი ჰკითხვით.

— ხელი არ მოკიდო, იცოდე, — თქვა დილზიმ, — აბა ერთი აგილია.

ახლა კი, თქვა დილზიმ, ახლა კი მეც ამატირებსო ეს საცოდავი. ვაი, შე საწყალო მორი.

ახლა ამას ბენჯი ჰქვიაო, თქვა კედიმ.

ვითომ რატომ? თქვა დილზიმ, რასაც დაბადებიდან ვეძახოდით, ის სახელი აღარ ვარგაო თუ?

ბიბლიაში სწერია თურმე ბენჯამინი, თქვა კედიმ, მორის ეს სახელი სჯობსო.

მაინც რითიო? თქვა დილზიმ.

დეღამ ასე გვითხრაო, თქვა კედიმ.

ვითომ რამეს უშველის ახალი სახელი, თქვა დილზიმ, სახელების გამოცვლა არაა კარგი, ასე ამბობენ. რაც თავი მახსოვს, დილზი მქვია და თუნდაც სულ დამივიწყოს ყველამ, მაინც დილზი მერქმევაო.

თუ სულ დაგივიწყებენ, მაშინ საიდან ეცოდინებათო შენი სახელი, დილზი? თქვა კედიმ.

წიგნში დარჩება, ჩემო კუდრაქავ, თქვა დილზიმ, იქა სწერიაო.

კითხვა რომ არ იციო, თქვა კედიმ.

კითხვა რად მინდა, თქვა დილზიმ, სხვა წაიკითხავს ჩემს სახელსო, მე კი ამასღა ვიტყვი, აქა ვარ-მეთქი.

რკინის გრძელი ჯოხი გამოჩნდა ჩემ უკან და ისევ წავიდა ცეცხლი. ავტირდი.

დილზი და ლასტერა ჩხუბობენ.



— გაჩუმდი, — თქვა ლასტერმა, — გაჩუმდი-მეთქი. თორემ ახლა მეორე ხელსაც დაგიწვავ. ახლა ხომ აღარ გტკივა, გაჩუმდი.

— აჰა, ნუღარ ტირი, — თქვა დილზიმ, ქოში გამომიწოდა და მე გავჩუმდი. — კაბინეტში წაიყვანე, — ასე თქვა, — თუ კიდევ გავიგონებ, მოვალ და ქამრით გცემ.

წიგნებიან ოთახში შევედით, ლასტერმა სანათლე აანთო. სარკმლები ჩაშავდა და კედელზე ჩამობნელდა რაღაც კარის მსგავსი. მაგრამ ეს არაა კარი.

ჩემ უკან ცეცხლი მოვიდა და მივედი ცეცხლთან, დავჯექი იატაკზე, ხელში ქოში მიკავია. ცეცხლი ამალულა, დედის სავარძლის ბალიშამდე მიატანა.

— გაჩუმდი, — თქვა ლასტერმა, — სხვა რამითაც ხომ უნდა გაირთო თავი. ხელავ, რა ცეცხლი აგინთე, მიდი და უყურე.

ბენჯი გპვიანო, თქვა კედიმ. ხომ გესმის, ბენჯა, ბენჯიო.

მასე ნუ ეძახი, თქვა დედამ, აქ მოიყვანეთ.

მკლავები მომხვია კედიმ, წამომაყენა.

ადექით, მო... ბენჯი-მეთქი, ასე თქვა.

აგრე ნუ დაათრევო, თქვა დედამ. აქ მოიყვანე-მეთქი, ხომ გეუბნები, რა მახვედრა უნდა ამას.

ხელში აყვანაც შემოძლიათ, — თქვა კედიმ. — ხელში ავიყვან და ისე წამოვიყვან, დილზი.

— იქით გალა, ციცქნაე, — თქვა დილზიმ, რწყილი რა არის და იმასაც ვერ იიყვან. წყნარად ადით, როგორც ბ-ნმა ჯესონმა გითხრათ.

კიბის თავზე სინათლეა. მამა დგას იქ, ჟოლეტი აცვია. ჩუმიად იყავითო, ჩვენ გვიყურებს, კედი ჩურჩულებს:

— დედა ავადაა?

ვერშმა ჩამომხვა და დედასთან შევედით. იქ ცეცხლია. კედლები ბრკიანებს. სარკეში სხვა ცეცხლია. ავადმყოფობის სუნია. დედის თავზე შემოხვეული ნაჭერია ის ავადმყოფობა. ბალიშზეა შიხი თმა. ცეცხლი იქამდე ვერ მიდის, მაგრამ ხელზე კი უბრიალებს — დაბტის დედის ბეჭდები.

— დედას უთხარი, დამე ნებისათ, და წამოდი, — თქვა კედიმ. ლოგინისკენ მივდივართ. სარკიდან წასულა ცეცხლი. მამა ლოგინიდან ადგა, ხელში ამიყვანა და დედასთან მივედით. დედამ ხელი დამალო თავზე.

— რა დრო იქნება ახლა? — თქვა დედამ, — ისევ დილაბნელზე გაიღვიტებს. რაც დღეს დამადგა, იმას ხვალ ვეღარ ავიტან.

— კარგი, კარგი, — თქვა მამამ. დედას სახეზე შეახო ხელი.

— ვიცი, ძალიან გაწუხებ. — თქვა დედამ, — მაგრამ მალე მომეღება ბოლო და მაშინ გადარჩები ამდენ წამებას.

— არადგერი-მეთქი, — თქვა მამამ, — ცოტა ხანს დაბლა ჩავიყვან. — ხელში ამიყვანა. — წამოდი, შე კაი კავო. ცოტა ხანს დაბლა ჩავიდეთ. მაგრამ ვიდრე კვენტინი მგელადინეობს, არ უნდა ვიხმაურეთ.

კედი მოვიდა და ლოგინზე დაიხარა. ცეცხლის აღზე დედის ხელი გამოჩნდა. მისი ბეჭდები დაბტუნავენ კედის ზურგზე.

დედა ავადაა, თქვა მამამ. დილზი ჩავაწვენთ ლოგინში, კვენტინი სადღააო? ვერში წავიდა მის მოსაყვანადო, თქვა დილზიმ.

ვერდიო ჩაეუარეთ მამას და ის გვიყურებს. დედა გვესმის მისი ოთახიდან.



კედიმ თქვა, ჩუმად იყავითო: მბოლოდ ჯეისონი მიადგა კიბეს. ხელეზე ჯიბეში აქვს.

— აბა ამაღამ კარგად მოიქეცით, — თქვა მამამ, — არ იხმაროთ და ღვედა არ შეაწუხოთ.

— წყნარად ვაქნებით, — თქვა კედიმ, — ხმა არ ამოიღოთ და ასე თქვა. თითის წვერებზე მიედღვართ.

**სახურავი მესმის. ცეცხლს სარკეშიაც ვხედავ. კედიმ ისევ ამიყვანა ხელში.**

— აბა წამოდი დედასთან, — ასე თქვა, — მერე ისევ ცეცხლთან მოგიყვან, გაჩუმდი.

— კენდეისი, — თქვა დედამ.

— გაჩუმდი, ბენჯი, — თქვა კედიმ, — დედასთან მივადეთ ცოტა ხანს. შენ ხომ კარგი ბიჭი ხარ. მერე ისევ მოვბრუნდებით, ბენჯი.

კედიმ ჩამომსვა, მე გავჩუმდი.

— აქ იყოს, დედა, ცეცხლთან გულს მოიჯერებს და მერე გაგიკონებს.

— კენდეისი, — თქვა დედამ. კედი დაიხარა და ხელში ამიყვანა. წავბარბაცდით, — კენდეისი-მეთქი, — თქვა დედამ.

— ჩუმად იყავი, — თქვა კედიმ, — ცეცხლს ხომ აქედანაც ხედავ. ჩუმად იყავი-მეთქი.

— აქ მოიყვანე, — თქვა დედამ, — ნუ აფყავს, თორემ წელში გაწყდები. აღარ აიყვანო. ჩვენი გვარის ქალები სულ ამაყობდნენ თავიანთი ანაგობით. გინდა მრეცხავ ქალს დაემსგავსო?

— არაა ძალიან მძიმე, — თქვა კედიმ, — მისი ხელში აყვანა შემოძლია.

— არა-მეთქი, — თქვა დედამ, — ხუთი წლის ბავშვს ხელში ნუ აიყვან, ხომ გეუბნები. მუხლებზე ნუ დამისვამ, ძირს დასვი.

— ხელში თუ აიყვან, აღარ იტირებს, — თქვა კედიმ. აბა გაჩუმდი, — ასე თქვა, — ახლა უკან გავბრუნდებით. შეხედე, აი შენი ბალიში, შეხედე-მეთქი.

— თავი გაანებე, კენდეისი, — თქვა დედამ.

— როცა უყურებს, ნაშინ ჩუმადაა, — თქვა კედიმ, — წამოიწიეთ ცოტა და მაშინვე გამოგაცლით. აი, ბენჯი, შეხედე.

შევხედე და გავჩუმდი.

— ძალიან ანებივრებთ, — თქვა დედამ, — ორივენი. შენ და მამაშენი. არ გესმით, რომ მერე მევე დამიჯდება ძვირად. სწორედ აგრე გააფუჭა ბებბამ ჯეისონი და ორი წლის მანძილზე ძლივს გადაყაჩვიე უზნეობას, ბენჯამინისთვის კი უკვე ძალი აღარ დამრჩია.

— შენ აღარ დაიღლები, დედა, — თქვა კედიმ, — ნიყვარს მე ამისი მოვლა. ხომ ასეა, ბენჯი?

— კენდეისი, — თქვა დედამ, — ავრე ნუ ეძაბა-მეთქი, ხომ ვითხარი. ისიც მეყოფა, მამა რომ შენ გეძახის მეტსახელს, აღარ დაუძახო. მეტსახელების ხმარება უღამაზოა. ასე გლეხებმა იციან. ბენჯამინ, — თქვა დედამ.

— აბა შემომხედე, — თქვა დედამ.

— ბენჯამინ, — ასე თქვა. სახეზე ხელი მომკადა და მომიხედა.

— ბენჯამინ, — ასე თქვა. ნთამორე აქედან ეს ბალიში, კენდეისი.

— იტირებს, — თქვა კედიმ.

— მოამთრე-მეტქი ბალიში, სომ გეუბნები, — თქვა დედამ, — ღნდა გახდეს.

ბალიში წავიდა.

— გაჩუმდი, ბენჯი, — თქვა კედიმ.

— გასწი აქედან და იქ დავექი, — თქვა დედამ. — ბენჯამინ. — ჩემს სახესთან ახლოს ნოიტანა თავისი სახე.

— გაჩუმდი. — ასე თქვა, — გაჩუმდი.

მაგრამ მე არ ვჩუმდები, დედამ ხელში ამოყვანა და ატირდა, მეც ავტირდი. შემდეგ ბალიში დაბრუნდა და კედიმ ის დედის ზემოთ დაიჭირა, დედა კი სავარძელზე გადაიწვანა. დედა წევს წითელ და ყვითელ ბალოში დაყრდნობილი, ტირის.

— ნუ ტირი, დედა, — თქვა კედიმ. — მაღლა ადი და იქ დავექი, თორემ ავად გახდები, წავალ, დიღობის დაგუბახებ. ცეცხლთან მიმიყვანა და მე ვუყურებ ნათელ, პრიალა ჩრდილებს. ცეცხლი და სახურავი მესმის.

მამამ ამოყვანა, წვიმის სუნი აქვს.

— ჰო, ბენჯი, — ასე თქვა, — დღეს ხომ კარგი ბიჭი იყავი.

კედი და ჯეისონი ჩხუბობენ სარკეში.

— კედი-მეტქი, — თქვა მამამ.

ისევ ჩხუბობენ. ჯეისონი ატირდა.

— კედი, — თქვა მამამ. ჯეისონი ტირის, აღარ ჩხუბობს, მაგრამ კედი კი ისევ ჩხუბობს სარკეში. მამამ ზამომსება, წევიდა სარკეში და ისიც ჩხუბობს. კედი აიყვანა ხელში. ის ჩხუბობს. ჯეისონი წევს იატაკზე, ტირის. ხელში მაკრატელი აქვს. მამა არ უშვებს კედის.

— ბენჯის თოჯინები სულ დაჭრა და დაბია, — თქვა კედიმ. — იმ თოჯინებით ახლა მაგას გაეხევე შუაზე.

— კენდეისი, — თქვა მამამ.

— აი, ნახავ, — თქვა კედიმ. — აი, ნახავ. — ჩხუბობს. მამა არ უშვებს. წიხლი გაუქნაა ჯეისონს. სარკიდან კუთხისკენ გაგორდა იგი. მამას ცეცხლისკენ მიჰყავს კედი. სარკეში აღარაყვანა, მხოლოდ ცეცხლია. თათქოს ცეცხლი მომდგარა კარის ზღურბლზე.

— გაჩერდი, — თქვა მამამ. — დედა გაიგონებს და ავად გახდება.

კედი გაჩერდა. — სულ დაჭრა თოჯინები, მო... ბენჯინ და მე რომ გავაკეთოთ, — თქვა კედიმ, — ჯიბრზე დაჭრა.

— არა, — თქვა ჯეისონმა, წამოჭდა, ტირის. — მისი თუ იყო, არ ვიცოდი. რაღაც პეელი ქალაღდები მეგონა.

— ძალიან კარგადაც იცოდი, — თქვა კედიმ, — მაგრამ მაინც დაჭერი.

— გაჩუმდი, — თქვა მამამ, — ჯეისონ, შენ ხომ დიდი ბიჭი ხარ, — ასე თქვა.

— ხვალ კიდევ გავაკეთებ, — თქვა კედიმ, — ბევრს, ბევრს გავაკეთებ. შეხედე, აი, შენი ბალიში.

ჯეისონი შემოვიდა.

სულ გეუბნები, გაჩუმდი-მეტქი, თქვა ლახტერმა.

ახლა რაღა მოხდაო, თქვა ჯეისონმა.

— ასე ტირის თავისთვის, — თქვა ლახტერმა. — დღეს მთელი დღე ტირის.





პირდი, — ასე თქვა. კვენტინამ ცეცხლს შეხედა. — ან იქნებ არ გავიგონია მაშინ? — თქვა ჯეისონმა.

გავიგონე, — თქვა კვენტინამ, — შერედა რად აღარ დასრულდებოდა?  
 — ღარდი ნუ ვაქვს. — თქვა ჯეისონმა.  
 — არცა მაქვს, — თქვა კვენტინამ. ჯეისონი კვლავ გახედა და დაეძინა.

ხოდა, რას იტყვი, ასე თქვა, რომელმა აჯობებო?

— არც არავინ, — თქვა კვენტინამ. — გავიგონე მისწავლებლებმა.

— ვინაა? — თქვა მამამ, — იქნებ მოთხრა?

— ვინაა და, — თქვა კვენტინამ, — ჩემხელა ბიჭია.

— ეს ყველაფერი კარგი. — თქვა მამამ, — მაგრამ მაინც რა მოხდა?

— არაფერი, — თქვა კვენტინამ, — ასე მოთხრა, ზედ მაგიდაზე დაფუსვამ მისწავლებელს ბაყაყს და ხელსაც ვერ მახლეხსო.

— რა, — თქვა მამამ, — ხოდა, შერე შენ...

— ღიახ, ბატონო, — თქვა კვენტინამ, — შერე მეც გავარტყი.

სახურაფი გვესმის. ცეცხლიც, კარს უკან კი — ზმუკუნა.

— ამ ნოემბერში კი ბაყაყს სად ნახავდა? — თქვა მამამ.

— არ ვიცი, ბატონო, — თქვა კვენტინამ.

ისევ გვესმის.

— ჯეისონ, — თქვა მამამ. ჯეისონი გვესმის.

— ჯეისონ, — თქვა მამამ, — შემოდი და აქ იჯავი.

სახურაფი გვესმის, ცეცხლიცა და ჯეისონიც.

— გაჩუმდი-მეთქი. — თქვა მამამ, — თორემ ისევ მიგტყუებავ, იცოდე. — მამამ ჯეისონი აიყვანა და გვერდით სავარძელში დასვა. ჯეისონი ზმუკუნებს. ცეცხლი და სახურაფი გვესმის. ჯეისონმა ზმუკუნის უმიტა.

დიღშიმ თქვა, აბა, ახლა მოდიო და ივახშმეთო.

წვიმის სუნი აქვს ვერშს, ძაღლის ხუნიცა აქვს, წვიმა და სახურაფი გვესმის.

გვესმის, კელი მოდის. მამამ და დედამ კარში გაიხედეს. კელიმ სწრაფად ჩაიარა. არ გამოუხედაეს. სწრაფად მოდის.

— კენდეისი, — თქვა დედამ. კელი გაჩერდა.

— ღიახ, დედა. — თქვა კელიმ.

— ნუ ეძახი, კეროლაინ, — თქვა მამამ.

— შემოდი აქ, — თქვა დედამ.

— ნუ ეძახი-მეთქი, კეროლაინ, — თქვა მამამ, — თავი გაანებე.

კელი შემოვიდა, კართან გაჩერდა, მამას და დედას უყურებს. შერე შე შემოძახდა და მაშინვე განზე გაიხედა. ავტირდი. შერე უფრო მოვუმატე ტირილს და ავდექი. ზურგით კედელთან დადგა, მიუყურებს, მისკენ მოვდივარ. ვტირი, კედელს მიეყრდნო, მისი თვალები დავინახე და უფრო ხმამაღლა ავტირდი. კაბაზე ვეწვევი, ხელებით კედელს ეპოტინება, მაგრამ მე მაინც ვეწვევი. თვალები გაუბრუნს, არ მიუყურებს.

ვერშმა თქვა, შენ ახლა ბენჯამინი გქვიაო. ბენჯამინი ახლა რაღად დავარქვებს, იცი? ლურჯდრძილება უნდა გამოგიყვანონო. დიდელას უთქვამს, ძველად პაპაშენმა ერთ ზანგს სახელი გამოუცვალა და ეს კაცი მღვდელი გამოვიდა. შერე კი დრძილება გაუღურქდა. ადრე კი ჩვეულებრივი იყო. ერთხელაც რომ

შეეხება მისთვის ორსულ ქალს თვალეზში, ბავშვი ღურჯღრძილება გაუჩნდებოდა. და ერთ საღამოს, როცა ამ არე-მიდამოში უკვე თორმეტობდნენ ღურჯღრძილება ბავშვი დარბოდა, ის კაცი შინ აღარ დაბრუნებულა. ოპოსუმებზე მონადირეებმა მისი ძვლებილა იპოვეს. და იცი, ვის შეუქამია ის ღურჯღრძილება ბავშვებსო.

დერეფანში ვართ. კელი სულ მე მიყურებს. ხელი პირზე აქვს აფარებული და იმია თვალეზს ცხედავ, ვტირო. კიბეზე ავდივართ. ისევ კედელთან გაჩერდა, მიყურებს და მე ვტირო, მაღლა ადის, მეც მივყვები და ვტირო, კედელს მიყურდნო და მიყურებს. თავისი ოთახის კარი გააღო, მაგრამ მე კაბაზე ვეწევი და საბაზანოში შევდივართ, ის კართან გაჩერდა, მიყურებს. შემდეგ ხელები სახეზე იიფარა და ტირის, ონკანისკენ ვექაჩები, ვტირო.

რატომ აღრიალებ, თქვა ჯეისონმა, თავს რად არ დაანებებო?

თითიც არ დამიკარებია, თქვა ლასტერმა. მთელი დღე ასეაო. ერთი მაგარი ცემა უნდაო.

ჯეისონში უნდა მაგას გაგზავნა, თქვა კვენტინამ. ამ სახლში აღარ იცხოვრებო.

თუ არ მოგწონს, ჩემო კარგო, მიბრძანდიო. თქვა ჯეისონმა.

წავალ კიდევაც, თქვა კვენტინამ, ღარდი ნუ გაქვთო.

ვერშია თქვა: — იქით მიღექი, ფეხები უნდა გავიშრო. — ცეცხლს მომაშორა. — ახლა ღრიალი არ დიიწყო. ცეცხლს მაინც დაინახე. მეტი რა საქმე გაქვს. შენ რა, ჩემსავით წვიმაში ხომ არ დასეგლებულხარ. ბედნიერ ვარსკვლავზე ხარ დაბადებული და არც კი იცო. — ცეცხლის წინ ზურგზე დაწვა.

— იცი, ახლა ბენჯამინი რად ვქვია? — თქვა ვერშია, — ძალიან ამყვი ქალია დედაშენი და რცხვენიაო. დედაჩემ ასე თქვა.

— წყნარად იყავი. ფეხები უნდა გავიშრო, — თქვა ვერშია, — თორემ იცი, რას ვიზამ? ქანრიით აგაქრებ.

სახურავია, ცეცხლი და ვერში მესმის.

ვერში სწრაფად წამოაღდა და გასწორდა. მამამ თქვა: — აბა, მიდი, ვერში, რას უყურებ?

— ამაღამ მე ვაქმევ რა. — თქვა კელიმ. — ხანდახან ჭამის დროს ვერშს აუტირდება ხოლმე.

— ეს სინი მაღლა აიტანე, — თქვა დილიმ, — და სწრაფად ჩამობრუნდი, ბენჯის უნდა აჭამო.

— გინდა კელიმ გაჭამოს? — თქვა კელიმ.

მაინცდამაინც მაგიდაზე უნდა დააგდო ეს ჭუჭყიანი ქოში, თქვა კვენტინამ. სამზარეულოში რად არ აქმევთ. გინდ ამასთან გაჭამია და გინდ ღორთანო.

თუ ჩვენთან ჭამა არ გინდა, სუფრაზე ნუღარ დაჯდებიო. თქვა ჯეისონმა.

როსკუსს ოხშივარი ასდის, ღუმელის წინ დამჯდარა. ღუმელის კარი ღიაა. როსკუსს ფეხები მაღლა შეუწყვია. თასს ოხშივარი ასდის, კელიმ მარჯვედ ჩამიღო კოვზი პირში. თასში რაღაც მოჩანს შავად.

კარგი, თქვა დილიმ, მეტს აღარ შეგაწუხებსო.

ხაზს ქვემოთ ჩავიდა საჭმელი. თასი ცარიელია, წავიდა. — ძალიან მოშვივებია, — თქვა კელიმ. თასი დაბრუნდა, ვერ ცხედავ იმ შავს. შემდეგ დავინახე. — შიმშილით მომკვდარა დღეს, — თქვა კელიმ, — ერთი ნახე, რამდენს ჭამს.

ვიცი, თქვა კვენტინამ. ჩემს სათვალთვალოდ გზავნით ხოლმე უველა. სიცოცხლე მომძულეებია ამ სახლში, წავალ, გადავიკარგებო.

როსკუსმა თქვა: — ამაღამ აღარ გადაიდებს.

უკვე დიდი ხანია მიდიხარ და იკარგები — სადილზე კი იხვე აქა ხარო, თქვა ჯეისონმა.

აი, ნახავთ თუ არაო, თქვა კვენტინამ.

— რა წყალში გადაევარდე, აღარ ვიცი, — თქვა დილზიმ, — ფენა ისე მტებს, ძლივს დავდივარ. მთელი საღამო კიბეზე დავრბივარ ზემოთ-ქვემოთ.

ოჰო, ერთბაშად არ გამაკვირვო, თქვა ჯეისონმა. შენისთანებისაგან არ გამიკვირდებაო.

კვენტინამ ხელსახოცი მაგიდაზე დააგდო.

ხმა აღარ ამოიღო, ჯეისონ, თქვა დილზიმ. მივიდა და კვენტინას ხელი მოხვია. დაჭექი, ჩემო კუდრაჭავ, თქვა დილზიმ, ხხვის დანაშაულს შენ რად გაუვედრის, როგორ არა რცხვენიაო.

— რაო, კიდევ გაიბუტა ეს გოგო, — თქვა როსკუსმა.

— ხმა აღარ ამოიღო, — თქვა დილზიმ.

კვენტინამ ხელი ჰკრა დილზის, მოიცილა, ჯეისონს უყურებს. პირი წითელი აქვს. ხელი სტაცა წყლიან ჭიქას, მოიქნია, ჯეისონს უყურებს. დილზიმ მკლავი დაუჭირა. ჩხუბობენ. ჭიქა დაეცა მაგიდაზე, გატყდა. წყალი დადგა მაგიდაზე. კვენტინა გარბის.

— დედა ისევ ავადაა, — თქვა კედიმ.

— აბა რა მოუფა, — თქვა დილზიმ, — ასეთი ამანდა ვის არ დაავადმყოფებს. შენ როდისღა მორჩები ჭამას, ბიჭო?

უჰ, შე წყვეულო, თქვა კვენტინამ, შე წყვეულოო. მესმის, კიბეზე არბის. კაბინეტში შევედიო.

კედამ ბალოში მომცა, შემოიღია ვუცქირთ ბალიშს, სარკესა და ცეცხლს.

— კვენტინი მეცადინეობს და ჩუმიდ იყავით, — თქვა მამამ. — შენ რაღას აკეთებ, ჯეისონ?

— არაფერს, — თქვა ჯეისონმა.

ჯეისონი კუთხიდან გამოვიდა.

— რას ღეჭავ? — თქვა მამამ.

— არაფერს, — თქვა ჯეისონმა.

— მოდი აჰ, ჯეისონ, — თქვა მამამ.

ჯეისონმა ცეცხლში ჩააგდო ის რაღაც, აშიშინდა, დაიხვია, გაშავდა. მერე ნაცრისფერი გახდა. მერე აღარაფერი დარჩა. კედი, მამა და ჯეისონი დედის სავარძელში სხედან. ჯეისონს თვალები დასიებული აქვს, პირს ისე ამოძრავებს, თითქოს ღეჭავსო. კედის მამის მხარზე ჩამოუდგია თავი. ცეცხლისფერი თმა აქვს, ცეცხლის წინწკლები უჩანს თვალებში. მივედი, მამამ მეც ჩამსვა სავარძელში, კედიმ ხელი მომხვია, ხეების სუნი აქვს კედის.

ხეების სუნი აქვს მას. კუთხეში ბნელა, მაგრამ სარკმელი მოჩანს. ჩავცუცქდი, ქოში მიკავია. მე ვერ ვხედავ ქოშს, მაგრამ ჩემი ხელები ხედავენ და მესმის, დამე მოდის, ხელები ხედავენ ქოშს, მაგრამ მე ვერ ვხედავ ჩემს თავს, ხელები კი ხედავენ ქოშს, ჩაცუცქული ვარ და მესმის, სიბნელე მოდის.

აი, თურმე სად ყოფილხარ, თქვა ლასტერმა, შეხედე, მე რა მაქვსო! დამანახვა. იცი, ვინ მომცა ფული? მისს კვენტინამ მომცა, ვიცოდი, ასე იქნებოდა.

შენ აქ რას აკეთებ? მეგონა, გარეთ იყავი გაპარული. გეყოფა დღეს ღრიალი და დორბლები ურა, ახლა ამ ცარიელ ოთახში მოსულხარ და ბურტყუნებ. წამო, დაიძინე, თორემ წარმოდგენაზე დამაგვიანდებაო. ჭერ ქკუა არ გაშომთე-ვია, შენთან მთელი ღამე ხომ არ დავრჩები, პირველივე საყვირის ხმაზე წავა-ლო.

ერქვენული  
ბიზუნირთეკა

შევედით, მაგრამ ეს ზვენა ოთახი არ იყო.

— ჩვენ ხომ აქ წითელბატონებს მოსახდელად მოვდივართ, — თქვა კე-დომ, — ამალამ აქ უნდა დავიძინოთ?

— თქვენთვის სულ ერთი არ არის, სად დაიძინებთ. — თქვა დილზიმ, კა-რი დაკეტა, ტანზე მხდის. ჯეისონი ატირდა. — გაჩუმდა, — თქვა დილზიმ.

— ბებიასთან უნდა დავიძინო, — თქვა ჯეისონმა.

— ბებია ავადაა, — თქვა კედომ, — მორჩება და მაწინ დაიძინოს იქ, ხომ, დილზი?

— გაჩუმდი-ნეთქი, — თქვა დილზიმ. ჯეისონი გაჩუმდა.

— ჩვენი ღამის პერანგები და სუყველაფერი აქ ყოფილა, — თქვა კედომ, — სულ აქ დავრჩებით ამას შემდეგ?

— ხოდა, ჩაიცვით, რაღაი აქაა. — თქვა დილზიმ, — მოლა, დილები შე-უხსენი ჯეისონს.

კედომ დილები შეუხსნა ჯეისონს. ჯეისონი ატირდა.

— ქამარი მოგნდომებია, — თქვა დილზიმ. ჯეისონი გაჩუმდა.

კვენტინაო, თქვა დედამ დერეფანში.

რა იყო, თქვა კვენტინამ კედლის უკან. მესმის, დედამ კარი ჩაკეტა. ჩვენს კარში შემოიხედა, შემოვიდა, ლოჯისზე გადმოიხარა და შუბლზე მაკოცა.

ამას რომ დააწვეს, წადი და დილზის უთხარი, თუ გცალია, სათბურა მო-მიმზადე-თქო. თუ არა გცალია, რა ვქნა, როგორმე გავძლებ-თქო. წადი, უთხა-რი.

ღიას, ქალბატონო, თქვა ლასტერმა. აბა მოდი, შარვალი გაიხადეო.

კვენტინი და ვერში შემოვიდნენ. კვენტინს პირი მიუბრუნებია.

— რა გატირებს? — თქვა კედომ.

— სუუ, — თქვა დილზიმ, — აბა, სუყველამ გაიხადეთ ახლა. შენ კი შინ წადი, ვერში.

გახდელი ვარ, საკუთარი თავი დავინახე და ავტირდი. გაჩუმდიო, თქვა ლასტერმა. ვინდ უყურე და ვინდ არა, რაღა ეშველებათ. დაიკარგა და რაღას იზამ, გაჩუმდი, თორემ დაბადების დღეს აღარ გადავიხდითო. ჩემს ხალათს მაც-მევს, მე გავჩუმდი. ლასტერი უეცრად გაჩერდა, თავი სარკმლისკენ მიაბრუნა. მერე მივიდა სარკმელთან და გარეთ გაიხედა. დაბრუნდა და მკლავზე ხელი მოშვიდა. ხედავ, როგორ მიძვრებაო, ახე თქვა. ახლა წუნარად იყავიო. სარკ-მელთან მივედით და გავიხედეთ. კვენტინას სარკმლიდან გამოძვრა ვიღაც და ხეზე გადაცოცდა. ხე შეირხა ჭერ ზემოთ, მერე ქვემოთ, შემდეგ ხეს მოშორ-და, ბალახზე მიდის. მერე ვეღარ დავინახეთ. აბა, თქვა ლასტერმა, ჩქარა, საყ-ვირის ხმაო. დაწექი, თორემ აი მოვიდა წიხლიო.

ორი ლოგინია. ერთზე კვენტინი დაწვა. სახე კედლისკენ მიაბრუნა. დილ-ზიმ ჯეისონი მიუწვინა. კედომ კაბა გაიხადა.

— აბა, ერთი შენს ნაფხავს შეხედე, — თქვა დილზიმ, — კიდევ კარგი, დე-დაშენი არ ხედავს.

— უკვე იცის, ვუთხარი, — თქვა ჯეისონმა.  
 — შენ რას მოითმენდი, — თქვა დილზიმ.  
 — მერედა სამაგიერო რა მოგცეს, — თქვა კედიმ, — ენატანია ხარ შენ!  
 — რათ, მოგხვდა? — თქვა ჯეისონმა.  
 — მოდი, შენი ლამის პერანგი აიღე, — თქვა დილზიმ. მიუხედავად კედის პა-  
 წაწინა ლიფისა და ნიფხავის გახდაში. — აბა ერთი ნახე, — თქვა დილზიმ, — კე-  
 ფხავი დაახვია და უკან მოუსვა კედის. — მთლად დასერილხარ, — ასე თქვა. —  
 მაგრამ ამაღამ ვერ გაბანავებ. მოდი-მეთქი. — კედის პერანგი გადააცვა და კე-  
 დი ლოჯინში შეძვრა. დილზი კართან მივიდა და სინათლესთან მიიტანა ხე-  
 ლი. — აბა, ახლა თქვენნი ხმა არ გავიგონო, — ასე თქვა.  
 დიახ, — თქვა კედიმ, — დედა ამაღამ არ მოვა იქ, — ასე თქვა, — თქვენ  
 მე უნდა გამიგონოთ.  
 — ჰო, კარგი, — თქვა დილზიმ, — აბა, ჩქარა დაიძინეთ.  
 — დედა ავადაა, — თქვა კედიმ, — ის და ბებია ორივე ავადაა.  
 — ხმა-მეთქი, — თქვა დილზიმ, — ჩქარა დაიძინეთ.  
 ოთახი გაშავდა. კედიმ თქვა: — სუუ, მორი. — ხელზე ხელი დამადო. ჩუ-  
 მად ვწევარ. ნესნის ჩვენი. სიბნელისა მესმის.  
 წავიდა სიბნელე და მამამ დაგვხვდა. კვენტინსა და ჯეისონს უცქერის,  
 შემდეგ მოვიდა და კედის აკოცა, მე თავზე ხელი გადამისვა.  
 — დედა ავადაა, ხომ? — თქვა კედიმ.  
 — არა, — თქვა მამამ, — აბა, თვალი გეჭიროს მორიზე.  
 — დიახ, — თქვა კედიმ.  
 მამა კართან მივიდა და კვლავ გამოგვხვდა. სიბნელე ისევ დაბრუნდა, მამა  
 შავად ჩანს კარში, მერე კარი ისევ გაშავდა. კედიმ ხელი მოშვიდა და მე ყველა  
 მესმის, სიბნელეც და რაღაც სუნი კიდევ. მერე სარკმელი დავინახე, სადაც ხე  
 ირზევა. მერე სიბნელე გაბრტყელდა. წამოვიდა ბრკიალა ჩრდილები. ასეა  
 ყოველთვის, მაშინაც კი, როცა კედი მეუბნება, შენ უკვე გეძინათ.

1910 წლის 2 ივნისი

სარკმლის ჩრდილი რომ მოაღვა ფარდას, რვის ნახევარი იქნებოდა, ისევ  
 აღვიქვი დრო და საათის ხმა მესმის. პაპაჩემის ნაქონი იყო ეს საათი და მამამ  
 რომ მომცა, ასე მითხრა, აბა, კვენტინ, გაძლეე ყოველგვარი იმედისა და სურ-  
 ვილის ამ ლუსკუმას, ვაი, რომ ამ საათის დახედვისას შესაძლოა ტანჯვა-წვა-  
 ლებით მოიწადინო *reducto absurdum*\* ზოგადკაცობრიული გამოცდილების  
 გასაკუთრება, მაგრამ შენი წინაპრებით კმაყოფილი არც შენ დარჩები. ამ  
 საათს იშვით კი არ გაძლეე, დრო სულმუდამ გახსოვდეს, უფრო ეს მინდა —  
 ზოგჯერ მისი დავიწყება მოახერხო და მთელი შენი ცეცხლი და გზნება არ შე-  
 ალიო მის მიათოკვას. რაღაღა ამ ბრბოლაში გამარჯვება არავის გვიწერია. მერე  
 დაასინა, გამარჯვება კი არა, ბრბოლის ველამდეც ვერ მივატანთ. დაბოლოს კა-  
 ცი თავის უგუნურებასა და უსასიოობასღა შეიტყობს, გამარჯვებისა მარტო დი-  
 ლოსთყობს და უტკუოთ სჯერათო.

\* აბაურდაძე დაყვანილი (ლათ.).



საათი მაგიდაზეა, საყულოების კოლოფსაა მიბჯენილი, კწევარ და ყურს ვუგდებ. ყურს ვუგდებ კი არა, მისი ტაკატუკი მესმის მხოლოდ, საათს მთელი გულისყურით არც არავინ მოუსმენს. არავინ სჭირდება. შეიძლება დიღხანს აღარ გახსოვდეს მისი ხმაური და რომ ვაიგონებ, უცებ ეს ხმა წარმოვიჩინებ უწყვეტ, ძირასძირისკენ სულ უფრო და უფრო გაღეულ სიმსუქნეში მომლის ჟღერა აქამდე არც კი ვაგიგია. მამას უთქვამს, ესა ჰგავს ზარბაზნის გრძელსა და ერთადერთ სინათლის სხივს, რაც ქრისტესა საეაღს მოგავიწყებს, ანდა შესაძლოა ამან კეთილი წი. ფრანცისკი ვაგახსენოთ, ვინაც სიკვდილს პატარა დას ეძახოდა ხოლმე, თუმცა სინამდვილეში მას არ ჰყავდა დაი.

კედლის იქიდან შრივის საწოლმა გაიჭრა ზედა, ნერვ მასმა ფოსტლებმა გაიფრატუნა იატაკზე. წამოვდექი და ამ პატარა მაგიდასთან მივედი, ხელი გავაცურე და საათი ჩავაპირე ვაფე; ისევ დავწეკი. ნავრამ სარკმლის ჩრდილისთვის რაღა უნდა მექნა, ამ ჩრდილის მიხედვით ყოველთვის ზუსტად ვიგებ დროს. რასან ასეა, მეორე მხარეს გადაებრუნდი და ვგრძნობ, ახლა კეთაზე ამიტყდა თვალების ქაფილი. ცხოველება ბომ ისინი კეთაზე, ზელ კინკრისოზე ჰქონდათ თურმე. შემოჩვეული უსაქმურობა მუდამ გექნებათ სანანებელი, თქვა მამამ, ქრისტე ჯვარს კი არ აცივს, საათის პაწაწინა ისრების წიკწიკმა მოუღო ბოლო, იმიტომ რომ დაი არ ჰყავდა მას.

გადაებრუნდი და, რაკი ვიცოდა, საათს ველარ დავინახავდი, ასე გავიფიქრე: რა დროა-მეთქი. მამამ შეთხრა, ვაუთაგებელი ფიქრი ამა თუ იმ ციფერბლატზე ისრების მდგომარეობის შესახებ თავის ტვანის შუშაობის ნიშახით, მსგავსად ოფლიანობისაო, ასე დასძინა. შერედა იყოს-მეთქი. მაკვლე შემიდი და იფიქრე გაუთაგებლავ.

ღრუბლიანი დღე რომ იყო, სარკმლისკენ ნივტრიალდებოდი და ჩავუფიქრებოდი იმის ხათვამს უსაქმურობის თაობაზე. იმასაც წარმოვიდგენდი, თუ ასეთი ამინდი დაიჭირა, ვარგ დროს ვაატარებენ-მეთქი ისინი ნიუ-ლონლონში. რატომაც არა? ხმა ისინა, პატარალების თვესო კაბააფრიალებული გამოობის ხარკიდან, სურნელებიდან. ვარდები, ვარდები. ბ-ნი და ქალბ-ონი ჯეისონ რიჩმონდ კომპსონები ქორწილის დღეს იუწყებიან ვარდები. შვინდისა და თუთისამებრ უცოდველნი არ არიან ისინი. მე ვამბობ, სასხლის ამღვრევი ცეცბლს უნდა მისცენ-მეთქი, მამამ კი... ვარდები. ცბიერნი და აღუშფოთველნი. თუ ერთი წელი პარვარდში ხარ და ნიჩბოსანთა შეჯიბრება არ გინახავს, სწავლის ფული უნდა დაგიბრუნონ. დაე ჯეისონმა მოიხზაროს. ჯეისონს მიეცით ეს ფული და ერთი წლით პარვარდს ვაგზაენეთ.

შრივი დგას და საყულოს იკეთებს. ვარდისფერი გადახდის მას სათვალეს, თითქოს იმასაც გადავლებია წყალი დაბანისას. ამ დილასაც გინდა გავცდინოთ, მითხრა მან.

— რათ, უკვე გვიანაა?

თავის საათს დახედა; — ხარი იქნება თრ წუთში.

თუ ასე გვიან იყო, არ ვიცოდა-მეთქი. შრივი ისევ უყურებს საათს, მოამრგვალა ტუჩები: — უნდა გავიქცე. დღესაც ხომ ველარ გავაცდენ, ამ დღეებში დევანმა თქვა... — საათი ჯიბეში ჩაიღო. ჩუმად ვარ.

— ჩქარა ჩაიცვი აბა და გავიქცეთ, — დასძინა და გავიდა.

ავდექი და დავბორიალებ. კედლის იქით შრივი ხმაურობს. ჩვენი დიდი ოთახი გაიარა, კარისკენ მიდის.

გავიდა. კალი გაიხურა. მისი ფეხის ხმაღა მესმის ქვედა დეკორაციიდან. მერე ისევ გავიგობე საათის ხმაური. ბორიას თავი გავანუბე. სარკმელთან მივედი და უარდა გადავწიე. ვხედავ, დილის წირვაზე მიბრბიან. გზადაგზა ბელს უცრიან პაჯაკია სახელოებში და იავე და ისევ მიანჯანს. წინემა წიგნებსა და წიგნობა საყელოებს. სპოუდიც გამოჩნდა. შენა ქსათიით პრივი, ასე ნუზბნება ხოლმე. თავი გაანებეთ, პასუხობს შრივი, თავის ჭკუაზეა ეს ბიჭი და არ დასდევს კახა გოგოებს, მისი საქმე არ არისო. ჩვენთან, სამხრეთში უბიწოების სახელი რცხვენიათ ბიჭებსაც და კაცებსაც. ბოდა, რას არ იგონებენ ამის გულისთვის. ქალებიათვის უბიწოება ბევრს არ ნიშნავს, ამბობს მამა, ქალის უბიწოება კაცების მოგონილიაო. ცვლილება ამ მხრივ სიკვდილის დარად მხოლოდ სხვებისთვისააო საგრძნობი. და მე ვუთხარი, ნუთუ ეს არაფერს ნიშნავს-მეთქი. ქალწულობის დაკარგვის გარდა სხვა სადარდებელიც ბევრიაო, თქვა მამამ. იმ გოგოს მაგივრად ნეტავ მე მომსვლიდა-მეთქი ამდაგვარი რამ. სწორედ ეგააო სამწუხარო, ასე მოთხრა მამამ, ვანდ ასე იყოს და გინდ იავე, სულ ერთიაო. შრივმა თქვა, თავის ჭკუაზეა ეს ბიჭი და არ დასდევსო იმ კახა გოგოებს. მე მივუხევე, შენ როდისმე თუ გჯავდა დაი, თუ გყავდა, თუ გყავდა-მეთქი?

სპოუდიც გამოჩნდა. გაყვითლებული ფოთლების კორიანტელში სწორ გზაზე გამოსულ კუს დამსგავსებულს. თითქმის ყურებამდე ჩაურგავს თავი საყელოში, ჩვეულებისამებრ დინჯად მიაბიჭებს. სამხრეთ კაროლენიდან გაზღდაო და უკვე მეხუთე კურსზე იყო. თანაკლუბელთათვის სათაყვანებელი გამბღარა ეს ბიჭი, რაკილა მეხუთე წელიწადია წირვაზე მიმავალი ერთხელაც არ უნახავთ აჩქარებულა და ერთხელაც არ მისულა იქ თავის დროზე, წირვასა და პირველ ლექციაზე ერთხელაც არ გამოჩენილა ისე, რომ პერანკი და წინდები სცმოდა. დაჩლოცებით ათ საათზე თომბსონის კაფეში შეივლიდა, შეუკვეთავდა ორ ფინჯან ყავას, მაგიდასთან ფეხსაცმელს გაიძრობდა, ჯიბიდან თავის წინდება ამოიღებდა და ჩაიცვამდა. ამასობაში ყავაც გაუგრილდებოდა. ასე, შეუდღეს დაინახავდნენ საყელოთანი პერანკით დამსვენებულს. ყველა მიბრბის ახლა ქუჩაში, მაგრამ თავად არასდროს მოუწატებს ნაბიჯს. დაბოლოს აღარაეინ ჩანს გარეთ.

მზის სხივებში გაიფრთხილა ბედურამ. სარკმლის კიდეზე ჩამოასკუბდა, ჩემკენ მთიღერა კისერი მრგვალთვალეებრკიალა ჩიტმა. ცალი თვალით შენომხედა ჯერ და მერე პოი. უცებ მეორე მომაჩერა. ყოველი სულიერის გულისცემაზე უფრო მაღიმაღ უფეთქავს ხელი. ქალაქის საათმა რეკვა დაიწყო. თითქოს ბედურამაც მიაყურადაო, გაისუთა და, ვიდრე რეკვა არ მიხედა, სულ ცალი თვალით მიყურებდა. შემდეგ მოწყდა სარკმლის კიდეც და გაფრინდა.

რეკვა უეცრად არ შემწყდარა. კიდეც დიდხანს იდგა პაერში მისი ხმა. კი არ ისმოდა, შეიგრძნობოდა, ისევე როგორც გრძელ მომაცვდაც სხივებს შერთელი ვუგუნე ყველა ზარისა, რომელთაც კი ოდესმე დაურეკავთ ცისქვეშეთში. და ქრისტე და წმინდა ფრანცისკი ლაპარაკობენ მის დაზე. ვინდაც ჯოჯონეთი იყოს, თღონდ ყველაფერი გათავდეს. მორჩეა. განა შეიძლება რამე აღვილაღ გათავდეს. ნეტავ შეგვძლებოდა ჩაგვედინა რამე შემზარავი და ჩვენ გარდა აღარავინ დარჩენილიყო ჯოჯონეთს. სისხლის ამღრევი მე ვარ-მეთქი, მე, ვუთხარი მამას და არა ის, დოღტონ ეიმში. და როცა დოღტონ ეიმშია, დოღტონ ეიმშია, დოღტონ ეიმშია ჩანდო დამბაჩა ხელში, თითიც არ გამინ-

ბრევიანა, თითოც არ გამინბრევიან იმიტომ, რომ მაშინ ისიც შეთავაზდებოდა იქ ჩვენთან ერთად. დოლტონ ეიმზი. დოლტონ ეიმზი. დოლტონ ეიმზი. დოლტონ ეიმზი. შეგვეძლო ემნა რამე შემზარავისა. მამამ თქვა, სამწუხარო ისაა, რომ კაცი ვერ იქმს რამე შემზარავს, ხვალეც კი ვერ გაიხსენებს იმას, არც მისი მისთვის შემზარავისა. მე ნივუგე, მაშინ ყველაფერს უნდა გავხსნა მისი. მამამ მიბასუხა, მერედა შეძლებო ამას, ჩავიხედავ და დავინახავ ჩემს მოჩუჩულე ძვლებს და ქარქვეშ ქარბაბებზე მოჩქაფუნე ღრმა წყალს. დიდი დროჯამის შემდეგ ამ ძვლების ნაკვალევაც არ დარჩება უკაცურ და შეურყვენელ ქვიშაზე. განკითხვის დღემდე ასე იქნება და როცა ხმა გაისმება, აღსდექითო, უთოლა ამოტივტივდება. კაცი იმ დროს კი არ წახდება, როცა გაიგებს — ვერარა ისნის, ვერც რწმენა და ვერც სიამაყე, არამედ სასო მაშინ წარუკვეთება, ოდეს ჩახდება — აღარც მინდაო თავის შველა. დოლტონ ეიმზი. დოლტონ ეიმზი. დოლტონ ეიმზი. დედა რომ ვიყო მისი, მწოლარე და ტანგახდილი, თავს წამოხდგარ მამაშისა საცილით ხელს ვკრავდი, მოვიწორებდი და ცხადლივ დავინახავდი მის სიკვდილს. ვისაც არასდროს არ უცხოვრია ამ ქვეყანაზე. წამით შედგა ზღურბლზე.

მაგიდასთან მივედი და ისევ ისე ციფერბლატიჩაბრუნებული საათი ავიღე. მცირეოდნავ დავკარ მაგიდის ძგიდეს მისი შინა, ჩავამსხვრიე და ნამუსრევი საფერფლეში ხელით გადმოვწმინდე. ისრებიც დავაგლიჯე და ისინიც ჩავტენე საფერფლეში. წაკწიკი მაინც გაქვს. გამოცარიელებული ციფერბლატი ამოვატრიალე. შიგნით კი წიკწიკებენ და წიკწიკებენ აღარაფრის მეოდნე პაწაწინა თვლები. ვალილუას მიმავეალმა იესუმ ზღვა ფეხით განვლო და არც ვაშინგტონს არასდროს უთქვამსო ტყუილი. სენტ-ლუისის გამოფენიდან მამამ ჯეისონს ჩამოუტანა საათის შანა, სულ პატარა სათეატრო ჭოგრი, რომელშიც გაიხედავ და დაინახავ ცათამბჯენს, ობობას ბაფის სიხსო ეშმაკის ბორბალს, ქინძისთავის ოდენა ნიაგარას ჩანჩქერს. წითლად შეფერიანებულიყო ციფერბლატი. სალოცი თითი ახლალა მეტყინა. საათი დავდე და შრივის ოთახში გავედი, ჭრილობაზე იოდი წავიცხე. პირსახოციო ამოვწმინდე საათის კიდევებიდან შინის ჩარჩენილი ნამსხვრეები.

წყვილი საცვალი. წინდები, საყელოიანი პერანგი და პალსტუხი ჩემოდანში ჩავალაგე. ჩემი ერთი ახალი და ერთი აველი კოსტიუმის, ორა წყვილი ფეხსაცმლის, ორი ქუდისა და წიგნების გარდა არაფერი დამიტოვებია. წიგნები დიდ ოთახში გავიტანე და მაგიდაზე დავალაგე. ისინიც, რომლებიც შინიდან მქონდა ჩამოტანილი, და ისინიც მამამ თქვა, კენტლმენი ძველად მისი წიგნებით იცნობოდა, დღეს კი მის ხასიათს გამცნობთ ის წიგნები, თქვენთვის რომ არ დაუბრუნებიაო. დავხურე ჩემოდანი და ზედ მისამართი დავაკარი. დროს ნეთხედი მიცნობა გარედან საათია. ყურს ვუგლებდი გარინდებული, ვიდრე მისი ხმა არ მიილია.

ვაბანავე და წვერი გავიპარსე. წყალმა ცოტათი ამიწვა ნაჭრილობები და იოდი ისევ წავიცხე. ჩემი ახალი კოსტიუმი ჩავიცვი. საათი ჯიბეში ჩავიდე, მეორე კოსტიუმი და წვერის საპარსი ხელჩანთაში ჩავალაგე. რვეულის ფურცელშივე შევახვიე ხელჩანთის გასაღები. კონვერტში ჩავდე და ზედ წავაწერე მამაჩემის მისამართი, ორი ბარათი დავწერე და დავბეჭდე ორივე.

კიბის საფეხურიდან ჯერ კიდევ არ ვადასულა ჩრდილი. ზღურბლზე შემდგარი ვუთვალთვალე მის მოძრაობას. ძლივს შესამჩნევად მიცოცავს დი-

თანში, ზემს ჩრდილს კი უკან აბრუნებს. გაიქცა თუ არა ის გოგო, იმ წუთას გავიგონე ღრიალი, ვიდრე მივხვდებოდე რამეს, სარკეში ვხედავ გაქცეულს. მკლავზე შლესფადაგდებული ფიცხლივ გარბის, თეთრი ღრუბელივით გაქრა სარკიდან, მიიხვევა, ბრკიანებს გრძელი პირბადე, ბაკიბუკი გააქვს ფეხსაცმლის ქუსლებს, მხარი მოშიშვლებია და მეორე ხელით კაბის მსწორებას, სარკიდან გასორბის, ვარდების, ვარდების სურნელოვან ტევრის, როცა ხმა ისმა ედემს. ვერანდა გაირბინა, მინელდა ქუსლების პაკუნი, ღრუბელივით გაიჭრა მთვარის შუქზე, ჩრდილი პირბადისა მილივლივებს ბაღახზე იმ ღრიალში, ლამის გასხლტეს კაბიდან და ხელში ჩაუბღუჯავს საქორწინო გვირგვინი, მირბის ღრიალში, სადაც ტ. პ.-ია ნამიან მწვანეზე. უუუუ, რა შუშხუნააო, დალიეო, ბენჯი. ყუთის ქვემოდან მოისმის მისი ღრიალი. V-ფორმის ვერცხლის ბექთარშექურვილი ნორბის მამა.

შრივმა თქვა: — კიდევ აქა ხარ... რაო, საით გავიწევია. ქორწილსა თუ პანაშვიდზე?

— ველარ გამოვადგი ტეხი. — ვუთხარი მე.

— კიდევ არ დაგიმთავრებია გამოწყობა, რა დაგეშართა, კვირადღე ხომ არ გგონია დღეს?

— მგონია, პოლიცია არ დამიჭერს ახალი კოსტაუმის ჩაცმისთვის, — ასე მავუგე.

— მართლმორწმუნე სტუდენტებს როგორღა გადაურჩები. თუ ისეთ დიდ გულზე ხარ, რომ ლექციაზე წასვლა აღარ გიხდა?

— ჯერ ვისაუზნებ და მერე. — კიბის საფეხურიდან გადავიდა ჩრდილი. მზეზე გამოვედი და ზემა ჩრდილი კვლავ გამოჩნდა. კიბეზე ჩამოსულმა ცოტათი გავუსწარი ნას. ნახევარი საათი გასულიყო. ზარმა დარეკა და მისი ექო დაინთქა მალე.

დიაკონი ფოსტაში არ დამხვდა. მარკები დავაკარი ორივე კონვერტს და მანაჩემის წერილი გავაგზავნე. შრივისა კი ვულის ჯიბეში ჩავიდე და მაშინ წამომავიდა. სად მყავდა უკანასკნელად ნახაზი დიაკონი. სამოქალაქო ომის ვეტერანთა ფორმაში გამოწყობილს შევხვდი ამ ომში დაღუპულთა ხსოვნის დღისადმი მიძღვნილ ადღუმზე. სადმე ქუჩის კუთხეში ლოდინს თუ არ დაიზარებო, ნახავთ, ყველა ადღუმის მონაწილეა ეს კაცი. კოლეუმბის, ვარიბაღლისა თუ კიდევ ვიღაცის დაბადების აღსანიშნავ ზეიმზე გამოსულიყო ამას წინათ. ქვაბუნა ქუდი ეხურა, სიგარას ეწეოდა და მეზოგებთან ერთად ცოცხლებსა და აქანღაზებს შორის მოდიოდა. მაგრამ ამ ბოლოს სამოქალაქო ომის ვეტერანთა ზეიმზე გახლდათ, და შრივმა თქვა:

— თუ ხედავ ერთი, ბაბუაშენს რა უქნია ამ საწყალი ბებერი ზანგისთვის.

— ვხედავ. — მივუგე მე. — სულ დღესასწაულებზეა ეს კაცი. ბაბუაჩემს უმადლოდეს, თორემ თეთრი ხალხისამებრ მასაც მოუხდებოდა შრომა.

მერე აღარსად მინახავს. ზანგი დაგჭირდეთ და, თუნდაც მუშაკაცი იყოს, მაინც ვერსად ნახავთ, აბა ანაზე რაღა უნდა ვთქვა, ვინც სხვის დათესილს იმკის. ტრანვიი მოვიდა. დავჯექი და ქალაქს წამოვედი. პარკერთან ერთი გემრიელად შევჭამ-მეთქი. საათის რეკვა გავიგონე საუზნობისას. თუმცა ერთი საათი რა სახსენებელია, როცა მრავალი ათასი წელიწადი დაუნთქავს დროის მარადიულ მიდინარებას.

საუზმეს რომ მოვრჩი, სიგარა ვიყიდე. გოგომ მითხრა, საუკეთესოს შე-  
გირჩევთო ორმოცდაათ ცენტად. გამოვართვი, მოვუკიდე და ქუჩაში გამო-  
ვედი. იქვე შევჩერდი, ორი ხაფაში დავართყი და მერე იმ სიგარით ხელში  
მოსახვევიაკენ გავწიე. მესაათას ვიტრინას ჩავუარე, თავი მოვატრიალე იმ  
წუთას. ქუჩის კუთხეში, აქედან და იქიდან ფეხსაცმლის მწებნარებს ვხედა-  
დგნენ, მომაჩხავლეს ყვავებასნაირად. სიგარა მივეცი ერთს, მუხრანის  
ცენტი და თავი გაპანებეს. მიმავალმა გავიგონე, პირველმა უთხრა მეორეს,  
ამ სიგარაში მომეციოთ ეგ ზუთი ცენტი.

საათი დავლანდე ძაღლა, მზის სხივებში, და ასე გაეიფიქრე, კაცს რა-  
იმეს გაკეთება თუ არ უნდა, ხემა-უნებლიე ტანის მაინც თავისას მოსთხოვს-  
მეთქი. კისრის კუნთი დამეჭიმა თავის მისაბრუნებლად და მაშინ ამომესნა  
ჯიბიდან საათის წიკწიკი, მისი ხმაღა მესმის, მეტი აღარაფერი. განოვტრი-  
აღდი და იმ ვიტრინასთან მივედი. ვიტრინის იქით მესაათე ხის თავის მაგი-  
დასთან. თმის ცვენა დაწყებოდა. თვალზე მიემაგრებინა ლუბა — სახეში ჩახ-  
რახნილი ლითონის წილი. შევედი.

თითქოს სექტემბრის თვეში ტრიჭინობელები ტრიჭინობეხო ველად, ისეთი  
ხმაური დამდგარიყო ოთახში. მესაათის უკან კედელზე დაკიდებული დიდი  
ყაათის მნაღა მესმოდა გარკვევით. ლუბაში ცისფრად აუბრიალდა და აუთა-  
ნამდა ვეუბერთელა თვალი, როცა ამოჩხვდა. საათი ამოვიღე და გავუწოდე,  
გამიტყდა-მუთქა.

შეატრიალ-შემოატრიალა ხელში, რა მოუვიდა, ფეხი ხომ არ დავიდგა-  
მთო?

— დიან, სიბნელეში ხელი წამოვდე და მაგიდიდან გადმოვარდნილს ფე-  
ხი დავადგი. თუშკა მაინც მუწაობს.

სახუთავი წაახსო და წიგ ჩაიჭვრიტა. — ისეთი არაფერი უნდა იყოს.  
თუშკა ასე უცვბ რას მიხვდება. შუადღით ვნახავ.

— მერე იყოს, მერე მოვიტან, — ასე ვუთხარი, — ვიტრინაში რომ სა-  
ათებია, ზუსტ დროს თუ აჩვენებთ რომელიმე?

ხელისგულზე უდევს ჩემი საათი, ამომცქერის და ვხედავ — უბრიალებს  
და უთამაშებს თვალი.

— იც ერთს დავენიძლავე, — ვუბნები, — სათვალე კი წინ დამრჩა ამ  
დილით.

— კი, ბატონო, — მიპასუხა და საათი მაგიდაზე დადო, წამოიწია და  
გადაახედა. შემდეგ კედლიაკენ მიტრიალდა, — ოცო წუ...

— თუ შეიძლება, — ვთხოვე მე, — დროს ნუღარ მეტყვით, მხოლოდ ის  
მითხარით, სწორედ თუ მუშაობს რომელიმე.

კვლავ შემომხვდა. დაჯდა და ლუბა მუბლზე აიტანა. წითელ რგოლიდ  
დარჩენოდა მისი ნაკვალევი თვალის გარშემო. მალე კი გადაუვიდა ეს ნაკვა-  
ლევი და სახე მოუშიშვლდა თითქოს. — დღეს თქვენ რას ზეიმობთ? — ასე  
თქვა, — ნიჩბოსანთა შეჯიბრება ხომ იმ კვირასაა?

— არა, ბატონო. მხოლოდ ჩემი ზეიმია. დაბადების დღე მაქვს. რომე-  
ლიმე სწორი თუ არის-მეთქი.

— არა. ჯერ კიდევ გაუპართავია ესენი და თუკი რომელიმეს იყიდით...

— არა, ბატონო, საათი არ მინდა. დიდ ოთახში ერთი კი გვიდგას. დამ-  
ჭირდება და ამას გავაკეთებინებ, — ხელი გავიწვდიხე.

— სჯობს ახლა დამიტოვოთ.

— მერე იცოს, მერე მოვიტან, — საათი დანიბრუნა. ჯიბეში ჩაფარდა, ამდენ ტაკატუკში მისი ხმა აღარ შესმის. — მადლობელი ვარ თქვენა, ბევრი დრო ხომ არ დაგაკარგვინეთ?

— რას ბრძანებთ. როცა გნებავდეთ, მაშინ მოიტანეთ. არ თქვენს დასაღების დღე რომ გადავდლოთ, კარგი იქნებოდა — ჩვენი ნიჩბოსნები გაიმარჯვებენ და ერთად ახეინებდით ბარემლა.

— დიახ, მართლაც ასე ვიზამ.

გარეთ გამოვედი, ქარი გამოვიასურე და ის ტაკატუკიც შეწყდა. მივტრიოლდი და ვიტრინას შევხედე. მესაათე მიყურებს. ვიტრინაში თორმეტიოდე საათი მაინცაა და თვითფული სულ სხვადასხვა დროს გვიჩვენებს მტკიცედ და დაურიდებლად, ჩემი უისრებო საათის მსგავსად. ბრძოლა გაემართათ ერთმანეთში. ჩემს კი ჯიბეში გააქვს წიკწიკი, თუმცაღა არც არავინ ზედავს და რომც დაინახოს, ვერც ამცნობს ვერაფერს. თუ ყიდვია, აი, იმ საათს გამოვართმევდი-მეთქი, ვავიფიქრე. მამას უთქვამს ჩემთვის, საათები დროს ბკლავენო. მერე დასძინა, დრო მანამდეა მკვდარი, სანამ პაწაწინა თულები წიკწიკება, ვახერხდება საათი და დროც მაშინვე ცოცხლდებათ. იმ საათის ისრები ქარში მთლივლივე თოლის მცირეოდნავ დაშვებულ ფრთებივითაა. მთელი ჩემი საღარღებელი ჩაჭდეულა საათის კრიალა ზედაპირზე, ზანგების თქმათ, წყლისპირს ახალი მთვარე ასე ჩაეჭდევა ხოლმე. სამუშაო განევრძო თავის დახეაზე დახრილ მესაათეს, მთლად ჩაბრახნია თვალში ლუბა. თმა შუაზე აქვს გაყოფილი, მელთტი ადვილისკენ მიიწევა თმის გამყოფი ზოლი დეკემბრის თვეში ჭანჭრობის დასაშრობი არხის მსგავსად.

ქოჩის მეთრე მხარეს რკინა-კავეჯლის მაღაზია დავინახე. თურმე წონით ბჟიდიან აქ უთოებს.

გამვიღველნა თქვა, ათ ფუნტს იწონისო ზოგიერთი. მაგრამ დიდზე დიდი კი ჩანან. ცოტა უფრო მცირე ზომის ორი ექვსფუნტიანი უთო ვიყიდე. ქაღალდში გახვეული წყვილი ფეხსაცმელი ეგანება კაცს, ილიაში ამოღებული. კარგა მძიმეა ორივე ერთად და მამის ნათქვამი გამაძსუნდა *reducto abstrahunt* კაცობრიობის გამოცდილების შესახებ და ასე ვავიფიქრე. მარგარდში ჩემს სწავლას სწორედ ეს მიუდგება-მეთქი. მესაილთა ერთი ან სულაც ორი წელაწადი კიდევ რომ მესწავლა იქ, მაშინ უფრო მეტად იქნებოდა-მეთქი ამის შესაწონისი.

მაგრამ საკმაო წონისაა კი არიან ხელში. ტრამვაი მოვიდა. დავჯექი. ნომრისთვის არ შემჩხედავს. ხალხითაა სავსე. კარგად აცვია უმეტესობას და გაზენს კათხულობენ. თავისუფალი ადვილი ერთი ზანგის გვერდითაა. შლაბა ახურავს, ფეხსაცმელი უპრიალებს, ჩანჭრალი. გალუული სიგარა უკავია ხელში. სამხრეთელ კაცს ზანგთა საკითხი სულმოდამ გულს უნდა მიმღვრევდეს-მეთქი. ასე ვფიქრობდი. ჩრდილოელთა მიხედვითაც სწორედ ეს ამბავი უნდა მაწუხებდეს. აღმოსავლეთს ჩამოსული კი დღენიადავ ვეუბნებოდი ჩემს თავს, ზანგებად სუ მიიჩნევ ამ ხალხს, ფერადკანიანებად ჩათვალე ისინი. კიდევ კარგი, ბევრი არ შემხედრია იქ, თორემ ამაოდ დავხარჯავდი აუარება დროს თავგზააბნეული, ვიდრე გამოსავალს ვნახავდი და მივხვდებოდი, გინდ თეთრა და გინდ შავი კაცი ნახი არშინით უნდა გაზომო და მორჩა, თავი ვაანებო მერე. მაშინ იმასაც მივხვდი, რაღაც ხორციელი პიროვნება კი არ

გახლავთ ზანგი, არამედ თეთრი ხალხის ნაფიქრ-ნავრძნობშია უილიამს. პირველად ასე შევკობა, რაკილა სწორედ ასეთი აზრისა არიან ჩრდილოელები; კარგად ითვობენ ფიქნები, თუ ჩემ გარშემო ბევრ ზანგს არ დაეინათესა ნათქავე. მაგრამ ეს კი არ ვიცოდი, მართლა ასე თუ მომენატრებოდა ფიქნები, როსკუსი, დილნი და სხვები. ამას მაშინ ჩავხვდი, როცა არდადეგებზე წამოვედი და დილით ვარჯინიაზე გამომეღვიძა. მატარებელი გაჩერებულყო, ფარდა გადავწიე და გარეთ გავიხედე. სწორედ რკინიგზის ისართან დამდგარიყო ჩვენი ვაგონი. თეთრად შეღებილი ორი ღობე აწოწილი რქების მსგავსად ვაგონის საფეხურიდანვე მიპყვებოდა გორაკს. შუა გზაზე, გაყინულ ნაურმალში მატარებლის დაძვრას ელოდა სახედარზე მჯდარი ზანგი. რამდენა ზანი იდგა აქ, არ ვიცი. მაგრამ ეს კია, სახედარიცა და საბნის ნაგლეჯით თავშეხვეული კაციც თითქოს ამ ორღობეს, შარასა და გორაკთან ერთად შექმნილიყო, ღობისგან გამოეკვეთათ და აქ დაედგათ, შინ დაბრუნება რომ გამცნოს. ზანგი უუნავაროდ იჯდა და თითქმის მიწას სწვდებოდა ფეხებით. სახედარი კურდღელს დამგვანებოდა. სარკმელი გავაღე.

— შეი, ბიძია! — გადავიძახე. — რა გზაა ეს?

— რა ბრძანეთ, ბატონო? — ამომხედა, საბნის ნაგლეჯზე ხელი წაივლო და ყური მოიშისულა.

— საშობაო სამუჭარა მერგება თქვენგანს! — ასე ვუთხარი.

— მართალს ბრძანებთ, ბატონო, დამასწარიოთ და კიდევაც გერგებათ.

— მაგრამ შე გადავიბღია ამჯერად, — თართლან შარვალი დავითრიე და ჯიბიდან ოცდახუთცენტიანი ამოვიღე, — ოღონდ მეორედაც არ მოგივიღეთ ეს. შობის შემდეგ ორ დღეში გამოვივლი და აბა თქვენ იცით, — ფული გადავუგდე, — რამე იყიდეთ საშობაოდ.

— დიახ, ბატონო, — ჩამოვიდა სახედრიდან, ფული აიღო და შარვლის ტოტზე შეიწმინდა, — გმადლობთ, ჩემო: ახალგაზრდა ბატონო.

მატარებელი დაიძრა. სარკმლიდან სუფთა ჰაერზე გავყავი თავი, უკან ვიშჩირები. დგანან ის და მისი ვაძვალტყავებული, კურდღლისყურა სახედარი. ვხვდავ ორივეს, უსასოთო, უშოძრაოთ და ბედის მორჩილო. მატარებელი მიდას, მიაგრავნება, მძიმედ მიიხვნეშის ორთქლმივალი და ნელიად ეფარებიან ისინი თვალს. ვისი ღირსებაც ბავშვურ, მეტიხსმეტ უსუსურსა და უსაზღვრო მოთმინებაში, წარუვალ უშფოთველობაშია საძიებელი. და ამავე დროს რა თავდადებულნი არიან იმასთვის, ვინც ყველაფრის მიუხედავად უყვართ, ვისაც თვალისჩინივით უფრთხილდებიან და ვისაც ქურდავენ სულმუღამ, ხოლო მოვალეობათა მოხდასა და დავალებათა შესრულებას აგრე უტიფრად გაუბიან, რომ ამას ჩვეულებრივ ეშმაკობას ვერ დაარქმევ; და თუკი ჩაიჭერ ამ ქურდობაში და უჭმად მყოფსაც მიუსწრებ, თქვენი ამ გამარჯვებით აღფრთოვანებული, ვულწრფელად გაიხარებს მსგავსად ამ ჩენტლმენისა, რომელმაც დამარცხება იწვნია პატიოსან თამაშში. კეთილი გულითა და მოთმინედ ხედვებიან თეთრი ხალხის ხუშტურებს, სწორედ ასე უხუარებენ ბაბუა და ბებია თავიანთი ეშმაკის ფეხი შეილიშვილების ცელტობას. მატარებელი მიქროდა ღრმა ხევებსა და გორაკებში, ბორბლებას ზათქი და გრუხენი ნაუწყებდა მის სრბოლას, შარადიულ მთებს კი ცამდე აეზიდათ მწვერვალები და ამ ხმაურში მთელი დღე შეგონდებოდა ჩემი სახლი, ჩაყალტამებული სადგური და ტალახი, ზანგები და სხვანი, ნელ-ნელა რომ დასე-

ბრძოლებს მოედანზე, სადაც იყიდება სათამაშო ნაიმუნები, პაწაწინა ფურ-  
გონები, შაქარყინული და რომაული სანთლები, და თითქოს სკოლაში ვიყო  
და წესგენების ზარს მოველოდე, ისე ვარ აფრთოვანებული სიბნელით.

სანჯერ დაჭრაჲდა საათი და დავაწყებდი თითებზე თვლას, ამოცამდე  
უნდა დამეთვალა. ახლა კი, ვფიქრობდი, თოთხმეტი დამრჩევიყო თო-  
თხმეტი, ცამეტი, თორმეტი, რვა, შეიდი... ვითვლიდი, ვინეზი... ვინეზი-  
გრძნობდი გაფაციცებულ მღუპარებას, და ვიტყოდი: „დიახ, ქალბატონო-  
მეთქი?“ „შენ ხომ კვენტინი გქვიაო“, მკითხავდა ლაურა მასწავლებელი. სას-  
ტიკად გაფაციცებული მღუპარება კვლავ ისადგურებდა და აწეული ხელები  
შერათოდა მას. „ანა ერთი შეახსენე კვენტინს, მდინარე მდისიანი ვინ აღმო-  
აჩინა, ჰენრი“. „დე სოტომ“. თვალები აღარ მიწვრტვნიდა. ვაითუ ჩამოვრჩი და  
სწორედ ვეღარ ვიხვედი-მეთქი. ახლა კი ვაითუ ვჩქარობ, კი, ნამდვილად ასეა,  
უფროს ნელა უნდა დავითვალა, მაგრამ ვაითუ ისევ ნელა ვითვლი, ცოტა  
უფროს ჩქარა უნდა-ნეთქი. ზარის დრო ერთხელაც ვერ გამოვითვალე ზუს-  
ტად, და ბრავარუგით დაიძრებოდნენ ფეხები, მაშას რომ გრძნობდნენ გა-  
დაღეული იატაკის ქვეშ. ბრთლივით საამურად წქარუნობდა დღე, გული  
ნიფრთხილდებდა, თუმცა წყნარად კი ვიჯექი. წყნარად კი ვზივარ, მაგრამ  
ვეღარ ვჩერდები. წამით ზღურბლზე შედგა, ბენჯიო, ეს კი ღრიალებს. ბენჯამინ,  
შენმა ცოდვამ მომინელაო მოხუცი ქალი. ღრიალებს. კედი, კედი-მეთქი!

წავალ და გადავიკარგებო. ბენჯი ატირდა, მოვიდა კედი და ხელი მო-  
კიდა. კარგი, აღარ წავალ, გაჩუმდით, გაჩუმდა. დილხი:

გუშანით ხვდება შენს ნათქვამს, ვურიც დაგდება და ძახუხის გაცემა არც  
კი სპირდებაო.

თავის ახალ სახელს თუ ხვდება გუშანით, უბედურებას თუ ხუბნებაო  
გუფლი?

აინდ ბედნიერი ყოფილა, აინდ უბედური. მაგისტრის ხუფ ერთიაო.

მაშ რაღად შეუცვალეს სახელი, თუკი ხუფ ერთიაო?

ტრამვაი გაჩერდა, დაიძრა, წავიდა, ისევ გაჩერდა. სარკმლებს იქით ხალ-  
ხის თავებს ვხედავ, ვერ კიდევ გაუხუნარი ჩაღის ქუდები ახურავს ყველას.  
ქალებიცაა ახლა აქ, საბაზრო ჩანთები უკავიათ ხელში, მუშებიც უფრო მეტ-  
ნი არიან, ვინემ მრიალა ფეხსაცმლებსა და თვით საყელთიან პერანგებში გა-  
მოწყობილი კაცები.

ზანგი შეშვხო მუხლზე, უკაცრავადო, მითხრა. წამოვიწიე და გავატარე.  
ზღუდის გასწვრივ მივეგრუხუნებო, ვაჯონშივე გვიბრუნდება ეს გრუხუნი, მო-  
ატენა ჩანთიან ქალებსა და იმ კაცს, ვისაც დალაქული ქუდის ზონარში ჩი-  
ბუნი გაურკვეია. წყალია ახლოს, ვგრძნობ. გარღვეულ ზღუდეში შევასწარა  
თვალი მდინარეს, ორანძა ნავს, ფრთავაშლილ თოლიას, თითქოსდა დავა-  
დულს ამ ანძებს შორის გაჭიმულ უჩინარ მავთულზე. ჯიბე მოვისინჯე, სადაც  
წელან წერილები ჩავიდე. ტრამვაი გაჩერდა და ჩავედი.

შაუნის გასაშვებად ხიდი გადაეხსნათ. საბუქსირთ კატარღა მიაცვრებს  
თუნთუხითა და ბოლის ფრქვევით წხუნას. ღიხს ასევეს წელზევით ტიტველი  
კაცი. თამბაქოსფრად გაურუჯავს იგი მზეს. მეორეს ძირგავარდნილი ჩაღის  
ქუდი ახურავს და საჭესთან დგას. გადახსნილ ხიდში ღანდისნაირად გაიარა  
გემმა ურალქნო ანგებითურთ. თითქოს სათამაშოებივით გადაბმულანო, ისე  
ფრთხილდებს საში თოღსა.



დაუშვეს ჩიდი და მია ნეორე ნაწილზე გადავედი. მოაჯირს დავეყრდენი და ქვენთა ვიშორები, სადაც სადგურია და უკაცური ტივი, სათავსის კარიც გამოცეტილია. საღამოს პირზე გამოვლენ ჩვენი ნიბოსნები, ახლა კი ისე ნებენ. წყალზე ხიდის, მოაჯირისა და ჩემი ჩრდილია, ადვილად მოვატყუე და ვეღარსად წამივა იგი. ორმოცდაათი ფუტი სიგრძის ნაინც მარჯვენა მხარე რამ მქონდეს ისეთი — დავაჭირო და იქამდე მეჭიროს, ვანც მარჯვენა მხარე თითქოს წყვილი ფეხსაცმელი იყოს, უთოებს ჩრდილიცაა წყალზე. ჩანგებიც ამბობენ, სულმუდამ დარაჯობსო დამხრჩვალ კაცს მისი ჩრდილი. წყალი იპვრის და ლეღივებს, თითქოს სუნთქავს. ტივაც ხან აიწვევა, ხან დაიწვევა, თითქოს ასიც სუნთქავს ასევე. ხანახნუროდ ჩაძირული ფიცრის ნამსხვრევები მიიწვევა ზღვისკენ, ზღვის მღვიმეებსა და ქვაბოვანებში დასაჯარგავად. ამის და ამის გამოკლებით ამას და ამას უდრისო გამოდევნილი წყლის წონა. *Reducio absurdum* სოვადკაცობრიული გამოცდილება და ორი ექვსფუნტიანი უთო უფრო მეტს იწონია, ვინემ ერთი დადი უთო თერაისა. ყუელის ყაღრი რომ არ იცი, ეს მძიმე ცოდვიაო, ასე იტყოდა დილზი. ბებია რომ მოკვდა, ბუნჯიმ იგრძნო. **ნიხვლა რაღაცას, მიხვლა რაღაცას.**

საბუქსირო კატარღა ბრუნდება და მიაჩნევს წყალს. ორი ვრცელი ტალღა ანთაბურცა, დაბოლოს ტივის მოატანა, შლაპუნით წამთაფერდა. კრიალ-კრიალით გაიღო კარი და ორხა გამოჩნდნენ ანაზდად ერთკაციანი ნაეითურთ, წყალში ჩაუშვეს და იმ წუთას ბლუნდიც გამოვიდა ხელში ნიხებმომარჯვებული. ფლანელია შარვალი, ნატრისფერი ქურთუკი აცვია და ჩაღის ხეშეში ქუდი ახურავა. დედამისს თუ თავად მას წაუკითხავს, ოქსფორდელი სტუდენტები ფლანელის შარვალსა და ჩაღის ქუდებს ატარებენო. სწორედ მარტის თვეში უჯიდეს ჯერალდს ნავი და ისიც ფლანელის შარვალსა და ჩაღის ქუდში გამოწყობილი მოვიდა. პოლიციელს დავეუბნებთო, იმუტრებოდნენ აქაური ნიბოსნები, მაგრამ აინუნში არ ჩაუვლია ეს მუქარა. დედამისიც გახლდათ აქ, ქურჭი ისეთი მოღსხა, არქტიკის მკვლევარი არ დაიწუნებდა. შვილია საცქერლად ჩამოსულიყო ეს ქალი. ძლიერი ტარი ტროლა და გაზინზლული ცხვრებისაირად დააცურებდა ყინულის ნამუსრევს. ღმერთი არა მარტო ჯენტლმენი და სპორტსმენია, კენტუკიელიცაა-მეთქი, ასე ვფიქრობ მას შეგდეგ. შვალი ნავში ჩაჯდა და გზას გაუდგა. დედამისმა გორაკს შემოუღარა მანქანითვე და გაუყვა მდინარის სანაპიროს იმ მხარეს, საითკენაც მისი პარშუო მიცურავდა. ამბობენ, კაცს ასე ევონებოდა, ერთმანეთი არასტრის უნახავთო, მეფე-დედოფლის მსგავსად თვალს არიდებდნენ ერთმანეთს და გვერდიგვერდ ისე ტრიდნენ მასაჩუსეტს, როგორც ცარვალს რომელიმე წყვილი პლანეტა.

მოუხვა და მოუხვა ნიხებია, კარგადაც უსვამდა ახლა. სწორედ ასეც უნდა ვიფილიყო. დედამისმა სკიდა, ნიბოსნობისთვის თავი დაენებებინა და სხვა რაიმეში დაეწყო ვარჯიში შვილს, რაღაც ისეთი ატრია, რაც მის თანაკურსელებს არ მოსწონდათ ან არ შეეძლოთ. მაგრამ ამჯერად სიჯიუტე გამოიჩინაო, ასე ამბობენ. ანელი კია მის საქციელს სიჯიუტე დავარქვათ, რადგან ამ ვულასუფებულ ბიჭს მოწყენა გადაჰყენოდა ქერა თმის ტევრითა და გრძელწამწამიან იაფფერ თვალებით დამშვებებულ სახეზე. ნიუ-იორკში შეკერილ ტანისამოსს იცვამდა მარადღე ეს ყმაწვილი და დედამისი უნად გაიჭრიფებოდა ხოლმე, როცა ჯერალდის ცხენებზე, ჯერალდის ქალებზე ლაპა-

რაკობდა. ხოდა, ამ ბიჭის კემბრიჯში სწავლის ამბავს რომ გაიგებდნენ, სიხარულით აიფრთხილებდნენ კენტუკიელი ქმრები და მამები. ქალბატონმა ბლენდმა ბინა უჭირავა აქ, ქალაქში. საკოლეჯო ოთახის გარდა, ჯერალდს კიდევ ჰქონდა ცალკე საცხოვრებელი. ჩემი და ჯერალდის ამხანაგობა მოიწონა მე ხომ ასე თუ ისე noblesse oblige\* შესმოდა, და თანაც წაისონეს კენტუკიის საბჭოთით ვიყავი დაბადებული. კიდევ რამდენიმე აღსანიშნავი მოხდა თავისი შვილის მეგობრად, რომლებმაც (სულ მცირეოდნავ მაინც) დააკმაყოფილეს ამ ქალის გეოგრაფიული მოთხოვნები. ერთი სიტყვით, არაფერს ამბობდა, ნელთბილად ეკიდებოდა ჯერალდის ამხანაგებს, მაგრამ ერთხელ სამლოცველოდან გამომავალი სპოუდი რომ დაინახა... სპოუდმა კი თქვა, ის კაი სულს ქალი არააო, ვინც შუალამით... ამ ქალს ვერა და ვერ მოუწილებია, სპოუდის გვარს რომ კიდევ ოთახი სახელი ერთვია და მათ შორის ისეთი, რომელსაც დღესაც დღეგრძელა ინგლისელი ბერძნოვები ატარებენ. ქალბატონი ბლენდი იმითდა იმშვიდებდა გულს, ნამდვილად რომელიმე წყალწაღებელი მიწიდან ან მორტიმარი გადაეკიდებოდა ვიღაც კარისკაცია გოგოს. თვითონ მოიგონა ეს ამბავი, თუ მართლა ასეა, ამას მნიშვნელობა არა აქვს. მათდღიოს ჩემბიონი გახლდათ სპოუდი შარახეტიებს შორის, არას დაგიღვევლათ შარათა ხვეტას წესებსა და ხერხებს.

ნათი ახლა წერტილივით ციმციმებდა, თანაბრად ეღაფდა მისს სხივებზე ნიხებში, თითქოს თვალს უბატუნებდა ვიღაცას შორეთში. გყავდათ თუ არა თქვენ დაი? არა. თუმცა ყველა კახბაა. გყავდათ-მეთქი თუ არა თქვენ დაი? ზღურბლზე შეყოვნდა წამით. კახბები. კახბა არ არის, კართან რომ შეყოვნებულა წამით. დოლტონ ეიმში. დოლტონ ეიმში. ნამიკაცების პერანგები „დოლტონის“ ფარმისა. ნიადაგ ასე ეფიჭობდო, ხაკისფერისანი არიან, ხაკისფერისას ამხადებენ-მეთქი, ვინემ არ დავინახე მკვრივი ჩინური აბრეშუმისა და მშვენიერი ყვანელისაგან შეკერილები. ჩაიცვამს კაცი ამას და სახე ლანახად გარუჯული, ხოლთ თვალები მთლად ცისფერი გამოუჩნდება. დოლტონ ეიმში. სულ ცოტაც და დახვეწილი იქნებოდა მართლაც. სცენაზე გამოსატანად გამზადებული, შეყაოსაგან ნაკეთები ეგონებოდა კაცს. მაგრამ შეგებობდი და პიი, ასბესტისა იყო თურმე. ბრინჯაო რა სახსენებელია. მაგრამ შინ ერთხელაც არ მოუყვანია ის ყმაწვილი.

ნუ გავიწყდება, რომ კელი ქალია. ისიც უნდა გახსოვდეს, რომ თავისი ქალური მიზეზები აქვსო.

შინ რად არ მოგყავს, კელი? ზანგის გოგოსაგით შენც ბნელ ტყეში, სადმე ბუნჩის ძირას ხომ არ უნდა გააკეთო მთლად წამონთებულმა, ბნელ ტყეში-მეთქი.

კარგა ხანია მესმის საათის წიკწიკი და, მოაჯირზე მკერდით მიყრდნობილი, ვგრანობ წერილის ტყაცუნს, ჩემგან აგრე მთლთრებულ ჩრდილს ჩავყურებ, მერე მივყვები მთაჯარს. კოსტიუმში მუქი მაცვია და არა უშავს, მერე ხელეხსაც გავიწმენდ, მივდივარ და ჩავყურებ ჩემს აგრე მოღორებულ ჩრდილს. სანაპიროზე გამოსულს ჩრდილი შემომიერთდა. აღმოსავლეთიკენ გავწიე.

პარვარდში პარვარდშია ჩემი ბიჭი პარვარდში იმ ბუნჩებთან დღაპა

\* აქ: ციხეგრისსახლიანთა მოვალეობა (ფრანგ.).

ტერადა აღსებით გაწყობილ სარბენ ბაღებზე შეხვდა ის გოგო, ვითარცა ფინიას, სტვენით უხმობდა მას ღობესთან მიმჯდარი, სასაღილო ოთახში არა ლა არ შემოდის. გოგოს ნიტყუება უნდაო როგორმე, დააკენს დედამ, ვერა-ვინ დაინახოს, ისე უნდა დაიმარტოხელოსო. მაგრამ ასე ხომ ყველა არამზა-და ის კი სარკმლის ქვეშით უუთს უკან გდია და ღრიალებს ვაჟიანით, მის-რიალდა საღილეში ყვავილგარტობილი. ჰარვარდი. შერბერტ. ეს კვენტინია. ჰარვარდელი ბიჭი მყავს მე. შენი უფროსი ძმა იქნება შერბერტი, ბანკში მისცემსო იგი სამუშაოს ჯეისონს.

მარწმუნებელი. ცელულოზისნაირი, ვითარცა კომიუნიკატორი, თუმცა არ იცინის, ყველა კბილი უჩანს თეთრად. ბევრი მსმენია მე მის შესახებ. ყველა კბილს ატენს, და არ კი იცინის. მანქანას შენ წაიყვანო?

დაჭეჭიო, კვენტინ.

ეს მანქანა მისია საკუთარი გიხაროდეს შენს დაიკოს მთელ ქალაქში პირველსა მყავს მანქანა — შერბერტის ნაჩუქარიო. ყოველ დღიას ლუისი ახწავლეს ტარებას რაო წერილი არ მიგიღიაო ბ-ნი და ქალბ-ნი ჯეისონ რიჩ-მონდ კომპსონები ათას ცხრასას ათი წლის თვდახუთ აპრილს მისისაპის შტა-ტის ქ. ჯეფერსონში გეპატიყებიან თავიანთი ქალწულისა — კენდებისა და ბ-ნ სიდნეი შერბერტ შედის ქორწილზე. ხოლო პირველი ავვისტოდან ისინი იცხორებენ ინლიანას შტატში. ქ. სალთ-ბენდს ამა და ამ ქუჩაზე და ამა და ამ სახლში. შრიქმა მოხრა, მაგ წერილის გახსნას არ აპირებო? სამი დღე. სამჯერ ბ-ნი და ქალბ-ნი ჯეისონ რიჩმონდ კომპსონები ყმაწვილ ლონინგარს ნაადრევად მოუხდა გამეზავრება დასავლეთიდან, არა?

- მე სამხრეთელი ვარ. ოხუნჯობ ვითომ?
- ჰოი, როგორ არ შეხსოვს, რომელიღაც მივარდნილი სოფლიდან ხარ.
- ნახხარა ყოფილხარ. შენ აქ კი არა, ცირკში უნდა იყო.
- ნამყოფი ვარ. აპილოს რწყილებებისთვის წყალი უნდა დამელევინე-ბინა და ამ სამუშაოში მთლიან გამოყუჭა თვალეები სამჯერ ამ სოფლელ გოგო-ებთან ვერაფერს გახდები. მადლობა დმურთს ერთხელაც ვერ შეიპრულა სურვილი ამ ჩყენმა ბაირონიმა. ხათვალთან კაცს ნუ დაარტყამ. მაგ წერილის გახსნას არც აპირებ. ხომ? მაგიდაზეა ეს წერილი საბოლოო ართია მაგიდის ოთხზე კუთხეში კონვერტზე კი ვარდისფერი ჭუჭყიანი წვივსაკრავით შეკრუ-ლი ორი ხელოვნური ყვავილია სათვალთან კაცს ნუ დაარტყამ.

ამ საწყალ გლეხუჭებს არც არასდროს უნახავთ მანქანა ხედავ რამდენია საყვირს დაატირე კენდებისი ჰო მასე კელი მე არც მიუხრებს და გზას დაგიაშო-ბენ არც კი მიუხრებს მამაშენი რას იტყვის თუ ვაკრავ ვინმეს რაღა ჩარაა ნა-ნაც უნდა იყოლოს მანქანა შერბერტ კორტასი კი გავკადიზიანა თქვენმა საჩუ-ქარმა მაგრამ რაღა თქმა უნდა ბოლოს ნასიამოვნები დავრჩით ჩვენ კი გვაქვს ეტლი და მინდა ხშირადაც ვისვიარნო თღონდ ვიცი მოვაცდენ მაგ ზანგებს და ბ-ნ კომპსონს არ მოეწონება ეს ამბავი თუმცა კი შეუბნება თუ რამე დაგ-ჰარდება იმ წუთას როსკუსს დაუძახეო მაგრამ კარგადაც ვხვდები ყასიდად ნათქვამს ნუთუ თქვენც ავრე მოეჭივებით შერბერტ ჩვენს გოგონას ჩემს პა-ტარა კენდების თუმცა ვიცი რომ არ გავგწირავთ შერბერტ მე ხომ წერილი მოგწერე კვენტინ ჯეისონის შესახებ გწერდი დაამთავრებს სკოლას და შერ-ბერტი მაშინვე თავის ბანკში მიიღებს სამუშაოდ კარგი ბანკირი დადგება ჯეისონისაგან ჩემი ბავშვებიდან მხოლოდ მამა აქვს სალი ქეთა და მე

უნდა მიზიდულიყო ამას ბესკონების გვარისა ეს ბიჭი სხვა ყველა კომპსონების ჯიშზე წავიდა. ფქვილი ჭეისონისა იყო. ქაღალდის ფრანებს უკმა ივიანზე აკეთებდნენ და ხუთ ცენტად ჰვიდდნენ ის და პეტერსონის ბიჭი. ჭეისონი გახლდათ ხაზინადარი.

ერთი ზანგი არაა ამ ტრამვაში და ჯერ კიდევ გაუხუნარი კომპსონების ცურავს სარკმლებს ქვეშით. ჰარვარდს მივდივარ. ჩვენ ვაგვიდეთ ბენჯინს წევს მიწაზე სარკმლას ქვეშით და ღრიალებს. ბენჯინს საკუთრება საბადასო მინდორი ვაგვიდეთ კვენტინი რომ ჰარვარდს წასულიყო იმა იქნება ეს თქვენნი, უმცროსი ძმა.

მანქანა უნდა გვადეთ თქვენ ისე ვაგვიჩივრებთ ხომ ასეა კვენტინ ბატონო კვენტინის ნაკვლად უბრალოდ კვენტინს გეძახით თქვენზე კენდეისისაგან ბევრი რამ გამოვიწვია.

აბა როგორ დიდი მეგობრობა გმართებთ თქვენ ჩემო ბიჭებო კენდეისი და კვენტინიც სომ დიდი მეგობრობა არიან ცუდი ამბავი მომივიდა მამა ვწუხვარ, რომ არ გყავთ არც ძმა და არც დაი, არც დაი არც დაი არც დაი არა ვყავთ კვენტინს ეს ჩემზე ხუთჯერაჯერს კითხავთ ისა და ბ-ნი კომპსონი შეჩქვიფდებიან ბოლზე ჩემს დანახვაზე როცა ძალის მოვიკრებ და ქვეშით ჩამოვალ სუფრაზე ავირად დამიჯდება ეს ყველაფერი და როცა თქვენ წაიყვანს ჩემს პატარა გოგოს, ჩემს პატარა დაიკოს სულ არავინ შეაფლა. ნეტა კი შემძლებოდა თქმა დედა დედაჩემო.

ნეტავი თქვენ განეტაცეთ მის მაგიერად ბ-ნი კომპსონი ანა მგონია ამ მანქანას წამოვიწიოს.

მთი პერბერტ გესმის კენდეისი რას ამბობს აღარ მიცქერის ნაზად ჭიუტად პირმოკუჭმული ზედაც არ მიუყრებს არ იფქვიანთ მოხუც ქალს უნდა მასიამოვნობა გეჩვენებთ და დამიჯებია რომ უკვე გათხოვილი ქალი მყავს.

რას ბრძანებთ ქალიშვილივით განოიყურებით თქვენთან რას მოვა კენდეისი ვარდისფერი სახე გაქვთ ბავშვივით საყვედური გამოეხატა და ცრემლებშიც დაუღლო სახე. ქაფურის სუნია და ცრემლების, მოთქმა ვაისმის ჩუმი, ჩაბნელებულ კარს უკან ჩამობნელებულა, სუნია ცხრატყავასი. სხვენის კიბიდან ჩამოაქვთ ცარიელი სამგზავრო სკივრები, ცარიელი კუბოებივით ხრივინებენ. ფრენჩ-ლიკი\*, სიკვდილა კი არ უნახავს მლაშობზე წასულ გოგოს.

არც გაუხუნარი ქულებია და არც ისე ქულები. სამი წელი მყოფნის ერთი, სამი წელი-მეთქი ჰარვარდი რომ არ იქნება და მეც რომ არ ვიქნები, ქულებს თუ დაიხურავენ მამინ? ჰარვარდში სიბრძნე ზნელი უსურვაზივით ეკვრიანთ ძველსა და მკვდარ აგურს, ასე თქვა მამამ. სოდა, ეს ჰარვარდიც არ იქნება, ჩემთვის მანც ყოველ შემთხვევაში. ისევ და ისევ. ეს სიტყვა უფრო სევდამონგვრელია, ვიდრე „იყო“. ისევ და ისევ. ყველა სიტყვაზე უფრო სევდამომგვრელია. ისევ და ისევ.

პერანგი ჩაიცვა სპორტმა, დროა წასვლისა. ჩემს ჩრდილს დავინახე ისევ. იღონდ ახლა წყალს გამოეცდა, და თუ სიფრთხილზე არ გამოვიჩინე,

\* მართლაც საბადოებით ცნობილი ავირავი ინდიანას შტატში. ისოციაციით კვენტინს აღობრება. ნადირი მართლს ეტახება სოლზე და სწორედ ამ ადგილს შეიძლება ინსპერბლის მონადირის ტყვიამ. იგივე ფრენჩ-ლიკს წასვლმა კელამ სიკვდილი კი არა, ჭიპრი ნახა.

ისევ მომიხდება ამ ჩემს მოუცილებელ ჩრდილზე ფეხით შედგომა. ჩრდილზე და არა დაზე. ვერა და ვერ ვიქმოდი ამას, ჩემი ქალიშვილის თვალთვალის ნებას არ მოგცემთ ვერა და ვერ ვიქმოდი-ნეტე.

რადას დამიჭერებენ მე აწი როდესაც ურმობის დროიდანვე ჩემი უბა-  
თავცემულობა ჩაუნერგე ამათ ჩემი ოჯახი რომ არად მიგანწყობს. მაგ-  
რამ ჩემი შვილები რაღაღ წამკიდვე ღვიძლი შვილები რომელთა გულისთვის  
არც დღე მომისვენია და არც ღამე მევიდრი ქუსლებით ვტყეპნი ძვლებს  
ჩემი ჩრდილისას და საათის წიკწიკი მესმის, გულის ჯიბეში წერილი მოვი-  
სინჯე.

გინდ შენ იყო გინდ კვენტინი თუ სხვა სულ ერთია რაც უნდა დაეშავე-  
ბინა შენი ჯანრით ჩემს ქალიშვილს მისი თვალთვალის ნებას მაინც არ მოგ-  
ცემდით.

ხედავ სათვალთვალოდ ყოფილა საქმე და ამას ვერც შენ უარყოფო.

მე არ ვიქმოდი, მე არ ვიქმოდი მეთქი-ამას. მეც ვიცი რომ არა მაგრამ  
ქალების ამბავი რომ გესმის პატავს არა სცემენო არც სხვას და არც თავს.

მაგრამ როგორ იფიქრა ჩრდილს დაეხიჯე ფეხი და საათშიც დატყრა,  
თბუთნეტი წუთიღა ატლია. დიაკონი კი ჯერ არსად ჩანს. როგორ იფიქრა რომ  
მე ამას გავაკეთებდი.

ქაუბამიუტანებლად მოიქცა და ქალური საქციელია ეგ მეტი არაფერი  
უყვარს კელი და რა ქნასო.

ფარნების რიგი აქედან ჯერ დაბლა მიემართება და მერე მწკრივადვე ქა-  
ლაქისკენ აღის ჩემი ჩრდილის მუცელზე მივაბიჯებ. ხელი რაც უნდა გავი-  
წვდინო, მაინც ვერ მივწვდები. ჩემ უკან მამას ვგრძნობ შორს კი ზაფხუ-  
ლისა და ავვისტოს ღამის ხმაურის მიღმა ქუჩის ფარნებია, მანა და მე ღამ-  
ცველები ვართ, საკუთარი თავისაგან ვიკავთ ჩვენს ქალებს ასე მოსდგამთ  
ქალებს აღამიანის სულისას ვერაფერს გაიგებენ ისე როგორც ეს ჩვენ შე-  
გვიძლია დაბადებთვე დაბუვებათ აუფარება მარცვალნი მზა უქვისა რომლებიც  
იჭეჭილებს ხოლმე და ხშირადაც არიან მართალნი რაკიღა გუშანით ჩახვდე-  
შიან ბოროტებებსა და ცოდვას და ძალაც შესწევთ მიაკვლიონ დაკარგულ  
რგოლს ბოროტებათა ჯაჭვში იმთავითვე მზად არიან ბოროტების ასახსნე-  
ლად და საბანში გახვეულ მძინარეთა მსგავსად გარშემოცხულან თავიანთივე  
მოგონილი თუ ნამდვილი ბოროტებით ვიდრე ეს ბოროტება იქმს ან არ იქმს  
თავისას აყურ მოდის ისიც, მოაბიჯებს ორ ბორცვულსგულს შორის. რო-  
გორც ჩანს, ასლახან დაბრუნებულა ზეიმიდან და ჯერაც ეერ გამორკვეულა  
კარგად — მეტად ლალი სალაში მომცა.

ერთი წუთია შეიცადე-ნეტე, გავაჩერე.

— მე? კი, ჩაუონო. აბა კარგად მენახეთ, ბიჭებო, თქვენთან საუბარს რა  
ჯობდა.

დიაკონი ყველგან დიაკონია, ნამდვილი ფსიქოლოგიათ, ასე ამბობენ. ისიც  
გამიგონია, ორმოცი წელიწადი სასწავლო წლის დასაწყისში ყოველთვის  
ხვდება თურმე მატარებელს და ერთი თვალის შევლებით შეუძლიათ სამხრე-  
თელის ცნობა. ერთი კი მოესმინა თქვენი საუბარი და იმ წუთას იტყოდა, ეს  
აბა და ამ შტატიდან არისო ჩამოსული. მატარებლის ჩამოდგომისა, ყოველ-  
თვის „ბიძია თომას ქოხის“ გმირის ყაიდაზე — ძველმანებშია ხოლმე გამო-  
წყობილი.

— ახლავე, ახლავე, ჩემო ახალგაზრდა ბატონო, აქ არა ვარ, და ჩემოდნებს დაიტაცებდა. — პეი, ბიჭო, აქ მოდი და ესენი გამომართე, ჩქარა-მეტქი. — ბარგიბარხანით ასორხილი მთა ვიახლოვდება და ამ მთაში ჩაკარგულ თბუთმეტოლდე წლის ბიჭის სახეს მოკრავ თვალს. დიაკონი წინასწარ რიდაც მანქანებით შენს ბარგსაც აკიდებს და გზას გაუყენებს. მბრძანებდა არ დაგივარდეს, ყველაფერი მოგვარდება, ჩემო ახალგაზრდა ბატონო, თქვენ მხოლოდ ბებერ ხანგს თქვენი ოთახის ნომერი უთხარით და რომ მიხვალთ, ყველაფერი აღვიღზე დაგხვდებათ.

სანამ მთლად მისი მონა-ნორჩილი არ გახდებით, სულ თქვენთან იქნება, შინ და გარეთაც თვალეში შენთვციცინებით ენად გაკრული, თუმცა სამხრეთულად ისე აღარ უქცევს და უფრო კარგადაც იცვამს. დაბოლოს, როცა ჯიბეში ბარაქა გამოგვლევს და ჭკუასაც ისწავლი, ბატონოს კი არა, პარდაპირ კვენტინს ან სხვა რამესაც დაგიძახებს. ცოტა ხანიც გამოხდება და ბრუქის ნაცვამ კოსტიუმში გამოწყობილი გესტუმრება. ამის ქუდს კი პრინსტონის რონელიდაც — სუსტად არ მახსოვს — კლუბის ასევე ნაჩუქარი ბაფთები ამშვენებს. ესენით, სიამოვნებით დაუწყებენ თაგი, თაგად აბრამ ლინგოლის ნაჭონიათ. ვიღაცას უთქვამს მრავალი წლის წინათ, როცა დიაკონი ის-ის იყო ამ სტუდენტური ქალაქის ახლოს დასახლებულა, სასულიერო სემინარიაც დაუმთავრებიაო. რაკილა მიხვდა ამ ტორის სიკეთეს, ხელსაც უწყობდა მის გავრცელებას, დასასრულ თაგადაც დაიჯერა ეს ამბავი. ასე იყო თუ ისე, კი განთავიჭედა ყურები თავისი სტუდენტობის დროინდელი უკბილო და გაუთავებელი ანეკდოტებით. თანაც აწი კარგა ხნის გარდაცვლილ ბროფესორებსაც ვაღიწვდებოდა ხოლმე. აწაოდა, ძალიან კარგად ვიცნობდიო და ამიტომ, სახელებით მოიხსენიებდა მათ, როგორც, თქმა არ უნდა, დამახინჯებით. მრაველია უბრაველესი უზაკველი და ტლუ ახალბედა სტუდენტის დამრიგებელი, მოაღვარი და მეგობარი იყო ეს კაცო და, ჩემი აზრით, ამავ დროს ცოტაოდნაც გამოქექილი და ქლესაც გახლდათ, მაგრამ სხვებზე უფრო არ ამყრილებდა ამ ცისქვეშეთს.

— სად იყავით ეს სამი თუ ოთხი დღე. — თქვა მან, სახეზე კიდევ ეტყობოდა სამხედრო-საწიემის განწყობილება, — ავად ხომ არ ბრძანდებოდით?

— არა, კარგად ვარ. გნეცადინებოდა მგონია. თუმცა მე კი გნახეთ თქვენ.

— სად?

— გუშინწინ აღლუნიზე იყავით გამოსული.

— პო, მართალია, იქ ვიყავი. თაგადაც მოგხსენებათ, დიდად არ მიყვარს ასეთი რამეები, მაგრამ ჩემი იქ — ვეტერანებთან ყოფნა ბიჭებს უხარიათ და ხათრი ვერ გავუტეხე. თანაც ცალცხლად უნდოდათ ერთ მშკრივად მიმავალი ენახათ ყველა ვეტერანი. ზოდა, არ იქნებოდა უარის თქმა.

— იმ იტალიურ დღესასწაულზეც, — შევეკითხე, — მიგიწვიეს, არა?

— მაშინ? ჩემი სიძის გულისთვის წავედი იქ. ქალაქის სამმართველოში უნდა მუშაობის დაწყება გეჩქებინა დამგველად. მე კი ვუთხარი, შე ძალისგუდავ, ცოცხლია გაკლავ-მეტქი. თქვენ იქაც დამინახეთ განა?

— ორჯერვე.

— ვუშინწინ კი როგორ გამოვიყურებოდი ფორმაში გამოწყობილი?

— ნშვენივრად. ყველაზე უკეთ. გენერლობა უნდა მიეცათ მაშინ თქვენთვის, დიაკონო.

მკლავზე ფროთხილად მომკიდა ხელი, ვგრანობ მისი გადაღებული თეთრის რბილ შეხებას, — ჟური დამიგდე, რაღაც უნდა ვითხრა საიდუმლოდ. რაც უნდა იყოს, ჩვენ ხომ ერთი კუთხიდან ვართ ჩამოსულები, მარტო მისი მხარე გადმოიხარა და არც კი მივუბრუნებ, ისე მომაყარა: — ისეთი ბუნებისაა გვერდში, აი, ერთი წელი გაივლის და ნახავ, რომელ ზეიმზე ვიქნები მიწვეული. წვრილად აღარ მოგიყვები და ამასღა გეტყვი, ცოტა უნდა და ყველაფერს ნახავ, ჩემო ბიჭო, — შემონახედა, მხარზე ოდნავ დამკრა ხელი, ქუსლებზე შეტოკდა და თავი დამიქნია, — დიახ, ჩემო ბატონო. ტყუილად კი არ გადავედიტ დემოკრატებთან მე და ჩემი სიძე, დიახ, ჩემო ბატონო. დემოკრატებთან კი გადავედიტ, მაგრამ ის ჩემი სიძე მაინც ნაცარქექიაა. ხოდა, ზუსტად ერთ წლისთავს ორი დღე რომ დააჯლდება, აი იმ კუთხეში დადევით და ნახავთ.

— მეც ვამედოვნებ. ღირსიცა ხართ, დიაკონო. ჰო, იცით რა... — ჯიბიდან წერილი ამოვიღე, — ხვალ ჩემთან მოდიტ და ეს შრიგს გალიეცით. ის რაღაცას მოგცემთ, ოღონდ იცოდეთ, ხვალ უნდა მოხვიდეთ აუცილებლად. წერილი გამომართვა და მოათვალიერა. დაბეჭდილიაო, მკითხა.

— დიახ. შიგ წერია, რომ ამ წერილს მხოლოდ ხვალ ექნება ძალა.

— ჰმ, — კონვერტს დახედა ტუჩებამზუვებულმა. — რაღაც უნდა მომცენ, არა?

— დიახ, საჩუქარი უნდა მიიღოთ ჩემგან.

ყველა შემომხედა. შავ ხელში უკავია მზისსახეებდაფენილი თეთრი კონვერტი. თავლები ნახი აქვს და მთლად თავლისფერი, გარსი არც კა უჩანს, და უცვებ თეთრი ხალხის ზიზილ-პიპილებიან უნიფორმათა, პოლიტიკანურობის, პარფარდული მანერების მიღმა როსკუსი დავლანდე — თავმოღრეკილი, შეუცნობელი, ჩუმი და სევდიანი. — ბებერ ზანგს ხომ არ გამამასხრებთ?

— თქვენ ხომ იცით, რომ არა. ვინმე სამხრეთელს თუ გაუმახსრებიახართ როდისმე?

— მართალსა ბრძანებთ. კარგი ხალხია. მაგრამ იმათთან არ იცხოვრება.

— გიცდიათ კი როდისმე? — შევეკითხე. მაგრამ როსკუსი აღარსად იყო. დიაკონს უკვე ჩვეულებრივა სახე ჰქონდა, ისეთი, როგორითაც კარვა ხანია წარდგომოდა ამ ქვეყანას, მზვობარი, რიოში, ოღონდ არც ასე ბრეყულა.

— თქვენი სურვილი შესრულებული იქნება, ყმაწვილო.

— ოღონდ ხვალ, გახსოვდეთ.

— კო, ბატონო, ასე მითხრა. — ყველაფერს ვაგავეტებ, ყმაწვილო. სოდა...

— თქვენი იმედი მაჭვს... — ვუბასუხე. მრავალმნიშვნელოვნად და მოწყალებდ მიტქერის ჩემკენ გადმოხრილი. ხელი გავუწოდე უცვებ და ჩამოვართვი, ის კი დგას მეტიღური, მოზეიმე, სამოტალაქო თუ სამხედრო სამსახურში თავისი სინამარეული აღმასვლით გაბრუებული, — კაი კაცი ხართ, დიაკონო, თქვენი იმედი მაჭვს... რამდენ სტუდენტს მიშველებიახართ აქაც და სხვაგან.

— ვცდილობ და რაც შემიძლია ვეხმარები ხალხს, — თქვა მან. — სოცი-ალური წერილმანები არაფრად მიმაჩნია. საღაც უნდა იყოს, კაცი მაინც კაცია.

— მეგობრები წუ მოგიშალოთ ღმერთმა.

— მხოლოდ ახალგაზრდებთან მიხარია ყოყნა. აღარც ისინი არაა წყენ-  
ბენ, — მიბასუხა და წერილი შეარჩია. მერე ჯიბეში ჩაიდო და კოსტიუმში შე-  
იკრა, — დიახ, ჩემო ბატონო, კარგ მეგობრებს რა განომიღეს?

საათმა ისევ დაჰკრა, ნახევარია. ჩემი ჩრდილის მუცელზე ჩემს მის რეკვა, მისხალ-მისხალ, უშფოთვარედ მიჰყვება წერილ, ჯერ კიდევ სულ პაწაწინა ფოთლებში მზის სხივებს. მოზომილად, აუძღვრევლად და ნელინელ, შემოდგომის ზარისნაირად მარადღე რეკავს პატარალების თვეშიაც კი. სარკმლის ძირას მიწაზე ვლია და ღრიალებს შეხედა ამ გოგოს და იმ წუთას მიხვდა უვლოფერს. ბირითა ჩვილთა. ქუჩის ფარნები. რეკვა მიხელდა. ქვაფეხილზე ჩენი ჩრდილის ტყეპნით ისევ ფოსტაში მივდივარ. ქვემოთ მიჰყვებიან ჯერ და მერე კი ქალაქისკენ აიმაღლეს ვითარცა კედელზე ერთიმეორის მიყოლებით დაკიდებულმა ფარნებმა. მამამ თქვა, ნაკლოვანებათა გამო უყვარს ხალხი ამ ქალს და კედიც სწორედ ამიტომ უყვარსო. ფეხებგამოტილი ზის ბიძია მორთ ბუხრის წინ, მაინც მოუხდება ხელის ამოღება მიბას დღის სადღეგრეველოს დასალევად. ჯიბეში ხელეზჩაწყობილი ჯეისონი მორბის, ეცემა და ვერწის მოსვლამდე ფართხალებს დაბორკილი ბატივით. ჯიბეში რა ხელეზჩაწყობილი დარბიხარ ცხვირ-პირი გინდა დაიღეწო. თიფს ატრიალებს ხან აქით, ხან აქეთ აკვანში, სულ გაიბრტყელა. კედიმ უთხრა ჯეისონს, ვერწისგან გამიგონია, რადღა მორთ ბიძია ზარნაცი, პატარა რომ იყო, აკვანა თავი გაუბრტყელა და იმიტომიაო.

მრივი მიბაჯბაჯებს, ჩასუქებული, დარბიხელი. პატარა გუბეთა მსგავსად უბრწყინავს მოლივლივე ფოთლებქვეშ სათვალის შუშები.

— დიაკონს მივეცი ბარათი, რამე აჩუქე, რომ მოგა შესაძლია ხვალ შინ არ ვიყო, ასე რომ არაფერი მისცე ხვალამდე. კარგი?

— კი, ბატონო, — შემომცქერის, — რას აპირებ? გამოწყობილხარ და დაეხეტები. ვითარცა თავის დასაწვავად განწირული ინდოელი ქვრივი. ფსიქოლოგიაზე აუ იყავი ამ დილას?

— არც არაფერს ვაპირებ. ხვალამდე-მეთქი, რომ გითხარი, არ დაგავიწყდეს.

— ეს რა ამოგიდვია იღლის ქვეშ?

— არაფერი. ფეხსაცმელი შევაკეთებინე, ხვალამდე-მეთქი რომ გითხარი, არ დაგავიწყდეს, ხომ გესმის?

— კარგი. პო, ასლა გამახსენდა — ამ დილით წერილი აუ ნახე შავიდაზე? არა.

— იქა დევს. სემირამიდას გამოგზავნილია. მძლოლმა მოიტანა ათ საათზე.

— მოვალ და ვნახავ. ნეტავ ასლა რაღა უნდა.

— კიდევ იქნება ჯენტლმენების კონცერტი, მგონია. პეი, პეი, პეი, ჯერაღღს გაუმარჯოს, „უფრო მაგრად დაჰკარ დაღდაფს, კვენტინ“. ღმერთო ჩემო, რა კარვია, რომ ჯენტლმენი არა ვარ, — მიღია. გულში ჩაუხუტება წიგნი, ბიჭია ჩასუქებული, მაგარი. ქუჩის ფარნები შენ ასე იმიტომ ფიქრობ, რომ კონპსონებს ერთი გუბერნატორი გყავდათ და სამი გენერალი დედას კი არავენ.

ცოცხალი მკვდარს კი ქაბს მაგრამ არც ერთი ცოცხალი ან მკვდარი ბევრად არა სჯობს სხვა ცოცხალსა და მკვდარს დედას საბოლოოდ გაუტყდა გუ-



ლი. შორჩა. შორჩა. დაგვხოცა ყველანი ამ გოგომ შემცდარი ხარ ცოტა სულ სხვაა და ქალის პატროსნება სულ სხვაა დედა ყოველთვის პატროსნებას ბულისხმობს ხოლო ცოდვია ეს თუ არა ახრადაც არ მოსდის

ჩვესონ უხდა წავიდე ყველას დაგიტოვებ ჩვესონის გარდა მისი ნიჭი უცოდინება ჩემი სადმყოფობის ამბავი გაიზრდება იქ ეს ბავშვებმა ყველა მისი დაიფიქრებს მხოლოდ ამას ვუყვარვარ სხვებს კი კომპსონებას ჯიში მოსდგამთ უკუდო ამპარტავნებია ჩვესონის იმედილა ნაქვს მასთან არაფრის მეშინია

სოსულელეა ჩვესონი რა შუაშია აი როგორც მომგობინდება კვლის წაიგვან სადმე გინდ ფრენჩ-ლიკი იყოს

ხოდა შენ და ზანგებს დაგიტოვოთ ჩვესონი

იქ ეს გოგო დაიფიქრებს იმას და ქვეყანაც პირს აიკვრავს ბოლოს და ბოლოს სიკვდილი კი არ უნახავს მლაშობზე წახულ გოგოს

იქნებ თავი ბედი ნახოს ამ გოგომ სიკვდილი კი არა მლაშობზე წახულს ტრამვაი მოვიდა და გაჩერდა. კაათმა იაეც ნახევარი დაძვრა. დავჯექი ტრამვაიზე და წავედი. ბორბლების რახარუნა საათის ხმაური საახშო. უკვე ნახევარი კი არა, მეოთხედი უკლია. ათი წუთი დრო ხომ მიიწე მექნება. პარვარდს ეტოვებ დედაშენის ოცნება იყო ბენჯის მიწაც ხომ ამიტომ გავიდეს

— რა დავაშავე რომ ასეთი ბავშვები მარჯუნა ღმერთმა განა ბენჯამინი საკმარისი სასჯელი არ იყო და ახლა ამ გოგომ რა მიყო საკუთარი დედის ხათრი დაკარგა და ცუცხლზე ნავთი გადამასხა როგორ ვოცნებობდი რა გეგმებს ვაწკობდი რამდენს ვითმენდი რა არ გადამხდა და ამან არაფრად ჩანაგდო ხანდახან ვუყურებ ამ გოგოს და მიკვირს შეიღია ჩემი თუ არა ჩემი იმედი ჩვესონიღია რაცა ჯერ კიდევ ჩვილი ავიყვანე ხელში მაშინვე მივხვდი რომ ეს იქნებოდა ჩემი გამხარებელი და მანუგეშებელი მეგონა ბენჯამინით საკმაოდ დავისაჯე ჩემი ცოდვებისთვის მეგონა უკვე დამსაჯა ღმერთმა რომ თავი დაეინცირე და გავყვევი ისეთ კაცს რომლის აზრით ჩემი ოჯახი არ იყო მთავი შესაფერისი ილარაფერს დამბობ რომ მოვალე ვიყავი ბენჯამინი მუყარებოდა ყველაზე უფრო თუმცა სულითა და გულით ჩვესონთან ვიყავი მუდამ ახლა კი ვხედავ რომ საკმარისად არ გავტანჯულვარ და ვხედავ შენი ცოდვებიც მევე უნდა ეზლო რა დავაშავე ასეთი შენი აგრე მოჩემული და წარჩინებული წინაპრების რა ცოდვა უნდა ვზიდო მე მაგრამ შენს მამაპაპის გამართლებას ყოველთვის აბერებ მხოლოდ ჩვესონია ყოველთვის დამნაშავე რაკილა ბესკონების უფრო მეტი იქვს მაგ ბიჭა ვიდრე კომპსონებისა მაშინ რაცა შენი საკუთარი გოგონა ჩემი პაწაწუნა გოგონა რითია უკეთესი იმ გოგოზე როგორც მე ვიყავი მე უბედური ვიყავი მე მხოლოდ ბესკომი ვიყავი მე ასე მასწავლიდნენ რომ ქალი წესიერი უნდა იყოს ან უწესო სხვა არჩევანი არა აქვს მას ჯერ კიდევ სულ ერთი ბეწვა ჩემს გოგოს ხელში რომ გათამაშებდი რას წარმოვიდგენდი თუ ამას იზამდა კი ვატყობ თვალეებზე მაგრამ თავად რომ მოკლა მაინც არაფერს იტყვის ძალიან გულჩითხრობილი გოგოა მე კი ვიცი მასზე ისეთი რამეები სიკვდილი მარჩვენია ამის თქმას შენ კი მოსდექი ახლა ჩვესონს და იძახი ამ გოგოს სათვალთვალოდ აგზავნიო თითქოს ეს რაღაც დანაშაული იყოს იმ დროს რაცა შენი სისხლი და ხორცი შენი ქალიშვილი მე ვიცი შენ ჩვესონი არ გიყვარს და ამოჩემებული გაყავს ეს ბიჭი სულ დასცინი მორიც ასე ავიგდია აბუჩად მაგრამ შეილებზე მეტიად შენ მე ვერ

მატვენ გულს მალე მომეღება ბოლო და არაეინ იქნება ჯეისონს შემ-  
ბრალბელი ისედაც სულ გული მისკდება კომპსონების სისხლი თავისა ვაი-  
ტანა-მეთქი ან კარგი რა ნოუვა თავისი დის მატქერალს რაც ეს გოგო იმას-  
თან დარბის ერთხელ თუ გყავა ის ბიჭი ნანახი მაშ რაღატომ შეჩქარებდა  
ვლას იმ ბიჭის ასავალ-დასავალის გასაგებად შე ხომ თქვენი ნახულის დაცვა  
მინდა მაგრამ კვიცი გვარზე ხტისო აღარაფერს მანებებ და რა უქნა დაგვიგუ-  
ბებია პირში წყალი და ვუყურებთ როგორ ლაფში სვრის შენს სახელს ის  
პაეტრიც შეუბილწავს შენი შეაღები რომ სუნთქავენ განიშვი წავიყვან ჯეისონს  
და წავალ დანარჩენები კი შენთან იყოს ჩემი სისხლი და ხორცი არ არიან  
ისინი სულ არა ჰგვანან ჯეისონს უცხონი არიან ისინი ჩემთვის და შეშინია მა-  
თი წავიყვან ჯეისონს და წავალ იქ სადაც არაეინ იქნება ჩვენი ნაცნობი მუხლ-  
ნოყრილი შევევდრები დმერთს რომ მომიტყევოს ცოდვები ახსნას წყევლა  
ჩემს ჯეისონს და ვითომ არც კი ეცხოვროთ ამ გვეყანაზე დამავიწყოს ყვე-  
ლანი

მართლაც თუ მეოთხედი დაჰკრა საათმა, მაშინ ახლა ათი წუთიღა იქნება  
დარჩენილი შუადღემდე. წავიდა ერთი ტრამვაი და ხალხი ისევ მოგროვდა,  
შემდეგს ელოდება. ვკითხუ, მაგრამ ვერ მიიხრეს, მეორე თორმეტამდე ჩამო-  
დგება თუ ცოტა შეაგვიანდება. რაკილა საქალაქთაშორისო... პირველად ისევ  
ადგილობრივი ტრამვაი გამოჩნდა. ჩავჯექი. ვერძნობ, უკვე შუადღეა. საოცა-  
რია, ხვლებიან თუ არა შუადღის დადგომას მიწისქვეშ მესახტეები. საყვირე-  
ბიც ალბათ ამიტონაა, ისე რას გაიგებს თფლად გაღვრილი ხალხი. თუ საქნათ  
მანძილით დაცილდები, აღარც საყვირის ხმას გაიგონებ და რვა წუთის შემ-  
დეგ კარგა შორს იქნები ბოსტონური თფლისგან. მამამ თქვა, კაცი თავის უბე-  
დურებათა ჯამიაო. მე რე დასაინა, ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება მოაფიქრ-  
დეს, ბოლო მოედოთ ჩემს უბედურებას, მაგრამ ვაი რომ ახლა თავად დრო  
იქნებოთ მისთვის უბედურების მომტანი. სივრცეში მიაფრენს უჩინარი მავ-  
თული თოლისა. მარადიულობაში მივაქვს გაცრუებული იმედების სიმბოლო.  
დიღზე დიდი ყრთები გამოგვესმებოთ იქ, თქვა მამამ, ოღონდ არ გამოვდგე-  
ბითო ქნარზე დამკვრელებად.

ტრამვაის გაჩერებისას ჩენი საათის ისრების წიკწიკი ჩამესლის. ძალა  
აღარ ჰყოფნით. რას ვაქნევთ ქნარს... სტომაქი ჩვენი საკვებზეა გადაგებული.  
სივრცე და დრო იქაცაა არეული. შუადღის დადგომა სტომაქმა ამცნო თავს.  
ჭამის დროაო. კი, ბატონო. ნეტავი ზუსტად რამდენი წუთია გადაცილებული  
შუადღეს. ხალხი ჩადის ტრამვაიდან. ვაჩერებითაც ნაკლებად ჩერდება ახლა—  
უკვე მოუწელებია.

პირველი საათი კი არის დაწყებული. ჩავედი და ჩემს ჩრდილში ჩავდექი,  
ცოტა ხნის შემდეგ ტრამვაი ჩამოდგა და უკან, საქალაქთაშორისო გაჩერება-  
ზე გავყევი. კარგ დროს მივედი, ნატარბელი დამხვდა, დავჯექი. ლაიძრა და  
მალე ქალაქი გაიღია. ჯერ გორაკები და ვაკე ადგილები არიალდა ჩემ  
თვალწინ და მერე ხეებიც. ხანდახან მდინარეც გაივლებს. თუ კარგი ამინ-  
დია, მშვენიერად უნდა იყვნენ-მეთქი იქ, ნიუ-ლონდონში, და ამომავალი მზის  
სხივებში საზეიმოდ შეცურდება ჯერალდის ნავი. ასე ვაეიფიქრე, ნეტა რა  
უნდა დედამისს, ამ დილით, ათ საათზე რომ წერილი გამომიგზავნა-მეთქი.  
ჯერალდის რომელ სურათში დოლტონ ეიმში ჰოი ასბესტი კვენტინმა ესრო-  
ლა უნდა დავუმშვენო მხარი. გოგოებიც იქნებიან ალბათ ჩვენთან ერთად.

ქალები ბუტბუტს უოველთვის დაფარავს მისი ხმა და ხმა ისმა მართლაც ვილ-  
 ნაყარნი არიან ბორბტებასთან და ასე სჯერათ, ჩვენთაგან საბოლოო სიბრძნე.  
 თუნცა ყველა ქაციც ვერ დაიცავს თავს, დოყლიაპიაა ზოგიერთი და რიბიკამ.  
 შეუხედავი გოგოები. შორეულა ნათესავეები და ოჯახის მკვებებ-  
 თან უბრალო ნაცნობობაც კი ოჯახთან აკისრებთ გარკვეულ სიძულვესს. ქა-  
 კალა noblesse oblige. ხოდა, ზის ეს ქალი და გვეუბნება ამ ულამაზო გოგო-  
 ების თვალწინ, სიბრძნეილია სწორედ, ჯერალდი ასეთი ლამაზი რომაა, მაგრამ  
 ჯიში აქვს ასეთი და რა ქნაა. კაცი სილამაზეს, რას აქნევს, უამისოდაც  
 იოლად გავა, მაგრამ აი, გონჯი გოგო არ სწერიან ცოცხლებში: თაემამწონე  
 და კმაყოფილი გვიამბობს ჯერალდის კვენტინმა დაცხრილა პერსერტი მისმა  
 ხმამ კედის ოთახის იატაკში გაატანა ქალებას ამბავს:—ჩვიდმეტი წლისა იყო  
 და ერთხელ გვითხე, მაინც როგორ არა გრცხვენია ასეთი ტუჩების პატრონს,  
 მაგისტანა გოგოებს უფრო მოუხდებოდა-მეთქი. ხოდა, იცით შრიადი გაიღო  
 ფარდამ, გაშოჩინდა და ისი და ვაშლის ხეების სურნელებამ შემოატანა კედის  
 თავი გამოიკვეთა ბინდბუნდში ფრთებისნაირად გაუშლია კამონოს ფართო  
 ხახელოები ხმა ისმა უდემს ვაშლის სურნელება დაფრქვევია ლოგინზე გადა-  
 ფენილ სამოსელს რა თქვა მან? არ დავავიწყდეთ, ჩვიდმეტი წლისა იყო მა-  
 შინ. „დედა, ასე მითხრა, კიდევაც მოხდენია ბევრს“. თავად სავარძელზე მე-  
 ფურად მჯდომი იმათგან ორ თუ სამ გოგოს წამწამთა ტევრიდან მოწყალედ  
 თვალს შეავლებს. თავის მარცხ გოგოებაც წამწამებთან უფროხილვებს მერ-  
 ცხლებს:საირად. შრივმა თქვა, ნეტავი ბენჯისა და მამას ხომ მოუვლი სიტყვა  
 მომეცო.

კვდი შენ ჩუმად იყავი ბევრი ვიდარდია-მეთქი ბენჯისა და მამაზე  
 სიტყვა მომეცო

მიღინარ უკან სრ იხედები და ნუ დარდობ-მეთქი

სიტყვა მომეცი ავად ვარ სიტყვა მომეცო ვინ თხზავს ამ არაკს. თუმცა  
 სულ ასე ფიქრობდა. ქალბატონ ბლენდს მშვენივრად შეუხახავს თავი და უსა-  
 თუოდ რომელიმე პერცოვის ასულის საცდუნებლად და საქმროდ წვრონისო  
 ჯერალდს. ქალბატონი ბლენდი კი შრივა გაბურბილ-გასიებულ კანადელ ბიჭს  
 ეძახდა და ორგზის სცადა ჩემ დაუკითხავად მისი ოთახიდან სხვაში გადავე-  
 ყვანე, ერთხელ მე შემავუღიანა, მეორედ...

კარი გაიღო, ბინდში გოგრას ქადას მიუგავს შრივს სახე.

— სამუდამოდ გტოვებ. სასტიკმა ბედმა გახშობება გვარჯუნა, მაგრამ  
 შენს მეტს არავის შევიყვარებ. არავის.

— რას მიედ-ნოუდები?

— სასტიკ ბედიწერაზე გეტყვა ორიოდ სიტყვაა. იმ ბედისწერაზე, რომ-  
 მელიც გარჯარიაფერ აბრეშუმში გამოწყობილა და უფრო მეტი ლითონით  
 შეჭურვილა, ვიდრე მქონდა ჩაჭვით დაბმულ მონას გალერაზე. კონვედერა-  
 ციის სწორუპოვარი მათრახის ერთადერთ მარადიულ მესაკუთრესა და  
 მფლობელზე გვეუბნებით მე, — მერე მიამბო, თურქე ქალბატონი ბლენდი  
 რექტორის მთადგილესთან წიაულა და სთხოვა მასი — შრივია გასახლება ჩემი  
 ოთახიდან, მაგრამ რექტორის მთადგილემ უთხრა, შრივმა შეიძლება იუარო-  
 სო. ქალმა ასე უბასუხა თურქე, განმე გაყავჩაგნოთ და მოვაქვანიშოთო. ამი-  
 ზეც უარი რომ გაიგონა, სულ აითვალწუნა შრივი. — წესად მაქვს, ცოდი არ  
 ვილაპარაკო ქალებზე, — თქვა შრივმა, — მაგრამ ისე კახპისავით იტყვა ეს

ქალბატონო, რომ შტატებსა და მის უომინიონებშიც კი ვერაუცხ გაუტოვდება. ხოდა, ახლა მაგიდაზე მიდევს ამ ქალის წერილი — ბრძანება ორბიდეა სურ-წელესისა და ვერის. პირი რომ გაეგო სწორედ ამ ოთახის ფანჯრებში გავი-არე სადაც მაგიდაზე ეს წერილი იდო და მე ვიცოდი ეს ამბავი ჩემს ძველ-ფასს ქალბატონო თქვენი ბარათის წაქეთხვის საშუალება არა, მაგრამ ვი-გიოთვე გახივთ პატრებს რომ ვერ მოვედი გუშინ და ვერც დღეს მოვალ და ვერც ვერასდროს რაშეთუ ვიცი ჯერალდის ია საქმენი გაქვთ მოსათხრობი — როგორ დაუშვა კიბეზე ზანგი და როგორ სთხოვდა ეს კაცი სასულიერო სემი-ნარიაში გამაშწესეთო მაშინ ახლოს ვიქნები ჩემს ბატონთან — მასა ჯერალდ-თანა და მთელი გზა როგორ მისდევდა ცრემლჩამონდინარაი იმ ეტლს მასა ჯერალდი რომ ნაპყავდა ვერა ვერ მოვალ იმ ქალთან ბარემ იმ დღეს დავუცდი როცა არაკს მომიტხრობს ერთ ქმარზე — ტყისმჭრელი იყო თურმე იგი — სამხარეულოს კიბესთან მოიქრა თოფმომარგვებული და ჩაირბინა ჯერალდმა მასთან თოფი წაართვა შუაზე გადაუტეხა და ისე დაუბრუნა მერე აბრეშუმის ცხვირსახოცით ხელში შეიწმინდა და ცხვირსახოცი ბუხარში შეაგდო და ეს ამბავი ორჯერ მაქვს მოსწენილი

მიოლად დაცხრილა დაგინახეთ აქ შემოსული და დრო ვიხელთე ასე გა-ვიფიქრე კი შევალვით-მეთქი შეთანხმებას სიგარაა ინებებთო.

გმადლობთ მე არ ვეწევი-მეთქი.

ჩემი ატუდენტობის დროიდან იქ ბევრი რამე უნდა იყოს შეცვლილი მე კი მოვწევ თუ შეიძლებაო

როგორც გეხებოთ-მეთქი

გმადლობთ ბევრი რამე გაძიგთნია დედათქვენს ხომ არ ეწყინება ბუხარში რომ მოვასროლო ასანთი თქვენზე ბევრი მიაბო კუნდვისნა ფრენჩ-ლიკში სულ თქვენს აბზეს მაყვესოდა ასე რომ დიახაც ვიფიქრიანე ვტიქრობდი ვინაა ეს კვანტინი ყოველ წუთს რომ ახაყნებს ერთი ვნახო რა ვაცაა-მეთქი რადგან დავინახე თუ არა ეს პატარა გოგო იმ წუთას გულში ჩამივარდა რას ვიფი-ქრებდი თავის ამაზე შეჩინებოდა თურმე არც ერთ კაცსა და არც ერთ ქმარზე არ ლაპარაკობენ ამდენს ერთი სიტყვით თქვენზე ამოსდის მზე და მთვარე იქნებ მოწიოთო

არ ვეწევი-მეთქი

მაშინ აღარ დაგამიღებთ თუმცა მშენიერი სივარეტები მაქვს ასი ცალი თცდახუთ დოლარად მოსყიდა ერთმა ჩეგობარმა პავანაში ხოდა ჩემი აზრით ბევრი ახალი ამბავი უნდა მომხდარიყო იმ პარჯარდს სულ მიწდა იქ ჩავლა მაგრამ ვერა იქნა და ვერ მოვახერხე დამში მიხდა მოვიყვანო საქმე ათი წე-ლია ბანკიდან ფენი ვერსად გამიდგამს ზაფხულობითდა მოვიცლი ხოლმე რო-ცა არდაღეგებზე არიან წასულნი მიდის წლები და ცხოვრებას უკვე სხვანა-ირი თვალთა უყურებ ია რაც მნიშვნელოვანია ადამიანისთვის სტუდენტობის ხანაში მერე ხომ იცით თავდაც კარგად მოგეხსენებათ იქაურ ამბებმა ვერ მიაბობთთ რამეს

თუ თქვენ გადარდებთ ის ამბავი — სულ ტყუილად არც დედას და არც მამას არაფერს ვეტყვი-მეთქი

თქმეა არ აბიზებთ თქმას ამა თურმე რაზე ბრძანებთ თუმცა ვინდ უთხა-რით და ვინდ არა ისე კი მართლაც ვერ იყო კარგი ამბავი სისხლის საძარ-

თლის დანაშაული ხომ არ ყოფილა მე არა ვარ პირველი და უკანასკნელი  
თღონდ მე არ გამიძარტლდა და იქნებ თქვენ უფრო გავიძარტლოთ  
სტუდიო-მეთქი

ნუ ცხარობთ თქვენთვის შეინახეთ თქვენი საიდუმლო ნურავინ ეტყვიტ  
საწუენად არ გეუბნებით ამას მაგრამ თქვენისთანა ყმაწვილს რისთვის ამგვარი  
გულთან მეტისნეტად ახლოს მიაქვს აი გავა სუთი წელით

ეგ არ ვიცი მაგრამ ცხადია სცრუობთ და ამისთვის სხვანაირი სახელის  
დარქმევა არც პარვარდში უსწავლებიათ-მეთქი ჩემთვის

ისეთი საუბარი გვაქვს ასე მგონია სცენაზე ვარო განოსტლები კარგი მსა-  
ხიობურია ნიჭი უნდა გქონდეთ მართალი ხართ ლაპარაკიც აღარ ღირს ამაზე  
რაც იყო—იყო ამია გულისთვის მე და თქვენ უსიამოვნება რად უნდა მოგვივი-  
დეს მათ უმეტეს კიდევ მომწონხართ კვენტიან საერთოდაც კარგი ბიჭი ხართ  
აქაურებს სულ არ ჰგაეხართ და მიხარია რომ შემიძლია თავისუფლად გელა-  
პარაკოთ დედათქვენს დავპირდი ჯეისონის თაობაზე და თქვენც ასევე სიამოვნ-  
ებით დაგეხმარებოდით ჯეისონი აქაურობის შესაფერისი უფრო არის მაგრამ  
თქვენსაირ ბიჭს აქ რა მომავალი ექნებათ

გმადლობთ სჯობს ისევე ჯეისონს დაეხმაროთ იმას უფრო შეეწყობით-  
მეთქი

ნამდვილად ვწუხვარ იმ ამბავზე მაგრამ მაშინ ბაღლი ვიყავი და თქვენსა-  
ვით დედა არ მყავდა რომ დახვეწილი მოქცევა ესწავლებინა ჩემთვის ამის  
შესახებ თუ ეტყვიტ დედას სულ ტყუილუბრალოდ გასტანჯავთ მართალი  
ხართ რასაკვირველია კენდეისიმ და არც იმათ უნდა გაიგონოთ რაზე

მე ვთქვი არც დედამ და არც მამამ-მეთქი

ერთი კარგად შენობხედეთ ყმაწვილო რამდენ წამს გამოძლებთო

თუ მუშტი-კრივიც სტუდენტობის დროს ვაქვთ ნასწავლი აბა მოდით და  
უნახოთ-მეთქი

შე ლაწირაკო იცა რა მოგელისო

აბა მოდით და უნახოთ-მეთქი

პთი ღმერთო სიგარა დედათქვენი რას იტყვის ბუხრის ამ ამომწვარ თა-  
როს რომ ნახავს გამიგონეთ კვენტიან ისეთ რამეს ნუ ვიხამთ მე და თქვენ  
რომ ორივეს სანანებლად გაგვიხდეს დავინახე თუ არა იმ წუთას მომეწონე  
და ასე ვიფიქრე ეს კარგი ბიჭი უნდა იყოს რახან კენდეისი ამდენს აქებს-  
მეთქი ყმაწვილო ამ ათ წელიწადში ბევრა მინახავს ქვეყანაზე და ვიცი არა  
ღირს ამის ასე გართულება ყველაფრის მოგვარება შეიძლება ჩვენ ძველი  
პარვარდებები ვართ მგონია მთელ ქვეყანაზე ახალგაზრდა კაცისთვის უკეთეს  
ადგილს ვერ ნახავ და სწორედ პარვარდს გავაგზავნი ჩემს ბიჭებს შესაძლოა  
მე მაჯობონ დაიცა ნუ მიღიხართ ყური მივდეთ კარგია სტუდენტობის წლებ-  
ში ყმაწვილ კაცს თუ აქვს იდეალები ხასიათს რომ ჩამოუყალიბებს და საერ-  
თოდაც კარგ ტრადიციებს აზიარებს მაგრამ ცხოვრებაში გამოსული მიხედვები  
თუ არ წავლიჯე არაფერი გამოვა რადგან დასწყევლოს ღმერთმა ყველა აგრე  
აკეთებს აბა ხელი ჩამომართვი შევრიგდეთ დედამენის ხათრით რაც იყო —  
იყო ხომ იცი რა სუსტი ჭალია მომეცი-მეთქი ხელი და აბა ესეც გამომართვი  
შესხედე ერთი რა ტკიცინაათ

თქვენი ფულიანად თავიდან მომწყდით-მეთქი

კარგი უარსა ნუ ამბობთ ახლა მღვთ თქვენი ოჯახია წვევრი ვარ და ისიც

ვიცი ბიჭს რამდენი სჭირდება მუდამ უფულოდაა და გროშისაც ვერ გაავლებინებს უფროსებს მეც მასეთ დღეში ვიყავი დიდი ხანი არ არის გასული მას შემდეგ მაგრამ ნალე დაეოჯახდები გონს მოდი და ყური მივდე რაღაც-რაღაცებს გიამბობ ერთი ჟღერი ქვრივი ცხოვრობსო ქალაქში

პირველად ხომ არ შეუბნებიათ ამას თქვენი ფულიანად იგივე გამეცალეთ-მეთქი

სესხად ჩათვალე ერთ წამს თვალი დახუჭე და გექნებოო ორმოცდაათი ხელი-მეთქი და ეგ სიგარაც მოაშორე ამ ბუბრის თაროდან

განდაბამდისაც გზა გქონია რას მიაღწევ ამით იმასაც ვნახავ მხოლოდ შენნაირი სულელი ვერ დაინახავს რომ ჩემ ხელთ არიან ისინი გამოჩნდა რაღა პატარა რაინდი გალაპიღი დედანებმა მითხრა თქვენი უკუდო ამპარტავნობის ამბავი შემოდი ჩემო ძვირფასო შემოდი მე და კვენტინი პარვარდსე ვლაპარაკობდით და ისე კარგად გავიცანით ერთმანეთი ხოდა მგონია დამრთავ ნებას დავრბეთ აქ შენი მონა-მორჩილი

ცოტა ხნით გადი პერბერტ რაღაცა უნდა ვუთხრაო კვენტინს.

შემოდი შემოდი და ყველაშ ერთად ვისაუბროთ სწორედ ახლა ვეუბნებოდი კვენტინს

გადი პერბერტ ცოტა ხნით გადიო

კი ბატონო ვხედავ რომ დასა და ძამიკოს კვლავ შარტოდ დარჩენა მოსურვებიათო

ეგ სიგარა მოაშორეთ-მეთქი

მართალს ბრძანებ როგორც ყოველთვის ჩემო ბიჭო მაშ მივდივარ გტოვებთ რასაც უნდა იმას გაგვიკეთებინებენ ახლა კვენტინ მე და შენ მაგრამ ზეგ კნაყოფილი ქმარი ვიქნები ხომ ასეა ძვირფასო მოდი მაკოცეთ

თქ კარგი ზეგანდე დაიცადეთ

მაშინ მე ვიცი თლონდ კვენტინს იმის დაწყებას ნუ დაანებებ რას დამთავრებასაც ვერ შეძლებს პო მართლა კვენტინს თუ მოვუყევი ერთი კაცის თავგადასავალი თუთაიფუში ჰყავდა მას თურმე და ცუდი ამბავი გადახდა შენც გიამბობ პა რას იტყვი ამანუ მაშ იუმორისტულ გვერდზე შესვედრამდეო

აგრე იყოსო

აგრე იყოს-მეთქი

კიდევ რას აპირებო

არც არაფერს-მეთქი

შენ ჩემს ამბავში ნუ ერევი გეყო შარშან ზაფხულს რაც

კედი შენ სიცხე გაქვს რა გტკივა მითხარი რა გტკავა-მეთქი

მართლაც ავად ვარ. მაგრამ ვერაფერს გეტყვიო

სულ დავცხრილე, მისი ხმა

ის არამზადაა კედი

ხანდახან მდინარე გაივლევებს შორს, ბრკიალს მოიღვებს და აგრე გადაანათებს შუადღეს და ნაშუადღევსაც. შუადღეს გადაცილებულია ახლა და თუმცა ერთიღა მოვყარი თვალი მდინარეს, მაინც დაეინახე, რა დიდებულად უსვამს ნიჩბებს დინების სწინააღმდეგოდ ღმერთის, ღმერთების თვალწინ. აგრე სჯობს — ღმერთების თვალწინ. ღმერთი, როგორც ჩანს, გლახაკი უნდა იყოს ბლუნდებისთვის ბოსტონსა და საერთოდ მასაჩუსეტში. ანდა იქნებ იმოტომაც, რომ უცოლოა იგი. სველი ნიჩბები ნიციმციმებს ბრწყინვა-ბრწყინ-



ვით. გლახაკი, გლახაკი, რანეთუ — ქმარი თუ არაა ღმერთი და ცოლი თუ არ  
ჰყავს, რა ხეირს ნახავს ჯერალდი. ის არამზადაა კელი კელი <sup>ესივენივენი</sup> <sup>ესივენივენი</sup>  
შორს გაიღვია მდინარემ და გაქრა.

ბიზჯიროსიქა

ავადა ვარშე და სიტყვა უნდა მომცეო

გტკივა რა გტკივა-მეთქო

ავადა ვარ და რა მჭირს ვერავის ვეტყვი სიტყვა მომეციო.

თუ ისინი გამწარდებიან შენ გამო მხოლოდ თქვი რა გტკივა-მეთქი  
ჩვენს ღანჯრებს ქვემოთ მანქანა დაიძრა. საღვურში უნდა მიუსწრონ მატა-  
რებელს, რომელიც 18 საათსა და 10 წუთზე გადის. ნათესავეები უკან მიჰყავს.  
ქედები\*, თავები და თავები, გადაყოლილან თავ-თავიანთ თავებზე. პარიკმა-  
ხერები არ გვგონოთ. შემანიკიფრე გოგოებია. ჩვენ აღრე ბედაური გვყავდა.  
თავლაში უუნაგიროდ კი იყო კარგი, ისე — ეშმაკების ხელმწიფე. კვინტინმა  
დაცხრილა ყველა ხმა და კედის ოთახის იატაკში გაატანა.

(გავრცელება აქნება)



\* ქედი — ჭერბერტის ვაძრია. პირობები თარგმნილია ეს სიტყვა თავს ნიშნავს. დედანში  
რამდენიმე წინადადება აქონდა ამ სიტყვა თანაშუქა აგებულში.



ერანკულიძე

თარგმნა ვიორაგი ლოლაძე

### კენტავრი

ჰაი-ჰაი! ერთ მშვენიერ დღეს თავს წავადექი კენტავრს  
ბრეტანში გზად, სად ფერდობზე მიმოჰნეულა მოკვერცხილი ხე-  
თა კორიში, ფერად — რძისფერი, თვალად — ავხორცი, გავა ცხენი-  
სას როდი უგავდა — მოქნილი ჰქონდა და დაკლაკნილი, ვით უხსე-  
ნებლის ვეება კუდი, განცვიფრებულმა ხმა ვერ გავიღე, ძალა არ  
მეყო, ელდანაკრავი თჯახი ჩემი გვჭვრეტდა შორიდან.

რას არ გვიშუქებ დედამიწაზე, მაღალთ მზეო!

### ბიბლიოფილი

და კაკადუთა ფურთა ბრჭყვიალი, და იალქნები ფოსტის მარ-  
კების, და პლიუმაჟები მდიდარ მხვეალთა დატყვევებულა ოქროს  
საკანში — ყდაზე წიგნისა.

ხოლო გმირები უსუსურები, და დაჭვარტლული ჯმუხი გემები,  
და დაატყვევა წიგნმა ბულურა, რუხი, ცახცახა.


ხოლო ავტორი, თავი ყოველის, ტყვეა კედლის მოგრძო და  
თეთრის (გულისპირია თეთრი პერანგის).

### ცის იღუმალეა

მეჯლისიდან დაბრუნებული სარკმელს მივუჯექ და ცას  
მივაპყარ თვალი.



წარმომესახა ღრუბლები უცებ მოხუც თავებად, რომ მისხდომიან ტაბლას გაწყობილს. თეთრი ფრინველი მთლად გაპუტული მიაბრუნეს მხცოვანთ. და ცას სერაფდა დიდი მდინარე. ჩემკენ დახარა ერთმა მხცოვანმა თვალები უცებ. უბნობა სურდა რალაცის, მაგრამ ჩვენება გაჭრა და ცას შემორჩა ვარსკვლავთ კიაფი.



### რომ არ გავჩუმდეთ

ქუხილის მარხილი ესპანეთში მიგორავს ცისარტყელებად.

იქ ქვეყანაში, სად მორთულია ეკლესიები ფერად-ფერადი გიორგულებით, ცხენის კუდზე ჩამოსკუპებულა ცისარტყელა.

### ქალის მსჯელობა

ჯოჯოხეთში დანტე და ვერგილიუსი ახალ კასრს მისჩერებოდნენ. დანტე გარს უვლიდა. ვერგილიუსი დუმდა. უიქრს წარუტაცა, რადგან კასრი შებოლილი ქაშაყით იყო სავსე. ამ სასოწარკვეთით მიმსხვრეულ მიდამოშიც კი ევა მაინც კოხტაობს — შარავანდედი სანუგეშოდ წამოუხურავს. ევამ ცხვირზე იტაცა ხელი და განაცხადა: „ფუ! რა მყრალი სუნი დგას!“ თქვა და გასცილდა იქაურობას.

### ხის მღრღნელები

ქამს დაცხრომისას, კარჩაკეტილი და განმარტოებული ალექსანდრე დიუმა-მამა ქალის სამოსელის სურნელებით ინუგეშებდა თავს.

სამი, ერთსახე, ჩია ტანის ქუდებჩამოფხატული კაცი გაკვირვებას მიეცა ამით და სამივეს მსგავსმა აზრმა გაუფლვა: მოეპარათ ნუგეში მარტოეულის.

### რაჰინიანის ქუჩა

„ორჯერ ერთსა და იმავე მდინარეში ვერ შეხვალ“, ამბობდა ბრძენი პერაკლიტე და მაინც, ერთი და იგივე ხალხი მიდი-მოდის რავინიანის ქუჩაზე. ერთსა და იმავე დროს. მხიარულნი თუ სევდით შეპყრობილნი. თქვენ, ვინაც კი დადიხართ რავინიანის ქუჩაზე, ისტორიის ცხუდარ-

თა სახელები შეგარქვით! აგერ აგამეშნონი! ესეც მა-  
 დამ ჰანსკა! მერძვე კი უღისეა პატროკლე ქუჩის თავში  
 ჩანს, ჩემ გვერდით კი ფარათნი მიაბიჯებს. მეოთხე სარ-  
 თულზე მცხოვრები ქალბატონები კასტორი და პოლუქსე გახს-  
 ლავთ. ხოლო შენ, მოხუცო მეძონძვე, ამ ფეერიულ დღეებში  
 ჩნდები და აქურებ ჯერ კიდევ ახალ ნარჩენებს და ნაყარ-  
 ხუყარს, უცნობს, იღუმალს და საბრალო მეძონძვეს შეგარქმევ  
 სახელს, ცნობილ და კეთილშობილურ სახელს დოსტოვესკისას.



**ლიტერატურული ზნე-ჩვეულებანი**

ერთმა ჰავანელმა ნეგოციანტმა თქროს ქალაღში გა-  
 მოხვეული სივარის ნამწვი გამომიგზავნა. მაგიდასთან  
 მსხდომმა პოეტებმა თქვეს, დაგცინისო ნეგოციანტი. მაგრამ  
 ბებურმა ჩინულმა, ვისთანაც სტუმრად ვიმყოფებოდით, მათ  
 უბასუხა — ეს პატივისცემის უდიდესი გამოვლინებაა ჰა-  
 ვანის მკვიდრთათვის.

მე ვკითხულობდი რა მშვენიერ ლექსს, ჩემს მეგობარს  
 რომ უთარგმნა ჩემთვის ერთმა მეცნიერმა. ისერიგად მოვი-  
 სიბლუე თარგმანით, ქალაღდზე დავაწერინე. პოეტებმა თქვეს,  
 ეს ლექსები ცნობილია და ჩალის ფასადაც არ ღირსო. ბებურ-  
 მა ჩინულმა მათ განუცხადა, რომ ეს ლექსები მათთვის უცნობ  
 პუნდვის ენიდანაა თარგმნილი. და გაიკვირვა, ვითარ შეიღანით  
 ისინი? მაშინ პატარა ბავშვებივით ახარხარდნენ პოეტები.  
 ბებური ჩინული კი სეფდიაანად იყურებოდა.

**უმნიშვნელო მოღერანიში დასკვნის სახით**

კუნაპეტ ღამეს, 1900 წლის მსოფლიო გამოფენის მოელვარე  
 და ანდამატიისეული ნახევარი სენაში იღვრება და ყირავდება  
 ერთიან ლოდად, რადგან პოეტის შემლილი თავი ცაში კბენს ვარ-  
 სკვლავს ანდამატიისა.

**ნეაპოლელი მათხოვარი**

ნეაპოლში ცხოვრების ჟამს, ჩემი სასახლის კართან მათ-  
 ხოვარი იჯდა ერთი. სანამ მანქანაში ჩაუჯდებოდი, ყოველდღე  
 ხურდა ფულს ვუყრიდი. მეტიად გავიკვირვე, არათდეს მადლობა  
 არ დასცდენია და გავხედე უცებ. და როს გავხედე, ხელთ  
 შემარჩა მხოლოდ მწვანედ გაღებილი ხის ყუთი, სადაც წითე-  
 ლი ქვიშა ეყარა და ნახევრად მიმპალი ბანანის ნაუცქვენი.

### ალიარების ალიარება



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

გზად, იპოდრომთან ჯდა მათხოვარი მსახურის მსგავსად!  
„ქმენით წყალობა, უვარგისი ვარ, რასაც გასცემთ, ცხენებზე  
უნარჯავ.“ და ასე, მუდამ ალიარებდა თავის სიგლახაკეს.  
ალიარებაც ჰქონდა მას დიდი და ღირსიც გახლდათ.

### მამალი და მარბალიტი

(ნაწყვეტები)

თეთრი მკლავები მისი თვალსაწიერად მეტცა.

ხანძარი, ვარდია ფარშევანგის გადაშლილ კუდზე.

როს მიუდიოდი რენას ქუნაზე, ისე გავკბიჩე პურის ნატეხი, გვგონე-  
ბოდათ, საკუთარი გული გავგლიჯე.

რათა უძიათ შური მწურალზე, მის მიერ გაცოცხლებულმა ვშირებმა  
გადაუმაღეს მას კალმისტარი.

ვით სამრეკლოა ამ წთვარის შუქზე დიაცისფერი უკლის ბურქნარი.

მხოლოდ ერთი მოქილიკე ანგულოშია ბრეტანის ტყეში, ტოტებს შუა,  
მარხილზე მგდომი, წითელპერანგა ქალი გლეხისა კულტური ვნის ჩემს  
უცოდინართობას დასცინის უშხით.

აქ დახორგილა კლდეები თეთრი და ალპინისტობს ღრუბლებში მარდად  
აეროსტატი.

ნუ, ნუ ისწრაფვი სილაყვარდისკენ თავჩაქინდრული, ამისათვის ხომ  
მრგვალებორბლიანი მექანიკური სავარძლებიც არსებობს.



# ბიბლიკური ჟურნალი

## ცნობიერი



### რომანო<sup>1</sup>

რუსულიდან თარგმნა ვანო შრუშინიძე

თანამედროვე რუსული პროზის თვალსაჩინო წარმომადგენლის ვიოტე მარკოვის ნაწარმოებთ პირველად იბეჭდება ქართულ ენაზე. მწერლის სქელტანაანი რომანი „ცაბარი“ თარგმნილია და გამოსაყენად მოწოდებულია საკანონიერო მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანთა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარ სარედაქციო კოლეგიაში, აღმანახი „საუნჯე“ მკითხველს სთავაზობს ამ რომანის ერთ-ერთ ეპიზოდს — „ცაბა“.

ვიოტე მარკოვის შემოქმედებაში თავისთავად მნიშვნელობას იძენს განთის საკითხი. ცხადია, მე აქ ვგულისხმობ რომანისთვის თავისებურებებს. იგი თითქოსდა დიდ „თავისუფლებასაც“ ამკლავებს მწერლური ხელოვნების დადგინდა წორმებისადმი. თუმცა განთის პრობლემა მარკოვისათვის არც განვეხებული პრობლემაა და არც წინასწარ მოფიქრებულია და განზრახულის ხორცშესხმა. მისი შემოქმედების ეს მხარე თრგასული ნაწარმულია მისივე მწერლური პოზიციისა, მისი პიროვნული მსაფრთხველობის და მსოფლხედვისა — თანამედროვე ცხოვრებისეული სინამდვილის მძაფრი აღქმისა და გამოვლენის ფორმაა.

მწერალს შოგჯერ აღწერილად გადმოგვიცხვს პერსონაჟის გარეგნობას, უბრალოდ და მიმდობლად მოგვითხრობს იმას, რაც აღრე საღვაც უჩახავს ამ გაუფონია. მწერლის ენა მდიდარი და სიხლსაფსება. ერთი შეხვედრით ისეთი შთაბეჭდილება რჩება თითქოს იგი „თვითნებურად“ ეპყრობოდეს ენას. ჰაგრამ ეს მსოფლოდ პირველი შთაბეჭდილებაა. მწერალი, პირიქით, დაინტერესებულია ენის სინატიფით, დახვეწილობით. შეიძლება ითქვას, რომ ვიოტე მარკოვი საკლუთივე მეტუშეებულა, ვარკვეულა ენობრივი აქცენტით ბისა და ნიუამსებებს მოხმობით დაღვენილი და გამომუშეებულა სტილსა გააჩნია. სწრაფი კომპონენტებთან ერთად მწერლის სტილურ თავისებურებას ატორის მადალი პუბანიშით, მისაგანად თანდაყოლილი მოქალაქეობრივი პათოსით განმსტვალული ძალდაუტანებელი თხრობა და მხატვრული ქსოვილის ბუნებრიობა განსაზღვრავს. მარკოვის შემოქმედების ამ მხარეს ნათლად ავლენს მის რომანებში ასახულ პერსონაჟთა მოქმედება, სოციალური და იატორიული მოვლენები, ამ მოვლენათა წყდომისა და თავისებურად წარმოდგინის უნაჩი, ენობრივი ფუნდამენტის დრმა ცოდნა ცომბირული რუსული ენისა და ლიტერატურული რუსული ენის თაფისებური მონავლეობითაა გამოხატული. თავის მხრივ ეს მომენტები მარკოვის შემოქმედებაში მნიშვნელოვან ფუნქციებს ასრულებენ მხატვრულ

<sup>1</sup> იბეჭდება რამდენიმე თავი.

ლი ჩანაფიქრის სორცმესხმაში, სინამდვილის ასახვას მასშტაბურობასა და დამაჯერებლობას მატებენ, ნაწარმოების თვით ფორმის, უაზრული თავისებურების გარკვეულ ხიშანთვისებასაც წარმოაჩენენ.



სინამდვილიცა, რომ ზოგჯერ ცხოვრებისეული სურათის, მოვლენის აღწერის თუ ჩვენების დროს მხატვრულ ქსოვილში მთელიადხელად „სხვა“ მასალაც ეტყობა. ესეცაა, ბუბლიცისტური შეგონება, დიდაქტიკა თუ ნარკვევი, და ყოველივე ეს ეტყობა ორგანულიაა შერწყმული და ერთიანად წარმოდგენილი, რომ მხოლოდ პირობითად შეიძლება ვილაპარაკოთ ასეთ უაზრულ სხვადასხვაობაზე.

გიორგი მარკოვის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია ცხოვრებასთან სისხლნორცეული კავშირი. მდიდარია მის მიერ შექმნილ თავისთავად საკუთა გაღურება, გვნიბლავს მწერლის უშუალობა, სიწრუელე, დიდი ადამიანური უბრალოებისა და სინამდვილებზე პირვანდელი რეაქციის ნაშავს რომ წარმოადგენს და რომლის მიღშავ არაფითარი კონტაობა, არაფითარი „ეშმაკობა“ არ იმალება. არას მხოლოდ თავანკარა პატიოსნური ბუნება, ავტორი ცხოვრებაში აღმოჩენილ ორიგინალურ და რეალურ ადამიანებს ანადლებულ პიროვნებებს ეძიებს. მის ყურადღებას განსაკუთრების ის ადამიანი იმსახურებს, რომლის მეობაშიც მარმოთიულააა წარმოდგენილი ხასიათის საუკეთესო თვისებები, დელიკატურობა და სხვისი პატივისცემა დიდ სულიერ ძალებთან და ძალად ეროვნულ იდეალებთან რომ არის შეთავსებული, ცხოვრების ღრმა ცოდნასთან — ადამიანის მრავალ რთულ მხარეთა წყდომის უხარბან რომაა დაკავშირებული.

საუვეტის განეითარების ლოგიკა, გასკვეულ ნონაკვეთებში, შეიძლება ითქვას, არ იწევს დამაჯერებლობის შეგობჩებას. თითქოს პარადოქსულია, მაგრამ ესეც სინამდვილის ასახვის ავტორისეული თავისებურებაა: მწერალი მთლიანობაში კვმის ცხოვრების დიდ მანრობასა და საბოლოოდ ყოველთვის არწმუნებს მკითხველს იმ მხატვრულ სინამდვილეში, რომელსაც ასე თავისებურად და საინტუიტუოდ წარმოდგენასავს. ავტორი უმცირეს დეტალებსაც ამჩნევს, ერთი შეხედვით უმნიშვნელია, სინამდვილეში კი მტყად დამახასიათებელ, საყურადღებო წვრილმანებს, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს არა ნარტყ მწერლის მიერ ცხოვრების ღრმა ცოდნას, არანედ იმასაც, რომ მასი „მშვიდი“ კბური ხედვის სფეროს გარეთ არ რჩება სინამდვილის მთლიანი სურათის თითქმის არც ერთი ნაწილი, არც ერთი დეტალი და, ყოველივე ეს — წინწანოწეული, წათული და კარკაშაა.

ჩვენს შინაგან შეგონებათა „ეკრანზე“ წარმოისახება ადამიანური ხასიათების ნაუნსუბი, უბრალო, ღირსებით აღსავსე პიროვნებები — ფეოდალ ვორბიაკოვი, ფეოდალ ფეოტის ძე ბეზმატერნიხი, კატია, პოლია, აკინოვი, ლიხარევი, ნასიმოვიჩი, სტასია — „ციმბირი“; მატვეი, მაქსიმი, მარინა და არტემი სტროგოვები, ფიშკა, სოკოლოვსკი, ბელიაევი — „სტროგოვები“; მარეი ვორდვის ძე — „მიწის მარლი“ და სხუ. მათ გვერდით ასევე ნათლად იკითხება საპირისპირო ცხოვრებისეული ნაპირის „ბინადართა“ — თავებრმა ადამიანთა ავისებები, ხასიათის რთული თუ მარტივი შტრიხები, აქაც იცოვე მკვეთრი და უხვი ფერებით აღმუცდილი გამებია, თუშეც ავტორი არასოდეს არ მიტართავს „ქალისპიერ“ ზეობებს, მით უფრო არ არის შემოხვევითი, რომ ეს სახეები განთვეთილსა არიან, მხატვრული დამაჯერებლობის გამოირჩევიან. მავალითისათვის გავისხენოთ თუნდაც ეპიფან კორნის ძე კრივორუკოვის, მინი მეუღლის ანფისა ტროფიშის ასულის, პარაბეული ურიადნივის ვარსონოე კვიტელაინის ძე ფელატოვის — „ციმბირი“; ზიმოვსკოის, დემიან შტინკოვის, ბენედაქტოვის — „სტროგოვები“, „მიწის მარლი“ და სხვათა სახეები, ამ პერსონაჟების სულიერი წყობა, მათი სულიერი სამყართ მით უფრო ძლიერ შეიძულებილებას, შემოქმედებას ახდენს და მიუღებელი ხდება მკითხველისათვის; მკითხველი უფრო მსაურად აღიქვამს ნაწარმოებში ასახულ ცხოვრებისეულ სიმართლეს, უფრო „სრულად“ და ღრმად ერთება იგი ამ სინამდვილის განსჯაში და შეფასებაში და თავისი პირუთვნელი მსჯავრი განოაქს... ეს ბუნებრივია დიდად უწევს ხელს მკითხველის სოციალურ საზოგადოებრივი პოზიციის ფორმირებას, რაც სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის უმაღლესი დანიშნულების გამოხატვა, ავტორის პრინციპული, პარტიული პოზიციის გამოვლენაცაა.

გიორგი მარკოვის რომანები — „სტროგოვები“, „მიწის მარლი“ და „ციმბირი“ შინაგანად ერთიანია — ერთი დიდა იდეაა, მწერალს რომ ამოძრავებს და გზას უნათებს: უწევნოს, დაანახვოს ადამიანებს, თუ რა საოცარ სიღამაზებაა და დაუოკებელ ძლევამოსილებას ანიჭებს ციმბირი საერთო რუსულ სიღამაზება და ძლევამოსილებას, ეს არცთუ

იოლი მსატყურეა ამოცანაა, მით უმეტეს როდესაც მწერალი პუნანური, სამართლიანი პოზიციებიდან შეეცდება წის გადაწვეტას. გიორგი პარკოვისათვის სწორედ ესაა მთავარი: მტკიცე შეხედულებების მქონე ადამიანების (რომელთაც გაცხოვრიებულნი აქვთ თავიანთი, შიშის მისია და დასიშხულება) დამახასიათებელი თვისებაა, რომ საკუთარი შრომა, მოღვაწეობა თუ შემოქმედება დაუკავშირონ ხალხის სამსახურს, ადამიანის სულიერი მონობიდან გამოხსნას, აზროვნებას ყანულის ჩარჩოებიდან გამოთავისუფლებას, უმწურობი კარგობის თათვის, ნატარასა და ტალანტიანი პიროვნებისათვის თვალის ასეღის, უმწურობის მისების, ინტელისა და სივარულია მინიჭებას, ნათთვის ცხოვრების მისნას — მაღალი შემოქმედებითი შრომისა და უბრალო ადამიანური ზედნიერების მოპოვებას.

რომანში „ცემბირი“ მკითხველის წინაშე გადაიშლება ცხოვრების მდებარე ოკეანე, უკიდვება და უბრალო, სისადავითა და ფერთა სიმდიდრით გვიტარებს ვარემო-ბუნება და სინამდვილე, ხალხის ყოფა და ფსიქოლოგია. და ყოველივე ამის მადამ თათვის მონის მძლავრი, მთამხეტლავი მუსიკა — გმარულ და ამადღებულ, მოქალაქეობრივი მათობის აღსავსე, თავგანწირული ბრძოლის რევოლუციურ ნოტივებს ენაცვლება უსასრულობას, უნაპირობის, ბუნებას სულგზებლობის მოტივები... ისმის ადაყით, სამყაროს მშვიდი, თანაბარი სუნთქვა, — სიყვარისათვის მებრძოლს, სიმართლისათვის თავდადებულ ადამიანს მკაცრ-ცხლებელი ელემენტებით რომ ჩაუღვრება სულში, რწმენითა და სიმამაცით რომ აღავსებს მას...

ოთარ ნოდია



**ტ** ავიდამ მონადირეთა გამოსვლა... რაღაცით შორეული რეისიდან შეხლდებურების დაბრუნებას მოგაგონებდათ. პეტროგრადში კატია გემების ჩამოდგონას ხშირად დასწრებია: ზოგჯერ სტოკჰოლმიდან „შემომგვევით“ პარტიული ჟოსტა იგზავნებოდა, მის მიღებაში კატის ბადალი არ ჰყავდა. გაითანაშებდა მონატრებულ საცოლეს, ან პატარაღლს, მოუთმენლად გასხლტებოდა ტრაპზე, აიბარებოდა გემზე, იქ კი უკვე რომელიმე ცეცხლფარეში ან მეზღვაური ელოდებოდა. ერთი წამი და, ფოსტა ეაკვტის სათაღარიგო ჩაბეში აღმოჩნდებოდა ხოლმე.

კატია ხიღზე იდგა ხალხში, ქარისა და წვიმისაგან გაშაფებულ ნიენივას მიყრდნობოდა. თვალებს მუტავდა, თოვლითა და მზის სხივებით აელვარებული სივრცე ოვალს უბრმავებდა.

სამოერის კომერადან მეღება ჩუსინი და მისი ქეთამოკლე ვაგი ნიკოლკა გამოვიდნენ. ჩუსინების ოჯახი ლუკიანოვკაში ერთ-ერთი ყველაზე ღარიბი იყო. მეღებასა და მის ცოლს — ფეელას თორმეტი შვილი ჰყავდათ და ყველა მიყოლებით, ერთი წლით უფროს-უმცროსი.

რაც უფრო უახლოვდებოდა მეღება ხიღს, მით უფრო ზავთიანად გუგუნებდა ხალხი. ენამახვილნი წინ, პირველ რიგში, თვალსაჩინო ადგილზე იდგნენ. მამა-შვილს მათრახივით გადაპკრეს სიტყვები:

— აი, მეღება კი ახლა ქვეყანას გააკვირვებს!

— ალბათ თავის სულელთან ერთად ტაიგაში რაც ნადირი იყო, სულ გაწყვიტა! ერიბა, კაცებო, რიღათი ვიცხოვროთ?

— იქნებ ნიკოლკა იქ დაქორწინდა კიდევ?

— ვისზე?

— ძუ დათვზე!

სიცილი ნატულობს. ისმის ხარბარი. განხიარულებულ ხალხს ზიზშიმი გაუღის. იქ ბევრია ისეთი გლეხი, რომელიც მეღება ჩუსინისაგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ ნაკლები შვილი ჰყავს, შენოსავალი კი ერთნაირი აქვთ: ეინ არის ისეთი, ეისაც არ უნდა დაივიწყოს

საქუთარო ხილარინგე? და ის ასე, უღარდელად, დარდიმანდულოდ, მთელი ხალხის წინაშე, მასვეთი გაჭირვებულს დახეინოს!

მელეხა უიღბლო, უგურგილო კაცია. ცხოვრებამ ბაღათის ღერაკით <sup>სამოწყობლო</sup> გათელა. რასაც არ უნდა მოხედოს ხელი მელეხამ, არაფერი გამოდის, ამოღორჭება, დროსაც ტყუილიდ კარგავს. ხადრობაშიც ვერ ივარგა... მელეხას ჭერ სიტყვაც არც არაა. არც უკვან იცის. დმერით არ სწყალობს. ბედი არც ისღა გაუღიმებდა. **სიტყვით მთქმელი:** იღარდოს, ინელვლოს, იტმუნეაროს, რადგან მისი ცხოვრება არ იქნება, ბედნიერებას ვერ ეწიარა.

მელეხამ დახედვლო ქუდი მოხატა, ააწნია და ხალხს თავი დაუქრა.

— გამარჯობათ, თანასოფლელებო! სელამი და მშვიდობა თქვენდა! — უყვირის თანასოფლელებს წრიბინა, სეკუტი ხმით და კისერში უტიმეჩებს თავის ჭყუამოკლე შვილს, ხალხს მიესალმვო.

ხალხმა მელეხა და ნიკოლე სწრაფად შთანთქა, ისინი ხილის შუაში, ადამიანების წრეში ნოქცენებს, ნიკოლე მხრებთან ისხნის ხადავს. მელეხა ტომარას ხანის, ციყვის ტყავებს იღებს. გინდა არ გინდა, უნდა იხეიანო ხალხს, რამდენი იშოვე. ასეთი წესია თველთაგანვე მონადირეთა სოფლებში. თუ ბევრი იშოვე, სოფელში შენზე საკადრისი ხმა დიარხევა, მანაცად ვადიარებენ, დანსახურებისდაგარდა შეიძლება გმირიც გიწოდოს.

ხადრობა, ხადრობასარენი მხოლოდ უშიშართა საქმეა. დღე და ღამე ტაიგაში უნდა იყო. ყოველ ხაბაჯზე საფრთხე გენუგრება, ოდნავ შეფერხდება და მხეცი ცხვირწინაა. აფთარი და სამურავი ხეებიდან ვიდარაგებება. „გაისო“ თქმასაც ვერ მოასწრებ, ისე დარჩები თვალმდამირალი, ქალახბილი, ყელგამოღიდრული. მიწიდან კი, ყოველი გირკვიდამ წვიმლება დაიყო წამოვხტეა, მალდა აწკული მძიმე თათრებით დაგადგეს თავზე.

ტყე? ის შენი მტერიც არის და მოყვარეც. ნიშნების დამახსოვრებს უნარი თუ არ შეგწავს, თუ არ იცი, რა კანონებს ემორჩილება ტაიგის მდინარეების დონება, თუ არა გაქნს შესწავლილი ვარსკვლავიანი ცა, წიგნივით არ იცი მისი წაკითხვა — ტყე გზაკვალს იგირებს თავისი საკალუწდენელი ვრთფეროვნებით და საბოლოოდ, მშიერი და გათონილი დაეგლები მძწაზე, როგორც მისი ტყვე და მსხვერპლი.

შემშარავი გრძობაა, მაგრამ სინართლეს ვერ გაეჭვევი. ტაიგაში ცრემლი უბედურებს ვერ უშვალის...

— ცოტა გმოთვია, მელეხა! — გუგუნებს ციყვის ტყავების პატარა შეკვრის შემხედვარე ხალხი.

— გათა არ ვიცი, რომ დღეში თითო კუდი ცოტაა. — მელეხას დამჩვარული ტუხები უკანვალებს, ტრაქიომისაგან თვალმწაწითლებული ახლა შორცხვად და დამნაშავესავით იყურება. ამ ხალხში არავინ არია კარგი მონადირე, მაგრამ იციახ, რა შეუძლია ნამდვილ მონადირეს, არ უნდათ სულგრძელობა გამოიჩინონ და მელეხას უიღბლობა აბატონ. მელეხა, გეტყობათ, შენ და ნიკოლეს მეტწილად ვეჩინათ! — ისმის დამცინავი ხმა.

— დასაძინებლად სად გეცალა ინათებდა თუ არა, უკვე ფეხზე ვიყავით. იცით რა, ტაიგაში თავიდანვე ქარი ამოვარდა. ცხოველებს ასეთი ამინდი როდი უყვართ, სგრულეებში ნიბერებია, იძინებენ, ვაიფ? — ლულუღებს მელეხა და გარწყმორტყმულ თანასოფლელებს შერბთალი თვალით უჯღრებს.

— გაანებე თავი, ისოკუბტი, აღბათ ფეკან მგას ნეცამეტეც გამოუცხო: ამ საქმეში მაგარი, ჭარს არ შეეძება! — არ იავენებენ ენაკვიმატხი.

ხალხი მონადირეებს გზას უთმობს. მელეხა ნიკოლეს აწინაურებს, თვითონ კი წელში მოხრილი, უხერხულად აღგამა ნაბიჯებს და მოკლე ქურთუკის სწორებით შვილს უკან მიჰყვება. კატის გული მათდამი თანაგრანობით განიმსჭვალა. „დმერთო ჩემო, რა დაუნლობაა! არა, არა, ამ ხალხისაგან შეწყნარებას ნუ ელა“, — ეიქრობდა იგი.

დამხედურებმა უკვე დაივიწყეს მელეხა, თითქოს მას არც შეხედროდნენ. მოუთმენლად ელოდებიან ხილისაგან მომავალ საგა მონადირეებს. კოკლობით მოაბიჯებენ ხისფება საფელი შუბხაკოვი და მისი ცოლი. თამბლე საველის კარგი თვალით უჯღრებდნენ ლუკიათოკაში. თლონდ ახლა პრილობამ ფრთები შეუკვეცა. აბა, ტაიგის უღრან ტყეებში ხის ფეხის პატრონი რას ვისდები...

საველიმ თავისი ცოლი ნახტასია მონადირის ზოგიერთ საიდუმლოს აწიარა. საველი ხაიანგებს დგამს, თვალუურს კი მისი ცოლი ადევნებს. ყოველ დილას ნახტასია ათვალეირებს

სადანაც წაა და კაცანათებს, ისევე ასწორებს წათ, წიმავეს, ნება უნებლიეთ ნადირობის საიდუმლოების ვთვლება.

სადანაც ათვლიანებს შუბნიკოვებს ორ საცეს ტომარას, ერთში ბეწვია, მეორეში ფაჩვიანი ოჯახისათვის, ენაკვიმატნი კმაყოფილნი არიან, აქებენ შუბნიკოვებს, საველისა და სასტუმარს სამართის სახადირო სეზონში წარმატებას უსურვებენ. ორ-საში კვებულები ნადირები ისევე ტივის გზას გაუდგებიან.



\* \*

— სტეპანს ლუკიანოვი სთავს თავისი არტელი — ხალხის ვუხვეს უთხავს ელიაცის ხმა. საველი ცდილობს დავაწკადობის თანასოფლელებს, მაგრამ არავის უსმის. შუბნიკოვები ნელა, საბაჯ-ნაბაჯ სცილდებიან ხალხს, ნახტახია წინაურდება, საველი ცოცხს ბუთი ნაბიჯით უკან მიდევს.

სადანაც უკან გამოცოცხლდა კატია ხელება, რომ ისიც სტეპანს ლუკიანოვისაგან რაღაც არანეულებრივს, საოცარს ელოდა. აღბათ ასეთა რამ პირველად არ ხდება, თანასოფლელები ამას შეგუებული არიან. კატია ესწის მათი ლაბარაკი, მოგვით თურნე სტეპანე ისე ანევიფრემდა თანასოფლელებს, დიდი ხნით ამასსაუკრდეობდათ მისი ნაწილირევი. ერთსელ ხუთი დათვია ტყავი მოკტანია, მეორედ კი — საში აუთრისა.

— აბა, ვნახოთ ერთი, რით გავვაკვირებებს სტეპანს!

— კატია, ნამანევიც მოდის, აფერ იაია, ფაჩვი რომ იურავს, — ვულში ჩასხურსულა ნამან კატისს.

მანო ტანოფვის მოვლაპარაკა და ახლა აღბათ სადამოს ელოდება. კატია არაფერს ეკითხება — ესედაც ყველაფერი ცხადია მისთვის. მანის ხმა ამხელს, ძალზე კმაყოფილი და გახარებულია. კატიას ელიმება: ავიდეუ კარგი, სოფელში რომ წამომყვა და თან ტყუილუბრილად არ გაისარჯა, ხომ შეხვდნენ ერთმანეთს“.

— უკან ვილა მოპყვება? ვინ არიან? — კითხულობს კატია.

ფაჩე რა ხანია შეამჩნია, რომ სტეპანს ლუკიანოვი მარტო არ შოდიოდა, კატია მიხედა, რომ სტეპანს კაცები კი არა, პატარა ბიჭები მოხდევდნენ.

— წელს ნამანემა არტელი ზიგებით შეავსო, რას იზამ? ზოგზე დევებმა სთხოვეს, ზოგურთებზეც თავად შეარჩია, აღრე ჭაბუკები და კაცები დაყავდა სოლმე ტიფაში, ბევრა ახწავდა სარეწი საქმე, — აუხსნა მანამ.

კატია თვალმოუწყურტლოვ უსურვებდა სტეპანს ლუკიანოვს, ვნის ნაბირას რომ მოაბიჭებია: სტეპანს ფაჩვი უკან გადაეწია და თავის უმცროს ამანაგებს ემუსაიდებოდა: თაყსეკაეებულად იცინოდა, მას ტიფელის ჩვეულებრივი ტანსაცმელი ემოსა. ნადილუვლიანი ხეცმა და სექმის ფართო ყვლებში ჩატანებული მადლის სარჩულიანი წარვალა ეცვა. ჭურთღუსე პატრონტაში შემოფრტვა.

სტეპანი რომ ხალხს ნიუახლოუდა, კატიათ მისი სახე შეათვალიერა. მხიარული, გამპრიანი, ხატრისდერი თვალები, სწორი ცხვირა, მოკრძული ტუჩები და გახსნილი შუბლი მის სახეს ძლიერ, ნებისყოფიან იერს აძლევდა. მოკლე, წვრილად დახუტუჭებული ჭერა წვერი აჭონდა. თვალუბქვეშ, ნაოჭებში, დაღლილობას მოუკლათებინა. სუფთა, მოვარდისფრო კანი თფლით დაცვართდა.

— განარჯობათ, ძმებო! — ხმადამლა, მაგრამ გარკვევით თქვა სტეპანმა.

შფოთის ამტეხი ენაკვიმატნი უმაღ მასთან გაჩნდნენ. ერთმანეთს სიტყვას არ აცდიდნენ, სტეპანს კითხუებს აყრიდნენ, გარს ერტყმოდნენ.

— აბა, სტეპანს, როგორ არის შენი სანაქებო არტელი? ხომ კარგად იშრომულა? არწიეები რაღაც მოწყურლები ჩახან, ფრთები დაეკვიცით! — იმბოდა ხალხში.

მართლაც, ბიჭები მხხელ ვერ გამოიყურებოდნენ. დაღლილნი ფეხზე ძლივს იდგნენ. გუშინ დღისითა და ამ დღით სულ ცოტა ორმოცდაათი ვერსი გამოიარეს. მუხლი ეაყვებოდათ.

— კარგი არტელი გამოდგამ რომელსაც გინდათ დაადეთ ხელი, ვეღლა ნამდვილი ნონადირი და ნამდვირებელი კილოთი ამბობდა იგი.

ხალხი კი მის ნათვამს ასე ადვილად არ იჭერებდა.

— ტონრებზე რა გაცემთ? ტყაუები? თუ ხალხითაც გამოტყნეთ! — არ ცხრებოდა უფრო კირვიტა ხალხი.



— აბა, სპირიდონ, გახსენი ტომრები — ბრძანა სტეპანმა და თავისი არტელის ერთ-ერთ წევრს ზურგიდან ტომრის მოხსნაში დაეხმარა.

სტეპანმა ტომრიდან ბეწვეულის დიდი შეკვრა ამოიღო. ყველამ დაინახა ტყვეობის, სიამაღობისა და კვების ფაფუკი კუდები. ხალხი გაოცდა, შედახილები და აღფრთოვანებული სტეპანა გაისმა.

სტეპანმა ტყვეები კვლავ ტომარაში ჩააღაგა, წამოიშარტა და მალე, **მარქსის** **სიგ-ლიქსი** რიდონს ტომრის ზურგზე აკიდებდაში მიეშველა.

— ნახადირვეის ვაჟოვას როგორღა აბირებ, სტეპანა? ბიჭებს პირზე დედის რძე არ შეშრობიათ და თუ მისცემ რამეს? — გაისმა ხალხში ვიღაცის ხმა. სტეპანმა იცნო — შედუქნე პროხორ შუტილინი იყო. სოფელში ყველამ იცოდა, რომ პროხორი საშინელი მატყუარა და გაძვერა გახლდათ. ხალხს წონაშიც ატყუებდა, ანგარიშშიც. ხშირად გამოუმულავნებიათ მისი თაღლითობა, ბევრჯერ ცხვირიც ამოუნაყაეთ.

— პროხორ, შენს რჩევა-დარიგებას არ უსაჭიროებ. შენი ანგარიშით ორს რომ ორი მიღუძატოთ, ხუთია, — უწყინრად უპასუხა სტეპანმა. ხარხარმა დათარა მისი სიტყვები.

— შიგ გულში არ ნოარტყა მონადირეში!

— პროხორ, კიდევ რამე პეიანე სტეპანს! — უკივილებდნენ ენაკეიმატნი შედუქნეს.

ხალხი ზეიმობდა. წერცხენალ პროხორს თვალები აცამაცა გაერბოდა და ბურტყუნით ილანძვებოდა.



სტეპანა თავის ქალიშვილს გადაეხვია. მის ქალაქელ მეგობარსაც ხელი ჩამოართვა, თან სახეზე დააცქერდა:

— კატია, ჩვენი ლუკიანოვკა როგორ მოგეწონა?

— ცოცხალი, მხიარული სოფელია, სტეპან დიმიტრიევიჩი! — უპასუხა კატიამ და ახლადა შენიშნა, რომ მონადირეს ერთი თვალი ნოცისფრო ჰქონდა, მეორე კი — მოყავისფრო. მან ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ ლუკიანოვკაში სტეპანს მეტსახელად „ნაირთვალას“ ეძახდნენ და ტაიგაში მთა წარმატებულსაც ამით ხანძნენ. „თვალეზიცი სხვანაირი აქვს. ღია ფერისათი დღისით ხედავს, მუქით კი — ღამით. ბიჭი ხარ და შეეჭებოვ“, — ესმოდა კატიას ხალხიდან ვიღაც დედაკაცის ხმა. ხიდგალმა გამოაცილეს სტეპანი და მისი არტელი.

ბოლოს და ბოლოს ხალხი უფან რჩება და სტეპანი დაწყებულ საუბარს უბრუნდება:

— თამაღე ძალიან მხიარული დღესასწაული გეჭონდა ხოლმე ამ დღეს. დღისით — რბოდა, მიხანში სროლა, საღამოთი კი ქვიფი იმართებოდა. ახლა სხვა დროა. მესამე წელია, რაც ხალხი მიყურდა, შეეცოტავდა. ქანცი გასიერათ, მამ, რას წერენ იქ, გაზეთებში? შეგი მალე დაიდება თუ არაო? წერილი იქიდან კიდევ არ მოსულა?

მამა მამას გვერდზე მოყვება. იცის მისი ხასიათი: როგორც არ უნდა ვაგიჭირდეს, გაჭირვებას ქედი არ მოეპარო, შეუპოვარი იცავი ცხოვრებაში, შენს სისუსტეს სხვას რუ დაანახებო. უფროსი შვილის დარდი მკლავდა სტეპანს... მისი გულისათვის ტაიგაში არაერთხელ ჩუმად დაუღვრია ცრემლი, მაგრამ არაფერ, თვით მამამ ცოლმაც კი არ იცოდა ეს ამბავი.

— მამიკო, მშისგან კვლავ არაფერი ისმის! — ეუბნებოდა მამა, რადგან ალღო კარნახობს, რომ იგი უპირველეს ყოვლისა თავის უკანასკნელ კითხვაზე ელას პასუხს. — თმის ამბებს კი მოგიყვებით. კატია აფიხსნით, გაზეთიც ჩამოვიტახეთ, წაგიკითხავთ...

— ესე იგი, შენც ჩემს შვილთან ერთად მუშაობ სტაშბაში? — სტეპანი თავისი სხვადასხვა ფერის თვალებით ცერად უყურებდა კატიას და თანდათან ვარუჯული სახე ალერსიანი გაუხდა.

— ერთად ვართ, სტეპან დიმიტრიევიჩი, — კატიამ მამას გადახედა და ორივე მიხვდა, რომ ამ პასუხში უფრო ღრმა შინაარსი იყო ჩაქსოვილი, ვიდრე მონადირეს ჰქონდა წარმოდგენილი. მაგრამ კატიას შეეშინდა, ვაითუ სტეპანმა ამ თემის გაღრმავება მოისურვოსო, და დაასწრო:

— სტეპან დიმიტრიევიჩ, გაოცებულა ვარ, მონადირენი რომ არ ჯარავენ ნადავლს და ყველას უწვენებენ. ხალხში ხომ მაინც მიღებულა საკუთარი ავლა-დიდებას დამალვა, — თქვა მან.



დად, კატერინა, ნუ ჩქარობ, ხველაფერი ისე უნდა გაიგო, რომ თავი არ გაამხილო! — თითქოს ჩაესმოდა ძმის ხმა, დიდი შრომის ფასად კონსპირაციის წესები რომ ასწავლავს.

სტეპანის ამაღი სულ უფრო თხელდებოდა. ბიჭები მშობლების თანხლებით თავისი სახლებისაკენ უხვევდნენ და უზოვებში უჩინარდებოდნენ. ყველაზე დიდხანს სტეპანს კორჭლიანი სპირიდონი მოსდევდა, ზურგზე ტომარა რომ მოეგდო, მაგრამ მალე იქასაც კატერინა სტეპანს გადასცა და ჩამორჩა.

ლუკიანოვების სახლთან სტეპანსა და ქალიშვილებს ტატანა ნიკანოროვნა გამოეგებათ. პიმეში, გრძელ ქურქში გამოწყობილი, თავშალში გახვეული, ჭიშკართან იდგა, მზის სხივებზე მოჭრულ თვალებს ხელისგულით იჩრდილავდა. სტეპანი რაღაცნაირად ნაბიჯზე რომ მოუახლოვდა, ქმარს ეცა, მოეხვია; ატირდა, თან მოსტკვამდა:

— სტიოპუშკა, აღარა მაქვს მოსვენება, გული რაღაც ცუდს მეუბნება!

სტეპანს არ დაურცხვინია მისი ასეთი საქციელის გამო, მხრიდან ბეწვეულით სავსე ტომარა მოიხსნა, ცოლს ზურგზე ხელი მოხვია და გაამხნევა:

— ნუ დაადარებ, დედაო. მარტო ჩვენ როდი გვაქვს ასეთი გასაჭირი, ამ სიბოროტე-ჩაც მოედება ბოლო.

ერთ წუთს უამოდ იდგნენ. მაშინ ჩაწითლებული თვალებით უცურებდა მშობლებს. წამწანზე ცრემლი ევლიდა. კატიაც სევდამ შეიბურო. იგი განმარტების გარეშეც მიხვდა, რაც ხდებოდა. ლუკიანოვების უფროსი შვილის ბედმა ააღელვა, თითქოს იგი ბისა ახლომდელიც ეყოფილაყო.

— სახლში შეგვიყვანე, დედაე, აბა, გაგვიძეხი — შშვიდად თქვა სტეპანმა და ცოლი ფრთხილად ქიშკრისკენ მიატრიალა.

მაშინ ასწია ბეწვეულის ტომარა, ზურგზე მოიგდო და დედას საწრაფოდ მიჰყვა.

სტეპანმა მიიხვდა და კატიას ხელი დაუჭნია.

— არ ჩამოგვრჩე, კატია! არ ჩამოგვრჩე!



ექვშამ მატრიონა ილიუხინას ძველი, ცალ მხარეს გაღივრცილი სახლი გამოთბარი და გახათვებულია. კაბუკებმა წერ კადევ დღისით მოათრიეს შეშა, გამოსცინდლეს მდღუჭნეს ორი ლამა, ტყიდან სოჭის სურნელოვანი ტოტები ბოიტანეს. ქალიშვილებმა სახლი დაილაგეს, რატაკი მოწმინდეს, ხის გრძელი სკამები გაასუფთავეს. ძველისძეული, მიტოვებული სახლი გაჩახლდა. კუთხეებში დამბალი რატაკიდან სიცივე ამოდის, უახჩრებში ნახვრეტებმა დაუღია პირი, მაგრამ რკინის ღუმელში ცაცხლი გიზგიზებს. სახლს მარტო ცხელი ღუმელი ეს არა, კაბუკებისა და ქალიშვილების გახურებული სხეულებიც ათბობს და, ცოტა არ იყოს, ცხელა.

სახლი ხალხითაა სავსე. ვისაც ადგილი არ ეყო, კართან და კუთხეებში მიკუხშულან. ტიპოფეი ჩერნოგმა ოთახის შეაგულში წრე ძლივს შეკრა. ფერხულის გარეშე რა ფასი აქვს საღამოს! უნდა იცნეყო, ერთი-ორჯერ „ბარინია“ და „კადრილიც“ დაუარო. უნდა ოთამაშო უახტიც. ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი რამ აქვთ წესად ამ საღამოზე! აბა, ტყუილად კი არ იყო ეს ამოდენა სამზადისი და აურხაური. ხარჯებიც გაიღეს. სახლისათვის — ქირა, ნავთის ღამბების ღუღაც გადაიხადეს, მეგარმონეცაც გასაშრჯელო მოითხოვა. საკუთარი მეგარმონეცები როდღია შეავდათ, იმმა არავინ დაანდო. ლუკიანოვებს ხეტორებში წასვლა მოუხდათ. ცალღება დილა პეტუხოვს, მთელ ამ არემარეში ერთადერთ განთქმულ მეგარმონეს, უხვეწნენ, უმუღარსენ, წამოგვეყვიო. თახ, როგორც ბატონი, ან ხელმწიფის უმაღლესი წოდების მოხელე, მარხილით უნდა წავყვან-წამოიყვანათ.

საღამოს წვეულება ეშხში შევიდა. ტიპოფეიმ მაშინ და კატია კუთხეში სკამზე დასხა. მაშინ საღამოზე პირველად არ არის. მას გველა იცნობს. არც მისთვისაა ვინმე უცხო. კატია ჯერ არ ყოფილა სოფლის ახალგაზრდობის შეკრებებზე. ყველაფერი აინტერესებს! კატია ცობისძოვარეობით ივადანთებული, სახუალეწილი და გაყვარებული უთვალთვალეს ყველაფერს, რაც წრეში სდებოდა.

ორი კაბუკი ერთმანეთს ეყვანა ეჩობრება, აანამ პირველი მოდნაკვეთ აყვებს რთულ ილუთებს, მთელი სხეულის არაჩვეულებრივ მოჭნილობას რომ მოითხოვს, მეორე მას სრულიად გულგრილად უყურებს. მეორე პირველი ხერღება, ერთი წამით გამომწვავად დგება

და შერე წოწინააღმდეგეს ასევე გულგრილად უმზერს. არც ერთი ახალი ილეთი არ რჩებოთ შეუმჩნეველი. და მალე აწყარა ხდება, რომელმა გაიმარჯვა.

— რადიონს თანუთმეტა ილეთი ქქონდა, სიომქას — თორმეტი, — ამბობს ტიმოფეი, ყავარჯენს აბაკუნებს და ქაბუკები მიჰყავს, რათა მეგობრულად ხელი ჩანოართვას ურთმანესს.

კუთხეში მიდგებიან თუ არა აჭოშინებული მოცეკვავეები, წრეში ~~ოთხნი ქქონს~~ ~~გომოდის~~ გომოდის.

ცალფეხა ფალკა წელავს გარმონს, მისი თითები იფეთრ კლავიშებზე დაცურავს. ქალიშვილები ერთდროულად ქუსლებს იატავს უბაკუნებენ, თავსაფრებს მაღლა სწევენ და წყვილწვილად გამოდიან საცეკვაოდ.

წყრილა ხმით მღეროიან შაირებს. წყვილი წყვილს ეჯიბრება. კატია დაკვირვებით უსმენს, ცდილობს გაიგოს — ქალიშვილები ერთმანეთს რაში ეჯიბრებიან, ცეკვაში? დიას, რა თქმა უნდა. მოცეკვავეები ფეხით ტექტს ითვლიან. კატიასათვის გაუგებარია, როგორ ასრულებენ უხეში ნეჭებით ასე ზვევით, ბეჭობრ კაკუნს მაგრამ სულ მალე ხედავს, რომ მოცეკვავეებს ცეკვა ნაკლებად აწუხებთ, მთავარია — ვინ უფრო კარგად შეასრულებს შაირს.

ქალიშვილების პირველი წყვილი რეჩიტატივით იწყებს მღერას. მეორემ დაუყოვნებლივ უნდა უბასუხოს. შაირებია შინაარსი თანდათან იცვლება. ჯერ ომზე, ზაწყვედილ ვერმანელებზე მღეროიან, შერე თავის სოფლურ ყოფაზე, ამას მოსდევს ლირიული სინღერები, რომლებშიც ქალიშვილები გულსწორებს მიმართავენ და, ბოლოს, უცებ გადადიან სახუმაროზე. სახლი შანხარებს, გეგონებათ, სადაა სახურავი აიხდებო, სიცოცხლისხარისიდან ბათქაში ცვივა, თრიათ, სტეის ლამბების გამობერილ შუშებში პატრუტები.

— გოგონაო, კარგად გაგვამაჩიარულეთ, თთბივე მსვენნიერი ხართ! — გამოაქვს თავისი განაჩენი საღამოს მამასასლისს, ტიმოფეი წერნოვს. იგი მოხერხებულად ტრიალებს ყავარჯნებზე, თავმომწონდა ახედება იმ კუთხისაკენ, საიდანაც მამას მთავალი ანალები ანათება.

პეტრუტა ნიკოტები ქუდში შეაგროვე, ფანტი ვითამაშოთ. აცხადებს ტიმოფეი. პეტა სკობულუნიაც იქვია. ქუდით აუღში უვლის თათს, კუთხეებამდეც აღწევს.

ყასაც რა უნდა ქუდში იმას დებს: ცხვირსახოცს, ბეჭედს, თმისსამაგრს, გულსაბნევეს, ბაფთას, საფარცხელს, ქისას, ჭაყვას, ჯიბეში ჩარჩენილ თოფის ვაზნას. სულ მალე პეტა სკობულუნიც ქუდი ივსება.

ტიმოფეი ჩერნოვი ტაბურეტზე ჯდება კოჭლი ფოლქას გვერდით. პეტა, ქუდით ხელში, მას ზურგსუკან დგება.

— აბა, ტიმოტა, ამ ფანტს რის გაკეთებას უბრძანებ? — ეკითხება პეტა და ქუდიდან რქის თმისსამაგრს იღებს.

— იმღეროს ამღინარის პირას, ჩქარი მღინარის! — ამბობს ტიმოფეი.

წრეში გამოდის გოგონა, საცაა რომ უნდა დაქალიშვილდეს. მხრები და თეძოები ჯერ არ მომწიფებია, სახეზე დაბნეულობა ემჩნევა, შუბლი ოფლს დაუცვარავს, თვლები სადღაც შეკრებილთა თავებს ნიღმა ნიღმართავს, მაგრამ დაქრა ეამმა, უნდა მიიღოს ნათლობა, ამის შემდეგ უფრო თავისუფლად, ლაღად ეგრძნობს თავს. მღერის ნაძალადეგო, დაძაბული ხმით, თუნცა ძალიან ცდილობს. არაეინ არ აწყვეტიანებს, ყველა დიდი ყურადღებით უსმენს. თვითონ ტიმოფეი დაკვირვებული და სერიოზული კაცია, მბთლოდ ზოგჯერ მოუთმენლად გადახედავს ხოლმე ქალიშვილს. ფანტი ბევრია და იმას ფიქრობს, როგორ მოასწროს კადრილამდე ყველას გასტუნება.

— ყოჩაღ, ვერკა, ყოჩაღ! კარგი ქალიშვილი დადგები! — ამხნევებს ტიმოფეი გოგონას. ვერკა ფრთებშესხმული მიდის თავის ადგილზე, მეგობრებთან და უკვე ყველას ფართული სიამაყით უყურებს.

— ამ ფანტს რაღას უბრძანებთ, თქვენთ აღმატებულებავ? — თხუენჯობს პეტა და ვარდიან ბაუთას ადრიალებს.


— წრეში გამოვიდეს და „ბარინია“ იცეკვოს! — ბრძანებს ტიმოფეი და მაშინვე გამოიტება ქალიშვილი, ფალკა კი გარმონს წელავს.

ფანტი ბევრია, მაგრამ ტიმოფეისაც არ ეღვევა დაუალებები. იცეკვებს და ამღერებს ხველას, უკვე თითო-თითოდ კი არა, წყვილ-წყვილად. შერე კი ფანტებს ასამებს და აოთხებს კოდებს.

— აბა, თქვენო აღმატებულებავ, ამ ფანტს რამე თანხატეხი დააფილეთ. — ამბობს პეტა და ყველას ამხნევებს ქუდის მძაღვებით მორთულ თმისსამაგრს. ეს თმისსამაგრი კატიასია.

— ამ ფანტმა ლექსი წაგვიკითხოს, — ნელა ამბობს ტიმოფეი, მაგრამ გრძნობს, რომ ძნელი დავალებაა, ყველა ვერ შესძლებს ლექსის თქმას და დასძენს:

— შეიძლება რაღე გვიამბოს, რაღე სასაცილო ჩვენი სოფლის ცხოვრებიდან... მივალთაღ, შელენამ ნიკოლკას დათვი როგორ შერთო.



შეღეხას ხსენებას ხარხარი მოპყვა.

— არ შეშინდე, კატიუშა, — არიგებს მაშა კატიას, ხელზე ხელს უჭერს და ამხნვეებს მეგობარს.

კატია განოდის წრეში და შეისვე სიჩუმე ისადგურებს. ყველამ შეამჩნია, მაშამ თავისი ქალაქელი მეგობარი სილაშობზე რომ მოიყვანა, მაგრამ ამას კი ვინ იფიქრებდა, უცხო ქალიშვილი პეტკას ქედში თავის ფანტს ჩადებდა. «ქალაქელები უმეტესწილად ამპარტავნებთ არიან, ყველაფერი სოფლურად მათთვის უცხოა, ეს კი, დახეთ, არ მოგვერიადა, თამაში ჩაება!»

ლუკიანოვიცის ახალგაზრდობისადმი ეს ნდობა ყველას კეთილგანწყობილებას უღვიძებს სტუდენტობისადმი, მაგრამ ეჭვსაც იწვევს. განსაკუთრებით ქალიშვილები უმზერენ დაეჭვებით. რომ არ აპირებს ქალაქიდან შენობდრენილი ეს ჩიტი აქ, ლუკიანოვიცაში, საქმროს პოვნას? აბა, აბა, ამის იმედი ნუ ექნება! ამ თმინობის დროს საქმრო ძალიან ძვირად ფასობს, თანაც, ლუკიანოვიცაში ისედაც ბევრია გასათხოვარი. ლუკიანოვიცელი კაბუჯები აკვირდებიან კატიას, ივალს ვერ სწყვეტენ.

საკუთარი ქალიშვილები ყველამდეა, მაგრამ უცხოზე ვინ სულელი იტყვის უარს, ნით უმეტეს რომ გოგთა და შერე რა გოგთა.

კატიამ დაინორცხვა, ლოკები გაუწითლდა, თვალები აღუღვებისაგან გაუბრწყინდა. გრძნობს, ახალნაყიდ კაბასავით ყოველი მხრიდან სინჯავენ. რომ შეიძლებოდეს, ხელითაც შეეხებოდას. ზურგიდან, გვერდიდანაც შეათვალიერებენ. გრძელი ქვედაკაბა და ვარდისფერი კაუთი ატყია. ნაწიანები მზესუმზირას ყვავილივით აქვს დაწყობილი! არა უშავს, მშვიდად... რა მოხდა, უყურონ, დააკვირდნენ. პირველად ხომ არ უხდება უცხო ხალხის შიგნის იტანა. იმაა, რაც ლუკიანოვიცელმა შეუძლიათ, ისიც შესძლებს. არც პეტერბურგელები, განსაკუთრებით ბესტუჟევის აკროსელები არიან უმეტესები. ცუცვაც იციან, სიმღერაც, ლოლო რაც შეეხება დეკლამაციას, კი ბატონო, დიდი სიამოვნებით. მაგრამ რა წაიკითხოს?! იანთი რომ უნდა იყოს, ასალგაზრდა გულებს ჩასწვდეს. კატიამ ბევრი ლექსი იცის ზეპირად. პეშკინი, ლერმონტოვი, ნეკრასოვი... აქ, სოფელში ძალიან კარგი იქნებოდა სურთკოვი... რაღე სოფლის სილატაკისა და ღარიბების ხვედაზე... არა! უცებ მისთვის უცნობი პოეტის ლექსი ახსენდება.

აქ, ციმბირში წამოიკვლინ წინ, კატია იატაკქვეშულ სხვა ამხანაგებთან ერთად ლუგაში გახლდათ. სამხედრო ხაწილები ქალებდებოდა. ქარაიში შეადწია, თითქოს საბედოს — საქმროს ეძებდა... ეძება, ეძება, მაგრამ ვერ იპოვია. აღბათ უკვე ფრონტზე გაეგზავნათ. სამაგიეროდ, შესვდა სხვა ქარისკაცებს, გამოთსაუბრა მათ თმზე, ცხოვრებაზე... სწორედ აქ გამოადგა ეს ლექსი, წაუკითხა შეკრებულ ქარისკაცებს, გაცრეცილი ფარაჯები, წარღლები და დაკრებული ფეხსაცმელები რომ ეცვათ.

ეს ლექსი კატიას ძმამ მისცა: — აბა, ეს ლექსი, კატიუშა, იქნებ მაშინ გამოვადგეს, როცა სიტყვის სათქმელად პირობები არ შეგექმნება, ფორმით უფრო მისაწვდომია, შინაარსით კი საყვებით შეცვლის მოხსენებას, — უთხრა და სტრიქონებით აქრელებული ფურცელი გაუწოდა.

აქ, ლუგაში, წარსატყუა სედა. რაც იქნება, იქნება, ციმბირის ამ ყრუ მხარეშიც უნდა სცადოს. აღამიანებს ერთი გასაჭირი აქვთ და მოთვარია, ძლიერად უღერდეს მართალი სიტყვა.

— მე წავიკითხავ რუსი ქარისკაცების ბედისადმი მიძღვნილ ლექსს, — კატიას დაბალი, გლერადი ხმა სხლეს ყოველ კუთხეს სწვდებოდა:

დღდარუსეთის სასახელოდ  
თმში მიდიან ქარისკაცები;  
მიდიან უსიტყვოდ,  
რადაც არ უნდა დაუჯდეთ, მიდიან.

მიდიან ისინი, უშიშარნი,  
საბლში კი ბაღლები და მწიერ-მწყურვალი  
ცოლუნი ღარიბენა.

ჩუენი ძმა — ჭარისკაცები  
წწირად ორცხოობილას მიირთმევენ  
უღარღელი ღიმილით  
და ქაობის წყალს აყოლებენ...

და მთელი რაზმებით,  
მსხვილი ვაზაყბით,  
დედარუსეთის სასახელოდ  
იღუპებიან ჭარისკაცები.

... ჭუუფ-ჭუუფად, გვერდიგვერდ წვებიან  
დაჩუენილ გეამებოდ,  
დედარუსეთის სასახელოდ,  
უბედური ჭარისკაცები.

... დედარუსეთის სასახელოდ  
ლოცულობენ წმინდა წამები,  
დაიფიწყეს ქრისტეს დანაბარებრი,  
ხალხს სათნოდ მოუწოდებენ



... მშვიდობიანი დრო დადგება  
და მთელი ეს ნოჟიერი მიწა  
თქვენ აღარ გერგებათ  
მშრთმელო ჭარისკაცებო!

მას შემამუღეები წაიღებენ,  
თქვენ კი წაიდებთ ჯერებს,  
დარჩებით შიშველ-ტიტველნი  
იმის წილ, რომ დებდით თავს  
დედარუსეთის სასახელოდ,  
გულადო ჭარისკაცებო!

სიტყვა სიტყვას მისდევს, სტრიქონი — სტრიქონზე... კატია კითხულობს მკაფიოდ, აუჩქარებლად. ოდნავ აწუული ხელის მოძრაობით ხაზს უსვამს ლექსის ცალკეული სტრიქონების აზრს, თან ახალგაზრდებს აკვირდებდა. თავიდან ეჭვის თვლით უთვალავალებდნენ, მაგრამ სულ რაღაც რამდენიმე წაშში უკლებლივ ყველა მოეხიბლა. ქალიშვილები სკვდამ შეიბყრო, ისინი ჭაბუკებს აცქერდებოდნენ. სახეები შეეღებურად აღარ უბრწყინდებდათ, თვალები დანადგლიანებოდათ. კატია ზომ მათზე და მათი გულისწორების მწარე ხვედრზე დაბარაკობდა. ჭაბუკებნიაც თავი დახარეს, სახე გაუქვავდათ. ნაწილმა უკვე იწინია ჭარისკაცის უკეთური ბედი, სხვები მას ხვალ გამოცდიან. ომი დორმუცელაა. დაუოკებელია მისი საზარელი მადა. ყოველდღიურად მოდის თანასოფლელო დაღუბენის ცნობები, იზრდება ჭკრივებისა და თბლები რიცხვი ლუკიანოვკაში.

— კატია, გაიმეორე. წივ გულნი მოგვხვდა ლექსი! — ტიმოფეი ეგვარჯენზე შეტრიალდა და ჭიჭურ შეხვდა კატიას. ოფითქებისაგან მომწვარი ქუთუთოები უთრთის. ტუჩები გასწითლებია, ლოყა ნერველად უთამაშებს.

— გაიმეოროს! — ყვირიან ყოველი მხრიდან ჭაბუკები და ქალიშვილები.  
კატია ცხვირსახოციო იწმენდს გათფლილ სახეს, პაერს ღრმად ისუათქავს და ლექსს იმეორებს. სულგამაბული უსმენენ. კატია ხედავს, რომ ტიმოფეი ტუჩებს აცმაცუნებს და მასთან ერთად ჩურჩულით იმეორებს სიტყვებს. ასეთი ლექსის დამახსოვრება აუცილებელია. მერე თვითონ იტყვის ამ ლექსს ფუნდუკებში, ღრონტის მიწურებსა და სანგრებში. ისწავლიან ამ უბრალო ლექსს აქ ლუკიანოვკაშიც. პეტკა სკობელკინმა უკვე დაინახსოვრა იგი თავიდან ბოლომდე, და, გინდა საბაძლეოზე, გინდა ისე, უკვე შეუძლია უშეცდომოდ გამეორება. პეტკა მოტუტული, ეშმაკური თვალვებით უყურებს კატიას. მართალი რომ ითქვას, როცა დღისით კატია დაინახა, გელში გადაწვიტა, გავეარშიყებო. იქნებ რგებოდა ამ უცნობი კობტა ქალიშვილის სილამაზის მცობრედი ნაწილი. თუკი ვინმე იყო სოფელში, რომ ტაბილი სიტყვებით დაეფარა დღაბუცი და ხელის ვათური, ეს პეტკა სკობელკინი გახლდათ. ლუკიანოვკელმა გოგონებმა იცოდნენ პეტკას ხასიათი და ხშირად კბილებშიც უთავაზებდნენ ხოლმე, მაგრამ ტალქელმა ქალიშვილმა, რა თქმა უნდა, ამის შესაბებ არაფერი იცოდა. პეტკას ახლა შერცადა, კატიაზე ასეთი რამ როგორ ვიფიქრეთ. ქალიშვილი მას მიუწვდომელი და, ამის გამო, კიდევ უფრო მშვენიერი ეჩვენა. „რა ხმა აქვს! ხვენს დიაკვანს აჯობებს. ვაი-ვაი!“ — ფიქრობდა აღფრთოვანებული პეტკა.

— ტინა, ერთი ამ ფანტს კიდევ უბრძანე... კიდევ თქვას რამე, — გატაცებით სახჩურნულებს ტიმოფეი სერხოვს პეტკა. მაგრამ ტიმოფეი თვითონაც თითქოს მოჯადოებულია კატიას ხმით, მზადაა თუგინდ ასჯერ მოუსმინოს. კატიამ კი, როცა მასის გადახვდა, რაღაც შეშფოთება შენიშნა მის თვალებში. ჭერ კიდევ მაშინ, კატიამ პირველად რომ დაიწყო ლექსის კითხვა, მასამ შეამჩნია, ლუკიანოვკელი ურიადნიკი ფეოფან პარხოკობიტოვი შემოძვრა

1 (ლექსი თარგმნა მ. ავსაქანიშვილმა).

ოთახში, ფეოფანი დაბურდა, პოლიციაში სამსახური მისი საქმე აღარაა, მაგრამ აი დაწვევ-  
ლოს დმურთმა, ამ შეჯამისას ჯარობაზე კი მოეთრა. ეტყობა, მას და მის უფროსებს როდაც  
აღელვებთ.

მაშას უკვე გამოცდილი აქვს, როგორი გატაცება იცის კატია. გზაში ~~ქრისტეანული~~ სა-  
უბროსას ხომ გადაავიწყდა საფრთხე. ემანდ აქაც ასეთი რამ არ მოხდეს! ბიჭუნისთვის

— არა, არა, ტიმა, მეტი ლექსი არ ვიცი, — ვუბნება კატია ტიმოფეის, ართმევს თავის  
თმისსამაგრს და მაშასაყენ მიიკვლევს გზას.

კატიას წაკითხულმა ლექსმა წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა, ძნელია საღამოს  
გაგრძელება, ტიმოფეი დუმს. ბეტკაც კრინტს არ სძრავს, ჭუდიდან ფანტებს როდილა იღებს,  
არ მჭარობს, რაც არ უნდა შესთავაზო ახლა ახალგაზრდებს — სიმღერა იქნება თუ ცეკვა —  
ყველაფერა უაღვილოდ მოეჩვენებათ. ეს იგივეა, დასაფლავებაზე სიცეკვაო დაუტრა, ან  
სსვის უბედურებას დასცინო.

— ხალხნო, სუნთქვა ჭირს სახლში. მოდიოთ, თამბაქოს მოსაწევად ვზოში გავიდეთ. —  
ტიმოფეი ეფარჩნებზე ჭანაობით გადის წრიდან. ჭაბუკები ხმაურით აწყდებიან კარებს,  
ბოლოს რომ საცობი აფარდება, ისე ისვრიან ურადნიკს გარეთ.



საღამოდან სამნი მოდიოდნენ. აქეთ-იქით მაშა და კატია, შუაში — ყავარჩნებზე დაყრდ-  
ნობილი ტიმოფეი. ცოტ-ცოტას ყველაფერზე საუბრობდნენ. კატია ხვდებოდა, ხედმეტი იყო,  
რამდენჯერმე შეეცადა დაწინაურებულყო, მაგრამ ტიმოფეი აკავებდა.

— შენ და მაშას სახლამდე მიგაცილებთ. მარტო სიარული არ შეიძლება! სულ გათავ-  
ხედდნენ ბიჭები, შეიძლება გაწყენინონ. კატიუშა, საღამოზე ყურადღება მიიპყარი.

— რას ამბობ, ტიმოფეი? მაწყენინონ! შე რა, პასუხს ვერ გავცემ? — თავისას გაიძახო-  
და კატია.

— ღამეა, კატიუშა! შენა სიტყვებს ვერაფერს გაიგონებს.

ბოლოს და ბოლოს, მივიდნენ ლუკიანოვების სახლ-კართან. კატია საჩქაროდ შევიდა  
სახლში, კარი ღია აღმოჩნდა. ასეთი წესი ჰქონდათ: სიკეტს ის კეტავდა, ვინც შინ ბოლოს  
ბრუნდებოდა.

კატია ფრთხილად, ისე რომ უფროსი ლუკიანოვები არ გაეღვიძებინა, შევიდა ოთახში,  
სიბნელეში ტანთ გაიხადა და ჩაწვა ლოგინში.

სახლში სიჩუმე სუფევდა. საღაც კუთხეში ჭრბინებდნენ კრიჭინები, მაგრამ მალე  
ჩაჩუმდნენ. თიხის ღუმელქვეშ, საქათმეში იყოფა მამალმა, მაგრამ ნამძინარევი ქათმების  
უკმაყოფილო კაკანის გამო ისიც დაღუშდა.

კატია იწვია, უურს უგდებდა — საცაა უნდა შემოსულიყო მაშა. ის „ერთი წამით“ დარ-  
ჩა ქუჩაში ტიმოფეისთან, მაგრამ წუთები გადიოდა, მაშა კი არ ჩანდა. „შესცივდებათ საწყ-  
ლებს უინავს!“ ფიქრობდა კატია, მაგრამ არც მაშას ეიცხავდა და არც ტიმოფეის. „განა  
ყინვას შე კი შევებებოდა, ახლა რომ ვანიასთან ერთად ქუჩაში ვმდგაოიყავი? სახლში  
ძალითაც ვერ შემომავდებდნენ...“

ისე ჩაეძინა, მაშას აღარ დალოდებია. დილით, როგორც კი ნიკანოროვნას ნაბიჯების ხმა  
შეწონესმა, თავალი გაახილა. ჯერ კიდევ ვუშინ დასახა გვემა, როგორ უნდა მოქცეულიყო დი-  
ლით. ათი წუთით უნდა დაემართახებინა თვით ლუკიანოვი. ფოტოსურათი... ხომ უნდა  
ეცადოს და რამე გაეგოს. სიკეტვა, მაშა ასე აღრე წამოხტეს ლოგინიდან. ტატიანა ნიკანო-  
როვნას კი ქვეყნის საჭმე აქვს. რა თქმა უნდა, სტეპან დიმიტრიევიჩი ნამგზავრია და შეიძ-  
ლება ასე აღრე ვერც ის ადგეს, მაგრამ ვინ იცის, იქნებ იგი ტატიანაში უთუნია აღვომასაა  
დაჩვეული.

კატია ჩაიკვა და დერეფანში გავიდა. ღიდ ღუმელში ცეკვა ცეცხლი ენთო, რკინის ღუ-  
შელიც გუგუნებდა. სტეფან დიმიტრიევიჩი მაგიდასთან იჯდა და ბინდბუნდში პაპროსს ეწე-  
ოდა. კატია გვერდით მიუჯდა, პკითხა, ტაიგიდან გამოსვლის შემდეგ როგორ ბრძანდებოთ.

— დავისგანე, კატიუშა. ზამთარში ხომ ღამე გრძელია. დაწვები, გვერდს შეიცივლი, შე-  
რე მერთე გვერდზე გადატრიალდება, მაგრამ ღამეს ბოლო არ უჩანს. ამ დილაადრიან შენ  
რაღას ამდგარხარ, ვძინებოდა კიდეც!

— გამოვიძინე, სტეპან დიმიტრიევიჩ, აღრე ადგომას მიჩვეული ვარ. სტამბიდან შორს ეცხოვრობ, დროზე რომ მივიდე სამსახურში, ზარამდე ერთი საათით აღრე მისხლება მახლიდან გამოსვლა, — იცრუა კატია.

— ეგ ანელი საქმეა ახალგაზრდობაში, — უთანავრძონო ლუკიანოვმა და, რადგან გულში გადაწუვიტა, ანით საუბარი კატიასთან დამთავრდებოდა, პაპიროსი მოკანსარქსი წყვეტდა ბოლი გამოუშვა. ქალიშვილი კი წასვლას არ ამირებდა. ლუკიანოვმა ფაქტის წყვეტის კატის სახესთან ბოლი მიმოუყანტა.

— გაგბოლე, კატიუშა, — მოიბოდიშა ლუკიანოვმა და ქალიშვილს შემკითხავი თვალით გადახედა.

— აჰ, არა უშავს! — ჩაიცინა კატია და მაწინვე სიტყვა სხვა რამეზე გადაიტანა. — ძალიან დამაინტერესა თქვენმა ჩვეულებებმა, სტეფან დიმიტრიევიჩ, ძალიან საინტერესოა...

— ის, რაც უცნობია, კატიუშა, ყოველთვის საინტერესოა. ჩვენ კი ჩვენსას შევეჩვიეთ. გეგონია, რომ ყოველთვის ასე იყო...

— სტეპან დიმიტრიევიჩ, ახლა ტაიგაში როდისღა წახვალთ? — ჰკითხა კატია და ტიხარის უკან მოუხუსტუსე ტატიანა ნიკანოროვნას ნაბიჯების ხმას ყური მიეგდო, ეშინოდა, ლუკიანოვთან ვასუბრებაში ხელი არ შეეშალა.

— ზამთარში ორჯერ წავალ ტაიგაში: ნაშობავენს ორი-სამი კვირით, შემდეგ კი მარტის დასაწყისში.

— ისევე ბეწვიან ნადირზე?

— დიახ.

— ნერყდა, ყოველთვის ერთი და იგივე ადგილზე დადიხართ?

— რას აზნობ, კატია! იცი, რამდენ ადგილას გყოფილვარ! — კატის ეგონა, ლუკიანოვი ჩამოუღვლიდა ამ ადგილებს, მაგრამ მან ხარბად შეისუთქა ბოლი და დაღუშდა.

— ოქვენ თურმე, თვეზაობთ კიდევ. სტეპან დიმიტრიევიჩ, კედელზე ძალიან სასაცილო ფოტოსურათი გიკადიათ. ალბათ ის ქარიყლაბია თრ ღუფს მაინც იწონიდა? — კატის მოთმენა აღარ შეეძლო და საუბარს დაეინებით მისთვის საჭირო მიმართულებას აძლევდა.

— ის ქარიყლაბია, კატია, არავის აუწონია, მაგრამ უზარმაზარი კი იყო, თითქმის ჩემი ტალღა. — ჩაეცინა ლუკიანოვს. — ასეთ გოლიათებს დიდი ანეცხით იქერენ ბოლმე. ბადით ვერ ჩაიგდებ ხელში, გარღვევენ, დახევენ, თვითონაც წავლენ და სხვა თვეზსაც გზას მისცემენ. დიდი აწყობათაც ძნელია ამ თხერის ამოღება. ხაბოიდან რომ მოქანო, ხეშკაეიდან ჩანოწყულება, ან ბაწარს ვაწყვეტს. ნაიით ვიჭერთ ბოლმე. მოუზიდავთ ქინისაკენ, თან ბარჯი გვაქვს განზადებული... თავა გამოჩნდება თუ არა, შიგ შუბლში უნდა ჩაარტყა. თუ ააცდინე, ან აღივრად ვერ დაარტყა, ვაქვეშაღაღებია წყაუდი. ჩავს თაიღის მიტოვებით გადააბრუნებს... — ლუკიანოვი მზად იყო განეგრძო თხრობა, როგორ იქერდნენ დიდ ქარიყლაბიებს, მაგრამ კატია შეაწყვეტინა.

— შეთვეზთა არტულიცა გარვთ? ფოტოსურათზე თქვენი არტულის ხალხი ხომ არაა?

— როგორ გაკადრება! ესენი არც შეთვეზებში არიან და არც მონადირეები. ეგ სულ სხვა ხალხია, — საიდუმლო კიღათი თქვა ლუკიანოვმა და დიდმაშკნელოვნად დაღუშდა.

— აჰ, მიხეხდი! ალბათ გადასახლებულები არიან?! — აჩქარდა კატია.

— არც გადასახლებულები არიან. მეცნიერები არიან, კატია! — ლუკიანოვს ხმაში სიამაყე გაერია, — ის, წკარიანი, ბროფესორია, ბენედიქტ პეტროვიჩ ლიხანოვს ეძახიან. ახალგაზრდა კი მისი დისწული, სტუდენტია ივან ივანოვიჩ აკიპოვია. მე უბრალოდ ვანიას ვეძახდი, თვითონ მითარა, მამის სახელით ხუ მომშარიავ, ჩემთვის ვერ აღრევათ. სუნტა ერთი რამ უნდა გითხრა, კატიუშა: ახალგაზრდაა, მაგრამ თავისი საქმე ძალიან კარვად იცის. ზოგჯერ ისე ცხარედ ეკამათებოდა ბოლმე ბროფესორს, შიშიც კი მიბყრობდა, რა თქმა უნდა, ჩვენისთანა ვაუნათლებელი ხალხისათვის მათი ლაპარაკი ცარაკლიტულის საიდუმლოებაა, თუმცა თავი მხრებზე ჩუხსე გვაბია.

— უი, რა საინტერესოა, სტეპან დიმიტრიევიჩ! მომიყევით რა, მომიყევით! — კატია ერთთანად აენოო, თვალები გაუბრწყინდა, ლუკიანოვს უფრო ახლოს მიეჭდა. მისმა მხურვალე ცნობისმოყვარეობამ სტეპან დიმიტრიევიჩაც ალაგზნო.

— ყველაფერი რომ მოგიყვე, კატიუშა, ერთი დღე არ მეყოფა, — ლუკიანოვი გამზარულდა. წელში გაიმართა, დაარტყა ნაგიდას ვართო ხელისგულო, — ერთი სიტყვით, კარგი დრო იყო, იმ წლებზე ეკეთესი შე არ მათსოვს.

— ეს მაგრამ, მათი დაიწყეთ! — ჩაუერთ კატია, თან კარს შემოსებული უუუერებდა.



ღმერთმა დაიფაროს, რომ ახლა მაშა ადგეს, გამოვიდეს და ეს-ესა აწყობილი საუბარი და-  
არღვიოს.

— ერთხელ, გაზაფხულზე, გზაობთ და, ჩემს ეზოს ურემი მოადგა. დავინახე თუ არა, მაშინვე მივხვდი, ცხენი, უნაგირი და თვითონ ურემიც სოფლური არ არის, ეტყობა, ვიღაც ქალაქიდან ჩამობრძანდა-მეთქი. გავდივარ ეზოში, ჩემკენ კი მსხვილ-მსხვილი ურემი ხანძრ-შესული, მაგრამ ჯერ კიდევ ჭარმაგი კაცი მოდის. წვერი მკერდამდე ჩამოგრძელებია, თვალები მრგვალი და გამჭრიახი აქვს. თავზე შლაბა ხურავს, ტანზე კი ბრუნენტის გრძელი საწვიმარი აცვია. შეკითხება: „თქვენა ხართ სტუბან დანიტრიევიჩ ლუკიანოვი?“ ნე ვარ-მეთქი, ვუბახუსხე. ახლში შევიბოტიეფე. სკამი შევთავაზე. ასე და ასეო, მეუბნება, პროფესორი ბენედიქტ პეტროვიჩ ლიხაჩოვი ვარ, ტომსკის უნივერსიტეტიდანო. მეცნიერებისათვის ციმბირის სივრცეებს ვაწაულობ. მთიანი მხარე სულ კიდიო-კიდემდე შემოვიარე, ახლა დაბლობზე ჩამოვდილი. მინდა ობი და მისი შენაკადები წევისწავლო, ამ საქმისათვის ხუთი-ექვსი წელიწადი მაგნეს განსაზღვრული, მეტიც რომ დამჭირდეს, არ გჩივი, ფრიად დიდი საქმეაო.

პოდა, ასე ნელ-ნელა ამიხსნა თავისი გასაჭირი. გამცილებელი და ხუთი-ექვსი ღონიერი ახალგაზრდა კაცი ესაჭიროებოდა: შენაკადებზე, სადგომებში კარვების გასამსლელად, მიწის საწუშაოების საწარმოებლად. აქ ყუღარ მოვითმინე, ვკითხუ: თქვენთ აღმატებულებაჲ, მაშა-ტრიო, მაგრამ ჩემი სახელი ვინ მოუასწავლათ-მეთქი.

— უპირველეს ყოვლითა, — მეუბნება, — სტუბან დანიტრიევიჩ, ასე ნუ მომშართავ, უბრალოდ ბენედიქტ პეტროვიჩი დანიტაჲ. მე თვითონო. — ნიხსნის, — თუმა მეცნიერის წოდება მაქვს, იმპერიაში მნიშვნელოვან პირად მთვლიან, მაგრამ წარმოშობით გლეხკაცის ოჯახიდან ვარო. მეორეც ერთიო. — მეუბნება, — შენი სახელი მომასწავლეს ამ წესმა გადასახლებულმა მეგობარებმა, რომლებსაც ტაიგაში დაატარებდით. სახელდობრ ვინ, არ დაუსახელებია, ნართალი რომ ითქვას, ერთს და ორი არ მიტარებია ტაიგაში, მგონი, ათზე მეტიც იყვნენ. ზოგი მდიხარეგმასაკენ იაწრაფვოდა, ზოგი, პირიქით, უფრო შიგნულს მივლტყოდა. ერთი კი — ყველა მწერს, რაც ჩვენში არის, მატარა ბოთლებში აგროყებდა. ხასადილთ იყოს პატარა ბაღდოვით საჭერით დასდევდა მებლებს სათიბებზე!

ასეთი შემთხვევაც იყო ჩვეთაში, ტყეებში ცხოვრობს მქსოველი ობობა. ეს სახელი იმიტომ მქვია, რომ ისეთ ახლბუფას ქსოვს, მთავან თავის დღეწევი მარტო მატარა ბუზებსა და წერილმან მწერებს კი არა, კრაზანასაც არ შეუძლია. კრაზანა ღონიერი მწერია, იფრთხილებს, იფრთხილებს და ბოლოს მაინც ჩაეჭრება. პოდა, გადაწყვიტა ჩემმა მდგმურმა, რადაც არ უნდა დასდომოდა, დაეჭირა ეს მქსოველი. ნისა ხელში ჩავდებო კი არც ისე იოლი საქმეა. მხოლოდ ღმერთმა იცის, როდისა ქსოვს ახლბუფას. არ გტრიაბახობ, ტაიგას უცნობ, მაგრამ ჩემს სიკოცხლესა მისთვის თვალი არ მომიკრავს. ნიდიხარ ტაიგაში, მალბმალ ნაბულობ მის ახლბუფას, ხანდახან ისეთ მაგარ ძვეს წააწყდები, მისა განყვეტის ხმაც კი ისმია. ბოლო თავად მქსოველი კი ეშმაკმა იცის სად არის დამალული. პოდა, ერთხელაც ბეში მდგმური, ანდრეი ანდრეიჩი ვრქვა, მეუბნება: სტუბან დანიტრიევიჩ, თუ ღმერთი გწამს, ამ არამზადის დაჭერაში დამეხმარე, უმისობა არადრით არ შემიძლია, ძალიან საჭირთა ნეტონიერებასდარიაო, ნეტავი ასე როსტერს შეგვიძულეს — ვუბნებო — მეცემ და მთავრობამ, ხელისუფლებისათვისა უწყინარი, უხეპბელი კაცი ხართ, მარტო მწერები გაინტერესებთ-მეთქი. სენდან ერთად ახლრეი ანდრეიჩისაც ბევრი იცინა.

პოდა, მოვლედ, ანდრეი ანდრეიჩისა მაინც დამეყოლია, მქსოველის დააპატრონ ტაიგაში გავულოდი. ფრიადნიენა ბართო ნება, სამი დღით წააუღოყო. გავემგზავრეთ. ანდრეი ანდრეიჩს საუცხოო იდეალი მოვუძენე, ნაძენარ-სოქნარი — შერეული ტყე. ბევრი ფიჩხი ეყარა ირგვლოვ და ახლბუფებით იყო სავსე. ჩაგხაჯრდით, გრიგართ ერთ საათს, ორ საათს. არა და არ გამოდიან ობობები. მოვიქანცე ასეთი ნადრობით, ჩამოვლიმა, თვალი გავახილე. ეხედაჲ, ზის ანდრეი ანდრეიჩი სადარაჯონზე. თვალეებში დაღლილობია ნატამალიც არ ეტყობა. ასე სადამომდე ვისხედით. ნომბებრდა ანდრეი ანდრეიჩი, გამიწვი, უმყობესია სადგომში წიკალ, ეახწმის მომზადების დროა-მეთქი. მალე ისიც მოვიდა. ერთი ტოლრა ჩიი დალია და ისევე სადარაჯონზე დაბრუნდა. ვეცადე, გადავდიქრა, დამეა უკვე — ყველა სულიერი დასაძინებლად ემზადებო-მეთქი. ის კი თავისას გაიძახოდა — წავალო, და მორჩია. ნთელი დამე ექ იქნაი დილით მზიარული, კმაყოფილი დაბრუნდა. ეხედაჲ, ბოთლში ობობა უხის. დიდი, ტანზე ორჯერ დიდი, დოლივით მუცელი აქვს. აი ისიცაო, — მეუბნება — ტაიგის მქსოველი ობობაო. სამეშაოდ გარიყრავის წიხ, სიბნელემ უფრო რომ მოინატა, მაშინ გამოვიდა. პირ-

ველი სხივი გამოჩნდა თუ არა, ბუდეში აპირებდა შეძვრომის, მაგრამ ვწვდიო... კატიუშა, ან, როგორი ხალხი უოფილა ლუკიანოვკაში! ანდრეი ანდრეიჩს აქ ყოფნის ვადა რომ ვაუ- ვიდა, თავისი მწერები უდიდესი სიფრთხილით შეაგროვა. თვალსჩინივით უფროსი უფროსი და სულ შეუბნებოდა: ხუ დანცინი, სტეპან დიმიტრიევიჩ! (მე კი სულ ვეხუმრებოდა სოლმე ამ მწერების თაობაზე), ამ მწერებში მეცნიერებისათვის ბევრი რამ ძვირფასი იმედებდა... მგნს ქვრტვეში სამი წელი რომ ვიცხოვრე, ამას ამოღე არ ჩაუვლიათ კატიუშა, მწიბრები, ცოტა ვადაფუხეთ... მოგუსმინე ბენედიქტ პეტროვიჩს და ვეუბნები: ბატონო ბროფესორო, გაიოც- დილი მუგზური თუ გგონივართ, ცუებით-მეთქი. ობი და მისი შენაკადები ჩემთვის ნაცნობია, მაგრამ იქ მხოლოდ ნაღობის მანით მივლია. ლოცმანი ვერ ვიქნები. მდინარეების ფარვა- ტარი ცუდად ვიცი. ობ-ენისუის არხზეც მიცურია, მაგრამ ისე, უბრალოდ, სავაჭრო კორ- ბაზე ხენისბელ-ნეთქი. ბენედიქტ პეტროვიჩი კი მეუბნება: „არა, არ ცცადები. მე ლოცმანი არ მწიბრება, ჩემი ექსპედიციას სულ ბრტყელშია ნავები აქვს. მე სწორედ თქვენნაირი კაცი გამომადგება: ვერ კიდევ ახალგაზრდა, ღონიერი, პატიოსანი, რომ ჩვენ შორის ყველა- ფერი ცხოვრების გარეშე გვარდებოდეს. დანარჩენი ხალხი თვითონ წეარჩიეთ. საუცხოო ხელდას მთავრით მოტყუებისა და წაკლევის გარეშე. მე ხომ ვაქარი არ ვარ, მოგებას არ დავეძებ. ჩენი სარგებელი ისაა, გადავიარო მდინარეები, დავათვალიერო მიწები, რომ მეცნი- ერებას რამე შევნატო. თუ მიხვდებით, რომ ეს წმიდათაწმიდა საქმეა, ხომ კარგი, თუ არა- და, უმერტმა კარგად გამყოფოთ. ნაშოგნი ფულით მთელი შრომა და გარჯა ავიანაზღაურდე- ბათ, უმართლად, უოფლისღვროდ კი არც ერთ დიდ უხეს არ ჩაუვლია. პირველად რიდი მივლივარ სანთგზაურად...“

ბოდა, მოკლედ რომ ვთქვათ, დავმეგობრდით. მოძეწონა, ეტყობა, არც ის იყო ჩემდამი გულგრილი. „სტეპან დიმიტრიევიჩ, თლონდ ერთსა გაზოვ — მეუბნება, — ჩვენს ამქარში ლოთები არ გართ. ბერი არც მე ვარ, ნაღობაც მოყვარს ერთი-ორი პატარა კიჩა არყის გადაკვრა, მაგრამ ყველაფერს თავისი დრო აქვსო. ციმბირის ხანმოკლე ჩადხულის გამო ჩვენი მოგზაურობის ვადა შეზღუდულია. საქმე კი ბევრია გასაკეთებელი. ლოთობისათვის ვერ მო- ვიცდით, რაც წყნება დაღლილობას, ან სიცხის გამო გადაკვრას, სხვისი კარნახი არ დანწირ- დება, თავად ჩამოგურიგებ ყველას თითო წიქას. ასეთ შემთხვევაში არყის დაღუფა ექსპე- დიციასი დღის გასაწყესათა დაწესებულის“ შეგბირდო, ჩველაფერს შეგნარულეთ-მეთქი. სულ სანაკებო ბიჭები მივუტყვანე. მათთან არაერთხელ ვყოფილვარ ტაიგაში, სწორედ ამის შემ- დგე, ბენედიქტ პეტროვიჩის ნარჩევანა ხელი ვაკვირი. ზეღიზედ ხუთ წელიწადს ერთად დავ- დიოლით მდინარეებზე. ორი ზადხული კეტზე გაყატაროთ, თრიფჯერ ენისციზე გადავდიოდით ხოლმე. უყვარდა ბენედიქტ პეტროვიჩს ეს მხარე. არ ვიცი რატომ, მაგრამ გული კი ამ ადგი- ლსაკეა მოუწევდა, თუნცა პატივს სცემდა ყველა იმ კუთხეს. სადაც კი ერთად მოგვიწია უოგნა, გამოვიდოდა ხოლმე ნაპირზე, ფეხებს გასზე გადგამდა და დიდხანს, დიდხანს იყუ- რებოდა შორეთში. თვალეში კი კმაყოფილება ეტკობოდა, ტუჩებზე დიმილი უთამაშებდა. ზოგჯერ ჩუმად იდგა, ზოგჯერ კი ხმადაბლა თავისთვია: ჩაილაპარაკებდა ხოლმე: „გინც არ უსლა იყოს დედაშიწის შენქმეული, ბრძნულად კი შევექმნია და! ემი რანდგაი საიდუმლოა აქ საპარხული.“ — და ხელით მდინარეებსა და ტყეებზე მიუთითებდა, მერე ჩაღიქრებული ჩაფ- ლებოდა ნავში და მენაგაებს გვეტყოდა: „აბა, წაველით, კაცებო!“ ეს სიტყვა კი — კაცები — ნეტისმეტად უყვარდა. როცა კმაყოფილი იყო, იტყოდა: „დიდებულად გინუშავიით, კაცე- ხო“. თუ უკმაყოფილო იყო, ნაინც ასე მოგვეპართავდა: „დღეს რაღაც მთისუსტებო, კაცებო. ვაალ-შვილი ხომ არ მოგენატრათ?!“

— მისი ქონორა დისშვილიც თქვენთან ერთად დადიოდა მდინარეებზე? — ჰკითხა კა- ტიამ.

— ერთი წელი დაგვიადდა. მაშინ სწორედ მდინარე კეტზე ენისციისკენ მივცურავდით. ბენედიქტ პეტროვიჩს იგი ძალიან უყვარდა. რაიმეს თვალს რომ მოპკრავდა, მაშინვე დაუბა- ხებდა: „ვანია, ნოდო აქ ჩქარა! შეჩედე!“ ის კი მაშინვე ნავში ჩაჭდებოდა, სადმე უღრეში, ან მდინარის ტოტთან ამოყოფდა თავს. იქ რაღაცას ეძებდა, თრმოები, ნაღვარეულები, ნაზვაგები მისი საყვარელი ადგილები იყო. ჭაობში საათობით ჩუმად იჭდა ხოლმე და ყვე- ლაფერს ავირდებოდა, თან თითუბით ნიწის ბელტებს სრესდა.

— ნუ იტყვი ამას, შეილო! — შშენიდად შეეკამათა დედაბერი, — ჩემი თავისთავისაც და სხვა დედაკაცებისთვისაც შემომჩნევია: დაღურჯებული დაგამდება, გაჯივლის და, თითქოს უკეთესი, ღამაში, უფრო ძლიერი და ახალგაზრდა ხდები...

— რას ამბობთ, სტეპანიდა სემიონოვნა! ცუმა-ტყემა ხომ ბარბაროსობაა!

— რაც ვინდა, ის დაარტყვი, შეილო, მე კი ვუღლით გუბნები, — დარწმუნებით თქვა დედაბერმა.

კატია ვერებს არ უჭერებდა. «ღმერთო ჩემო, რა ღრმად აქვს გაღვმული დებსები უპერებას!.. ამას ხომ ყველაზე ბრძენი ქალი ღამარაკობს, ვისი ერთი სიტყვაც მთელ სოფელს ამოშპინებს, ბედისაგან დაჩაგრულ ქალებისაგან რაღას უნდა ელოდო!».

— საბედოს რომ იბოვი, შეილო, გული თვათონ ვეტყვის: ის არასო, გული სხვას არავის მიიღებს, — განაგრძობდა სტეპანიდა სემიონოვნა, ოდნავდაც რომ არ შეიცბუნა საწინააღმდეგო არმა.

უცებ ჭიშკარმა გაიჭრიალა, ახმაურდა კიბე და ფართოდ გაღებულ კარში ცივი პაერი შემოიჭრა.

კატია მოიკუნტა, საფეთქლებში სისხლი მოაწვა, გული აფეგერდა. «ურიადნიკი!» — გაუგლეა თავში. მაგრამ აი, კარი გაჯახუნდა, ვილაც გამოქანდა და შუა ოთახში დაეცა. კატიამ პეტკა სკობელკინის ხმამაღალი, მხიარული სიცილი გაიგონა.

— ქალიშვილო, პეი, ქალიშვილო! თურმე ნუ იტყვი, და მგლებს შეუქამიხარი! — პეტკას სიცილი აზრჩობდა, იატაკზე ვორავდა. — სტეპანიდა ბებია, საშიში აღარაფერია: აღარ მოვლენ, სხედან და ვიშვიშებენ, შიშით მუხლები უკანკალებთ.

სტეპანიდა სემიონოვნამ ბალახანიდან თავი გადმოყო, კატიამ კი ფარდა ასწია.

— რა მოხდა, შეილო, გამაგებინე! — მკაცრად უბრძანა პეტკას დედაბერმა.

პეტკა ერთი-ორჯერ კიდევ გაღაკოტრიალდა, მუხლებზე დადგა, უფრებიანი ქუდი მოიხადა და ხარხარით დაიწყო მოყოლა:

— ურიადნიკმა ატეხა თუ არა განგაში, იქ ვაგნდი. დაუძახა მამასახლისს და უბრძანა, გლებები მოეყვანა, სახლები გაეჩხრეკათ და გაქცეული ეპოვათ. პოდა, მეც მომცა ნიჩაბი, ჩვენთან ერთად წამოხვალ. სულელო, გზას გაგვიკვალავო. როგორც გენებოთ, მაგრამ ღანძღვა მერვე შეიძლება, ჯერ კაცმა არ იცის, ჩვენში რომელია სულელი-მეთქი, ვიფიქრე. ამის თქმას როგორ ვაებედავდი, გულში ვიფიქრე. წაუღლით, ცხენივით ბრიალებდა. უღლიანია ეგ

ვოვოს საცვამურადან გაფრინდათ! თქვენზე ასე გაიძახოდა, ქალიშვილო. ხან ერთ სახლში შევიდა, ხან მყოფრეში, საბძლებში, აბანოებში, თვალებს შეშლილივით აცეცებდა...

გავიარეთ ზედა ქუჩაზე, ქვედაზე კი შესახვევით უნდა გავსულიყავით. ისეთი საშინელი ქარბუქია, კაცს წააქცევს, შავრამ მაინც მივლასლასებთ. გლეხები მამასახლისსა და ურიადნიკს უშეერთ სიტყვებით აჯინებენ, ისინი კი, ძალიშვილები, თითგოს პირში წაკლი დაუგუნებშიათო, კრიშტს არა სძრავენ. ამასობაში უკვე ირთიარაყა. უცებ, რაღაც წინაშე შეხვდნენ ჩემ წინ. ნიჩაბი ვატაკე. ცხვრის ქურჭის ნაგლეჯი ყოფილა, თოვლში წვდო. შიშა, ყველა შეყვრდიით, შეყვროვდიით. „ეს რაღა ხათაბაღა?“ — ეკითხებიან ერთმანეთს. მამასახლისი კი ეცივიით ამღველდა: „რა ქვია იმასა, ისა, იქნებ, ისა, მგლებმა შეტამეს?“ გლეხები სიბრაზისაგან გამწარდნენ, ურიადნიკს ვინება დაუწყეს: „შე სულწაწყუდილო, მხეცებისათვის გიგამეტებია ადამიანი! ეს ხომ მისი ჭუმბის ნაფლეთია. შენ კი ამისათვის არც სააქაოს შეგინდობენ და არც საიქიოსს!“ ურიადნიკს ენა მუცელში ჩაუფარდა, ხელები ჩამოყარა, გაფითრდა, მთლად შეიცვალა. მამასახლისმაც მაგარი შიში ჰქაბა. უცებ შეცვლი ასტკივდა, იმ გრიგალში შარვალს ჩაიხადა. „ბოდიშს ვიხდი, კაცებო, მონაწეა ისა, რა ქვია იმასა?“ კაცებმა კი მიახალეს: „ისემც ვიქნია; ფეხები გაგიღშეაია, შე მკვლელო, შე უბედურო, შენა!“ ტიშკამ კოჭლობით ცოტა კიდევ გაიარა, ყავარჩნით მოსიხჯა იქიურობა და თექურას წააწყდა. ახლა კი ყველაფერი ნათულზე ნათელი გახდა: ეტყობა, ქალიშვილი მგლებმა ნაუწ-ნაიწ დაგლიჯეს, ძვლები და ტანსაცმელი კი მთელ მდელოზე მიმოფანტეს. ახლა სად რას იბოვი! გაზაფხულზე, თოვლი რომ გადნება, ყველაფერი გამოჩნდება... კაცები ისე გაცეცხლდნენ, წვეგშინდებოდათ. მოწმეები ყვირიან — იმქვეყნად ეძებეთ, ჩვენ კი აღარ ვემსახურებითო! — და ჰაიდა, ყველან თაგ-თავის სახლში გასწია. მეც ნიჩაბი მხარზე მოვიგდე და წამოვედი. ტიშკა წამომეწია, სიცილით იგუდებოდა. აღტაცებით მაქვებდა: ყოჩაღ, პეტკა, შენთან კაცი არ დაიკარგებათ! აბა, რა გგონია, ქალიშვილო, ეს ყველაფერი მე მოვიგონე!

კატია თითქმის წილამღე გადმოწეულიყო და პეტკა სკობელკინს ისე უხმენდა. ნათლად წარმოიდგინა ყველაფერი, რაც ამ ქარბუქიანი დღის აღრიან დღით მოხდა. მეცერ და შეფოთებულ სახეზე თანდათან სიმხიარულე გადაეფინა, გადაიყვანისა.

— პეტკა, ოქრო ხარ, ოქრო! მაგათ ასე უნდათ! ჯერ დაიცა, უარეს ამბებს მოგუწყობთ!

— ხეშარა ხარ, შვილო, — არ დაფარა დიმილი სტეპანიდა სენიონოვანა. — ვვარინად გავიცუცურაკებია. დაიმსახურეს, შავრამ ვითუ უფრო გაცეცხლდნენ. ნუ გგონია, რომ საბოლოოდ აჭობე!

პეტკასა და კატიას, ოღნავადაც რომ აღარ ფიქრობდნენ საფრთხეზე, დედაბრის სიტყვები კეუაში დაუჭდათ.

— ნუ დაგვაშინებ, მამიკა! იმ მე ახლა ცოტას ვაფიქრებ და ისეთ რამეს მოვიფიქრებ, დედამიწას შევაზანზარებ! — დაიკვება პეტკამ. ხმაზე ეტყობოდა, საეჭვო არ იყო მისი ქაღილი.

— პეტკა, ქარბუქი არ ხელდება? — ჰკითხა კატიამ, გულში კი გაიფიქრა: „ლუკიანთგვიდან საჩქაროდ უნდა წავიდეს. დედაბერი ტყუილუმბრადლოდ არ მაფრთხილებს“.

— ოღნავადაც არა, ქალიშვილო! ჩვენი ბაბუა ანდრონი ამბობს, ქარბუქი კიდევ ორ დღეს არ ჩადგებაო. ეტყობა, სასსრებით გრძნობს.

— აბა, შენ იცი, შვილო, არაფერი ვამოგონეს, თუ რაიმე იყოს, თანჯარაში შემოგვიკაყუნე. — თქვა დედაბერმა, როცა დაინახა, რომ პეტკა წამობტა და ქუდი წარბებამღე ჩამოიფხატა.

— თავისთავად ეხადია, მამიკა! ჩემს სიცოცხლეში არავისთვის შილაღატნია.





# ფრანსო გრილპარცერი

სანდომირის მონასტერი  
სინამდვილად მიწვეული ამბავი



## ნოველა

გერმანულიდან თარგმნა ვიქტორ კახნიაშვილმა



ფრანს გრილპარცერის (1791—1872) დრამატული პიესის — „საფოს“ (1818) წარმატებით მოხიბლულ ბაიროსს უთქვამს: ამ ავტორს საკუთარი დაიშვასო.

გერმანული რომანტიზმის, კლასიციზმისა და სანტიმენტალიზმის, გოეთეს ანტიკური ტრაგედიებისა და შილერის ისტორიული დრამების გაყვლით, მაგტამ ავსტრიის მამინ-დეუ ცხოვრებაზე დაყრდნობით შექმნილმა ნაწარმოებებმა — „წინაპარი ქალი“ (1817), „ოქროს საწმისი“ (1821), „მეფე ოტოკარის ბედნიერება და აღსასრული“ (1825), „მღვისა და სიყვარულის ტალღები“ (1831), ლირიკულია შედევრებმა და ეპოგრამებმა ფრანს გრილპარცერმა ავსტრიული ლიტერატურის პირველი კლასიკოსისა და მსოფლიოს უდიდესი დრამატურგის სასული ნოუბოთა.

ფრანს გრილპარცერმა იტად ორი ნოველა დაწერა, რომლითაც საფუძველი ჩაუყარა ავსტრიული ნოველისტიკის შემდგომ განვითარებას. თუ „სანდომირის მონასტერი“ (1828) ავტორი რომანტიულ ფერებში გვიხატავს სიწმინდისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ნადუნდლ შურისძიებას, „საბრალო მუსიკოსმა“ (1848) მეოცნებე მუსიკოსის ცხოვრების გაიდუღებოთა და ხელთნებაში მუსიკის უმაღლეს რანგში აყვანით, იგი რეალისტური პათოსის ერთ-ერთ უბადლო ოსტატად გვეუღინება.

„სანდომირის მონასტრის“ გამოქვეყნებამდე დაახლოებით სამოცდაათი წლის შემდეგ-დიქმა გერმანელმა დრამატურგმა, ნობელისა და თვით ფრანს გრილპარცერის პრემიის ლაურეატმა გერპარტ კაუპტმანმა ამ ნოველის მიხედოთ შექმნა დრამა „ელვა“, რომელიც წლებს მანძილზე წარმატებით იდგმებოდა დასავლეთ ევროპისა და რუსეთის თეატრების სცენებზე.

მთარგმნელი



რამდენა მზას სხივებმა ოქროსფრად მოავარაყა სანდომირის საგოველოდოს თვალწარმტაცი ხეობის ფერდობები. დღე-ღამის გაყრისას რომ იცის ხოლმე, ისე ეღანუნებოდა შარავანდელი აღმოსავლეთით დატანებულ მრავალსარკმლიან, მყუღრო და მოციკვე მონასტრის გა-

ლავას, როცა ვალმა ბექობზე ანაზღად ორი ბევთაროსანი რამდენიმე მსახურს თანხლებით ტყის პირა მიუახლოვდა: ცხენოსნებს დაისის ხარყნის რეკვამ თითქოს რაღაცა გაახსენათ, ცოტა ხანს შეეყოვნდნენ, იქაურობა მათვალ-მთათვალეურეს, შერე ხეობა ჩორთით გადაიარეს და მონასტერს მიადგნენ.

ნაგვიანვე სტუმრებს ჩაცმულობაზევე შეატყობდით, უცხოელებსა და უცხოელებს. შავთაროსან მხედრებს ფრთებით გაწყობილი ფართო ქუდები ეხურათ, ცხენიარმის ტყავის ქურთუკები ემოსათ და გალიფე შარვალზე მაღალყელისანი ჩექმები ეცვათ, რითაც აქაური პოლონელებისაგან იმწამსვე განარჩევდა თვალს. სინამდვილეში ასეც იყო. გერმანულ მკვიდრთ და გერმანიის ამპერატორის მალემსარბოლოთ მამაც იან სობესკის სასახლისკენ მიეჩქარებოდათ, მაგრამ რაკი გზაზე შემთაღამდათ, მათ წინ ასვეტილ მონასტერში ჩამოხდნენ ღამის გასათევად.

ამ საღამოსთვის უკვე ჩარახული კარი სტუმართმოყვრულად გაიღო, დარბაზი უთხარის თავაზიანად შეიპატოჟა და მგზავრობათვის განკუთვნილ დიდი დარბაზში შეუძღვა, სადაც დასვენება და ღამის გათევა შეეძლოთ მოსულთ; მასპინძელმა თან მოიბოდინა, მთავარებისკობოსი და სხვა სულიერი მამანი მწუხრის ვალობაზე გახლავთ და დღეს აღარ ძალუბთ ასეთ ძვირფას სტუმრებს მოგეგებონო. ამ საეჭვოდ გამომზირალი კაცის ახსნა-განმარტებას თითქოს აღასტურებდა ერთფეროვან წამღერებულ კილოსა და მოგუდულ ხმაზე ნათქვამი სატყვები, რომელიც შორს ეფინებოდა იქაურობას. საეკლესიო საგალობელს თაღებიც იმეორებდნენ.

უცხოელები მათთვის განკუთვნილ მოსასვენებელ ოთახში შევიდნენ; თვალნათლავ ეტყობოდა, მთელი მონასტრის დარად, ისიც ახალი აშენებული უნდა ყოფილიყო, თუმცა ზუსტად მიემგვანებინათ ძველებური გოტიკური ფორმებისათვის. კედლებთან ალაგ-ალაგ რიგიანი ავეჯი დაედგათ. ფართოკამაროვანა სამერცხულები ღიობზე ვადიოდა, საიდანაც კარგად მოჩანდა, აღმოსავლეთით ამოსული მთვარე როგორ ებრძოდა ჩამავალი მზის უკანასკნელ სხივებს, რომლებიც მკრთალად დასციმციმებდნენ მომადლო გორაკებს; ველზე, ხეობებსა და წაწვან ტყეში სიბნელე ჩამოწვა, ირგვლავ სამარისებურმა სიხუმემ დაისადგურა და სულიერსა და უსულოს თავისი სუღარა გადააფარა.

რაინდთა მსახურებმა ვახშამი გააწყეს და ღვინო შემოიტანეს. დაღლილ-დაქანცული სტუმრები ღიათალოვან ფანჯრებთან მიდგმულ უხეშად გარანდული მაგიდის გარშემო ჩაყოლებულ მაღალ სავარძლებში ჩაბრძანდნენ, ხან მოვარის მომჯაღოებელი ბაკმის თამაშით ტკბებოდნენ, ხან კიდევ ვახშამს მიირთმევდნენ და ზედ მახალს აყოლებდნენ, სახვალთ მგზავრობისათვის კარგად რომ მომავრებულიყვნენ.

ამასობაში გააარა დაახლოებით ერთმა საათმა. სიბნელე ჩამოწვა, ზარების რეკვა და საეკლესიო ვალობა დიდი ხანია შეწყდა. დასაძინებლად გამზადებულმა მსახურებმა შუაგულ დარბაზში დაკიდებულა მკრთალად მანათობელი კანდელი აანთეს, სარკმელთან მსხდომი რაინდები კი კვლავ გაცხარებული საუბრობდნენ, ალბათ რაღაც მნიშვნელოვან საქმეს წყვეტდნენ, ანდა სულაც თავიანთი ახლანდელი მგზავრობის მიზანშეწონილობაზე ბჭობდნენ. უცბად დარბაზის კარზე ვიღაცამ დააბრაახუნა; სანამ სტუმრები ძალაუხერებურად ლაპარაკს შეწყვეტდნენ და გაეპასუხებოდნენ, „შემობრძანდითო“, კარი გაიღო, დარბაზ-

ში იმ საექვოდ გამომზირალმა კაცმა შემთაბიჯა და იკითხა: ბუხრის ანუებს ხომ არ ინებებდითო?

შენოსულს გაცრეცილი, ბევრგან დაკემსილი ანათორა ეცვია რაც მის ისე-დაც ტლანქსა და ჯმუხ აღნაგობას სულმთლიანად თხრიდა. თუშქა მისი მისგან წელში მოხრილიყო და საშუალოზე დაბალი ხანდა, მაგრამ თქმულ ტანსაცმელს არად ჩავთვლიდით, სახეზე ისეთი სიმკაცრე და ძალა აღბეჭდოდა, შესაძლებელია, ყველაფრად მიგვჩნაით, ეკლესიის ბერად კი მისი აღკვეცა არასოდეს გაგვეღვებდათ თავში. ერთ დროს კუპრივით შავი თმა და წვერი ახლა უკვე შეჭალარავებოდა, გაბარდნოდა და მათ სიხშირეს შუბლი, პირი და ნიკაბი მთლად დაეთარა. ბერმონაზვნურად დახრილ თვალებს იშვიათად აბრიალებდა, მაგრამ როცა კი ააფლვარებდა, ორ შავად მბრწყინავ ვარსკვლავში ისეთი მრისხანება ჩაუღვებოდა, რომ მისი თეთრად გადატეტილი სახე ნამდვილ ელვას ემსგავსებოდა ხოლმე და კაცი ცოტა შვებას იგრძნობდა, როდესაც დიდრონი ქუთუთოებით კელავ დააფარებოდა. ასეონაირად წარუდგა ბერი უცხოელებს და ილლიაში შეშაამოჩრილი ეკითხებოდა: ბუხარში ცეცხლის გაჩაღებას ხომ არ ისურვებდითო?

ორთავემ ერთმანეთს გადახედეს, მერე გაკვირვებული შეაცქერდნენ უცნაურად გამომზირალ კაცს. ანასობაში ბერმა ბუხართან ჩაიმუხლა, ცეცხლი დაანთო, უურიც არ ათხოვა იმათ ნათქვამს: ჯერჯერობით ისე არ ცივა და ზედმეტად ნუ ირჩებითო! დამლაიმობათ ხომ საკმაოდ გრილა, გაიფიქრა და ფუთფუთი განაგრძო. როცა საქმე მოათავა და ბუხარში ნადვერდალი მხიარულად აგუზგუზდა, რამდენიმე წუთს შეჩერდა, ხელები ცეცხლს მიუფიცხა, შემდეგ კი, უცხოელებისთვის ზედაც არ შეუხედავს, უჩუმრად კარისკენ გააბიჯა.

ის იყო კარიბჭეს მიუახლოვდა და სახელურს წაავლო ხელი, როცა ერთერთმა უცხოელმა უთხრა:

- რაკი აქა ხართ, წმინდა მამაო...
- ძმაო! — თითქოსდა უნებლიეთ შეუსწორა ბერმა და ზურგშექცეული და თავჩაღუნული კარის ზღურბლთან გახევდა.
- მაშ, რახან ასეა, წმინდა ძმაო! — განაგრძო უცხოელმა, — რაკი აქა ხართ, ერთი სურვილა აგვისრულეთ.
- ბრძანეთ! — წარმოთქვა ბერმა და შემოტრიალდა.
- იციოთ რა, — დაიწყო უცხოელმა, — გაოცებულნი ვართ ამ დიდებული ადგილით და თქვენი მონასტრის ხუროთმოძღვრებით, ალბათ ახალი აგებული უნდა იყოს.

ამ სატყვების ვაგონებისთანავე ბერმა მოსაუბრეს თვალი თვალში გაუყარა.

- დიდმა დრომ განვლო მას შემდეგ, — განაგრძო მანვე, — რაც ასეთ წმინდა ტაძართ არცთუ ისე იშვიათად აშენებდნენ. რამდენი ხანია, რაც ეს მონასტერი დგას?
- ალბათ იციოთ რამე, არა? — ჰკითხა ბერმა და იატაკს ჩააშტერდა. — თუ ჯერჯერობით არაფერი გსმენიათ?
- რომ ვიცოდე, განალა შეგვეკითხებოდით? — მაუგო უცხოელმა.
- ხანდახან ასეც ხდება, — წაიბურტყუნა ბერმა. — ეს საყდარი სამი წელია დგას. ოცდაათი წელი! — უცებ მიაყოლა მან და იატაკისთვის თვალი არ მოუწყვეტავს.

— საძირკველი ვინ ჩაუყარა? — კვლავ ჰკითხა უცხოელმა. — ღვთისმოსივით  
კაცი ყოფილა.

ბერმა მოულოდნელად დვარძლიანად გადაიხარხარა. სკამის საბურვე, რომელსაც ეყრდნობოდა, ნაფოტებად იქცა: უცხოელებს მიპყრობილ მას თვალებში თითქოს ჯოჯოხეთურმა აღმა გაბკვესათ, უცბად შეტეხულა და გარეთ გაეარდა.

გაოგნებულ სტუმრებს ჯერ კონზე მოსვლა ვერც მოესწროთ, რომ კარი კვლავ გაიღო და დარბაზში იმავე ბერმა შემოაბიჯა. თითქოს არაფერი მომხდარათ, ზუზარს მიუხალოვდა, გელათი ნაკვერჩხალი მიჩხრიკ-მოჩხრიკა, შეშა შეუქცეთა და ცეცხლი გააჩაღა. შემდეგ ყონაღთ მიუბრუნდა და უთხრა:

— ამ სასახლის ნსახურთაგან ყველაზე უღირსი გახლავართ. ყოველნიერ შავ სამუშაოს მე ვასრულებ. უცხოელებს თივაზიანად უნდა მოვებყრო; თუ რამეს შემეკითხებიან, რივიანი პასუხიც გაცე. მგონი, რაღაც მკითხეთ, არა? თოდნდ, რა გნებავდათ?

— გვსურდა ამ მონასტრის დაარსებას ამბავი შეგვეტყო. — თქვა ასაკით უფროსმა გერმანელმა, — მაგრამ თქვენმა ცივმა უარმა...

— ღიახ, ღიახ, — უპასუხა ბერმა, — თქვენ უცხოელები ხართ; არც ხალხს იცნობთ, არც აქაური ადგილები იცით. თქვენს გულუბრყვილო ცნობისმოყვარეობას გვერდს ავუვლიდი, მაგრამ ვიცი, წინამძღვართან დამაბეზლებთ, ისიც მაშინდელივით შემრისხავს, ერთხელ ბლოცკელმა გრაფმა აუგად რომ მოახსენია ჩემი წინაპრები და მე შიგ ყელში ვწვდი. ვარშავიდან მოდიხართ? — ცოტა ხნის სიჩუმას შემდეგ იკითხა მან.

— არა, იქითკენ მივემგზავრებოთ, — უპასუხა უცხოელმა.

— უკეთური ქალაქია, — თქვა ბერმა და ჩამოჯდა. — ყველა უბედურება იქიდან მოდის. ამ მონასტრის დამაარსებელი ვარშავაში რომ არ მოხვედრილიყო, მაშინ არც ამ საყდარს ააგებდა, ვერც ბერს შეეყრებოდით აქ და არც ბერად შევდგებოდით. რახან იქიდან არ მოდიხართ, პატროსანი ხალხი უნდა იყოთ და ვითვალისწინებ რა ყოველივეს, ერთი ფათერაკი მინდა გაუწყოთ, მაგრამ გთხოვთ, თხრობისას არც შემაწყვეტინოთ და როცა ამბის მოყოლას დავამთავრებ, არც არაფერი მკითხოთ. ბოლოს და ბოლოს მეც მსიამოვნებს წარსულის გახსენება. ასეთი ნისლი რომ არ ჩამოწოლილიყო და მთვარეც ასე მკრთალად არ ანათებდეს, უფრო კარგად დაინახავდით ჩვენს საგვარეულო ციხე-დარბაზს.

ბოლო სიტყვებზე თითქოს ჩაყლაპათ, ისე ძლივგასაგონად წაიბუტბუტა და ღრმა სიჩუმე გამეფდა; ანაფორის ფართო სახელოებში მკლავგაყრილი და თავჩაქინდრული ბერი გაუნძრევლად იჯდა. ორივემ გაიფიქრა, ალბათ ბერი თავის დაპირებას ნანობსო, თავები გადააქნ-გადმოაქნიეს და ის იყო, წასვლა დააპირეს, რომ მოულოდნელად მასპინძელი წელში გასწორდა და ღრმად ამოიოხრა; შუბლზე ჩამოფხატული კაბიუშონი უკან გადაუვარდა; ველურივით აბრიალებულ თვალებში სევდა ჩაუდგა, მთვარისკენ პირი იბრუნა, ნიკაპით ხელს დაეყრდნო და დაიწყო:

სტარშენსკი გრაფის შთამომავალი გახლდათ. ის გვებერთელა ადგილი და ეს მოედანი, სადაც ახლა მონასტერი დგას, მას ეკუთვნოდა. მაშინ აქ საყდრის ხსენებაც არსად იყო. მხოლოდ ვრცელი მინდორი გადაჭიმულიყო; მთვარის სხავეები ჩამონგრეულ კედლებს რომ ეფინება, გრაფი იქ ცხოვრობდა. ური-

გო კაცი როდი იყო, მაგრამ კარგიც არ ეთქმოდა. ბრძოლებში მამაცობით გამოირჩეოდა, დანარჩენ დროს კი მამა-პაპათა ციხე-კოშკში განმარტოებით და უჩუმრად ცხოვრობდა. ადამიანებს ერთადერთი რამ აოცებდათ მხოლოდ: არავის არასოდეს შეუხამნავს მდედრობით სქესთან ურთიერთობის, რაიმე მიდრეკილება გამოემჟღავნებინოს; იგი აშკარად გაურბოდა ბანოვანთა სქესობრივობას. ამიტომ ქალთმოძულედ მონათლეს, თუმცა სინამდვილეში ასეთი არ იყო. ბუნებით მორცხვი სულის პატრონს, ამას ხელად მიმიხვდებით, რამდენად მართალს მოგახსენებთ, — თქვა ბერმა და წელში გასწორდა, — თვათსუკობისა და დამოუკიდებლობის ყოვლისშთამნთქმელი კმაყოფილება განიზიდავდა ქალთა სიახლოვისაგან. ამგვარ უხალისობას რომ გაურბოდა, ის ანიჭებდა სწორედ ხალისს:

— აღარაფერა დაგრჩით? ერთი თასი ღვინო მომაწოდეთ! გრაფი არც ისე ურიგო კაცი იყო.

ბერმა ღვინო მოწირუბა და განაგრძო:

ასეთნაირად ცხოვრობდა სტარშენსკი, ასე აპირებდა იმ ქვეყანაში გადაბარგებას, მაგრამ შუბლზე სულ სხვა რამ ეწერა. ერთხელ, საიმპერიო სეიმზე დასასწრებად, ვარშავაში გაემგზავრა. ერთ საღამოს, იმ ადამიანების ბიწიერებით აღშფოთებული, თითოეული მხოლოდ თავის თავზე რომ ფიქრობს, თუმცა ყველას კეთილდღეობაზე ერთნაირად უნდა ზრუნავდეს, ქალაქის ქუჩებში დაეხეტებოდა. ცა შავ, საავდრო ღრუბელს დაეფარა: ირგვლივ ჩამობნელებულიყო და ყოველ წუთს წვიმას აპირებდა. ანახდალ ზურგს უკან აკანკალებული-აცრემლებული ქალის ხმა შემოესმა:

— თუ კეთილი კაცი ხართ, შემიბრალებთ მე უბედური!

გრაფი სწრაფად შებრუნდა. მას წინ ატუზულ ქალიშვილს ხელები გაეშვირა და რაღაცას შესთხოვდა. იმ ლუსკუმში ვერაფერს გაარჩევდით. ღარიბულად ეცვა: კუნაბეტ ღამეში მისი ყელი და ხელები თეთრად ანათებდა. გრაფი ხმაამოუღებელივ გაპყვა მვედრებელს. ასულმა ათიოდე ნაბიჯი გადადგა და შინ შევიდა; მალე სტარშენსკიმაც ერთ ბნელ წინკარში ამოყო თავი. ქალიშვილის მხურვალე და ფაფუკი ხელი მის მარჯვენას შეეხო.

— ორდენის რაინდები ხართ? — თხრობა შეწყვიტა ბერმა და უმცროსი უცხოელისკენ შეტრიალდა. — რას ნიშნავს თქვენს მოსახამზე გამოყვანილი ჯვარი?

— მალტის ორდენის რაინდი გახლავართ. — მიუგო მან.

— თქვენც? — ახლა მეორეს მიუბრუნდა ბერი.

— არამც და არამც. — მოკლედ მოუჭრა მეორემ.

— ცოლ-შვილი თუ გყავთ?

— არასოდეს მყოლია.

— რამდენი წლისა ხართ?

— ორმოცდახუთის.

— მაწ ასე! — წაიბურტყუნა ბერმა და თავი გააქნია.

შემდეგ განაგრძო:

მხურვალე ხელის შეხებისთანავე გრაფს რაღაცნაირი იდუმალა გრძნობა დაეუფლა. ასული თითქოს ვიღაცაზე აღმოსავლურ ზღაპარს უყვებოდა, რომელიც მოულოდნელად განგებამ დააჭილდოვა. ფრინველთა და ბუნების სხვა ქმნილებათა ენა გაეგო, და ერთხელ, ნაკადულის პირას ჩრდილში მწოლმა,

ადრე მხოლოდ ჩქამი და გამოუცნობი ბგერები რომ ესმოდა, სიხარულით განცვიფრებულმა მართლა რიგობა გააჩნია სიტყვები, ჩასწვდა მათ გუჩანს! ასე დაეშარათა გრაფსაც, თვალწინ სრულიად ახალი სახეარო გადაეშალა; აკანკალებული მისდევდა ქალიშვილს, რომელმაც მონტრო კარი გამოაღო და დაბნელებულიან, ოდნავ ვანათებულ ოთახში შეუძღვა.

სინათლის პირველი სხავი ყმაწვილქალა დაეცა, სტარშენსკი შინაგანად ზეიმობდა, თავ წინათვრძნობა: უკარნახა, აინამდვალედ რომ გაოდუქცა ქალიშვილი მართლაც ნატიფი, მშვენიერზე უმშვენიერესი იყო. შუბლსა და მხრებზე ჩამოყრილი წავი კულულება და გრძელი წამწამები განსაკუთრებულ იერა-აღლევდა მის მბრწყინავ, მოლურჯო თვალებს. პირსა და ამობურცულ მარწვევიანურ ტუჩებს ვერას აკლებდა პატარა, ძლივშესამჩნევა ნაჭრილობევი, თხელ თეთრ ზოლად რომ გასდევდა ლოყახე და ზედა ტუჩის წითელ საზში იკარგებოდა. ნიკაპსა და ლოყებზე ჭუტა ემჩხეოდა; შუბლი და ცხვირი ისეთი მოხდენილი ჰქონდა, ალბათ მხატვარიც ვერ იოცნებებდა, სწორედ იმნაირი, ჩემი მაწა-წყლის ქალიშვილებს რომ ამშვენებთ; ისინი სრულყოფდნენ მის მომხიბვლელ თავს და დიდებულად ერწმომოდნენ ქალწულის ნოქნილ და ხორცსავაე სხეულს, რომლის განუზომელ სამშვენიერეს ღარიბული ჩაცმულობა უფრო აჩენდა, ვადრე ფარავდა.

— მართლა, რასაც გიყვებით, რომ არაფერი ესწენიათ ამის თაობაზე, მალტის დარდენის რაინდო? პო, პო, დაჩაჩანაკებული ბერი მზადაა კვლავ ჰკუთხე შეცდეს! მოდი, ერთიც დავლიოთ! მან ასე, კმარა!

ქალიშვილის ჰვრეტით გრაფი ასე იყო დაბნეულა, ძლივს შეამჩნია ოთახის კუთხეში დაფუტურობებულ ხალაზე მწოლა საცოდავი მოხუცი, რომელსაც თავითი ბალიშის ნაცვლად დაგლუჯილ-დაფლუთილი უნაგირი ედო და დაკონკილი საბანი ეფარა; მან დაძონძილ სამოსელიდან ხელი გამოჰყო და მიკნავებული ხმათ იკითხა:

— ელვა, შენა ხარ? ვინ მოიყვანე?

— აი, აქ გახლავთ დავრდომილი. — შესჩივლა ქალიშვილმა სტარშენსკის, — გაჭირვებამ მიიძულა, თანაგრძნობისათვის მომეყვანეთ. ეს, ბევლ თავადთა შთამომავალი და დევნით ბოლომოდებული კაცი, მამაჩემია. — ამ სიტყვების წარმოთქმისთანვე ასული მოხუცის საწოლს მიუახლოვდა, საბანი გაუსწორა, ძონძები მიაღაგ-მოაღაგა და იქაურობა მოაწესრიგა.

გრაფი მიუახლოვდა, ანზავი ბოლომდე მოისმინა, მის წინ მწოლიარე კაცი ქალაქპეტი ფონ ლაშეკი გამოდგა. ის და მისი ვაჟები მთავრობის წინააღმდეგ შეთქმულებაში გამოაშკარავეს და სამშობლოს ღალატისათვის შეილგები გაუფრთხილებელ პოლიტიკურ თანამოაზრებთან ერთად გადასახლეს. მამას საგვარეულო ადგილ-მამული ჩამოართვეს და ასეთ სილატაკეში ჩააგდეს.

როცა შეიტყო, იმ კაცის გვარი ლაშეკი იყო, სტარშენსკი მაშინვე მიხვდა, საკუთარი თავის გაუბედურებაში მოხუცი მთლად უდანაშაულო არ უნდა ყოფილიყო. მართალია, შვილების განზრახვის უშუალო თანამონაწილე ვერ იქნებოდა, მაგრამ ახალგაზრდობაში დაუოკებელი თავქარიანობითა და ხანდაზმულობაში ზედმეტი ხელგაშლილობით მემკვიდრეები სწორ გზას ააცდინა, კარიერა დაუხშო და საბილათო მომავლისაკენ უბიძგა. გრაფმა ყველაფერს ადვილად აუღო ალლო, მაგრამ ამჟამად საქმე ამ საცოდავი მოხუცის გადარჩენას ეჭებოდა და ელვას მამამაც სიყვარულით აღმოდებული და მჭვრემეტყველი

ქომ-გა ვაჩინა სტარშენსკის სახით, რომელიც მის ქალიშვილს ასე უფრო უფრო-  
გოდა.



ლაშქია ქალიშვილითურთ საკადრის ბინაში გადაიყვანეს და მუსაფერიისად  
უზრუნველყვეს. სტარშენსკიმ, რაც კი ზეგავლენა ჰქონდა, უკვე იმისთვის  
იველა ნაცნობობაც გამოიყენა, ფელისა და სახუჭრების შეგუბრუბრუბ-  
რიდა, ოღონდ უბედური კაცი ძველებურად ფეხზე დაეყენებინა, ვაჟებ კი  
გადასახლებიდან დაებრუნებინა. საბედნიეროდ, წინდაუხედავ ლაშქია შეხე-  
დულება სამიშრად აღარ მიაჩნდათ, რადგან ბოლო დროს საგარეო პოლიტი-  
კური მდგომარეობა ძარყულად შეიცვალა. თხოვნა შეიწყარეს; განდევნილნი  
სამშობლოში დასაბრუნებლად ემზადებოდნენ. ბევრი მათი გაუბედურებული  
ამხასაგო დაუფარებლობით უცხო ქვეყნებში დარჩა სამოღვაწეად. მხოლოდ  
ლაშქია ვაჟებმა და მათმა შორეულმა ნათესაებმა ოგინსკიმ ისარგებლეს დი-  
დი ვაი-ვაგლახით მიღწეული შეწყნარებით. იმათ ჩამოსვლას ყოველ ეამს  
ელოდნენ.

ლაშქიასათვის ჩამორთმეული სამკვიდრებლის დაბრუნება შეუძლებელი  
გახდა. ყოველ კისმარე დღეს ახალ-ახალი მგვალები მოდიოდნენ. ფასიანი ქა-  
ლიდღება და გადაუხდელი პროცენტი ბევრად სჭარბობდა უძრავი ქონების ღირ-  
ებებულებას. სტარშენსკიმ შეაკაცობა იკისრა, ვალიც გადაიხადა, საკუთარი  
ადვილმამულიც დააგირავა და მაინც ლაშქია მამაპაბური სანულობელის უმ-  
ნიშვნელო სანამყენე ნაწილი იხსნა, რომელიც მომავალში უთუოდ ვადირ-  
თოვდებოდა.

ელვას გულის მონადირებას ამასობაში კარგი პირი უჩანდა. როდესაც  
ქალწულმა თავი კვლავ მლიდრულ კაბაში იხილა, სტარშენსკის მხიარული შე-  
ბახილით შეეგება და ზრუნვისა და გულისხმიერებისათვის თავისი აგზნებული  
ტუჩები მის ტუჩებს დააკონა. ამ პირველმა და ჭერჭერობით უკანასკნელმა  
კოცნამ სტარშენსკის იმედი გაუღვივა, რომ ქალიშვილი მის მიმართ გულგრი-  
ლი არ უნდა ყოფილიყო. ყმაწვილქალს სიამოვნებდა ვაჟს სიახლოვე, ყო-  
ველთვის ამჩნევდა და გრძნობდა მის არყოფნას. სტარშენსკის ბევრჯერ შეუ-  
ნაშნავს მის თვალთა მზერა, როცა ფიქრებში ჩაძირული უმანკო არსება კულ-  
დასმით შეჰყურებდა მას; რამდენჯერ ძლივს გამოსტაცა ხელი, კოცნა რომ და-  
უბირა, მაშინ, როდესაც, დიდი სიამოვნებით დაეწაფებოდა ქალწულის ტუ-  
ჩებს. ვაჟი მომავლის ნათელი იმედით იყო აღსავსე, მაგრამ მოულოდნელად  
მდგომარეობა შეიცვალა. ელვას უიჭრიანობა და დაღვრემილობა დასჩენდა.  
თუ ადრე გულიანად ერთობოდა, ლამაზი საცმულობითა და ცხოვრების ტკბო-  
ბით დაბანგული ხანდახან აჭარბებდა კიდეც, ბოლო დროს საზოგადოებას  
გაურბოდა. მშვენიერი, უნაოჭო შუბლა აფორიაქებულმა ეტკემა ღრუბლით და-  
უფარა; სევდიანი თვალები უოქმელად მოგვიტხობდნენ მონადენ ცრემლებზე  
და ხშირად ძირს დახრილი წამწამებიდან სათითაოდ მოგორავდნენ ეს დაუპატი-  
ებელი სტუმრები. სტარშენსკი ამჩნევდა, მამა მკაცრად და მუჭარათ რომ  
შეავლებდა თვალს ქალიშვილს, ელვა კი ნაძალადევი მხიარულობით ცდილობ-  
და ჩაეხშო გულსმოწოლილი კაემანი. ერთხელ, ჩქარი ნაბიჯით სასტუმრო  
ოთახისკენ მიმავალმა სტარშენსკიმ, წინკარში მოხუცი ქალაქბეტის გაბრაზე-  
ბული ხმა ვაიგონა, რომელიც საღანძღავ სიტყვებსაც არ იშურებდა. გრატმა  
კარი შეადო, იჭაურთბა მოათვალიერა და სირკმელთან, მამასკენ ზურგშეკცე-  
ული, ძალზე აღელვებული, ამრეზალი ქალიშვილი დაინახა. ეტყობოდა, ეს

ლანძღვა-განება ელგას ეხებოდა. მაშინ გრაფმა გულში მტკიცედ გადაწყვიტა, ნიშნობა დაეჩქარებინა და ყოველივე ამით ბოლო მოეღო უმწიკლო კაცების პტანჯველი და გამოუცნობი მომავლისათვის.

სანამ სტარშენსკი თავის განზრახვას შეასრულებდა და ეფუძნებოდა ნიშნობით აღრინდელი სიხალისე დაუბრუნდებოდა, ამასობაში ნათესავი გადასახლებიდან დაბრუნდნენ. კარგა ხნის უნახავ ძმებთან შეხვედრამ ელგა არცთუ ისე გაახარა, რადგორც ამას გრაფი ვარაუდობდა და მოელოდა. მუტადრე თვალში გეცემოდათ ქალიწვილის გულცივობა, რომ აღარათფერი ვთქვათ უმოწყალო დანიკიდებულებაზე მის ძმებთან ერთად დანაშაულსა და სასჯელში მონაწილე საბრალლო ნათესავის — ავისაყის მიშართ, რომელსაც ხანდახან იმის ღირსადაც არა თვლიდა, სახეზე წესიერად შეეხედა. კარგი აღნაგობისა და მოხდენილობის პატრონი, სულაც არ იმსახურებდა ამგვარ ზიზღს; პირიქით, პორჩილებითა და გამგონობით საჩინო ისწრაფოდა, თავის თავზე ყველასათვის კარგი აზრი შთაენერგა. ყმაწვილი ქალის უკმეხობა არ აღიზიანებდა, ისე კი, ყველა საბაბს ეძებდა, თლთლ აქაურობაა გასცლოდა და ელგას აბუჩადამგდებ მზერას გაშორებოდა. ბალოს სულ მთლად ჩაიყლაპა და არავინ უწყის, საღ გადანიკარგა.

გრაფმა ელგა სვირთო. მოხუც ქალანთარს სიხარულის ცრემლი სდიოდა, სახეატკრეცილი ქალწული გრაფს უსუმრად მკლავებში ჩაუვარდა და შეუღლებაც ასეთნაირად დასრულოდა. დიდი ამბით გამართულმა დარბაზობამ მთელ დედაქალაქს ამცნო სტარშენსკის ბედნიერება და მრავალრიცხოვანმა სტუმარმა ამ პურობაზე მისი დიდი პატივისცემაც გამოხატა. სასახლის კარზე სტარშენსკის საპატიო თანამდებობა უბოძეს; იგი მალე შეეგუა იქაურ ყაყანასა და ბრწყინვალეობას. მის გულსა და სულსაც ესაღბუნებოდა თუნდაც ინიტომ, რომ განცხრომითა და ზარ-ზეიმით ცხოვრება ელგას ძალიან მოსწონდა. კაცმა რომ თქვას, რატომაც არა, სინორჩე აკლდა თუ მომზიბველეობა? განა ამდენი გაქირვებას მერე ეს ლაღობა ორმაგ სიამოვნებას არა გვრიდა, სიამტკბილობასა და რაღაც ახალ, გამოუცნობ სამყაროში არ ახედებდა? გრაფმა სრული თავისუფლება მიანიჭა მეუღლეს და ამით ბედნიერად თვლიდა თავს. ასწილ ნეტარებას რომ მისცემოდა, ერთადერთი რამ აკლდა მხოლოდ: მათი შეუღლებია დღიდან აგერ თათქმის წელიწადი გადიოდა, მაგრამ ჯერჯერობით ელგას დედობისა არა ეტყობოდა რა.

გაბედნიერებულ წყვილთა თავდავიწყება უეცრად ერთმა გარემოებამ სულ მთლად გააუფერულა. ერთ დღეს სტარშენსკის პატიოსანი და გამოცდილი მოურავი შუბლწეჭმუხნილი და მოღუშული ეახლა. დარბაზში მარტონი ჩაიკეტნენ, იანგარიშეს, შეადარეს და უმალ დაადგინეს, რომ ბოლო ხანს ზედნეტმა ხელგაშლილობამ და ელგას ნათესავებისათვის გაწეულმა უთავბოლო ხარჯმა გრაფის ქონებასაც საბოლოოდ ილაჯი გამოაცალა, რაც მომავალში აუცილებლად გასათვალისწინებელი იყო. ამ საქმეში ყველაზე მაგარა არეუდარვეა ელგას ძმებმა შეიტანეს. ცნობილია, უბედურება იმას ასწორებს, ვისაც გამოსწორება ძალუასო, მაგრამ სამშობლოდან დიდი ხნით გაძევებულ თავქირიან ამ ორ ახალგაზრდას პარპაშობის ვნება კიდევ უფრო გაუასკეცდა. რაკი სტარშენსკის ქონებაზე ხელი მიუწვდებოდათ, ძმებმა მისი დანაშოგი ღულის უანგარაშო ხარჯვა დაიწყეს; განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც განცხრომაში მყოფმა გრაფმა მოურავის მორიდებულ შეკითხვაზე, რა მოვიმოქმედოთ,



ცოტა არ იყოს გულფიცხად უპასუხა: წუწუტრაქობა და ხელმომპირწეობა არ გამოვადგენათ. ცოლიაქმებს ხუ შემინჯლუდათ, რამდენიც უხბაით, იმდენი ფლანგონი, მალე მოყვრების მოთხოვნასა და დანახარჯს ბოლო აღაი უჩანდა. გრაფმა წანიერ გონების თვალი გადაავლო თავის ახლანდელ მსგავსებას და წესრიგის მოყვარულმა კაცმა უყოყნანოდ გადაწყვიტა: "სიტყვის სიტყვიდან უხბილათოდ გადაეხვია. მხოლოდ ელგასზე ფიქრი აღუძრავდა შიშს. აპყვება კია ეს ხალხსიანი, ცხოვრების ტკბობით გაუშაქლარი არსება? გადაწყდა: მოსახლენი უნდა მომხდარიყოს და როგორც მოვალეობა ქარნახობდა, გრაფიც ისე მოიქცა. მაინც გულის ფახეჭალით შევიდა ელგას მოსასვენებელ ოთახში; გრაფმა ცოლს საქმის ვითარება გააცნო და ქალაქის მიტოვების აუცილებლობა დაუმტკიცა, რათა ამ ბოლო დროს დაუფიქრებლად ჩადგალი სატვილი და ფუქსავატობა თავის ადგილ-მამულში გამოესწორებინა; სინამდვილემ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, როდესაც ამ სიტყვების გაგონებისთანავე ელგა მკერდში ჩაესუტა ქმარს და სიამოვნებითა და სიხარულით ყველაფერზე დაეთანხმა. რასაც გრაფი მოისურვებდა და ბრძანებდა, ქალიც უსიტყვოდ დაემორჩილებოდა! ელგას კუფხა-კუფხად სცვიოდა ცრემლები და ქმრის ფერხით აპირებდა დავარდნას, კაცს რომ არ წამოეყენებინა, არ დაეტოქსა და ღონიერ მკლავებში დიდხანს არ მოექცია, რამაც ცოტა ხნით ყველაფერი გადაავიწყა ამ ქვეყანაზე.

გამგზავრების საქმე კარგად მოგვარდა. ჭაბუკობიდან მარტოობას მიჩვეული სტარშენსკი, ვისა სილაღე და ნებიერობაც მიმაპაპეულ სასახლეს, ხოლო შეუღლესთან სიამტკბილობაში ვატარებული ახალგაზრდობა ქალაქს შემორჩია სამარადქამოდ, თითქმის ღოცავდა მოულოდნელად თავზე დამტყდარ უბედურებას, რამაც აიძულა საბოლოოდ მიშობლიურ მხარეს დაბრუნებოდა. ელგა ფაციფუტობდა, ემზადებოდა: მისის ერთ თბილ საღამოს გრაფის ოჯახი გატენილა ზანდუკებითა და სავსე სკივრებით ხელახლა აშენებულ და დამშვენებულ ძველ საგვარეულო ციხე-დარბაზს. მიადგა, რომლის მყუდრო შემოგარენში ბუღბუღების სტვენა და ყვავილების მძაფრი სუნი ძირფესვიანად აღადგენდა ყოველივეს, რაც ქალაქის სასახლეებში ცხოვრებით განებივრებულ კაცს აქ ყოფნით დააკლდებოდა.

ჩამოსვლის მერე მალე გამოირკვა, ელგა ბოლოდ რატომაც დათანხმდა, ასე ადვილად შეგუებოდა ქალაქის მიტოვებას. ქალი ფეხმძიმობას არ ამკლავებდა. მაგრამ სტარშენსკის, ვისაც ამქამინდელი ყველა სურვილი შეუსრულდა, უსახლუროდ ბედნიერად მიანსდა თავი.

განათხულმა და ზაფხულმა სოფლურ მხიარულებაში, კეთილმოწყობასა და მოლოვინების მოლოღიაში ჩაიარა. როდესაც ხეებს ფოთოლი ჩამოსცვივდა და ზამთრის პირველმა მათუგებელმა — ძლიერმა ქარმა ციხე-დარბაზის სარკმლები შეაზანზარა, დადხანს ნალოდინე ელგას საზარელი დღეები დაუდგა. მაგრამ დროულად იმშობიარა და ანგელთზივია გოგონა გრაფს გამოწვდილ მკლავებში ჩაუგდორეს, რომელმაც ფრთხილად გამოართვა და სიხარულის ცრემლი დააპყრა ქალიშვილს. ბოლო მშობიარობის შემდეგ გამოჯანმრთელებული ელგა კვლავ ვარდივით გადაიშალა და დამშვენდა.

ვაგლახ, ეს ბედნიერება დედაქალაქიდან მოსულმა სამწყობარო ამბავმა დაიბრდილა. ელგას მამა გარდაეცვალა; მოხუცა ქალაქასთავი ამ ქვეყნიდან ისე წავიდა, ყველაფერი არეულ-დარეულა დატოვა. ამჯერად, წინდახედული სიძის

მხარდაჭერას მოკლებული და უგუნურ ქცევასა და უანგარიშო ხარჯვას მინ-  
გვული ლაშეკის ეაყები სესხზე სესხს უმატებდნენ და მევახშეები, რომლებსაც  
იმედი ჰქონდათ, მოხუცი მამის შემკვიდრეობა მათ ვალს გაისტუმრებდა, სასო-  
წარკვეთილებას მიეცნენ, როცა შეიტყეს, გარდაცვლილი ქალაქის მკურნალ-  
ძით საკმაო თანხა აღრევე სათანადოდ გაფორნებულ საბუფებზე დასაწყობად  
მათ ერთადერთ ღარიბ ნათესავს — თგინსკის გადასცემოდა. მართალია, ის ნა-  
თესავი დიდი ხანია აღარსად ჩანდა, მაგრამ ეტყობოდა, ცოცხალი ეგულებო-  
დათ, ადგილსამყოფელიც ყველასთვის საიდუმლო როდა იყო, რადგან მის-  
თვისა განკუთვნილი თანხა აღდო და ეს საქმეც ასე დამთავრდა.

ლაშეკთა უთავბოლო მფლანგველობა რომ განოამკარავდა, ხმა გაეარდა,  
ძმება ამხიხებისათვის თანამოაზრეებს აგროვებუნ და უწინდებურად საიდუმ-  
ლო შეთქმულებას აწყობენო. აბეზარი ცოლისძმები და მათი მევალენი ერთ-  
ბაშად სტარშენსკის ეცნენ, მაგრამ გრაფმა შეძლო მოყვრებისა და მევახშეთა  
მოგერიება. მედვრად უკუაგდო იმათი მოთხოვნა და კმაყოფილი იყო, ელგა  
ყველაფერში გულწრფელად რომ ეთანხმებოდა და მხარს უჭერდა. როცა ძმებ-  
მა ყოველი დონე იხმარეს და ბოლოს გრაფის ციხე-კოშკსაც მიაღგნენ, ელგამ  
საყვედურით აღსო და ისეთი ანბავი დაატეხა თავს, რომ აღბათ სამუდამოდ  
მოსამხლე შტრად გადაეკიდნენ ერთმანეთს.

აეე გაიარა ორ წელიწადზე მეტნი: გადატანილი ქარიშხლის მერე ოჯახში  
დამკვიდრებული მშვიდობა ძვირფხსენებელი ვახდა. გრაფი აღრე თუ ძლიერ  
გახიცდიდა ვაჟის უყოლობასა და უშემკვიდრეობას, ახლა მზე და მთვარე  
ამ ერთადერთ ბავშვზე ამოსდიოდა.

კაცი ძნელად თუ წარმოიდგენდა უფრო მშვენიერ არსებას, ვინემ ეს პატარა  
ვოგონა, დღითი დღე რომ იზრდებოდა. აახის ნაკვთებით დედას მიაგავდა, მაგ-  
რამ ბუნებამ ჰაწია, ლამაზი თავი რომ გამოაყოლა, საოცარი ჭირვეულობაც  
გამოამკლავნა და ერთ რაქში მთლიანად გადაუზვია. თუ ელგას ქალურობას  
შავი თმა, დაბინდული წარბები და მოლურჯო თვალები განსაკუთრებულ მომ-  
ხიბელელობას მატებდა, ამ კოკროწინა ვოგონას სანდომიან სახეზე მოთქროს-  
ფერო კულულები ეჭინა. გადაკალმულ ღია ფერის წარბებს ქვემოთ კი, ყა-  
ჩალები რომ მზეს არ ენახებებან, ასე დამალოდა დიდი, მაყვლისფერი თვალე-  
ბი. გრაფი ხშირად ხუმრობდა დედა-შვილის მსგავსებაზე; როცა ის იტყოდა,  
ბავშვი თავით ფეხამდე შედგამოჭრილი დედამისიო, ელგა გულში მაგრად  
ჩაიკრავდა ხოლმე პატარას და მასავით ამობურცულ ლალისფერ ტუჩებს ნა-  
ზად უკოცნიდა.

რაქამს გრაფი ოჯახური სიამტკბილობით გულს იჯერებდა, დანარჩენ  
დროს ელგას ნათესავების უზომო ხელგამლილობით შელახული ქონების აღ-  
დგენასა და გაცამტვერებული ადგილ-მამულის კეთილმოწყობაზე ფიქრობდა.  
გრაფი დალიდან საღამომდე ბაკებსა და ბედლებს უვლიდა, მინდვრებსა და  
გასაკაფავი ტყის ნაკვეთებს ათვალეერებდა; მას თითქმის ყოველთვის თან ახლ-  
და ერთგული მოხუცი მოურავი, ვინც მამამისს მთელი ცხოვრების მანძილზე  
პატროსნად ემსახურებოდა და ოჯახში სრული ნდობით სარგებლობდა. კარგა  
ხანია სტარშენსკი უგუნებობას ატყობდა მოხუცს. თუ უცაბედად მისკენ შეტ-  
რიალდებოდა და სახეზე დააკვირდებოდა, უმაღ შეამჩნევდა ხოლმე, სხვა  
დროს მხიარული თვალების პატრონი მოხუცი დასევდიანებული უჩუმრად  
როგორ შესცქეროდა მას.

ერთხელ, გრაფი და მოხუცი შუადღემდე მანდორში იყვნენ მომკვლელბ-  
თან. როცა მზემ მაგრად დააჭირა და სტარშენსკიმ თხმელის ჩრდილს შეაფა-  
რა თავი, მოხუცმა მოსამსახურემ ცივ-ცივი წყალი გაუწოდა გრაფს და თან  
აღფრთოვანებით წამოიძახა:

— ღვთის წყალობით, რა მადლი ჰყენია ამ მინდვრებს! <sup>მარკუნსული</sup> ~~კრავსვიტეფეფია~~  
მისი მფლობელი!

— ასეც არის, — მიუგო გრაფმა, თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და  
წყლის სმა განაგრძო.

— ადვილი მისახვედრია, — სიტყვა დასცდა მოხუცს, — ქალაქად რომ ამ-  
დენი უკმაყოფილო მზადაა სახელმწიფოსა და მის წესწყობილებას ოღონდ  
რაიმე ზიანი მიაყენოს; ვერაფრით მოიგებ იმათ გულს, ყველაფერი უკუღმა  
ეჩვენებათ, მაგრამ სოფლად, ტყეებსა და მინდვრებში, აშკარად ეტყობა  
ქვეყანას, მოაქეამამდე მხოლოდ ერთადერთი ღმერთი რომ განაგებს და არც-  
თუ ისე ურიგოდ. მფრთხისთავეები კი არ ცხრებიან, ლამობენ მიანგრ-მოანგრიონ,  
მიმოხრ-მოაოხრონ სააქაო სამყოფელი, თავიანთ ქსელში გააბან მამა და ძმა,  
დაი და სიძე. ღმერთმა დასწყევლოს იმათი თავი!

გრაფი წამოდგა.

— აარგად მიგიხვდი, — თქვა მან, ვისაც გულისხმობ. ჩემს მოყვრებზე  
ახალი ხომ არაფერი გსმენია?

მოხუცი ფეხებში ჩაუვარდა სტარშენსკის, ცხარე ცრემლებად დაიღვარა  
და უცბად წამოიძახა:

— ჩემო ბატონო, საკუთარ თავს მაინც ნუ ატყუებთ! მიხედეთ თქვენს  
ცოლსა და შვილს! საერთოდ ყველაფერს, რაც ვაგაჩნიათ! ნუ შეარცხვენთ  
წინაპრების ღირსეულ სახელს!

— რა დაგემართა? — განრისხდა გრაფი.

— ჩემო ბატონო, — თავისას იმეორებდა მოხუცი, — უნდა იცოდეთ, რომ  
ცოლისძმები რაღაც ავ საქმეს გიმზადებენ!

— შენ ჭკუიდან ხომ არ შეიშალე?! — დაუღრიალა სტარშენსკიმ.

— აღბათ ვიცი, რასაც ვამბობ, — მიუგო მოხუცმა, — თქვენი მოყვრების  
ამფსონი ჩუნ-ჩუმად დაიწვრება ციხე-ღარბაზში. მერე ქურდულად გაიპარება  
ხოლმე. ხანდახან დილიდან საღამომდე პარკის დასაგლეჯით მოგდებულ სათ-  
ვალთვალთ კოშკთან იმალება.

— ვინ გიოხრა?

— მე თვითონ რამდენჯერმე საკუთარი თვალით ვნახე.

— მალულად მოდის კოშკში?

— მალულად, კოშკში!

— როდის?

— ხშირად!

— ჩემი მოყვრების დოსტი?

— დიან, ვარშავაში მყავს ნანახი იმათთან.

— რა ჰქვია, თუ იცი?

— როგორც მოგეხსენებათ, ვარშავაში ერთხელ ვარ ჩამყოფი, ისიც ღრიად  
მნაშენელოვან საქმეზე; მაშინ არც დავინტერესებულვარ, თქვენი მოყვრების  
მრავალრიცხოვან შეინახეთ ვის რა ერქვა, მაგრამ ერთი წუთითაც არ შეპარე-  
ბა ეჭვი, ის იმათთან ვნახე.

— როდის დაიარება კოშკში?

— ღამლამობით!

ბოლო სიტყვის გაგონებისას სტარშენსკი, ცოტა არ იყოს შეკრთა მაგრამ მერე, როცა ჩაფიქრდა, იმდენი მიზეზი მოუძებნა საიდუმლოებთა მოცულ სტუნირობას, შინ რომ დაბრუნდა, საკმაოდ დამშვიდებულად დასწრებულ იყო. ელგას კი ისე, სასხვათაშორისოდ ჰკითხა: დიდი ხანია მშენებლისა და მშენებლისა ფერი გსმენიაო?

— ბოლო დროს რომ მესტუმრნენ, მას შემდეგ არა ვიცი რა, — ჩვეულებრივ უპასუხა ქალმა.

გრაფმა მოხუც მოურავს უბრძანა, ეს ამბავი საიდუმლოდ შეენახა და სიტყვა არსად წამოსცდენოდა, ერთგულებისათვის შეძრული კაცო დაამოშონა, თვითონ კი გადაწყვიტა, რაც შეეძლება მალე გამოეკვლია საქმის ეათარება.

გაიარა რამდენიმე ხანმა; ერთხელ, ნასადილევს, გრაფი ცხენზე შეჯდა და ციხე-დარბაზიდან მოწორებულ მამულისკენ გასწია; ორიოდე დღე იქ უნდა დარჩენილიყო, კარგახელა მანძილი ჰქონდა გავლილი, როცა მოსალამოვდა; უცებ უკნიდან შემფოთებული და ხმამაღალი ძახილი შემოესმა და თავისი სახელი გაიგონა. შებრუნდა თუ არა, მაშინვე მოხუცი მოურავი იცნო, რომელიც დაღლილობისგან ქანცვაწყვეტილ ცხენს მოაგვლევბდა, ცდილობდა წინ მიმავალ მხედარს დასწეოდა, ახველებდა, სუნთქვა ეკვროდა, მაგრამ ყურბილითა და ხელების ქნევით ანიშნებდა, მომიცადეო. გრაფმა ცხენს სადავე მოზიდა და შეჯდა. აქ მოხებულ მოხუცი თავის სატანა მიუხლოვდა და ყურში რაღაც ჩასჩურჩულა, ის ვიღაც გამოუცხობი გადაშთიელი, ეინაც ეჭვი აღუძრა მოხუცს, კვლავ კოშკის მახლობლად დაეღანდა. გრაფმა მაშინვე შეაბრუნა ცხენი და შინისკენ გააქენა; მოურავი და მოსამსახურეები უკან მიჰყვნენ, მაგრამ ძლივს ეწეოდნენ. გრაფი და მოხუცი კოშკიდან კარგა მოშორებით ჩამოქვეითდნენ და ცხენები მოსამსახურეებს მიუგდეს, რომლებიც მათ დანიშნულ ადგილზე უნდა დალოდებოდნენ. ბარდებსა და ჯაგნარს გაღწიეს და იმ სათვალთვალ კოშკისკენ გასწიეს, სადაც დაუბატიკებელი სტუმარი ეგულებოდათ. ამასობაში ჩამობნელდა. მთვარე ჯერ არსად ჩანდა და ჰორიზონტზე თდნავდა კრთოდა შებინდების მაუწყებელი სინათლის ზოლი. უცებ სათვალთვალ კოშკის შორიანლოს, დაბურული ხეების ძირში შუქი შეამჩნიეს. ოვალის დახამხამებაში ტყის პირას გავიდნენ და იმ მოტიტვლებულ ბორცვს მიუახლოვდნენ, სადაც კოშკი იდგა, მაგრამ სათოფურებიდან არც შუქი ჰიატებდა და არც კაცი ჰაჭანებდა სადმე. ახალამოსულ მთვარის შუქზე მოხუცმა მიწაზე ახლად-ახალი ნაფეხური გაარჩია, ციხე-კოშკის კარიც ღია დახვდა, თუმცა შეიძლებოდა ნაკვალევი შეშლოდა კაცს, კარი კი რომ არ ჩაეკეტათ, სულ ადვილად დარაჯისათვის დაებრალებინათ.

გრაფმა შვევით ამოისუნთქა, თანმხლებთან ერთად ბორცვი ჩაათავა და ციხე-დარბაზისკენ აიღო გეზი. მშვიდად მთელემარე გარემოს მთვარე უხვად აფრქვევდა ვერცხლისფერ სხივებს და მათ წინ ასვეტილ მოკაშკაშე ციხე-კოშკს ზღაპრულ იერს აძლევდა. ფიქრებში წასულ სტარშენსკის ახლა უფრო მომაჯადოებლად წარმოუდგა ცოლის სახე, ვხემ იდესმე. მხოლოდ ამას მერე გამოუტყდა საკუთარ თავს, რომ მის გულში აღძრული ეჭვი ცოტათი ქალსაც ეხებოდა და მარტოოდენ იწუთას, როცა იგრძნო გონებაში გავლევებული იჭვნეულობის უმართებულობა და ქალწულობრივი სინასით

საწოლში რულმოკიდებულა ელგას გამომეტყველება თვალწინ წარმოესახა, ისეთი სიყვარულით განიმსჭვალა, არც პირველი შეხვედრისა და არც ქორწინების უამს რომ არ ეგემა.

ასეთნაირად ოცნებობდა, თან ნელინელ მიაბიჯებდა. უცებ მკლავზე ვიღაცა შეეხა. მბლებელი განათებული მინდვრისკენ იშვერდა თიფის დასახლებაში. სტარშენსკიმ იქით გაიხედა და კაცის ლანდი დაინახა, რომელიც მთვარის შუქს ერიდებოდა და ბნელში ქურღულად ციხე-კოშკისკენ ფესაკრეფით მიდიოდა. გრაფმა ველარ მოითმანა, ერთი მაგრაღ შებყვირა, ხმალი იშიშვლა და ლანდს მიჰყვა. უცხოთა სურათი დაფრთხა და ტყეში გაუჩინარდა. გრაფს სურდა დასდევნებოდა, მაგრამ ახლა მეორე მოჩვენების ნომკრა თვალი, რომელიც კოშკის კედელს აჰკვროდა და იაე მიიბარებოდა. მალე დაეწივნენ. მდევრებს გრაფის მეუღლის მოახლე, წიშისაგან აცახცახებულ-აგინკალებული დორტკა შერჩათ ზღწი; პირველ შეკითხვასე — აქ რას იქმო, დორტკამ არეულად მობოდიშების მათგანსი რალაც წაიბურტყუნა, მეორეზე კი — აქ საიდან გაბნდიო, მის მაგივრად პასუხი ვასცა დიად ღარჩენილმა ტაშკარმა, საგანგებოდ რომ იკეტებოდა ყოველთვის და სტარშენსკის ბრძანებით იდებოდა მხოლოდ, რადგან გასაღებს თვითონ გრაფი იწახავდა ხოლმე საგულდაგულოდ.

სტარშენსკიმ ყოველი დონე იბმარა, მაგრამ მოსამსახურე გოგოს ვერაფერი წამოაცდენინა. მაშინ ვაცოფებულმა გრაფმა მოახლეს ზელი სტაცა და სანამ მუღულს საბანებლამდე წიბყვანდა, საიდუმლო გასასვლელებში აუღლ კანწისკვრით ატარა. თათხნი სინათლე ენთო და კარიც ჯერ არ დაეკეტით. ელგას არათუ ებინა, საზეიმოდ განთწყობილიყო. გრაფს სიბრაზისაგან ენა ებმოდა; იგი მოუწყა ცოლს, რაც იმ საღამოს თავს გადახდა და მკაცრად მოითხოვა, ან ამ გომბიომ გულაუერი აღიაროს, ან არადა, ახლავე სამსახურიდან დავითხოვ და მანადანაც გავეგდებო. დორტკა კანკალმა აიტახა და პატაების წიშნად ატირებელი მუხლებზე დაეცა.

სტარშენსკიმ იფიქრა, მეუღლე შეცბუნდებოდა ან მია სამართლიან აღშფოთებას გაიზიარებდა. მაგრამ არც ერთი მოხდა და არც მეორე. ქალმა თავიდანვე გულგრილიად სახლავა, ხმამალალი ლანდილა-გინებით ოჯახის მყუდროებას ნუ დაარდევო. მაგრამ, რახან გრაფი თავისას არ იშლიდა და მხეველის ვაგდებას მოითხოვდა, მაშინ ვაცეცხლებულმა ელგამიც ხმას აუწია: ჩემი პირადი საქმეა, წინამოსამსახურეება როგორ მოვებყრობი, მე თვითონ ვანვსჯი და ვადავწყვეტ მოახლის დათხოვნასო. მოთმინებიდან გამოსულმა გრაფმა დაჩოქილი გოგო ზეზე წამოაყენა და თათხიდან ვაბანლურება დაუბარა, მაგრამ ამ დროს ელგა წამოვარდა, გოგოს ზელი სტაცა, თავისკენ მოქაჩა და თან საშინლად შეჰვივლა:

— მაშინ მეც ვამაძევე შინიდან, ხომ დიდი ხანია ეგა გწადია! უწინ ასეთი რომ არ იყავი! რა უიღბლო ვყოფილვარ! — ქვითინით განავრძობდა ელგა, — ამდენი წყენა, ესოდენი შეურაცხყოფა როგორ ავიტანო! ჩემი გულისთვის უღანაშაულო მოსამსახურეები რად უნდა იტანჯებოდნენ!

ესა თქვა და თითი თავისი მოსასვენებელი ოთახის კარისკენ გაიშვირა; მოახლე უთქმელადაც მიხვდა ქალბატონის ბრძანებას და უცბად გაუჩინარდა. ელგამაც დრო იზელთა, მას მიჰყვა და ოთახში შესვლისთანავე კარი ჩაკეტა.

სტარშენსკი ერთხანს ვაოვნებული იდგა. ბოლოს გონს მოეგო. ძალ-ღონე

მოიკრება და ცოლის ოთახიდან გავიდა; რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, მაგრამ განცვიფრებისაგან ისე იყო გამოყევყვებული, კვლავ შედგა. მოხუცი მოურავი მიუახლოვდა და რაღაც უთხრა; გრაფმა ხმაამოუღებლად ეგვიფიფიფიფი მოხუცს, კარი გამოაღო, დერეფანი გაიარა და თავისი მოსასვენებელი ოთახისკენ გასწია, რომელიც ციხე-კოშკის მოპირდაპირედ მდებარეობდა. ზღურბლს რომ მიადგა, შებრუნდა, მოურავს ხელით ანიშნა, გაცილებდა არ მესაჭიროებიაო, და კარი მიიხურა. აბა, ვინ უწყის, როგორ გაატარა ის ღამე? დილით მასთან შესულ მოსამსახურეს ჩაცმული გრაფი სავარძელში დახვდა. ჯერ იფიქრა, სძინავსო, მაგრამ როცა მიუახლოვდა, დაინახა, გრაფს ფართოდ გახეილი უსიციოცხლო თვალები უსასრულობისთვის მიეპყრო, სანამ გრაფი არ შეინძრა, მსახური რამდენჯერმე შეეხმანა. შემდეგ მეუღლის დანაბარები მოახსენა, გახოვთ, ჩემს ოთახში ერთად ვისაუზნოთო. სტარშენსკი ჯერ გაკვირვებული შეაცქერდა, მერე კი ადგა და უსიტყვოდ გაჰყვა მოჯამაგირეს.

მზიარული და გამშფენიერებული ელგა ისე შეეგება მეუღლეს, თითქოს არაფერი მომხდარაო; წუხანდელი ამბავი ხუმრობანარევი ღიმილით გაიხსენა. ელგამ წმარა მოახლია ფარული სოცვარული გაუმელაგნა, შემდეგ დორტყას უხმეს და მისგან საკმაოდ მაკიბულ-მოკიბული ამბავი მოისმინეს, რომელსაც ენისბორძიკით ყვებოდა. დასასრულ, მხევალმა პატრება ითხოვა, გრაფის მეუღლესაც გაათვალისწინა მისი ადრეული კარგი ქცევა და სულგრძელად თავისი და ქმრის სახელით მიუტევა დანაშაული. გრაფმა ცოლთან თანხმობა თავის დაქნევით გამოხატა და გოგოც კვლავინდებურად შინ დარჩა.

სტარშენსკიმ ხმის ამოუღებლივ წაისაუზმა და კაშკიდან ჟმძრახოდ გავიდა. გზაზე მოხუცი მოურავი შეეგება და უჩუმრად აედევნა; დუმილის დარღვევა ვერ გაბედა, მაგრამ ბატონის დაღვრემილ-დაძმარებულ სახეზე უთქმელ კითხვებსა და ეჭვებსე პასუხს ეძებდა. როგორც ყოველთვის, ახლაც ჩვეულებრივ ისე მოაბიჯებდნენ და საქმიანობდნენ. გრაფი არა მარტო ცდილობდა გუშინდელ ფათერაკზე არ ეფიქრა, არამედ საერთოდ არაფერზე ფიქრობდა. თუკი დაღვევებული სორაქლემა ბუზქებში ჩაყავს თავს და ასე ჰგონია, საფრთხის არდაინახვა მის იქ არჯოფნასაც ნიშნავს. ხშირად ასეთნაირად იქცევა ადამიანიც. თავსდამტყდარ უბედურებაზე იგი შეუცნობლად ხუჭავს თვალს, რადგანაც იმდენი ხვაშიადი აქვს ჩამარხული გულში, რომ განზრახ თავის თავსაც არ უმჯლავნებს.

რამდენიმე დღის შემდეგ სტარშენსკიმ მეუღლის ოთახში მოიხურვა შესვლა. მოახსენეს, ქალბატონი ბანაობსო; მეორე ოთახიდან ბავშვის წკრიალა ხმა შემოესმა და იქითგენ გაემართა. პაწიას იქაურობა აერ-დაერია, იატაკზე მოკალათებულიყო, ელგას ძვირფასეულობა და სამკაულები თავის სახუკვარ სათამაშოებად გადაექცია, ნოხი გადაებრუნებინა, დედის პატარა სატუალეტო მაგიდიდან ზარდახში დაეთრია, გაეხსნა და ყველაფერი სულ ერთიანად მიმოეფანტა. სტარშენსკი უწყინრად ბუზღუნებდა, ბავშვს ხელიდან სათითაოდ ართმევდა „ნაქარცეს“ და პატროსანი თვლებს მიჩენილ ადგილზე დადებს აპირებდა. ეტყობა, ზარდახშის მაგიდიდან ძირს გადმოვარდნისას ორფერდა საიდუმლო სახურავი მოყანყალდა და, როცა გრაფმა მისი კვლავ ჩასმა მოინდომა, ზარჩოში ნაინანატრად ჩასმული სურათი გამოცურდა და იატაკზე დავარდა, რომელაც სტარშენსკიმ აკანკალებული ხელით აიღო.

ეს იყო პოლონურ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი მამაკაცის სუ-

რატი. „რა საოცარი მსგავსებაა“, ელდანაკრავივით გაიფიქრა გრაფმა. ბუნების მიერ ნაბოძებ თავის ბავშვზე ხშირად რომ იტყოდა ხოლმე, ამასაც ისეთივე შავი თვალები და ქერა თმა ჰქონდა. მან ჯერ გოგონა შეათვალიერა, მერე კვლავ სურათს დახედა. ეს სახე სადღაც ენახა; მაგრამ სად? რუგუცაა გვერდში აიტანა. იგი ერთხელ კიდევ დააკვირდა ბავშვს. პაწია გველის ტყუპის მსგავსებით შესცქეროდა მას, ქერა კულულები კი ცეცხლია ალივით ეკლავებოდა თავზე, რამაც ვარშავაში ყოფნის თავზარდამცემი მოგონება ცოლგურთიგან უკუგდებულ ნათესავზე უეცრად ამოუტივტივა გონებაში.

— ოგინსკი! — კბილების ღრჭენით წამოიყვირა გრაფმა და სიმწრით მაგიდას წაავლო ხელი.

მეორე ოთახში გაღებულმა ჩქამმა ოღნავ გამოაფხიზლა. ზარდახშას სახურავი მოარგო, დაკეტა, სურათი უბეში ჩაიღო და მკვლელივით გაიქცა.

იმ დღით ციხე-კოშკში გრაფი აღარავის უნახავს. სადილობისას მისი ადგილი მაგიდასთან ცარიელი იყო. საღამო ჟამს სტარშენსკა ბიძის ოთახში შევიდა და ბავშვი გამოართვა. პატარას ხელი ჩაჰკიდა, ბაღში გაატარ-გამოატარა, მერე კი ეუღლად მდგომ ხავსმოდებულ ქონისკენ წაიყვანა. მათ საძებნელად გამოსულმა მოურავმა დაინახა, მერხთან რომ იყვნენ, გრაფს ბავშვი მუხლებშია ჩაეყენებინა, ხელში სურათი ეჭირა და ხან მას ჩააცქერდებოდა, ხან კიდევ პაწიაზე გადაიტანდა მზერას; ალბათ ერთმანეთს აღარებნათ, გაიფიქრა მოხუცმა.

მეორე დღეს სტარშენსკი უთენია გაემგზავრა, მაგრამ არავისთვის დაუბარებია, სად მიდიოდა. ვარშავაში კი ამოუყვია თავი, რათა ძარყვავიანად შეეტყო (ძალზე გვიან) ელვას წარსული. გამოარკვია, რომ ელვას და ოგინსკის, რომელიც მოხუცი ქალიქისტავის კარზე იზრდებოდა, აღრევე ჰქვარებიათ ერთმანეთი, მაგრამ იმის შიშით, ნათესავთა ურთიერთობა უფრო მეტ სიახლოვეში არ გადაიზარდოსთ, მოკეთე სახლიდან დაუთხოვიათ: გადასახლებიდან დაბრუნებულმა ოგინსკიმ სტარშენსკის ქორწინებამდე რამდენიმე ხნით ადრე ქალიშვილთან ძველი კავშირი განაახლა და ის საკმაო თანხაც, რომელიც მოხუცმა ლაშეკმა ანდერძით თავისიანს დაუტოვა, ნაწილობრივ იმის საფასურიც იყო, რომ უარი თქვა ელვასთან ურთიერთობაზე. გარდა იმისა, რომ ქალიშვილი იძულებით დაშორდა ოგინსკის, გრაფთან წვეულების თანხმობაც ნათესავების ძალდატანებით იყო ნაკარნახევი, რაც ბირითადად მისი საღარიბოა და გრაფის სიმდიდრით იყო გამოწყვეული. ამ საიდუმლოების განდობაში ელვას ერთ-ერთმა ძმამ, რომლის მიმართაც სტარშენსკიმ გაჭირვების ჟამს დიდი გულუხვობა გამოიჩინა, სიძეს უუღლიც დასტყუა; მოყვარემ ჯერ დილა ჩამოართვა გრაფს, მერე კი ოგინსკის ადგილსამყარელიც მისწავლა.

ამასობაში ციხე-კოშკში მღვღვარებამ და წიშმა დაისადგურა. სხვებთან შედარებით ელვას დინჯად ეჭირა თავი. ქმრის ასეთნაირ გაუცხოებას ქალი იმლამინდელ ამბავს მიაწერდა, მაგრამ, რადგან ნამდვილი დანნაშავე არსად ჩანდა, ეტყობა, იმედოვნებდა, ბოლოს და ბოლოს გრაფიც დაწყნარდებათ. ქალბატონის პირისღარეში უწინდებურად დორტკა იყო.

გაიარა რამდენიმე ხანმა და მოულოდნელად გრაფი თავისი ადგილმამულის საზღვართან გამოჩნდა; უკან კარებდაგმანული კარეტა მოსდევდა და კაციშვილმა არ იცოდა, ვინ იქნა შიგ. იქიდან საბანში გახვეული კრიჭაშეკრული კაცი გადმოათრის, ვისთვისაც ჩვარი ჩაეჩართა პირში, და მოურავს გადასცეს,

რომელსაც წინასწარ გრადის ბარათი მიეღო და საბატონოს მიჯნაზე ელოდებოდა. გათოკილი კაცი პარკის დასავლეთ ნაწილში აშენებულ ძველ სათავალთვალო კოშკში საგულდაგულოდ ჩაკეტეს. მალე იქაურ მცხოვრებლებში ათაგვარი ჭორი გაურცვლდა.

გრადი ციხე-დარბაზში დაბრუნდა. ელგას ბავშვი ეჭირა ჭეღვინი ქაღალდი, ქმრისკენ გაექანა და გახარებული შეეგება. სტარშენსკიმ შთისმინა, როგორ წუხდნენ უცვარი გაუჩინარებით და როგორი გულის განკალით ელოდნენ მის გამოჩენას. შეუქმეს ბავშვის გონიერება და იქვე სახელდახელოდ აჩვენეს რა წარმატებასაც მიაღწია პაწიამ ამ დროის განსაველობაში. როცა ვახშმაბის დრომ მოაწია, სტარშენსკიმ დაღლილობა მოიმიზეზა და განაცხადა, შეუძლოდ ვართ. ბევრი ხვეწნა-მუდარის მიუხედავად, იმას ვანეროდა და თავის მოსასვენებელ ოთახში წაიკეტა. ნამგზავრობა საბაბი იყო, თორემ მოგვიანებით შინიდან გავიდა და სათვალთვალო კოშკისკენ გაემართა მარტოდმარტო, სადაც გარიყრაგამდე დარჩა კიდევ.

შეორე დღეს კოპებშეკრული ელგა სიბრაზით ცოფებსა ყრიდა. გრადის ღანგუღლი გასერიხება შეუძინეველი არ დარჩენია. ელგამ მიტოვებულობა იგრძნო და თავისი სამღურაეა და გულნაკლულობა გამოამყლაენა. როცა მუსაიფის გაბმა ღაბირა, სტარშენსკიმ მაშინვე ლაპარაკი შეაწყვეტინა და თავიანთ ცოლქმრულ ურთიერთობაზე ჩამოაგდო სიტყვა. ბოლო დროს ვარშავაში ყოფნისას გრადმა აბლებურად გადახედა სიმბიარულეს აყოლოლ ქალაქს და მისთვის ერთხელ კიდევ ნათელი გახდა, ისეთ მომხიბველ და სიცოცხლით აღსავსე არსებას, ელგა რომ იყო, სოფელში არ ეცხოვრებოდა. შემდეგ ჰკითხა:

— დედაქალაქში დაბრუნებას ხომ არ ისურვებდი?

— მე, ჩემი მხრივ, თანახმა ვარ! — მიუგო ცოლმა.

გრადმა შეუღლეს აუხსნა, საგუაროული ადგილსამყოფელს ვერ მივატოვებ. რადგან ბევრი რამ ჯერ კიდევ მოუგვარებელია, ხვენს ქონებას საფრთხე ემუქრება და ვალდებული ვარ კოშკში ვიცხოვრო. მაშინ ელგამ განუცხადა, მეც შენთან ვრჩები, რადგან გადაწყვეტილი მაქვს კუბოს კარამდე ერთად ვიყოთ. თრივე იმას გამეტებით წყველიდა, რომლებიც უსინდისოდ მოიქცნენ და გამომძალევლობით მისი გულკეთილი შეუღლე ასეთ გამოუვალ მდგომარეობაში ჩააგდეს და ამტყიცებდა, არავითარი გრანობა აღარ შემჩნა მათ შორით. სასახლის კართან ძმებმა მოწყალებაც რომ მთხოვან, ყურსაც არ ვაგებერტყავ და კარის გაღებასაც არ ვაღირსებო. ამ დროს გრადს ვარშავაში თავის მოყვრებთან უსაუბრია და მუარველობასაც შეჰპირებია. გაღასახლებაში მათთან ერთად ნამყოფი ამხანაგაც დასწრებიან...

— რა ერქვა? — ჰკითხა სტარშენსკიმ.

ელგამ მოგონება სცადა.

— ოგინსკი! — წამოიძახა გრადმა და უმაღ ცოლს შეაცქერდა.

ქალს სახეზე არაფერი დასტყობია, ისე თქვა:

— ჩემი ძმების არც ერთი ამხანაგი დმერთს არ უქნია, ის კი უველაზე უარესია!

— ვინ ის?

— ის, ვინც შენ აბსენე!

— მაინც ვინ?



— რა თქმა უნდა, ოგინსკი! — უბასუხა ელგამ და სახეზე მკვდრისფერმა გადაჰყრა.

გრაფი სარკველთან მივიდა და გარეთ გაიხედა. ელგამაც მას მოჰპოვა, მერე იდაყვით მხარზე დაეყრდნო ქმარს. კაცი არ შერბეულა.

— სტარშენსკი, — უთხრა მან, — გატყობ, ამ ბოლო დროს რა იცვალა, ესეც ვიცი, ზევრ რამეს მიწალავ და იველებურად აღარ ვიყვარვარ.

გრაფი ცოლსკენ შებრუნდა:

— რაეა საუბარი ესტრს, ბარემ მოვილაპარაკოთ. შენ ჩემი აწეწილი საგმეებიც იცი და მისი მიზეზიც კარგად მოგეხსენება, მაგრამ რაც მტანჯავს და მაწველებს, ერთადერთმა მე ვიცი მხოლოდ. თუ ეს გარემოება გულზე მძიმე ტვირთად მაწევს, არანაკლებ მადარდიანებს, ყველაფერში მე რომ ვარ დამნაშავე. რა თქმა უნდა, მამაბაბურ ავლადიდებას ასე ქარაფშუტულად რომ მოგვყარა, ყოველმხრივ გასაკიცხა ვარ; იქნებ მაწინ დავისაჯე ყოდეც, როცა ასეთი ჭიუტი და მარტოობა შეჩვეული კაცი საცოცხლით აღსავსე გოგონაზე დავეჭორწინდი, ვერ გავითვალაწინე მისი უღარღელობა, გრძობები და მისწრაფებანა, ვერ მოვზამ-მოვიფიქრე, ჩემი ცოლი რომ გახდებოდა, ესე თუ გავწირავდი. ცხოვრებისეული ერთდეროვნება მისთვის აუტანელი გახდებოდა.

— სტარშენსკი! — წამოაძაბა ელგამ და ქმარს ალერსიანი, მაგრამ აყვედრით აღსავსე თვალები მოაბყრა:

— ახლახან საზღვარგარეთ სამსახურა შემომთავაზეს, — განაგრძო სტარშენსკიმ, — იქნებ ყველაზე უკეთესი ყოფილიყო რამდენიმე ხნით. წესაძლოა დიდი ხნითაც. ნამეტყველებანა წინაპართა მიწა. გუშინ ჩემი განზრახვა ჯერხანად ბუნდოვნად მეჩვენებოდა, მაგრამ წუხელ იმ დასკვნამდე მივიღი, ეს ყველაზე სწორი გადაწყვეტილება იყო.

— წუხელ, — შეეპასუხა ელგა და უნდობლად შეხედა, — წუხელ გადაწყვიტე? სად? აღბათ სათვალთვალთ კომსკში, არა?

სტარშენსკი გაოცებული წამოხტა.

— მიგახედი? — განაგრძო ქალმა, — იქიდან მოგაქვს! ასეთი საშინელი აზრები? მოგზაურობა სურვილიც ხომ იქ დაგებადა? ლამაზმა იქ გეყოლება უსაულო! კორმა ჩემს ყურამდისაც მოადწია, საბანში გახვეული ვიცი სათვალთვალთ კომსკში რომ ჩამოგაყვანია. იქნებ სწორედ ის ბედნიერი მიჯნურია, ვისაც ყოველთამ ეალერსები, საყურთხეველთან აღქმული დიცი ვი გადაგავიწყდა? ესაა ზემა ცხოვრება? წამოდი, — მიუბრუნდა იქვე მდგომ ბავშვს, — წამოდი! ჩვენ ამას მძიმე ტვირთად ვაწვევართ. ოჯახურ სიტკბობას ცხოვრების სიამეში აჩჯობინა!

ესა თქვა და გასასვლელისკენ გავმართა. გრაფმა გესლიანად გადაიხარხარა, ისე სრამაღლა, რომ თავადვე შეეცა, მოეჩვენა, თითქოს თვითონ კი არა, ვიღაც სხვა იცინოდა. ელგა შემობრუნდა.

— ასეც ვიცოდი, — თქვა მან, — რომ ნეხუმრებოდი. მოდი, ნუ დამიძალავ სათვალთვალთ კომსკის საიდუმლოებას. ჩემი თვალთ მანდა ენახო, რაც იქ ხდება. მპარდება, რომ შემსრულებ?

გრაფი ტახტზე ჩამოჯდა და თვალებზე ზელები აიფარა. უკეზ კარის კრიალი შემოესმა. თითებშუა გაიხედა და ნეულლის მოაბლე დაინახა, რომელმაც ქალბატონს ღამის პერანგი შემოაუტანა; ელგამ ცბიურა ღამილით თავი დაუკრა.

და იმწამსვე უკან გაისტუმრა. მერე ტახტისკენ წავიდა; ქმარა გვერდით მიუჯდა და შესწუწუნა:

წილში, რომელიმე კახტაპრუწა კარისკაცის გამონაცვალ აბჯარ<sup>77</sup> დაპქრძან<sup>78</sup> პრობოლო,  
ჩაფსკენილი მამაკაცის დაბალი ხმით. ეს აჩრდილია, მეფე, მეფე და არამე-  
ფე<sup>77</sup>, მსახიობი კი — შექსპირია. მთელი სიცოცხლე „ჰამლეტს“ რომ სწავ-  
ლობდა, ამოდ არ გარჯილა, რათა მოჩვენება ეთამაშა<sup>78</sup>. იგი მიმართავს  
ბერბიჯა<sup>79</sup>, ახალგაზრდა მსახიობს, რომელსაც გასაბრძოლელი სუფარის იქე-  
დან ეძახის:

ჰამლეტ, მე ვარ სული მამიშენისა

უბრძანებს უსმინოს. შვილს ელაპარაკება, სულიერ შვილს, ყფლის-  
წულს, ყნაწვილ ჰამლეტს და ხორციელ შვილს, ჰამნეტ შექსპირს, რომ-  
მელიც სტრეტფორდში მოკვდა, რათა მის სუხნიას მარად ეცოცხლა<sup>80</sup>.

განა შესაძლებელია<sup>81</sup>, რომ მსახიობმა შექსპირმა, აჩრდილმა რადგან გა-  
ძევებულია, დანიის დაკრძალული მეფის სამოსელში გამოწყობილმა, აჩრდილ-  
მა რადგან მკვდარია, საკუთარი სატყვეებით რომ მიმართავს საკუთარი შვი-  
ლის სახელს (ჰამნეტ შექსპირს რომ ეცოცხლა, უფლისწული ჰამლეტის ტყუ-  
პისცალი იქნებოდა), განა შესაძლებელია, მე თქვენ გეკითხებით, ან დასაშ-  
ვები, რომ ამ წინამძღვრებიდან ლოგიკური დასკვნა არ გამოიტანა ან არ გან-  
ჭვრიტა<sup>82</sup>: შენ ხარ განძარცული შვილი: მე ვარ მოკლული მამა: დედამენი  
დამნაშავე დედოფალია, ენ შექსპირი, პეთუეებს ასული? <sup>83</sup>

— კი მაგრამ, დიდი ადამიანის ოჯახურ ცხოვრებაში ცბერის ჩაყოფა,  
გაღიზიანებული ხმით დაიწყო რასელმა.

<sup>75</sup> დრამატურგმა ბენ ჯონსონმა უწოდა შექსპირს „ეივონის გედი“ ლეგში, რომელიც  
შექსპირის თამაშებთან პირველ სრულ კრებულში დაიბეჭდა 1623 წ.

<sup>76</sup> „ადგილის კომპოზიცია“ იგნაციუს ლოიოლას ტერმინია და გულახტობს ფიქრს, გას-  
ჯას საგნის ფიზიკური შესატყვისის წარმოდგენას (მაგალითად, ჯოჯობებზე გაფიქრება პირ-  
ველ რიგში ფიზიკური ტანჯვა-წამების ასოციაციას იწვევს).

<sup>77</sup> „მეფე და არამეფე“ — ბოქონტისა და ელენერის ტრაგიკომედია, რომელიც შექს-  
პირის სიცოცხლეში დაიდგა (ამ ნაწარმოების ქართულ თემატიკასთან დაკავშირებით იხ.  
ნ. თარღოვასიას წერილი კრებულში „ქართული შექსპირიანა“, ტ. 5, 1978).

<sup>78</sup> გადმოცემის თანახმად, შექსპირი ჰამლეტის მამას აჩრდილის როლს თამაშობდა.

<sup>79</sup> რიჩარდ ბერბიჯი (დაახ. 1567—1619) ჰამლეტის პირველ შემსრულებლად ითვლება.  
მინიმუმებულა აგრეთვე აჩრდილისადმი მიმართული ჰამლეტის სიტყვები: „მითხარი, მაგ  
შენმა წმიდა ძვლებმა რითვის დახიეს მათ სუფარს (1,4).

<sup>80</sup> შექსპირის შვილი ჰამნეტი 1596 წელს გარდაიცვალა 11 წლის ასაკში. ვარაუდობენ,  
რომ ამ ბიოგრაფიულმა მომენტმა გარკვეული როლი ითამაშა „ჰამლეტის“ შექმნაში.

<sup>81</sup> ეს აბჯეცა „ულისეს“ თორნეტი მთარგმნელიდან ექვს სტაფენის პირდაპირ მეტყვე-  
ლებად მიუზხვედა და შესატყვისად ტარეთი დაუწყია იგი. მე დანარჩენი ექვსი მთარგმნე-  
ლის პოზიცია გავიზიარე, რადგან (და ეს არის მთავარი) „ულისეს“ არც ერთი ინგლისური  
გამოცემა და თვით ბელნიწერიც ტირეს არ შეიცავს.

<sup>82</sup> ამ უჩვეულო ფრაზეოლოგიის აზრი შემდეგია: ლოგიკური დასკვნა არ გამოიტანა  
მსახიობმა შექსპირმა, რომელიც, გადმოცემის თანახმად, შემამულე უფსას შტრისნიებას  
გაქონდა სტრეტფორდთან (გამოქცეული თუ გაძევებული კაცი აჩრდილია საკუთარი თა-  
ვისა) და ბერსონაემა აჩრდილმა, რომელიც აჩრდილია იმის გამო, რომ გარდაცვლილი ადა-  
მიანის მოჩვენებაა.

<sup>83</sup> ენ ჰეოუვი (დაახ. 1555—1623) — შექსპირის ცოლი, რომელიც მასზე რვა წლით  
უფროსი იყო.



აჰ, მეგობარო, მანდ ყოფილხარ? <sup>84</sup>

— ძარტო ეკლესიის გადამწერი თუ დაინტერესდება. იმის თქმა მსურს, რომ ჩვენ მისი პიესები გვაქვს. იმის თქმა მსურს, რომ როცა „მეფე ლირის“ პოეზიას გეზიარებით, რაში გვეკითხება, თუ როგორ ცხოვრობენ ულტო. ცხოვრებას რაც შეეხება, დე, ჩვენნა მსახურებმა აკეთონ რეპრეზენტაცი-რადო, თქვა ვილიერ დე ლილიმა <sup>85</sup>. თვალთვალი და კულისების ყოველდღიურ ქორწინ ცხვირის ჩაყოფა, პოეტის ლოთობა, პოეტის ვალები, ჩვენ „მეფე ლირი“ გვაქვს ხელთ: და იგი უკვდავია.

ბატონი ბესტია სახე, რომელსაც მიმართეა, დაუთანხმა.

ზედ გადაეღო შენი ზვირთებით და შენი წყლებით, მანანაან, მანანაან მაკლიო... <sup>86</sup>

როგორ, ვეფო, და ის გირვანქა რომ გასესხა, როცა გშიოდა?

ღმერთმანი, მჭირდებოდა.

ინებე ეს ხობლი <sup>87</sup>.

კაი ერთი! აულ მღვდლის ქალიშვალის, ჯორჯინა ჯონათნის საწოლში გაფლანგე, სინდისის ქენჯნა.

ვალის დაბრუნებას თუ აპირებ?

ო, რა თქმა უნდა.

როდია? ახლა?

ჰმ... არა.

მაშ როდის?

არავისი მშართებს. არავისი მშართებს <sup>88</sup>.

დამშვიდდი. მდინარე ბოინის იქიდან არის. ყველაზე ჩრდილოეთი ადგილიდან. შენ გმართებს <sup>89</sup>.

მოიცა. ხუთი თვე. ყველა ნოლეკულა შეიცვალა. მე ახლა სხვა მე ვარ. მეორე მე მშილო გირვანქა.

იქნება მართლა! <sup>90</sup>

მაგრამ მე, ენტელექტია, ფორმის ფორმა, ნე ვარ მე შეხსიერებით, რამეთუ მარადცვალებადი ფორმით ვარსებობ <sup>91</sup>.

მე, რომელმაც შევცოდე და ვალოცე და ვინარხულე.

ბავშვი, კონშიმ რომ როზგებს გადარჩინა <sup>92</sup>.

<sup>84</sup> ანტილიაადში მიმართული პამლეტის სიტყვები (1, 5).

<sup>85</sup> ელიამ-ავგუსტ დე ვილიერ დე ლილი-ადამი (1838—89) — ფრანგი პოეტი და დრამატურგი, სიმბოლიკების უშუალო წინამორბედი.

<sup>86</sup> ჯორჯ რასელი ერთ-ერთი პიესის პერსონაჟის რეპლიკა (ნელოდეა). მანანაან მაკლიოა ზღვის ძველი არღანდული დეოთება.

<sup>87</sup> ხობლი — ძველი ინგლისური ოქროს მონეტა (უღირდა 6 შილინგსა და 6 პენსი).

<sup>88</sup> ბატონი ღიზის სიტყვები მეორე ეპიზოდშიდან („ნესტორი“).

<sup>89</sup> ჯორჯ რასელი (რონლის მოგაღწე ანა სტივენი) ილსტრირს დაიბედა, რომელიც ირლანდიის პროტესტანტულ, პრო-ინგლისურ ჟურნალს წარმოადგენს. ბოინიანთა არღანდულები დაშორდნენ 1690 წ., რას შედეგადაც განმტკიცდა იანგლისელთა ბატონობა. „ბოინის მდინარე“ — ირლანდიური სიმღერა, რომელშიც მოახრობილია ბრძოლია შესახებ ბოინიანთა.

<sup>90</sup> როცა პოლონიუსი ატყობინებს პამლეტს მსახიობებია მოსვლა, პამლეტი წამოიძაბება: „იქნება მართლა!“ (2, 2).

<sup>91</sup> არიატოტელეს ცნებებია, ენტელექტია — ია, რაც პოტენციურად რეალიზაციას ახდებს.

<sup>92</sup> არი უკანასკნელი ფრაზა ჯონანა გადმოიტახა თავისი ადრეული რომანებიდან „ხელოვანის პორტრეტი ახალგაზრდობაში“.



მე, მე, და მე. ნე<sup>93</sup>.  
A.E.I.O.U.<sup>94</sup>.

— ან იქნებ არავითარ ანგარიშს არ უწევთ სამასწლოვან ტრადიციას? იკითხა ჯონ ეგლინტონის გესლიანმა ხნამ. იმ ქალის აჩრდილურობის სოდეს არ წამოიხდგარა. აგი გარდაიცვალა, ლიტერატურისათვის მისი მემკვიდრეობა და, სანამ დაიბადებოდა.

— იგი გარდაიცვალა, სიტყვა მოუჭრა სტივენმა, დაბადებიდან სამოცდაშვიდი წლის შემდეგ. იგი დახვდა ქმარს ამქვეყნად და გააცილა იგი აქედან<sup>95</sup>. მან მიიღო მისი პირველი ალერსი. მან მუცლით ატარა მისა შვილები და თვალეზზე ძონეტები დაუწყო, რომ მომავლადეს თვალეზი ვახელიდა არ დარჩენოდა.

მომავლადევი დედა, სანთელი. ზეწარჩამოფარებულს სარკე. ის, ვინც ამქვეყნად მომადგინა, სასიკვდილო სარეცელზე წევს, სპილენძქუთუთობიანი, ცოტაოდენი იატყვასიანი ყვავილებით შეწყვლილი. *Liliata rutilantium*<sup>96</sup>.

მარტო ვტიროდი.

ჯონ ეგლინტონმა თავისი ნათურის ციციანათელას დახედა<sup>97</sup>.

— მსოფლიოს სწამს, რომ შექსპირმა შეცდომა დაუშვა, თქვა მან, და ეცადა რაც შეიძლება სწრაფი და უკეთესი გამოსავალი მოეძებნა.

— სისულელეა! უკმეხად თქვა სტივენმა. გენიოსი შეცდომებს არ უშვებს. მისი ცდომილებანი წინაწარაა განზრახული და აღმოჩენის კარიბჭეს წარმოადგენენ.

აღმოჩენის კარიბჭე განიხვნა და შემოვიდა კვაკერი ბიბლიოთეკარი, ფრთხილფეხჭრაჭუნა, მელოტი, დიდყურა და ბეჯითი.

— ჭირვეული ცოლი, ძკაცრი ხმით თქვა ჯონ ეგლინტონმა, მაინცდამაინც, კაცმა რომ თქვაა, სასარგებლო აღმოჩენის კარიბჭე ვერ იქნება. რა სასარგებლო აღმოჩენას უნდა უმადლოდეს სოკრატე ქსანთიბეა?<sup>98</sup>

— დიალექტიკას. უბასუხა სტივენმა: დედამისს კი იმას, თუ როგორ უნდა დაიბადოს ამქვეყნად აჩრები<sup>99</sup>. თუ რას უნდა უნადლოდეს იგი მეორე ცოლს მირტოს<sup>100</sup> (*absit nomen!*)<sup>101</sup> სოკრატედიდიონის ეპიფსიქიდი-

<sup>93</sup> იგულისხმება „ნე“-ს უწვევებულობა („მარადცვალებადი ფორმით ვარსებობა“) და „მე“-ს წვევებულობა („ამდ ახლა სხვა მე ვარ“).

<sup>94</sup> დედანში ეს აბრევიატურა შემდეგნაირად იშვილება: „ა. ე. მე თქვენი მმაროებს“. ამავე დროს, ეს „სადერთი რამის იმპროვის იმპროვატორის ფონდური შეაქადა (1415—93) დროინდელი მოწიბის დეკორაც იყო.

<sup>95</sup> შექსპირის ცოლი ეს პეტრეა ქმარზე უფროსი იყო და მანვე გვიან გარდაიცვალა.

<sup>96</sup> დედის ავთიის ასოციაცია სტივენის შინაგან მოთლოვში (იხ. პირველი ეპიზოდი — ატელემაქე“).

<sup>97</sup> ადრე მახსენები ტონას მურის ლექსის რემიხისცენცია (მეორე ეპიზოდი — „დუნტორი-გონები“).

<sup>98</sup> მიუხედავად ამისა, რომ თითქმის არაფერია ცნობილი სოკრატეს ცოლის ქსანთიბეს შესახებ, იგი მაინც ჭირვეული ცოლის ერთგვარ სიმბოლოდ იქნა გამოიყენის თანახმად, სოკრატეს თითქოს ლიტვამა — თუ ჩვენს ცოლს გავუძელო, ყველას გავუძელებო.

<sup>99</sup> სოკრატეა დედა ბებიაქალი იყო.

<sup>100</sup> ზოგიერთი წყაროს მიხედვით მირტო სოკრატეს პირველი ცოლი იყო.

<sup>101</sup> „ადრე სე იქნება დასახელებული“ (ლათ.).

ონს<sup>102</sup>, არა კაცს და არც დედაკაცს არასოდეს არ ეცოდინება. მაგრამ ვერც ბეზიაქალის სიბრძნემ და ვერც ანჩხლი ცოლის ქადაგებამ ვერ გადაარჩინეს შინ ფეინის არქონტებისაგან და მათი საწამლავისაგან<sup>103</sup>.

კი მაგრამ, ვნ პეტუეი? დაბნეულად ჩაილაპარაკა ბატონი ბესტიკუსი<sup>104</sup> ხმამ. დიახ, ჩვენ ვგონებ ისევე ვიფიწყებთ მას, როგორც თვეთუღე მთქსეცეცა დაივიწყა<sup>104</sup>.

ნისმა მზერამ გადაინაცვლა მეოცნების წვერიდან კრიტიკანის თავის ქალაზე, რათა შეეხსენებინა, თდნავ დაეტუქსა ისინი, და მერე ლოლარდის<sup>105</sup> ვარდისფრად მოტკლელი გოგრაზე, ჟდანაშაულოზე, თუნცკა გესლით გამოტენილზე.

— მას გროშის ფასი ჭკუა ჰქონდა<sup>106</sup>, თქვა სტივენმა, და ცოცხალი მეზსიერება. სამახსოვრო ჩანთით მიჰქონდა<sup>107</sup>, როცა დაღლილი ლონდონისაკენ მიითრევედა ფეხს და თან უსტვენდა „იქ რომ გოგონა დავტოვე“<sup>108</sup>. მიწისძვრა რომ არ ათარიღებდეს, მაინც გვეცოდინებოდა, სად ჩაგვესვა საბრალო კურდღელი, თავის საფარში მჯდარი, მწვერების წკავ-წკავი, მოჭედული ლავაში და ქალის ცისფერი სარკმლები<sup>109</sup>. ეს სამახსოვრო, „ვენერა და ადონისი“, ყველა ლონდონელი როსკიპის საწოლ ოთახში იდო<sup>110</sup>. ვითომ ჭირვეული კატარინა შეუხედავი იყო? შორტენშიო მას ახალგაზრდასა და ლამაზს უწოდებს. თქვენი აზრით „ანტონიუს და კლიოპატრას“ დამწერა, მგზნებარე ყარიბს<sup>111</sup>, თვალები არა ჰქონდა, რომ მაინცდამაინც მთელ თორიკ-შარში უმახინჯესი ეახბა არ მოეწვინა გვერდში? კეთილი: ვთქვათ, შიატოვა და მამაკაცთა სამყარო დაიპყრო<sup>112</sup>. მაგრამ მასა პიესების ბიჭა-ქალები ბიჭის ქალები არიან<sup>113</sup>. მათი ცხოვრება, ფიქრები, მეტყველება მამაკაცებისაგანაა ნასესხები. შეცდომით აირჩია? მე კი მგონია ის აირჩიეს. უილი თუ გახდა სხვების სურვილი, არ უშველიდა „პე“ თუ „ვი“<sup>114</sup>. დალახვროს ეშმაკმა, მაინც ქალის ბრალი იყო: იმან მოჩანგლა, ლამაზმა და ოცდაექვსი წლისამ. პროლათვალეზა ქალღმერთი, რომელიც ყმაწვილ ადონისისკენ წაზრილა, ჭედს

<sup>102</sup> „ეპიფანიკიდიონი“ — შელის ლექსი მიძღვნილი იმილია ვივიანიადმი. ეპიფანიკიდიონა ნიშნავს „სული სკლთან“.  
<sup>103</sup> შინ ფეინი — არლანდის ნაციონალისტური ორგანიზაცია; არქონტები — ათენის მმართველები, რომელთაც სოკრატეს მოწამვლით სიკვდილი მიუსაჯეს.  
<sup>104</sup> შექსპირი: სტრეტფორდიდან ლონდონს გადასახლებას ზოგიერთი მკვლევარი ცოლი-სადამ მის გულგრალ დამოკიდებულებას მიაწერდა.  
<sup>105</sup> ლოლარდი — ანუ ჯონ უიკლიფის მიძღვევარი, სექტანტი (კვაყარი).  
<sup>106</sup> კვლავ რობერტ გრინას შექსპირისადნეი კრიტიკული დამოკიდებულების გამოძახილი.  
<sup>107</sup> შექსპირის „ტროილუსისა და კრესიდას“ ფრაზეოლოგია.  
<sup>108</sup> არლანდიური ბალადა, რომელსაც ბევრი ვარიანტი გააჩნია.  
<sup>109</sup> ნინიშნებულა შექსპირის პიესა „ვენერა და ადონისი“, სადაც მოხსენიებულია მიწისძვრა, აღწერილია ნადირობა და ქალის თვალები ცისფერ სარკმლებთანაა შედარებული.  
<sup>110</sup> გეორგ ბრანდესის მონოგრაფიიდან ერთ-ერთი ადგილის პერიფრაზა.  
<sup>111</sup> „მგზნებარე ყარიბი“ — 1599 წ. გამოქვეყნებული ლექსების კრებული, რომელსაც შექსპირის სახელი აწერია; მაგრამ, როგორც დადასტურდა, ყველა იქ მოთავსებული ლექსი მას არ ეკუთვნის.  
<sup>112</sup> ბრაუნინგის ლექსებიდან: „შეხვედრა საღამოს“, „განწორება დილით“ (1845).  
<sup>113</sup> იგულისხმება, რომ შექსპირის დროინდელ თეატრში ქალია როლის ბიჭი ასრულებდა.  
<sup>114</sup> დედანში სიტყვის თამაში აგებულია სიტყვებზე „უილი“ (უილიამი) და „უილ“ (სურვილი), „პეტუეა“ (შექსპირის ცოლის გვარი) და „პედ ე უი“ (იგზას ეწია“).

იხრის, რათა გაიმარჯვოს <sup>115</sup>, წინასწარი კარგად დაიწყოს და წინასწარმა უნდა შობოს დიადი საქმე <sup>116</sup>, ეს თავხედი სტრუქტურული დედაკაცია ბურის ყანაში მასზე ახალგაზრდა საყვარელი რომ წაუწყენია <sup>117</sup>.



ჩემი ჯერილა? როდის?

მოდის

— ჭვავის ყანაში, თქვა ბატონმა ბესტმა გაბრწყინებული, მხიარული სახით, თან თავისი ახალი ბლთკნოტი ზემოთ ასწია, მხიარულად, გაბრწყინებულია.

შემდეგ ქერა ღამილით, ყველას საამებლად წაიღულღულა:

ყანის გადიღმა, ჭვავის საყვარში,  
ერთხაყად ჩაეყრა მიჯნური ქალ-ვაჟი <sup>118</sup>.

პარისი: ნაამები მამებელი <sup>119</sup>.

ნაღალი ფეგურა აბურძგნილ წინაქსოვ კოსტუმში წამოდგა ჩრდილიდან და კოლპერატივის საათი ამოიძრო <sup>120</sup>.

— ვშაშობ, კარმიდამოში უნდა ვიყო.

საითკენ? დასამუშავებელი მიწა.

— მიბრძანდებით, იკითხეს ჯონ ეგლინტონის მოძრავმა წარბებმა. მურთან <sup>121</sup> თუ გნახავთ ამ საღამოს? ბლისკი მოდის.

— ბლისკი! წამოიძახა ბატონმა ბესტმა. ბლისკი დაბრუნდა?

ერთსა კაცსა ბლისკინელსა ბლის კალათით ბლის ხიდზედა ბალი გააქვს და გამოაქვს.

— არ ვიცი შევალე თუ არა, ზუთშაბათია. კრება ვვაქვს. დროზე თუ დავალწიე თავი.

ლაქლაქი და ლაშლაში დოსონის აპარტამენტებში <sup>122</sup>, რ ი დ ე ა ბ დ ი ლ ი ის ი დ ა <sup>123</sup>. მათი წიგნთა წიგნი, ჩვენ რომ დაგირავება გვინდოდა. ქოლგის ქვეშ მუხლმორთხმული ახტევი ლოგოსი ასტრალურ დონეებზე ფუნქციონირებს <sup>124</sup>. მათი სულთა-სული, მაჰამაჰატმა. მართლმორწმუნე პერმეტიკოსები ნათელს ეღიან, საჩელაოდ <sup>125</sup> გამზადებულნი, მის ირგვლივ გარშემორტყმულ-

115 „ქელს იხრის, რათა გაიმარჯვოს“ — ოლივერ გოლდამითის (1728—1774) კომედია.  
116 „წინასწარი კარგად დაიწყოს...“ — ციტატა „მაკბეტიდან“ (1,3).  
117 ამ პასაჟში ჯონის პირდაპირ იყენებს გამოთქმება შექპიარის „ვენერა და ადონისიდან“.  
118 „როგორც ვეწებოთ“ (5, 3, თარგ. ნ. საყვარელიძის).  
119 პარისმა „ამა“ აფროდიტეა იმით, რომ პარველობა ნიანიჭა სილამაჩეში, ხოლო აფროდიტეშ თავის მხრივ „ამა“ პარისს იმით, რომ ელენე უბოძა.  
120 ირლანდიური კოლპერატივის წვერი რასელი განსაკუთრებული პუნქტიულობით იყო ცნობილი, ხოლო დუბლინელები მუდამ არაბუნებრივობით გამოირჩეოდნენ.  
121 ჯორჯ მურა (1852—1933) — ირლანდიელი რომანისტი, პოეტი და დრამატურგი.  
122 პერმეტიკული საზოგადოება იკრიბებოდა ზუთშაბათობათ დოსონის ქუჩაზე (დუბლინი).  
123 მაღამ ბლავატსკიას ცნობილი წიგნი.  
124 ბლავატსკიას მიხედვით, ახტევი ლოგოსი „ენივერსალურა ქემპარიტებია საფურველია“.  
125 ჩელა — უსოტერულ ბუდიზმში ახალზედა, რომელიც მისტიკურის წვდომის პროცესში იმყოფება.

ხი. ლუის ჰ. ვიქტორი. ტ. კოლფილდ ირუინი<sup>126</sup>. ლოტოსის ასულნი თვალ-  
წარბში ხარბად შესცქერიან<sup>127</sup> მობრღვეილ ტვინს ჯირკვლებით.<sup>128</sup> უბრთით  
აღვსილი წამომჭდარა ბუდა ჭადრის ქვეშ. სულებს რომ ნთქაეს, აუღლია წითან-  
მთქმელი<sup>129</sup>. კაცსულები, ქალსულები, კაცარავალი სულები, კაცარავალი სულები,  
ქვითინით მორევში დატრიალებულნი, ბლავიან<sup>130</sup>.  
ბიზლირთქა

წლებს ნანძილზე ახულის ამ საყრობილში  
კვინტე-ვესილერ ბახალთბაა გრძნობდა ქალაული<sup>131</sup>.

— ამბობენ, ლიტერატურულ სიუბრიზს უნდა ველოდეთ, თქვა კვაკერმა  
ბიბლიოთეკარმა, მეგობრული და სერიოზული ხნით. ხმა დადის, ბატონი რა-  
სელი ჰეგნი ახალგაზრდა პოეტების ღუნაებს კრებსო. ყველა მოუთმენლად  
მოველით<sup>132</sup>.

მოუთმენლად გაიხედა სინათლის სხივის კონუსში, სადაც სამი სახე, გა-  
ნათებული, ბრწყინავდა.

უყურე-გაიხსენე.

სტივენმა დახედა უთავო ძველ შლაბას, მის იფენისჯონის სახელურზე  
რომ ეკადა მუხლთახ. ხეში მუხარადი და ხმალი. ოდნავ შეეხე ორი საჩვენე-  
ბელი თითით. არისტოტელეს ცდა<sup>133</sup>. ერთი თუ ორი? აუცილებლობა ია არის,  
რის ნიხედვითაც გამორიცხულია, რომ ნაგანი იყოს სხვა<sup>134</sup>. ამიტომ, ერთი  
ქუდი ერთი ქუდია.

უსმინე.

ახალგაზრდა კოლამი<sup>135</sup> და სტარკი<sup>136</sup>. ჯორჯ რობერტს კომერციაული  
მხარე აკისრია. ლონგფორთი კარგ რეკლამას მისცემა „ექსპრესში“<sup>137</sup>. მართ-  
ლა? მე მომეწონა კოლამის „ნებჩუ“. დიახ, მე ვფიქრობ მას გააჩნია ის რა-

<sup>126</sup> მე-19 ს. დასასრულის საკლებად ცნობილი ირლანდიელი მწერლები (ირუინი დეგ-  
ნის მანით იყო დაკავებული).

<sup>127</sup> ენობარბუსი ყველა კლუმატრას შეახეებ: „მისი მხვეალნი ნემედითა მსგავსნი შეე-  
ხებით თვალ-წარბში ხარბად შესცქეროდნენ თავია დედოფალა, რომ მია არც ერთი ნიშანი  
არ გამოჰპარვოდათ“ (შექსპირი, „ანტონიუსი და კლუმატრა“, II, 2. თარგ. ი. მაჩაბლი).

<sup>128</sup> ფულისძმება ტვინია რედინეიტული ჯირკვლი, რომელიც მაღალ ნერვულ სფეროს,  
ემოციების განაცებს. თვოსოფები მის სულის სადგომად მიიხსენიებენ.

<sup>129</sup> თვოსოფური მოსდევების მიხედვით, ღმერთი გამოპყობს სულებს და კვლავ იბრუ-  
ნებს მათ თავის თავში. სულთა დიდი უმრავლესობა ამტვევნიურ არსებობაში იკრწებს თავის  
ღვთაურ წარმოსობას.

<sup>130</sup> კვლავ დასტეს „ჯოჯობეთის“ რემინისცენცია.

<sup>131</sup> ლუის ვიქტორის ერთ-ერთი ლექსიდან.

<sup>132</sup> რასელის მიერ გამოცემული ამ კრებულის მიმოხილვა დაიბეჭდა ჯონ ედლინტონის  
მიერ გამოცემულ „დამოუკიდებელი აზროვნების ექსპრესში“ „ღანა“.

<sup>133</sup> ელემენტარული ფსიქოლოგიური ტესტი (გადაჯერებისებული თითებით საგნის აღქმა)  
ჯერ კიდევ არისტოტელეს აქვს ასწავლი: „რატომ არია, რომ როცა საგანს ორი განჯერად-  
დინებელი თითით ვეხებით, ავი ორად გვეჩვენება? აქნებ იმიტომ, რომ ორი მკრძნობიარე  
ხაწილით ვეხებით? როცა ბელა ბუნებრივ მდგომარეობაშია, საგანს ორი თითას გაბრთა ნა-  
წილით ვერ შევხებართ“.

<sup>134</sup> არისტოტელეს მსჯელობის პარაფრაზი („მეტაფიზიკა“).

<sup>135</sup> ჰაღარე კოლამი (1881—1972) — ირლანდიელი პოეტი და დრამატუოგი. მერი კოლამ-  
თან ერთად დაწერილი აქვს წიგნი „ხვენი მეგობარი გვიან ჯოისი“, 1958 წ.

<sup>136</sup> გვიმზ სტარკი (1879—1958) — ირლანდიელი პოეტი და გამომცემელი. წერდა ფსევ-  
დონიმით სოლმას თაუდიენე.

<sup>137</sup> ერნსტ ვიქტორ ლონგფორთი (1874—1935) — ღებლის კონსერვატორული და პრო-  
ინგლისური გაზეთის „ღვილი ექსპრესი“ რედაქტორი.

ლაც, გენოსობის მაღლს რომ ეძახიან. თქვენ ის მართლა გენოსად მიგან-  
 ნიათ? იგიტაი აღფრთოვანებული იყო ნიაი სტრიქონით: „და როგორც ვე-  
 რის მიწაში სადმე აღმოჩენილი ბერძნული ენა“, მართლა? იმედია, ესაძ-  
 ლებთ ამ საღამოს მოსვლას. ძალაქაი ძალიგანიც მოდის. მურჯა სთავა/პე-  
 ხნა ძოიყვახეთ. იცით, როგორ იხუმრა მის მიჩეღმა მურზე მდამხმარე?  
 მური მარტინის გოყმაყი ახალგაზრდობააო. ჰევახური სათქმელს, „მეტიტატი  
 კაცა დოი კახოტსა და საჩხო პანსაა მოაგონებენ. დოქტორ სიგერსონი 138  
 აბობა: ჩვენი ეროვნული ებოსა ჯერ არ დაწერილია. მურია ის პირთვნება,  
 ეინც ამას შესძლებს. დუბლინის შწუხარე საბია რაიხდი. ზაფრანისფერ კელტ-  
 ში? 139 თნილ რაიული? 140 თ, რა თქმა უნდა, ის დიდებულ ჯველ ენაზე მეტ-  
 ველებს ალბათ. 141 და მისი დულციანია? ჯეიმზ სტივენსა 142 საინტერესო ჩი-  
 ნახატები ჰქონია. ჩვენ, ვგონებ, მნიშვნელობას ვიძენთ.

კორდელია: Cordoglio 143, ღირია ფეულები ასული.

კუთხეში მიტყუნული, ახლა კი შენი ფრანგული ბეწი.

— ღიდად გმადლობთ, ბატონო რასელო, თქვა სტივენმა და ადგა. მეტად  
 დამავალებთ, ამ წერილს თუ ვადასცემთ ბატონ ხორმანს... 144

— რა თქმა უნდა, თუ მნიშვნელოვნად მიჩნია, წაეფა, იმდენ წერალებს  
 ვიღებთ.

— მესამა, თქვა სტივენმა ვმადლობთ.

ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ. სალორე გაზეთი 145. ხარასშესწე.

სინგი მუშპირდა წერილს „დასასათვისაი“ 146. ჩეტა თუ წაიკითხავენ  
 ჩვენს ხაწერებს? გული შეუბნება, წაიკითხავენ, გალური ლიგა 147 მოითხოვს  
 რაიმეს არღანდიურად. იმედი მაქვს ნობრანდებოთ ამ საღამოს, სტარკი წა-  
 მოიყვანეთ.

სტივენი დაჯდა.

კვაყერი ბიბლიოთეკარი მოცილდა გამავლებებს. ნიანა წამოწითლებულ-  
 მა ნილაბმა თქვა:

138 ჯორჯ სიგერსონი (1838—1925) — ირლანდიელი ექანი, ბიოლოგი, პოეტი, მთარგმნელი.

139 ზაუი ირლანდიელი საციონალისტი ზაფრანისფერ კელტ, ირლანდიის თქრასი ხანია  
 სიმბოლოთ მიჩნეულა.

140 ტომას თნილ რაიული (1822—1908) — კელტური აღორძინების მესვეერი, ლინკვის-  
 ტი, მწერალი.

141 იუგლიასხმება, რომ „ჩვენი ეროვნული ებოსა“ გიორი ირლანდიელ ენაზე უხდა ჩე-  
 ტველებდეს.

142 ჯეიმზ სტივენსი (1882—1950) — ირლანდიელი პოეტი, ფოლკლორისტი და პუბლი-  
 ცისტი.

143 „ღრმა მწუხარება“ (იტი).

144 იუგლიასხმება სტივენსას ვიმპაზიის დირექტორია დაზის წერილი (ინ. იულოე ვახთული  
 „ნესტორი“).

145 იუგლიასხმება „ირლანდიის კარმიდამო“, რომლს რედექტორი იყო ნორმანა. ცნო-  
 ბილია, რომ ჯთისს ერეხეინებოდა ამ გაზეთთან თანამშრომლობა.

146 ჯონ მილანკტონ სინგი (1871—1909) — ცნობილი ირლანდიელი დრამატურგი.

147 „გალური ლიგა“ 1893 წ. დაარსდა, იგა ირლანდიური ენისა და ლიტერატურისადმი  
 ინტერესის გაღვივება: იასხავდა წიხნალ, გამოიჩინოდა მეცნიერი ანტი-ინგლისური ნიშან-  
 თქლებით.

— ბატონო დედლოს, თქვენი მოსაზრებანი ფრად საყურადღებოა.

წინ და უკან გაჭრაჭუნდა, ცერებზე წამოწეული ზეცას ერთი ქუსლის სიმაღლეზე მიუანლოვდა<sup>148</sup> და წამავლულების ხმაურისაგან დახშული ხმით თქვა:



— მაშ თქვენის აზრით ან პეტუცი ლალიტობდა პოეტს?

მარკუნული  
გიგლიქოქე

შეწუხებული სახე შეკითხება. რატომ მოვიდა? თავაწიანობა თუ შინაგანი ნათელი?<sup>149</sup>

— შერიგებაა, თქვა სტივენმა, წინ განწორება უძღვის.

— დიახ.

ქრისტეფოქსა, ქრისტემელა<sup>150</sup> ამოტყევილ შარვალში, ლტოლვილა, ჰინაჭამ ხის ფულუროებში რომ ემალებოდა მდევარს. თანამეცხედრე არ იცოდა, მარტო გამაღდიოდა სანადიროდ. მის მიერ დაბეჭობილი ქალები, ნაზი არსებანი, ბაბილონის კახა<sup>151</sup>, ბატონ მოსაშართლეთა ქალბატონები, ღიბიანი შეფუნდუკების ცოლები<sup>152</sup>, მელა და ბატები<sup>153</sup> და ნიუ პლეისში<sup>154</sup>, მოშვეებული, გაუპატიურებული სხეული, ერთ ღრის მომხიბლავი, ნაზი და კინამოსავით სურნელოვანი, ახლა ფოთლებდაცვენილი, მთლიანად გაშაშვლებული, ვაწრო საყლავეს შიში რომ აქვს, შეუნიდობელს<sup>155</sup>.

— დიახ. და თქვენ ფიქრობთ...

გარეთ გასულის უკან კარი მიიხურა.

უცებ მყუდროებამ დააადგურა მოკრძალებულ, თაღებიან სენაკში, ბუდის მყუდროებამ.

ვესტალის ლამპარტ.

აქ ფაჭრობს იმაზე, რაც არ მომხდარა: რას მოინიშნებდა კეისარი, მისნისათვის რომ დაეჭვებინა და ცოცხალი დარჩენილიყო<sup>156</sup>: რა შეიძლება

<sup>148</sup> პამლეტი ქალებია როლების შემსრულებელ უმაწვილ ვაღს ეუბხება: „ყმაწვილო ქალო, შეა ახლა ზეცას ერთი ქუსლის სიმაღლეზე დაახლოვებისარ“ („პამლეტი“, II, 3; თარგ. ი. შაჩაბლის).

<sup>149</sup> ლისტერი, ევაკერთა რწმენის თანახმად, უნდა მოქმედებდეს „შინაგანი ნათელით“, რასაც შაჩ სული წმიდა ანიჭებს.

<sup>150</sup> ინგლისურად „მელა“ გამოთქმის „ფოქს“. ევაკერთა ანთოჯადოების დამაარსებელი იყო ჯორჯ ფოქსი (1623—1691), მომდევნო პასაჟი შექსპირისა და ჯორჯ ფოქსის „თავგადავალს“ ავტორებს.

<sup>151</sup> „... დედა შეძეთა და საძაგებელთა ქვეყანასათა“ (განოცხ. იოანესი 17, 5).

<sup>152</sup> ვადმოცემის თანახმად, შექსპირს რომანი ჰქონდა ოქსფორდელი მეფუნდუკის ცოლთან.

<sup>153</sup> „მელა და ბატები“ — ბავშვებს თამაშის გამოძახილი უნდა იყოს (იხ. „საფხელის ღამის სიხმარი“ V, 1: „ხომ ღომათ, სამანაცოთ მელასაც კი არ დაუღებს ტოლს“. „ქვეით კიდე — ბატს“. „ეც მთლად ასე არ გახლავთ, ჩემო მეუფევ. მაგას ქალა უფრო უჭირს, ვიდრე შამაცობა, მელა, კიდე. უოველგვარ ბატს დასძლევს“, თარგ. ვ. ქელიძის).

<sup>154</sup> შექსპირის მეტრ შეძენილი კარმიდამო სტრეტფორდში.

<sup>155</sup> ის აზრი, რომ ვნ პეტუცისა და მის ქმარს შორის არსებული აავობრავი სხვაობა განსაკუთრებით საცნაური და გამაღიზიანებელი შეიქნა მას შემდეგ, რაც შექსპირი ოჯახს დაუბრუნდა — ქოისს აღებული აქვს ბრანდელის მითოლოგიიდან. „ვაწრო საყლავეა“ ან ფაქტზე მიანიშნება, რომ შექსპირი და მისი მეუღლე ერთად არ არიან დასაფლავებულნი.

<sup>156</sup> შექსპირის იფლიუს კეისარი არ დაუჭერებს მისას და არ „მოკრიდება მარტის იღებს“.

ძობხდარიყო: შესაძლებლის როგორც შესაძლებლია შესაძლებლობა: ის, რაც არ არის ცხოვრილი<sup>157</sup>; რა სახელს ატარებდა აქილევსა, ქალთა შორის, რთავა ცხოვრობდა<sup>158</sup>.

კუბოში ჩაწყობილი ფიქრები ჩემს გარშემო, მღნიის კოლოფებში, სიტყვების საკმახით დაბალხამებული. თითო<sup>159</sup>, ბიბლიოთეკის ეგვიპტური ლმერონიტი, მთვარეგვირგვინოსანი. და მე შენმა ხმა ეგვიპტურმა მთვარეგვირგვინოსანი ქერუმისა. „მოხატულ დარბაზებში, ნაწერი ფირფიტებით გამოვსებულში“<sup>160</sup>.

არ ინძრევთან. ერთ დროს ცოცხალნი ადამიანთა ტვინებში. არ ინძრევთან: მაგრამ მათში სიკვდილის საღერღელა ბუდობს, გულისამაჩუყებელი ამბავი ჩამინურჩულონ ყურში, მაიძულონ მათი ნება შეეასრულო.

თქმა არ უნდა, დაფიქრებით თქვა ჯონ ეგლინტონმა, დიდ ადამიანთა შორის ის ყველაზე მეტად არის იდუმალებით მოცული. ჩვენ არაფერი ვიცით, გარდა იმისა, რომ ცხოვრობდა და იტანჯებოდა. ამდენიც კი არ ვიცით. სხვები გვიკლავენ წუჭრვილს ცნობისას<sup>161</sup>, ყველაფერი დანარჩენი ჩრდილშია მოქცეული.

— მაგრამ „პამლეტა“ ინდენად პიროვნულია, არა? თქვა ბატონმა ბესტმა. მე მხედა ვთქვა, ანტიმურა ჩანაწერები, იცით, მისი ანტიმურა ცხოვრების შესახებ. მე მიწდა ვთქვა, რომ სულ არ მენაღვლება, იცით, ვინ მოკლეს ან ვინ არის ღამნაშავე...

მან მაგიდის კიდეზე დასდო უმანკო ბლოკნოტი და ღიმილით შეარბილა გამოწვევა. მისი ანტიმურა ჩანაწერების დედანი. *Ta an had ar an tir. Tiam imo shagart*<sup>162</sup>. ინგლისური მოარგე ამას, პატარაჯონ<sup>163</sup>.

წარმოთქვა პატარაჯონ ეგლინტონმა:

— მე პარადოქსებისათვის მზად ვიყავი მაღაქაი მალივანის ნათქვამის შემდეგ, მაგრამ უნდა ვაგაფრობილოთ, თუ თქვენ განზრახული გაქვთ იმის რწმენა შეშირყიოთ, რომ შექსპირი პამლეტია, მეტად მძინე ამოცანი დაგისახეთ.

ამიტანე.

სტივენმა გაუძლო ავად გაბრწყინებული უნდობელი თვალების გესლიან გამოხედვას შეზნუნნილი წარბების ქვემოდან. ბასილიაკო: *I quando vede l'uomo l'atosca*<sup>164</sup>. მესერ ბრუნეტო, გმადლობთ სიტყვის შეწევნისათვის<sup>165</sup>.

<sup>157</sup> კვლავ არისტოტელეს რემინისცენცია.  
<sup>158</sup> აქილევსი დედამ ქალად გამოაწყო და მეზობელი ნეფის ასულთა შორის საცხოვრებლად გაგზავნა. ოდისეესმა განთავსებდა იგი და აიძულა ტროას ომში მიეღო მონაწილეობა.  
<sup>159</sup> სწავლის, სიბრძნის, გამოგონების და ქადოქრობის ეგვიპტური ღვთაება.  
<sup>160</sup> ან ციტატის წყარო ჯერჯერობით უცნობია.  
<sup>161</sup> მეთაუ არნოლდის მიერ შექსპირზე დაწერილი სონეტის დასაწყისი.  
<sup>162</sup> „ნავი ხნელეთზეა, ნე ღვთის მსახური ვარ“ (ირლანდ.).  
<sup>163</sup> პატარა ჯონი რომან პუდია ციკლის ბალადების გმირია. ეგლინტონს პატარა ჯონი ჯოჯ მერმა შეარქვა.  
<sup>164</sup> „მისი ერთი შეხედვა სწამლავს ვაცს“ (იტ.).  
<sup>165</sup> ბრუნეტო ლატინი (დაახ. 1210—1295)—ფლორენციელი მწერალი, რომელმაც, დანტეს თანოთ, დიდი გავლენა მოახდინა ატალიურ მწერლობაზე; მოგვი ეს პასიჯი ჯონის უფრო ადრე გამოყენებულ აქვს თავის „ჯაკომო ჯონისში“ (იხ: „ცისკარი“, 1969, № 11).



— ისევე, როგორც ჩვენ, ან დედა დანუ<sup>166</sup>, ექსოვთ და ვარღვევთ ჩვენი სხეულებია ქაოვილს, თქვა სტივენსა, დღენიადავ, და მათი მოლექულები აქეთ-იქით მოძრაობენ, ასევე ხელოვანი ქაოვს და არღვევს მხატვრულ ახერს<sup>167</sup>, და ისევე, როგორც ხალი ზემო მერდის მარჯვენა მხარეს იქვეა, სადაც ჩვენი დაბადების დროს იყო, თუმცა ეს მთელი ჩემი ანეული არაღრუხვევდა ახალი ქაოვილით, ასევე მშუოთვარე მამია ანრდილს სახეს<sup>168</sup> წამოქცეპტანა შვილი, რომელიც ცოცხალი აღარ არის, როცა აღმავრენა დაძაბულია, როცა გთხება, ამბობს. შელი, მბეუტყვი ნაკვერჩხალია, რომელიც ვიყავი, რომელიც ვარ და რომელიც შესაძლოა რომ გავხდე<sup>169</sup>, ამბობდა, მომავალში, წარსულის ორეულში, შემოსლია დავინახო საკეთარი თაეი, ანუამად აქ მჭდობარე, მათლოდ იმ ახერსი ანეკლილი, რომელსაც მამის მივიღე

აქ კი მთოთრნედეხული დრამონდი შეგეწია<sup>169</sup>.

— დიახ, ახალგაზრდულად თქვა ბატონმა რუტმა, ჰამლეტს იე არულიად ახალგაზრდა აღვიქვამ. სინწარე შეიადლება მამის წყალობით აქეს, მაგრამ ოფელიაათან დამოკიდებულება ეს შეილიაპიერია.

საიდან სადაო, ია მამაბემშია, ბე შია შვილში ვარ.

— უკანასკნელად ეს ხალი გაქრება<sup>170</sup>, თქვა სტივენმა სიცილით.

ჯონ ეკლინტონი უსამოვხოდ დაიძანა.

ეს რომ გენიოსობის ნიშანი იყოს, თქვა მან, ვენიოსობას კიტრის უასი ექნებოდა<sup>171</sup>. შექსპირის უკახსკნელი წლებია პიესები, რომელთაც ალტაცე-ბაში მოკავდა რუახი<sup>172</sup>, სულ სავა სულსკეუობით.

— მებრეებია აფლაკვეთებით, ანოსუნთქა ევაყერმა ბინლიოთუარმა.

— არ შეიძლება მოხდეს სერაგება, თქვა ატივეხმა, თუ არ იყო ვანშორება.

ეს უკვე ვთქვი.

— თუ გაერთ იცოდეთ, რა მოვლენებმა მიაყენეს მრდილი „მეფე ლირის“, „ოტელოს“, „ჰამლეტის“, „ტროილოს და კრესიდის“ ჯოჯობეთურ სანყაროს, შეხედეთ, დაეკვირდით, რადია და რახაირად გადაიყრება ზოლმე ხრდილი, რა მოულობას გულს ადამიანს, რომელსაც გემი დაედება საშინელ ქარიშხალში, განაცდელი გადახდა ტირილის უყლისწულ ჰერაკლეა, მუორე ულიავს, მსგავსად<sup>173</sup>.

<sup>166</sup> ენატიურ ნათოლოგანის დედა-ლუთაბა და მრადლობისა და ხაოცოერება ქალ-ღნუთი

<sup>167</sup> ენობალირ ანგლისელი ესეისტისა და ესოეთიკოსის უოლტერ მეტერის (1839—1894) მსჯელობის გამოძახალი „უბიექტორა შთაბეჭდილება იმპოქსონისკრელა ბუაბის შესახებ.

<sup>168</sup> იგულისხმება ჰერსი ბანა შელის „ბოტუნიის დაცვაში“ გამოთქმული აზრი

<sup>169</sup> უაღიან ტრანსლად (1883—1844) „შოტლანდიელი პოეტი სტივენი ასკეებმა მის „კვიპარტისა ხეივისა“.

<sup>170</sup> „ბშირად მობდება კათერებაში, რომ რამე ნაღლი იქვად ღოს იგი უაბადშით თან-დაყოლილი და მისი ბრალი ეფოთნოფეს მხალოდ ჩვენ სტევენსა“ („ბანუეტი“ ს. ჯ. თარგ. ი. ნაბალი) ქართულ თარგმანში ვერ არის შენარჩუნებული და ამისგანლი ახალითა „დალის“ მნიშვნელობა (თარგმანშია „ნაკელი“)

<sup>171</sup> ე. ი. „ახალგაზრდობა გენიოსობის თანდაყოლილი ნიშანი რომ იყოს“.

<sup>172</sup> ერნესტ რენანი (1823—1892) — ფრანგი კრიტიკოსი, მწერალი და მკვლევარი. შექსპირის თაერს უკახსკნელ პიესებში; რენანის აზრით, „წარადისობის ისტორიკოსა იყო“.

<sup>173</sup> ბრანდისი რათმანტან აღარგბს შექსპირის ულისესი („ტროილოს და კრესიდის“) და

თავა, წითელკონუსდაკოსებული, სილაგაწული, ცრემლით თვალდაბრმა-  
ვებული.

— ბაეშვი, გოგონა მის ხელეში, მარინა <sup>174</sup>.

— სოფისტების ლტოლვა აპოკრიფის მიკიბულ-მოციბულ ბილწეებსავე  
მუდმივ სიდიდეს წარმოადგენს, შენიშნა ჯონ ეგლინტონმა, *შერეულ-  
წყენია, მაგრამ მათ ქალაქისავე მივყავართ* <sup>175</sup>.



კეთილი ბეკონი: თბი მოეციდა. შექსპირი ბეკონის ყმაწვილკაცობა. შიფ-  
რების ფონგლერები შარაგზებზე ვავიდნენ <sup>176</sup>. დიადი შაძიებლები. რომელი  
ქალაქია, კეთილო ბატონებო? <sup>177</sup> სახელადარებულნი: ა. ე. ეონ: მევი, ჯონ  
ეგლინტონ <sup>178</sup>. ცხრა მთას იქეთ: *Tir na n-og* <sup>179</sup>, ორივენი ბეჭეებში გამოწყო-  
ბილი, არაგანით ხელში <sup>180</sup>.

ღებლინამდე რამდენი მილი?  
სამჯერ თუ და კიდევ ათი სჯერ  
შენიხლებამდე ჩავალწყო მტა? <sup>181</sup>

— ბატონ ბრანდესს იგი, თქვა სტივენმა, ბოლო პერიოდის პირველ პი-  
ესად მიაჩნია.

— მართლა? და რას ამბობს ბატონი სიდნი ლი თუ, როგორც ზოგიერთი  
ეძახის, ბატონი საიმონ ლეზარუსი? <sup>182</sup>

— მარინა, თქვა სტივენმა, ქარიშხლის ასული, მარანდა, სასწაული, პერ-  
დიტა, დაკარგული <sup>183</sup>. დაკარგული დაუბრუნდა მას: მისი ქალიშვილის ასუ-  
ლი. „ჩენი ძვირფასი ცოლი“, ამბობს პერიკლე, „ამ ასულს ჰგავდა“. განა კაცს  
უყვარება თავისი ქალიშვილი, თუ დედამისი არ უყვარდა? <sup>184</sup>

პერიკლეს („პერიკლე“) და დაასვენის: „პერიკლე რომანტიული ულსეა, შორეული მოგზა-  
ური, განაწამება, ბევრის ამტანი“.

<sup>174</sup> ქარიშხლის დროს გემზე დაიბადა პერიკლეს ასული მარინა. დედამისი ნუკელს ია-  
დაძვედა. მისი ლეკორდია ბაკმეს პერიკლეს გადასცემს.

<sup>175</sup> ეგლინტონი გულისხმობს გამოთს „პერიკლეს“ ირგვლივ. ეს პიესა შექსპირის 1623 წლის  
პირველ არულ გამოცემაში არ არის შეტანილი. ახლა უკვე დაბეჭდილებით ამტკიცებენ, რომ  
შექსპირი „პერიკლეს“ ნხოლოდ თანავეტორია.

<sup>176</sup> მინიშნებულია ზოგიერთი დილექტანტი მკვლევარის ცდა შექსპირის თბულებებში  
ბეკონის საიდუმლო შიჯრი აღოყვითათ.

<sup>177</sup> ამერიკელმა აგხეიშოუს დონელიმ, რომელსაც დაწერილი არის წიგნები შექსპირის  
ნაწარმოებებში ბეკონის საიდუმლო შიჯრის არსებობის შესახებ, თავისი „ანტიშექსპირული“  
ლამქრობა დაიწყო ქალაქ პენსტანგზილდის (მინესოტის შტატი).

<sup>178</sup> ბეკონის საიდუმლო შიჯრზე დიქრმა ასოციაციურად რასელისა და ნევის ფსევ-  
დონიმები ამოატივტივა.

<sup>179</sup> „სიჭაბუკის ქვეყანა“ (ირლანდ) — კულტურა საოცნებო მიწა, სრულად ბედნიერებისა  
და ეკონომის ქვეყანა.

<sup>180</sup> ე. ი. რასელი და ეგლინტონი პილიგრიმებად გამოწყობილნი, მწირის არაგანით ხელში.

<sup>181</sup> საბავშვო ლექსის ადაპტირებული ვარიანტი („რამდენი მილია ბაბილონამდე“).

<sup>182</sup> სიდნი ლი, ბრანდესისაგან გასსხვაგვებით, „პერიკლეს“ უყვანასკნელ პიესებთან კი  
არ აერთიანებს, არამედ მას „ანტიონიუს და კლეოპატრასა“ და „ტიმონ ათინელის“ პერი-  
ოდს მიაკუთვნებს.

<sup>183</sup> მარინა — პერიკლეს ასული, მარანდა — პროსპეროს ასული („გარბიშხალი“), პერდი-  
ტა — ლეონტეს ასული („ზამთრის ზღაპარი“). მინიშნებულია მათი სახელებს ეტიმოლოგია  
(ზღვა, სასწაული, დანაკარგი).

<sup>184</sup> გეორგ ბრანდესი ამტკიცებს, რომ შექსპირს გამსაყუთრებით უყვარდა თავისი ქალი-  
შვილი სუზენა და რომ მას არ უყვარდა ცოლი ენი. მაგრამ სტივენის მსჯელობაში შექსპი-  
რულ აღუზიარე უფრო მნიშვნელოვანია სახარებინ რემინისცენცია, რაც კვლავ მამისა და

— ბაბუოების ხელოვნება, წაილულულა ბატონმა ბესტმა. L'art d'être grand... 185

— ადამიანისათვის, რომელსაც ეს უცნაური რამ, გენოსობა სჭირს, საკუთარი სახეა ყოველივეს სახომი, მატერიალურისა თუ ზნეობრივის. მხოლოდ საკუთარ თავზე შექმნილ წარმოდგენას თუ მიიტანს ფულთან. მგაფრინველს სხვა მამრების სახეები მას არ იზიდავს. ის მათმა ბუხების მძერ-მისი საკუთარი სახეების წინასწარმეტყველებასა თუ გამეორების გროტესკულ ცდებს ხედავს 185.

კვაკერი ბიბლიოთეკარის კეთილი შუბლი იმედით შეიფარა.

— იმედი მაქვს, ბატონი დედალოსი საკუთარ თეორიას გამოიმუშავებს საზოგადოების განსაზღვრებლად. გენარტება მოვიხსენიოთ კიდევ ერთი ირლანდიელი კომენტატორი ბატონი ბერნარდ შო. არც ბატონი ფრენკ პერიას უნდა დავვიწყოთ. მისი წერილები შექსპირზე „სატერდი რევიუში“ ნამდვილად ბრწყინვალე აყო. უცნაურია, მაგრამ ისინიც ჩვენს ფურცლებზეა შევტუსხა ქალბატონთან ავტენტით ურთიერთობაზე ამახვილებენ. ბელნირა რაყიფი უილიამ პერბერტი, პემბრუკის გრაფი, უნდა მოგანსენოთ, რომ თქვენაც პოეტი დაეწინებინოთ კიდევ, ეს დაწინება უმაღლესეა — რაგორ ვაქვია? — ჩვენს წარმოდგენას იმაზე, თუ რა უნდა მომხდარიყო 187.

კმაყოფილი დადუმდა, თვინიერი თავი გაუწოდა მათ, ყანჩას კვერცხი, მათი კეწწლოების ჯილდო.

ის მას პარქუში ქმარს სატყვებით ეფერება. ვაყვარვარ მიჩიამ? ვაყვარს ქმარი შენი? 188

— ესეც შესაძლებელია, თქვა სტოყენმა. გოგონა ატვს ერთი გამოხატვამი, რომლის ციტირება უყვარს ბატონ მეგის. ერთდღეს თქვენს სურვილებს ახალგაზრდობაში, რამეთუ მათი აღსრულება შუახანში მოგაწევთ 189. რატომ ავზავნის იმასთან, ვისაც buonaroba 190 ჰქვია, ყველასათვის ღია ნავსაყუდარ-

შვილის ერთპიროვნების აღვას ეძახებოდა: „უცხოველია მიცოდეთ მე, მამანცა ჩენი იყო-დეთ“ (როანე 8, 19: 14, 7).

185 ბესტს უნდა ეთქვა grandpère (პაპა), მაგრამ არ დაასრულა სიტყვა და გამოეცადა „სადიადის ხელოვნება“.

186 კვლავ „ჯაკომო ჯონსია“ პასაფის გამოცენების მაგალითი.

187 „ულისეს“ დაწერის პერაოდში პერსიის გავრცელებული პიპაოყნის ნიბედდით, შექსპირს უყვარდა დედოფალ ელიზაბეთის ფრედინა პერი ფიტონი. მან გალთან თავისი ნეგობარი ლორდი პერბერტი მიავხავეს, მაგრამ ფიტონს თვითონ პერბერტი შეუყვარდა და შექსპირმა მგვობარიც დაქარვა და სატრფოც. ზუნდოვნად მინიშნებელია აგრეთვე ბრანდისის ნეთრე პიპოთუბა, რომლის თანახმადაც შექსპირს თვით პერბერტი უყვარდა „გაგიფებით“.

188 არქაული ფორმა „ვაყვარს ქმარი შენი“ შეესატყვისება კვაკერთა ბნობისათვის დამახასიათებელ მიმართვის სტილს. ასე მიმართავდა კვაკერი ბიბლიოთეკარი თავს ცოლს, თუც ცოლი გყოლდებოდა და მას პერი ერტმეოდა. ამავე დროს, „პერის“ ებრაული ფორმა მიჩიამი (ქართულ ბიბლიაში — მიჩიამი) და ასე ერტვა ნოსეს დას. ამრიგად, კვლავ იმნება შექსპირ-ქორჯ ფოქსის პოციაცია: კვაკერა ფოქსა შექსპირის სატრფოს პერი ფიტონს აღბათ მიმართავდა არქაული ფორმით „მიჩიამ“.

189 გოგონა აზრის პარაფრაზი მისი ცნობილი ავტობიოგრაფიულს სხუნულშიცაა ამოვნი და სინამკვილე“.

190 „ტრივიალური რამ“ (ტტ). ინგლისურა ვარგობელი გამოთქმა bona roba ნიშნავს: „გამომწვევი, თვალმასაცენი შეხედულების გოგო“. შექსპირს ეს გამოთქმა სავაბი ატვს „პენტი მეთათუშია“ (გ. მელოპის თარგმანში — „ღანახანია“).

ში<sup>191</sup>, სკანდალური უმადილქალობაგამოვლილ ფრეილინასთან, ლორდი-ოს, საარშოყოდ? ის თვითონ იყო სიტყვის ლორდი<sup>192</sup> და მონად იქცა და „რომეო და ჯულიეტა“ დაწერა. რატომ? რწმენა საკუთარ თავში უღრთოდ საკუდა<sup>193</sup> ჯერ იყო და პუროს უანაში (უნდა ნუთქვა, ჭვავის ყახაში) დაჯაბნეს და აუღიანო-სოდეს იქნება გამარჯვებულ საკუთარ თვალში ანდა აღიარსოვდა<sup>194</sup> გამარჯვებულად გაციონებისა და წამოგორების თამაშს<sup>194</sup>, ხაააღადვე დონჟუ-ანობა ეგრ გადაარჩენა. ვერავითარი შეზღვოში გაუქმება ვეღარ გააუქმებს პირველ ვაუქმებას. ტახის ეშვმა იქ დაგოდა, საღ სისხლისაგან დაწრეტილი სიყვარულის სიდგოში იყო<sup>195</sup>. თუმც კი ჭირვეული მოთვინიერდა, მას მაინც შემორჩა ქალის უხილავი იარაღი<sup>195</sup>. მე ვგონობ, მის სიტყვებში, არის რაღაც სხეულის ჯადო, მას რომ ასაღ ვნებება აღუძრავს, პირველის კიდევ უფრო ბნელ აჩრდილს, რომელიც საკუთარი თავის შეცნობასაც კი დაუჩრდი-ლავს<sup>197</sup>. იგავე ბედი მოვლის მას და ეს ორივე სიმწაგე ერთ მორყენი აით-ქვიფება.

ისინი მოყურადებულნი არიან. და იმ წყველ საწამლავსა ყუთში გაწვე-თებ<sup>198</sup>.

— სული იქამდე უკვე სასიკვდილოდ იყო დაჭრილი, მძინარე ყურში ჩაწვეთებული საწამლავი... მაგრამ მან, ვისაც ძილში მოუღეს ბოლო, არ შე-იძლება იკადეს, თუ რანაირად მოკლეს იგი, თუ მისმა შემქმნელმა არ აღ-ჭურვა მისი სული ამ ცოდნით ზეციურ სამყოფელში. მოწამლვა და ერთსული და ერთხორცი პირუტყვი<sup>199</sup>, რომელმაც ეს ჩაიდინა, არ შეიძლება სცოდნო-და მეფე პანლუტის აჩრდილს, მისა შემქმნელი ცოდნით თუ არ აღჭურვიდა-ამდომ არის, რომ მისი სიტყვები (მისი უშნო, მოსაწყენი ინგლისური) ნუ-დამ საითლაც წარსულსააკენ არის მიმართული. მოძალადე და პატივყრილი, რაც უნდოდა და არ უნდოდა რომ ყოფილიყო<sup>200</sup>, თან სდევს მას ლუკრეციას ცისფერპარღვა სპილოს ავლის ნახევარსაფურთებთან იმოჯენის ხუთი ხალით

<sup>191</sup> „მზენამ თვალში მოიხილა უფლებართები, ყველაათვის ღია მოუქება ნავსაყუ-ღარია...“ (შექპარის 137-ე სონეტი, თარგ. რ. თაბუკაშვილის).

<sup>192</sup> რუმინოსენცია ელფრიდ ტუნისონის ლექსის „ვერვილიუსისადმი“.

<sup>193</sup> ფარული ეტიტა „ნაკბეტადამ“: „მაკლუფ უღრთდ ამოგლიჯეს ღელის მუცლიდან“ (V, 8, თარგ. ი. შაჩაბლის).

<sup>194</sup> ინგლისური სინტაქსის სიტყვები. მინიმუმებულია აგრეთვე ბანქოს თამაშის ერთ-ერთი, შექპარისდროინდელი სახეობა.

<sup>195</sup> შექპარის პოემის „ვენერა და ადონისას“ აღუხია. ამასთან, ოფსიუესიც, ადონისისა არ იყოს, ასაღვარღობაში ტახმა დაჭრა თებში (ამ კრილობით იცხობს ნიკა ითაგში დაბ-რუხებულ ოფსიუესს). მინიმუმებულია აგრეთვე ბოპონტისა და ფლეიერის პაესა „ვილაა-ტერა“, რომლის ქვესათაურია „სისხლისაგან დაცლილი სიყვარული“.

<sup>196</sup> ქალია ხალული იარაღისაგან განსხვავებით, რომელიც, როგორც მეფე ლირა ამბობს, ცრემლია (11, 2).

<sup>197</sup> ეს პათევის შიერ უილიამის შეცდენა და ვენერას მიერ ადონისის მოხიბლვა გაანრე-ბულია რთვარც „თანდაყოლილი ცოდვა“, რომელსაც გმობს არლანდიერ ეკლესიაში დაქა-ნობებული კატეხიზმო.

<sup>198</sup> „პანლუტი“ I, 5.

<sup>199</sup> ე. ი. კლავდიუსი და ჯრტრული (გამოყენებულია ნაგას მიერ ოტელოსა და ღუბ-დემიანის მიმართ დამაკუროდ მათქვამა სიტყვები).

<sup>200</sup> ფარული ეტიტა ნოვატის „ღონ ქვანდიან“.

მოკირწყულ შიშველ მკერდამდე <sup>201</sup>, უკან იხევს, დაქანცული თავისი კმნი-  
ლებებით, რომელნიც საკუთარი თავისაგან დასაძალად აახუნულოვს, ზებერი  
ძალი ძველ იარაღს ილოკავს <sup>202</sup>, მაგრამ რადგან მისი დანაკარგი მესამე მოგე-  
ბაა, იგი მარადისობაში გადადის, კვლავაც უცვლელი პირფარეზით მოგე-  
რომ არ შეიძინა მისივე შეთხზული სიბრძნიდან ანდა მისივე აღმოჩენილი კა-  
ნონებიდან, საბურველი ახალი აქვს <sup>203</sup>, ის ახლა მოჩვენებაა, აჩრდილი, ელსი-  
ნორის კლდეებზე მქროლავი ქარაშოტი, ან როგორც გენებოთ, ზღვის ხმაური,  
ხმაური, რომელიც მხოლოდ იმის გულს ესმის, ვინც მისი აჩრდილის არსს შე-  
ადგენს, მამის ერთარება შეიღს.

— ამინ! გაისმა კარის ღირედან.

მპოვეა ნე მტერო ჩემო? <sup>204</sup>

Entr'acte <sup>205</sup>.

ნეცხრე ეპიზოდს დასასრული იხ. შემდეგ ნომერში.



<sup>201</sup> ლუკრეცია და ამოჯენი — შექაპირის გმირება (მოემა „ლუკრეციას გაღმატურება“  
და პიესა „ციმბელინი“).

<sup>202</sup> იფულასხმება შექაპირის მეგრ თვატრიდაა წასვლა და სტრუქტურულში დაბრუნება.

<sup>203</sup> მანდენტის შეკოხებაზე მაშაქანის აჩრდილია შესაბამე: „პირსახე ხომ არ გინახავთ“,  
ჰორაციო პასუხობს: „ცნაზეთ, ბატონო, საბურველი ახალი მქონდა“ (I, 2, თარგ. ი. მა-  
ნაბლის).

<sup>204</sup> წიგნ. მესამე შეფუთა 21, 19.

<sup>205</sup> „ანტრაქტი“ (ფრ.).



უკრაინულიდან თარგმნა ჯაბა ასათიანი

## იური მუშკიტოვი

### ლილილოები

ლილილოები ისე არასოდეს აფრთხილებულან, როგორც ომის იმ უკანასკნელ ზეფტულს. სწორედ თმმა შვა, ომის შეილები იყვნენ და მის დამშეულ, გაძვალტყაფებულ სახეს ცოცხალ გვარგვინად აღვინენ. ლილილოებმა მითითეს მინდვრის ერთი ნაწილი, რომელსაც ადამიანის-თვის ხორბალი უნდა შეეცა.

ქარისაგან ტუნებდახეთქილი ბიჭისთვის ლილილოები მაშინ სწორედ რომ ხორბალი იყო. ბიჭი ყვავილებს კრეფდა მინდორში გაკვალულ ბილიკებს გასწვრივ, ყანებს შორის დაუთესავ ზოლებზე, პარკველამომქლაგრებულ ქალებში... სათუთ, ცისფერსა და თეთრ ლილილოებს, სწორედ ასეთებს, სიმღერად რომ თქმულა...

დამაშრული ბაგეებით ბევრჯერ დაწვევლილ და შეჩვენებულ ყვავილებს მჭიდვ, წველივით შავარი ღერო ჰქონდათ. ამ ღეროებისაგან ბიჭს თითებზე მწვანე ზოლები აჩნდა ნაჭრილობებივით, თითის წვერები კი სულაც ნამდვილ ხარებს დაესერა. კიევია ბაზარზე თხუთმეტ ცისფერ ყვავილში, მეთექვსმეტე ღეროთი კონხად გავრულ თხუთმეტ ყვავილში. ყვავილების ამ ერთ კონაში ბიჭს აქრვლებულ ხელისფულზე მანეთიანს უღებდნენ. წუთი-ოღვის სასწორზე კი ლურჯ ყვავილთა სამოცდაათი კონხა ზუსტად იმდენა აწონიდა, რამდენსაც ერთი კილოგრამი ქერის პური.

ცისფერ ყვავილებს თითქმას არ ჰყავდათ მოცილე: გლიცინიებიც ყანა იყვნენ და ვარლებიც. ხუთ, ათ კონა ყვავილს ერთად ყიდულობდნენ შვებულუბაში გააული შექვიფიანებულნი ოფიცრები, თათო-თათო კონას — სტუდენტო ქალიშვილები, სალუბზე, ხოლიანი ქსოვილას კაბები რომ ეცვათ. ორ-სამ კონას — დიპლომატები.

კიევისაგან აძრული ლილილოები ხან ვაგონში სკამქვეშ იმალებოდნენ, ხან სახურავზე მხეტებოდნენ და ხანაც კაბეზე ევიდნენ. მაშ, რა ექნათ, უბილეთოდ ნგზავრობდნენ. სხვანაირად ბაზრისაგან მათი მოგზაურობა აზრს დაგარგავდა, ხოლო სადგურ ზინნაიდან სადგურ კიევ-სახალხოშივე სამგზავრო ბაღითი ამდენივე ღირდა, რამდენიც ასეთი ოცდახუთი კონა ყვავილი.

იმ შაბათს ლილილოები ზვეულდებრივზე ბევრი იყო. — ზუსტად ის ორმოცდაათი კონა დამე ვარდულში, წველით სავსე ვოგნაში გაათიეს, ახლა კი კალაში იხტდნენ, დეხები სველი ზვრით შეფეფეთათ და თავს მორჩილად აქნევდნენ.

ჯერ ვაგონსა და ვაგონშია გადებულ ხილურზე იდგნენ. მერე ტამბურში გადავიდნენ, შემდეგ გათბობის ჯიხურზე შესკებდნენ. რკინიგზის კონტროლიორთა პირებში მზერას არიდებდნენ თავიანთ კრიალთა თვალებს. კონტროლიორები კი, უბილეთო მგზავრთა საუბედუროდ, იმ დროს მატარებლის ორივე ბოლოდან დაიძრებოდნენ ხოლმე.

ლილილოები უკვე ბედა შერაგებოდნენ, ეკიდებოდნენ მანდარს გამოთხოვდნენ, კეცას ბაზრისაკენ იჩქაროდნენ, რომ მერე მათ პატრონს ორი კილოგრამი ჭერი, ბურთი, ყავა და ხუთი პატარა დაძმა დაებურებინა.

მერე გაიქცნენ, გადაირბინეს ვაკონებს შორის გადებულ ხაღურებზე, კონტრალორები ახლოვდებოდნენ, და სწორედ იმატომ, რომ ასე უსფერებო უსწრებო უფრები იყვნენ და არ შეეძლოთ თავი მოესაწყლებინათ, ვინმეს უბადრუკად და უმაქნიაად ჩვენებოდნენ, კიდეც ყველა დაიპირეს, მერე დარხიცაში ჩაყვანეს, ჭურღახუთქალ, ჩახუთულ თათბში იჭამდნენ აყურყურტყა, სახამ ლურჯმა თვალებმა არ დაყოლიეს წითელქუდასი კაცის წავი თვალები, და ამ თვალებშიაც თავის მხრივ, კარზე არ ახიშნება...

ლილილოები ლიანდაგს გაუყვნენ, გადათარეს ხმა გრძელზე გრძელი ხიდი, თარეს მთკარწყლული აღმართი და თმათაგან დანგრეულ ქუჩებში გადრატუნდნენ.

მზე კი შუბის ტარზე ადგა და უმოწყალოდ აჯიყნებდა სველი ჩვარიც რა ხანი გამშრალიყო, ყვავილებმა თავი ჩაიკადეს, ფოთლებმა მოებლუნძათ, თანდათან ეკარგებოდათ უერი, სიციმცხალე, უქრებოდათ სიცოცხლის ნიშნები, ბაზრამდე რომ მიადწიეს, თითქმის ცოცხალ მკვდრები იყვნენ.

სხივნაპქრალი, უკვე უბადრუკი ლილილოები ეკლარავის მოსტაცებდნენ თვალა, თუქვა ბაზარშიც თითქმის თითო-ორილა ვანზე თუ დარჩენილიყო ბოლო მუშტრებშიც გულგრილად ჩიარეს და ჭიშკარს გასცდნენ, ჭიშკართან ჩამოაქცნარა ყვავილებით საყსე კალათა იდგა, ერთ კონასაც კი არავინ შეებებია, იმათაც კი, აჭრელებულ, ბაზარზე თათება რომ ეჭირა.

მზე სულ უფრო და უფრო აჭერდა, ცისფერი ყვავილები ავროვებოდნენ, შიშველ დამსკდარ ფეხებს აჯიოდნენ, ფეხებიც ერთ აფგილზე ტოკავდნენ ცხელ ტაყსაყიოთ გაჭურებულა ბაზრის მოედანზე.

ბაზარი დაცარიელდა, უკვებ ჭიშკრისაკენ მომავალი ტუჩებშეღებალი ქალი გამოჩნდა, ქალს ილღიში დაეცალი ფერადი ქოლვა ამოგზარა, თავზე მაღალი თეთრი ქუდი ეხურა, თვითონაც მაღალი იყო, წარმოსადგერ, ლამაზი, თუქვა ახალგაზრდა აღარ ეთქმოდა, შავი ლაქის ფეხსაცმელები მსუბუქად და აუჩქარებლად მოიბაჯებდნენ, აი, ფიცარნავი ქუჩა გამოიბაჯუხეს და ტროტუარზე ამოვიდნენ... აქ წამით შეჩერდნენ, მერე ი-ვე განავრქეს გზა და სიცოცხლას გაძლბვალ ახფალტზე ქუალებას მკაჯიო ანაბეჭდები დატოვეა, თეთრი ქუდი დაიბარა:

— ამ ცოცხს ყვავილები მქვია? — ქალმა ჩამოქცნარ ლილილოებს თათები შეახო. — ნეტა სიდ ვაიზარდენით ავრე უბადრუკები?

ეს შეკითხვა კი არა, აბუნად ავღება იყო, დაეიხვა იყო არამართო მშყენიერო ყვავილებისა, არამედ მთელი ველ-მინდვრებისა და კიდევ რაღაცისა, მაშინ კი დაშაშრულმა ტუჩებმა თავი ვეღარ შეიღვეა:

— თქვენ რა გეკითხებთ! ძალით არავინ გაწონებთ!

ქალმა ამ უკმერ სიტყვებს რატომღაც უფრადღერა არ ნიაქერა, უფრებჩანოყრილ ლილილოებს ერთხელაც შეაველო ფრზხილებგალაქული გრძელი, თეთრი თათები.

— თბ, რა საცოდვეება არიან, ასეთ უბიროთ ყვავილებს ბირველად ეხედავ.

— ამ რამდენამგ საათის წინ ლამაზები იყვნენ. — ლილილოებს ველაც გამოექომაჯხენ დამაშრული ტუჩები — ესეი... — მერე კი ტუჩება მტკიცედ მოიჭიქხენ, რათა ისეთი არაფერი წამოსცდენოდათ, რაც თავის ღალატი იქნებოდა.

ქალს ფეხი არ მოუცვლია, ბიჭა შებუდა და უკვებ ხმაღბლა მკითხა:

— რას აფასებ... კონას რამდენად ყილა?

ლილილოებმა იცოდნენ, მათში კაბუსაც აღარავინ გაჩნებებდა, დამაშრულმა, დამსკდარმა ტუჩებშიც კარვად იცოდნენ ეს, მაგრამ განაწყენებული, გაჭიუტებულები იყვნენ და, ანიტომაც გამომწყვეთ წარმოთქვეს:

— კონას მახუთალ!

მაშინ კი... რა მოხდა, ლილილოებმა ვერაფერი იახრეს: თეთრმა, გრძელმა თათებმა ჩანთა გახსნეს და იქიდან ორი მწეანე ქალაღლი ამოაჭრინეს, ჩანთაში გაზუთოც იდო, თითებმა ისიც ამოადეს და გაშალეს.

— აქ დამიწყე.

— რამდენი კონა?

— ხეილა.

— ყველა! — წყნებით აკაიებს შეურევნელმა, დასაშრულმა ტუჩებმა. — ანდენი რად გინდათ?

— ნჭირდება, მე ენუშობ... რაღას უკეთი, გაღმომიწყე.

აჭრელვებულმა თითებმა ქალაქიდან გაზეთში გადააღიგეს დაბჭუნარი ეკავილები.

— ხურდა ანა მაქვს, ჭერ არ მივაჭრია, აქ მომაცადეთ, ახლავე...

— ხურდას ანა გთხოვ, დაჩვენა... როდესმე კიდევ ნამოთან...



მარინენული  
გინგულირთეკა

მაგი ლაქია ფეხსაცმელება მსუბუქად გაუყვანენ ახვალტმოვებულ გზას. მილიგლოვებდა ტუჩაში შავი ჩანთა და თეთრი ქოდა, სოლო მარცხენა მკლავზე გაშლილ გაზეთზე დახვავებულ დიდილოები კისერს უმწყოდ ატოვებდნენ. სპიჩაქრალ ავალვებში კი ედგათ უსატყვო ვიახვა, რომლის ბაქობაც მათ ანასწინახდელ პატრონა კერა და ვერ ებოვია და მამინ ლაქის ფეხსაცმელებს კვალდაკვალ ნიბყენენ წიწყელი ფეხები. ფრთხილად, შორი-ახლს მისდევდნენ, თან კვილობდნენ, რომ ლაქის ფეხსაცმელებს არ წყენიშნათ. დიდი გზა არც უფლიათ. ლაქის ფეხსაცმელებმა კუთბეში შუუხვიეს, მერე აღმართს აქყენენ და იაკე შეუხვიეს. შენდევ კი ავურას ზღუდეითა მღჯარ წიბოვან ურნასთან გაჩერდნენ. გრძელმა, ფიჩხალვებვალაქულმა თეთრმა თითებმა ყვავილების გროვიდან ორი კობა ამოარჩიეს, და ნარჩენი კი გაზეთთანად ნაუშვეს ურნაში.

შავმა ფეხსაცმელებმა გზა განაგრძეს, შიშველი ფეხები ურნასთან მიეიდნენ. დამკლარ, დაშინოულ ტუჩებმა კავალა აუკარდათ ვი, როგორმე თავი რომ წყევაფეხინათ, რათა არ მოწხდარიყო ის, რაც შეიძლება მერე საწანებელი ვახდომოდათ, ამ აკანალებულ ტუჩებს დობიერად დააწვხეს აჭრელვებულები, ნაიარევი თითები და მაგრად, მარწუხებზეთ მტკიენულად წაუჭირეს...



## პასილ ზემლიაკი

### უარუატთა სამსჯავრო

ერთ შემოდგომას მინდორში მიმავალი ყარუატთა გუნდი დაენახე. მდელოზე წრე შეეკრათ, წრის შუაგულში კი ერთი ლამაზი, თავჩაქანდრული ყარუატი დამდგარიყო და ხელმარედ იანყნდა თახამოსიყთა გაეხარებულ საუბარს. წრე ხან შევიწროვდებოდა, ხან ისევ გაიშლებოდა: ერთი რომ დაითავრებდა სათქმელა, ახლა მეორე წამოიწყებდა.

სწორედ ყარუატთა გადიფრენის დამი იდგა. ეფექტობდი, ალბათ აალომანლო სოფლებსა და ტყეების მეჯადრმა ყარუატებმა ამ მდელოზე მოიყარეს თავი, რათა შესრულ გზა ერთად დაადგენ მუქი.

წრას შუაგულში მდგარი ლამაზი ყარუატი პირველად მათი წინამძღოლი მეგონა. მაგრამ მოვტყუდი. ჩემთვის იდუმალ რადეც ნიშახზე ყველა ყარუატი აფრინდა, იმ კი მდელოზევე დარჩა. თავის წამოწყევაც არ უკლია... ყარუატებმა გამოსათხოვარი წრე შემოიარეს და გაფრინდნენ.

მარტო დარჩენილს არც უყვილა, არც მიწინაივის უხლია თავი, არც ბატრება და შეწყალება უთხოვია. გელმოკლული კვლავ უძრავად იდგა. მაშინდა მივბედი, უნებურად ყარუატთა სამსჯავროს შეესწრებოდი — ანგვეწრურ სამსჯავროთა შორის იქნებ ყველაზე სამართლიანსა და შკადრ სამსჯავროს.

სანამ თანამოძმენი თვალს არ მიეფარნენ, განკიცხული არ განსრეულა, მერე უბთა გაშალა და საპირისპირო მხარეს მიაშურა, რვი შიატოვეს, კუნდას წამოამოიარეს, მარტო დაეგდეს...

ისევ ბეშვებმა შეიფარეს ეული ფრინველი, მათ არაფერი იცოდნენ ყარუატის დანაშაულისა. შეიკედლეს, ცვათბეს, შეაგუნეს უცხო ცხოვრებას, საბელიც შეუხვიეს — ბალიძონი დაარქვეს.



ყოველ გაზაფხულზე მოფრინავდნენ ყარყატები, შეიღებნ ზრდიდნენ, მერე ისევ მოფრინავდნენ, ხალიძონი კი ერთთავად განდევნილით ცხოვრობდა და ცაღ არასოდეს ასულა. სრულიად შემთხვევით შევიტყვე, რასთვის გაეკიცხათ ყარყატი. არ ვცხადებ, ამბავი ვანმემ შეთხზა თუ მართლა სინამდვილეა. როცა ემა თუ ის ამბავი დანამდვილებით ვერ ვცივან, აღამიანები აკი თვითონ თხზავენ ხოლმე ლეგენდებს...

მაამბემა, იმ ზაფხულს მეზობელ სოფელში ჭექა-ქუხილას დროს მეხი დასცემია სახლს, რომლას საბურავზეც უკვე მრავალი წელია ყარყატი დაედო ბინა. ამ ჩვენს ყარყატა ციცილ-მოდებული სახლი მათხოვებია და უკანმოუხედავად გაფრენილა. საშველად სხვა ყარყატები მოფრინდნენ, მაგრამ უკვე გვიანა იყო — დედა და ორი პატარა ბავშვი დაიღუბა. ყარყატი მთელი ზაფხული იშალეზოდა, ხოლო გადაფრენის დროს რომ დადგა, თანამოდენთა გუნდას ჩუმად შეუერთდა, მაგრამ იცავს და სწორედ იმ სამსჯავროზე იყო, სამუდამო მარტოობა რომ მიუსაჯეს...



### პრიპირ ტიუტიუნიკი

#### ნეპერჩხლის უღორტი

სახლთან, ნახევრად დამბალი პალოებით შემავრცხულ ჰველიანდელ მიწაყრილზე ზის ბაბა ხრისტონია. სინამდვილეში სავსე ჰქვია, მაგრამ ეს მხოლოდ სოფლის ბერიკაცებმა იციან. ახალგაზრდები კი იტყვიან ხოლმე: «აგე, ხრისტონია მიწაყრილზე ზიანო».

სიბუძეა, ბერიკაცი იქ ზის, სადაც ნევერჩხალი ხარობს, უფრო სწორედ, კი არ ხარობს, მიწიდან უმნად ამოშვერიალა, რადგან კარგა ხანია გაქნა და ქერქიც შემოსცაულდა. ძირში ბედად ერთი უღორტი გადარჩენილა, თუმცა მასაც ფოთოლი სცევა — ეთუოდ შემოდგომის სუნთქვა მისწვდა.

მიწაყრილს მზე დასთამაშებს, ბერიკაცა ტოტებასაგან ათრთოლებული შხას სხივები ელაცოცება. ყვითელი მზე მშვიდია და ალერსიანი. შემოდგომის ფოთოლში გაწერულსა ჰგავს. ლაფაროდან გამონრილა ბუქურთმიანი და ისე დამდილულ-დაფხავებული კოტეხი, გეგონებს. საფანტით დატყორილავთო. პრაილესს ობობას ქსელი, ძველი და მტკიცე, ჯარაც ვერაფერს დააკლებს, ბედურადა გაწყვეტა, ისიც ფრთას თუ წამოსაღებს. მასინ ობობას ქსელი წყნარად გაიტაცუნება და ორ პრილა ძადად ჩამთაშლებს. მთლად ქალარაა ხრისტონია, სისე, ვისერა, ტუჩებიც კი თეთრი აქვს. უძღურების ბეჭედო აქის. წყველ ფოთოლს მიუგავს ხელგონზე დაწეობილი თეთრი ხელებიც. ცხვირი კი შიგად დაჰკენკვია, ფერიანქამელეზობოდებულა ცხვირა შეწალის ლურსმნებით მოქყდილს მიუგავს.

